სასამართლო შენობების მისაწვდომობის შეფასება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის

EVALUATION ON ACCESSIBILITY TO COURT BUILDINGS FOR PERSONS WITH DISABILITIES



COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

სასამართლო შენობების მისაწვდომობის შეფასება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის

EVALUATION ON ACCESSIBILITY TO COURT BUILDINGS FOR PERSONS WITH DISABILITIES

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

ანგარიში მოამზადა ორგანიზაციამ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ (PHR), ევროპის საბჭოს პროექტის - „სასამართლო რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხარდაჭერით. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია ავტორი და მასში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ასახავდეს ევროპის საბჭოს ოფიციალურ პოზიციას.

ანგარიშის ავტორები: კობა ნადირაძე, ანა არგანაშვილი, ანა აბაშიძე, ნანა გოჩიაშვილი, ჯანეტ ლორდი.

ყველა უფლება დაცულია.
დოკუმენტის ნებისმიერი ნაწილის გამოცემისა თუ თარგმანის მოთხოვნით უნდა მიმართოთ კომუნიკაციების დირექტორატს (F-67075 Strasbourg Cedex ან publishing@coe.int)
© ევროპის საბჭო, 2019 წლის ოქტომბერი

სარჩევი

Introduction 5

Main Findings 8

შესავალი 10

ძირითადი მიგნებები 13

მოკლე მიმოხილვა 14

სასამართლო შენობების მისაწვდომობის შეფასების
მეთოდოლოგია და კვლევის შეზღუდვები 15

სასამართლოების მისაწვდომობის შეფასება საქართველოში 17

სასამართლომდე მისასვლელი გზისა და შესასვლელების მისაწვდომობა 27

მისაღები და საინფორმაციო განყოფილება 32

რეკომენდაციები 43

ცალკეული სასამართლოების სიტუაციური ანალიზი 46

ტერმინთა განმარტებები 46

ბათუმის საქალაქო სასამართლო 47

ზესტაფონის რაიონული სასამართლო 51

ზუგდიდის და გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული
სასამართლო 53

თბილისის საქალაქო და სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის
რაიონული სასამართლო 57

თეთრიწყაროს რაიონული სასამართლო 61

თელავის რაიონული სასამართლო 63

ოზურგეთის რაიონული სასამართლო 66

სამტრედიის რაიონული სასამართლო 69

სენაკის რაიონული სასამართლო 72

სიღნაღის რაიონული სასამართლო 74

ფოთის რაიონული სასამართლო 77

ქუთაისის საქალაქო სასამართლო 79

თბილისის სააპელაციო სასამართლო 82
ქუთაისის სააპელაციო სასამართლო 86
რუსთავის საქალაქო სასამართლო 90
მცხეთის რაიონული სასამართლო 94
ამბროლაურის რაიონული სასამართლო 97
ახალქალაქის რაიონული სასამართლო 100
ახალციხის რაიონული სასამართლო 104
ბოლნისის რაიონული სასამართლო 106
გორის რაიონული სასამართლო 109
საჩხერის რაიონული სასამართლო 112
ხაშურის რაიონული სასამართლო 116
ხელვაჩაურის რაიონული სასამართლო 118
ცაგერის რაიონული სასამართლო 122
გურჯაანის რაიონული სასამართლო 125
ბორჯომის მაგისტრატი სასამართლო 128
დუშეთის მაგისტრატი სასამართლო 131
საგარეჯოს მაგისტრატი სასამართლო 133
ქედის მაგისტრატი სასამართლო 136
ქობულეთის მაგისტრატი სასამართლო 138
ჩოხატაურის მაგისტრატი სასამართლო 141
ყვარელის მაგისტრატი სასამართლო 143
ლაგოდეხის მაგისტრატი სასამართლო 146
მარნეულის მაგისტრატი სასამართლო 149
კასპის რაიონული სასამართლო 152
გარდაბანის მაგისტრატი სასამართლო 155
ქარელის მაგისტრატი სასამართლო 158

შესავალი

წინამდებარე ანგარიში დაიწერა სასამართლო სისტემის რეფორმის მხარდაჭერის მიზნით, რომლის ერთ-ერთი მიზანი სასამართლო სისტემის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მისაწვდომობის გაზრდაა. სასამართლო სისტემის მისაწვდომობა კომპლექსური ცნებაა და გულისხმობს არა მხოლოდ შენობების მისაწვდომობას, არამედ სასამართლო სისტემაში მიმდინარე პროცესების და სერვისების მისაწვდომობას, კომუნიკაციის სტანდარტებს, სასამართლო სისტემაში დასაქმებულ პირთა ინფორმირებას და განათლებას შშმ პირა საჭიროებებზე და სხვა საკითხებს. თუმცა, წინამდებარე ანგარიშის შექმნის მიზნით, სამუშაო პროცესი შემოიფარგლა მხოლოდ სასამართლო შენობების მონიტორინგით, რომელიც მართლმსაჯულების მისაწვდომობის გაუმჯობესების მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

ანგარიშის შექმნა განხორციელდა რამდენი ეტაპად:

I ეტაპზე, შედგა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც ჩართული იყო შშმ პირთა საკითხებზე საერთაშორისო ექსპერტი ჯანეტ ლორდი, რომლის სამუშაო გამოცდილება არაერთი ქვეყნის სასამართლო სისტემის შშმ პირთათვის მისაწვდომობის მონიტორინგს მოიცავს. სამუშაო ჯგუფში ასევე შედიოდნენ შშმ პირთა საკითხებზე სპეციალიზებული იურისტები და თავად შშმ პირები. სამუშაო ჯგუფმა გამართა არაერთი შეხვედრა სამუშაო მეთოდოლოგიის შესამუშავებლად, სადაც წამყვანი როლი საერთაშორისო ექსპერტს ეკუთნოდა.

II ეტაპზე, სამუშაო ჯგუფის წევრი იურისტები შეხვდნენ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს, ვისთან ერთადაც მოხდა მონიტორინგის ძირითადი ფარგლების, მის მიმართ არსებული მოლოდინების და მეთოდოლოგიის შეთანხმება.

III ეტაპზე, მიღებული უკუკავშირის შედეგად მოხდა სასამართლო შენობების მისაწვდომობის მონიტორინგის მეთოდოლოგიის გაუმჯობესება და იუსტიციის საბჭოსთვის საველე სამუშაოს ჩატარებისთვის შექმნილი კითხვარის გადაგზავნა.

IV ეტაპზე, სამუშაო ჯგუფი შშმ პირთა საკითხებზე სპეციალიზებული იურისტების და თავად შშმ პირის შემადგენლობით გავიდა საველე სამუშაოების ჩასატარებლად 40 სასამართლო შენობაში, რა დროსაც მოხდა, წინასწარ შემუშავებული მეთოდოლოგიის საფუძველზე შეფასებების გაკეთება. პარალელურად საველე შეფასების ჩასატარებელი კითხვარი, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დახმარებით, შესავსებად დაეგზავნა 25 სასამართლოს.

V ეტაპზე, საველე სამუშაოდან ამოღებული მასალა დამუშავდა რაოდენობრივად და თვისობრივად. რაოდენობრივი დამუშავებული მასალა შენობების მისაწვდომობის შესახებ მიეწოდა საერთაშორისო ექსპერტს, რომელმაც შექმნა ანგარიში მისაწვდომობის ძირითადი ტენდენციების შესახებ. რაც შეეხება თვისობრივ მასალას, მისი ინტეგრირება მოხდა თვისობრივ ანგარიშში, რომელიც აღწერს თოთოეულ სასამართლო შენობაში არსებულ მდგომარეობა და მკითხველს აწვდის ძირითად

რეკომენდაციებს მისი გაუმჯობესებისათვის.

VI ეტაპზე, სასამართლო შენობების მისაწვდომობის შესახებ მონიტორინგის ანგარიშს გაეცნო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები, რომელთა უკუკავშირი ინტეგრირებული იქნა ანგარიშში.

მეთოდოლოგიურად, წინამდებარე ანგარიშის შექმნისას, მისაწვდომობის საერთაშოროსო და ადგილობრივ ექსპერტებთან ერთად დამუშავდა რამდენიმე სტანდარტი-დოკუმენტი, მათ შორის:

1. გაერთიანებული ერების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენცია.
2. ნორვეგიული სტანდარტი NS 11001 – 1. E:2009, უნივერსალური სტანდარტი ბინათმშენებლობაში, 2009.
3. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის #41 დადგენილება, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებით ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე.
4. U.S. Access Board, Courthouse Access Advisory Committee, Justice for All: Designing Accessible Courthouses, Recommendations from the Courthouse Access Advisory Committee, 2006.
5. Maine Statistical Analysis center, Muskie School of Public Service, University of Southern Maine, 2017 Court Access & Fairness Survey Report, 2017.
6. Washington State Access to Justice Board Impediments Committee, Ensuring Equal Access for People with disabilities, A Guide for Washington Courts.
7. Southeast ADA Center, Courtroom Accessibility Center, 2013.
8. Judicial Council of Georgia, Administrative Office of the Courts, a Handbook for Georgia Court Officials on Courtroom Accessibility for Individuals with Disabilities, 2017.

აღნიშნული სტანდარტების დამუშავების საფუძველზე შეიქმნა ქართული რეალობისთვის შესაბამისი მეთოდოლოგიური კითხვარი, საველე სამუშაოების ჩასატარებლად.

კითხვარის ძირითადი კონცეფცია აგებული იყო, სასამართლო შენობების მისაწვდომობის შეფასებაზე. სასამართლო პროცესში მონაწილე შემდეგი პირების პერსპექტივიდან:

1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, რომელიც წარმოადგენს პროცესში

მხარეს (მოსარჩელე, მოპასუხე).

2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბრალდებული.
3. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადვოკატი.
4. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროკურორი.
5. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსამართლე.
6. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოწმე/ექსპერტი.
7. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე დამსწრე პირი.
8. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ჟურნალისტი.

ორგანიზაცია პროფესიული მხარდაჭერისთვის გულითად მადლობას უხდის მისაწვდომობის საკითხზე ექსპერტ ჯანეტ ლორდს, მაია მეტონიძეს, საქართველოს ყრუთა კავშირი; მარიამ მიქიაშვილს, ორგანიზაცია „მარიანი“ და ოლგა კალინას, ორგანიზაცია „თანამშრომლობა თანაბარი უფლებებისთვის“ (PER).

ორგანიზაცია ასევე მადლობელია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს და ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის თანამშრომლების და წევრების მიმართ, რომელთაც გამოიჩინეს გულისხმიერება და მონიტორინგის ჯგუფს ეხმარებოდნენ მუშაობის ყველა ეტაპზე სხვადასხვა სირთულის გადალახვაში.

ორგანიზაცია გამოხატავს სპეციალურ მადლობას სასამართლოს ყველა იმ თანამშრომლის, მათ შორის თავჯდომარეების, მენეჯერების, მანდატურების და სხვა სპეციალისტების მიმართ, რომელთაც მონიტორინგის პროცესის შეუფერხებელი ჩატარებისთვის ხშირად არასამუშაო დასვენების დროს გამოიჩინეს მაღალი პასუხისმგებლობა და იმუშავეს შემფასებელთა ჯგუფთან ერთად შენობების შეფასებისთვის.

ზემოთ ჩამოთვლილი თითოეული ადამიანის დახმარების გარეშე ანგარიშის შექმნა შეუძლებელი იქნებოდა.

ძირითადი მიგნებები

სასამართლო შენობების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის მისაწვდომობის მონიტორინგისას გამოვლინდა შემდეგი ძირითადი ტენდენციები:

1. მნიშვნელოვანია მოხდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტის (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის #41 დადგენილება, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებით ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე.) განახლება და მასში არა მხოლოდ ფიზიკური შეზღუდვის, არამედ ასევე, სხვა შეზღუდვის მქონე პირთა მისაწვდომობის საჭიროებების ინტეგრირება. აუცილებელია, მისაწვდომობის ეროვნულ სტანდარტში ცალკე თავად გამოიყოს მართლმსაჯულების ორგანოების, მათ შორის, სასამართლო შენობების მისავწვდომობის სტანდარტები, ვინაიდან არსებული ვერსია არ მოიცავს სასამართლოს სპეციფიკას.
2. ფაქტობრივად ყველა სასამართლოს თანამშრომელს გააზრებული ჰქონდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის მისაწვდომობის შეფასების მნიშვნელობა და გამოხატავდნენ განსაკუთრებულ მზაობას ხელი შეეწყოთ მომავალში მისაწვდომობის დანერგვისათვის.
3. სასამართლო შენობების დიდი რაოდენობა შესაძლებლობას იძლევა დაექვემდებაროს მოდიფიცირებას და სასამართლოს სერვისები მისაწვდომი გახადოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის.
4. დღევანდელი მდგომარეობით რამდენიმე სასამართლო შენობაში მისაწვდომია სერვისები ფიზიკური შეზღუდვის მქონე პირებისათვის, თუმცა, სენსორული შეზღუდვის მქონე პირებისათვის, თითქმის არცერთი შენობაა მისაწვდომი.
5. სასამართლო შენობების სრულ უმრავლესობას არ უკავშირდება მისაწვდომი მუნიციპალური ტრანსპორტი, შენობებთან ახლოს არ მდებარეობს მისაწვდომი მუნიციპალური ტრანსპორტის გაჩერება.
6. სასამართლოს შენობების დიდ ნაწილს არ გააჩნია ორგანიზებული ეზო და პარკინგი, რომელიც უზრუნველყოფდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უსაფრთხო და შეუფერხებელ მიღწევას შენობამდე.
7. ყველა სასამართლოს შენობისათვის გამოწვევას წარმოადგენს საინფორმაციო დაფების, საინფორმაციო ნიშნების, გზამკლევი ნიშანდებების და ტაქტილური რუკების არარსებობა.
8. სასამართლო შენობების პანდუსების თითქმის სრული უმრავლესობა, ასევე შიდა და გარე კიბეები არ აკმაყოფილებს მისაწვდომობის სტანდარტს.
9. სასამართლო შენობებში არსებული სიგნალიზაციის სისტემა და უსაფრთხოების ნორმები არ ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის

მქონე პირების საჭიროებებს. სასამართლოს თანამშრომლებს არ აქვთ ევაკუაციის სპეციალური ტექნიკა და ექსპერტიზა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ევაკუაციისთვის.

10. სასამართლო შენობები განთავსებული საინფორმაციო სერვისები, მათ შორის, თანამშრომლებთან კომუნიკაციის საშუალებები, საჩივრის ყუთები, ტაბლოები არ არის მისაწვდომი შშმ პირებისთვის.
11. სასამართლო შენობების უმრავლესობაში სართულები ერთმანეთს არ უკავშირდება მისაწვდომი ლიფტით ან მობლობის შეზღუდვის მქონე პირებისათვის გადაადგილების სხვა საშუალებებით.
12. სასამართლო შენობების სრულ უმრავლესობაში ნაფიც მსაჯულთა დარბაზები მიუწვდომელია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, თუმცა სხვა სხდომათა დარბაზები რიგ შემთხვევაში მისაწვდომია ან მოდიფიცირების შემთხვევაში დაექვემდებარება მისაწვდომობის სტანდარტს.
13. როგორც მოქალაქეების ისე თანამშრომლებისათვის განკუთვნილი სანიტარული კვანძების აბსოლუტური უმრავლესობა ერთი გამონაკლისის გარდა მიუწვდომელია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის.
14. ბრალდებულებისთვის განთავსებული სივრცეები უმეტეს შემთხვევაში მიუწვდომელია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბრალდებულებისთვის.
15. მოწმეთა და ექსპერტთა ტრიბუნები არ აკმაყოფილებს მისაწვდომობის სტანდარტს.
16. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსამართლეებისთვის მიუწვდომელია როგორც დარბაზები ისე სამუშაო ოთახები.
17. საქმის გაცნობის ოთახები და კაფეტერიები, არსებობის შემთხვევაში, არ აკმაყოფილებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის მისაწვდომობის სტანდარტს.

მოკლე მიმოხილვა

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების გასაუმჯობესებლად, უაღრესად მნიშვნელოვანია მათი წვდომა მართლმსაჯულებაზე და შეზღუდული შესაძლებლობის საკითხების გათვალისწინება მართლმსაჯულების ადმინისტრირების პროცესში. ამ კონტექსტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის მისაწვდომობის სხვადასხვა ელემენტი არსებობს. სასამართლოები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ შშმ პირთა უფლებების დაცვის ვალდე-

> *„მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ მართლმსაჯულებაზე ეფექტიან წვდომას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის, სხვების თანასწორად...“*
>
> --შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენცია, მუხლი13

ბულებების შესრულებაში.

საქართველოში სასამართლო რეფორმის მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში, ევროპის საბჭომ მხარი დაუჭირა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების შეფასებას არსებული სასამართლო შენობების მისაწვდომობის კუთხით (მაგ.: სასამართლო შენობები და დარბაზები, შენობების შიგნით არსებული ინფრასტრუქტურა, შენობის შესასვლელები და გამოსასვლელები და პარკირების შესაძლებლობა). საკითხის შეფასებისას გათვალისწინებული იყო როგორც ევროპის საბჭოს და სხვა რეგიონული თუ საერთაშორისო სტანდარტები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მისაწვდომობაზე, ასევე, საჭიროებისამებრ, გენდერული პერსპექტივაც. ტექნიკური დავალების (TOR) შესაბამისად, ძირითადად ყურადღება გამახვილდა სასამართლოების მისაწვდომობაზე ფიზიკური ან/და სენსორული შეზღუდვის (უსინათლო/მცირემხედველი, ყრუ) მქონე პირებისთვის.

შესავალს მოჰყვება შემდეგი თემები: სასამართლო შენობების მისაწვდომობის შეფასების მეთოდოლოგია; სასამართლო შენობების მისაწვდომობის შეფასება საქართველოში; ძირითადი დასკვნები სასამართლო შენობების მისაწვდომობის შეფასების ფარგლებში; კარგი პრაქტიკა სასამართლო შენობების მისაწვდომობის სფეროში; რეკომენდაციები; დასკვნები და სამომავლო ღონისძიებები.

სასამართლო შენობების მისაწვდომობის შეფასების მეთოდოლოგია და კვლევის შეზღუდვები

შეფასების ფარგლებში გამოყენებული მეთოდოლოგია მოიცავდა მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის შერეულ მიდგომას. საველე სამუშაოების მომზადებისას, შეფასების ჯგუფმა ჩამოაყალიბა სამუშაო ჯგუფი SOW–ს შესასწავლად. მისი მიზანი იყო ადგილზე ვიზიტების ანგარიშების შემუშავება, რომელიც იქნებოდა სასამართლოს მისაწვდომობის სფეროში არსებული საერთაშორისო სტანდარტებისა და პრაქტიკის შესაბამისი. ამ სამუშაოების ფარგლებში, გუნდმა კონსულტაციები გაიარა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და შშმ პირებთან, რათა მათი პოზიცია გაეთვალისწინებინა შეფასების მიდგომების შემუშავებისას.

გუნდმა სწრაფი კამერალური კვლევა ჩაატარა და მიმოიხილა საერთაშორისო სტანდარტები სასამართლო შენობების მისაწვდომობის სფეროში არსებული მიდგომებისა და კარგი პრაქტიკის მხრივ. მან გაითვალისწინა შშმ პირთა მართლმსაჯულებაზე წვდომის შეფასების უახლესი მიდგომებიც; ასევე, მიმოიხილა ანგარიშები და მისაწვდომობის აუდიტის დოკუმენტები, რომლებიც მიმართულია სასამართლო შენობების მისაწვდომობაზე (იხ. სექცია 1, ირლანდიაში მისაწვდომობის აუდიტის კარგი პრაქტიკის მაგალითი).

სექცია 1: მისაწვდომობის აუდიტი და ინკლუზიურობის უზრუნველყოფა ირლანდიის სისხლის სამართლის სასამართლოების პროექტის ფარგლებში

ირლანდიის რესპუბლიკაში მისაწვდომობის აუდიტი ჩატარდა სისხლის სამართლის სასამართლოთა ფორმირებასა და განვითარებაზე მიმართული მსხვილი პროექტის განხორციელებამდე. პროექტის მთავარი მიზანი იყო უნივერსალური მისაწვდომობა, რისთვისაც, დაგეგმვის, დეტალური დაპროექტებისა და მშენებლობის დასრულების შემდეგ, მისი ჩაბარების ეტაპებზე, უნდა ჩატარებულიყო დამოუკიდებელი, სამსაფეხურიანი მისაწვდომობის აუდიტი. ინკლუზიურობას ითვალისწინებს პროექტის ყველა მიდგომა. ამ პროცესის ფარგლებში შესწავლილია დიზაინის ისეთი ასპექტები, როგორიცაა: ტრანსპორტიდან ტრანსფერი და პარკირების ადგილი; შესასვლელების მისაწვდომობა, ზედაპირების ტექსტურა, როგორც შიდა, ასევე გარე; საჯარო მისაღები ადგილები; განათება; ინდუქციური მარყუჟები და ტაქტილური ნიშნები; დერეფნების სიგანე, დასასხდომი ადგილები და საზოგადოებრივი უსაფრთხოება; რკინის ნაკეთობები და კარები; პანდუსები სასამართლო დარბაზებში, კიბეები, მოაჯირები, მისაწვდომი საპირფარეშოები, სამგზავრო ლიფტები, საგანგებო ვითარებაში განგაშისა და დახმარების გამოძახების პუნქტები (მაგ.: ხანძრის დროს უსაფრთხო ევაკუაციისათვის). აუდიტი შეეხო დიზაინის სხვა მახასიათებლებსაც: კონტრასტული ფერები და ტაქტილური ნიშნები უსინათლო და მცირემხედველ პირთა დასახმარებლად და სრული მისაწვდომობა მობილობაშეზღუდული პირებისთვის, მიუხედავად იმისა, რომ საჭიროა სასამართლო დარბაზებში მნიშვნელოვანი ცვალებადობა დონეებს შორის.

წყარო: *J Beqiraj, L McNamara and V Wicks, Access to justice for persons with disabilities: From international principles to practice, International Bar Association, October 2017, 27.*

დოკუმენტების სტრატეგიული მიმოხილვის ფარგლებში, გუნდმა ყურადღება გაამახვილა იმ ლიტერატურასა და სახელმძღვანელო პრინციპებზე, რომლებიც შეეხება მართლმსაჯულების მისაწვდომობის ხელშეწყობას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციით (CRPD) დადგენილი სტანდარტების შესაბამისად (ძირითადი ყურადღება მიაპყრო 2006 წლის შემდგომ პუბლიკაციებს). ეს დოკუმენტები და მონაცემთა წყაროები მოიცავდა საქართველოში არსებულ სტანდარტებსა და ანგარიშებსაც.

გუნდის ქართველმა ექსპერტებმა შეხვედრები გამართეს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებთან და მიაღწიეს შეთანხმებას ადგილებზე ვიზიტებისა და შეფასების შესახებ. ეს მოიცავდა მონიტორინგის პროცესის ძირითადი დაფარვის სფეროს, ასევე, მეთოდოლოგიისა და მოლოდინების განსაზღვრას. სასამართლო შენობების შეფასების მეთოდოლოგიური კითხვარის პროექტი განსახილველად გადაეცა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.

შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ იურისტები, სპეციალიზებულნი შშმ პირთა მისაწვდომობის საკითხებზე, ასევე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი. ჯგუფი ადგილზე გაეცნო ვითარებას 40 სასამართლოში. ვიზიტები ჩატარდა შეთანხმებული მეთოდოლოგიისა და დამტკიცებული შეფასების ინსტრუმენტის გამოყენებით. გარდა ამისა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დახმარებით, კითხვარი შენობების შესაფასებლად გადაეცა 25 სასამართლოს საიდანაც მიღებული მონაცემები აისახა ანგარიშში.

საველე სამუშაოების დასრულების შემდეგ, მონაცემები დამუშავდა და გაანალიზდა როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი მეთოდების გამოყენებით. მონაცემები სასამართლო შენობების მისაწვდომობაზე რაოდენობრივად დამუშავდა და გადაეცა საერთაშორისო ექსპერტს, რომელმაც მოამზადა ანგარიში მისაწვდომობის საერთაშორისო სტანდარტებზე, აუდიტის ძირითად დასკვნებსა და მიგნებებზე. რაოდენობრივი და თვისებრივი მიგნებები გაერთიანდა ზემოხსენებულ ანგარიშში, სადაც აღწერილია თითოეული სასამართლო შენობის მდგომარეობა და მათ გაუმჯობესებაზე მიმართული ძირითადი რეკომენდაციები.

მსგავსად ნებისმიერი შეფასებისა, რომელიც შეზღუდულ ვადებში და შედარებით მცირე რესურსების გამოყენებით ტარდება, შეფასების პროცესს ახლდა გარკვეული შეზღუდვები: გუნდმა ვერ შეძლო საქართველოს ყველა სასამართლოში საველე ვიზიტების განხორციელება. როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს ხარვეზი შეივსო დანარჩენი 25 სასამართლოსთვის მიწოდებული კითხვარის მეშვეობით. ამგვარად, გუნდი ნაწილობრივ დაეყრდნო სასამართლოების პერსონალის მიერ ჩატარებულ შეფასებას 25 სასამართლოში, იმის გათვალისწინებით, რომ მათ შეიძლება არ ჰქონოდათ შშმ პირთა მისაწვდომობის შესაფასებლად საჭირო გამოცდილება. შესაბამისად, ამან შეიძლება გავლენა იქონიოს პასუხების სიზუსტეზე.

შეფასების პროცესის ბოლო ფაზების განმავლობაში, ანგარიშს გაეცნენ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებიც. მათი მოსაზრებები და კომენტარები გაერთიანდა საბოლოო ანგარიშში.

სასამართლოების მისაწვდომობის შეფასება საქართველოში

შეფასების ფარგლებში გუნდმა სიღრმისეულად შეისწავლა მისაწვდომი მართლმსაჯულების სისტემაზე გადასვლის მხრივ არსებული ვითარება საქართველოში. ყველაზე თვალსაჩინოდ გამოიკვეთა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ინტერესი და ნება, უკეთ გამოევლინა ბარიერები, რომლებიც ქვეყნის მასშტაბით არსებობს შშმ პირებისთვის სასამართლოთა მისაწვდომობის თვალსაზრისით. ეს განსაკუთრებულად ეხებათ ფიზიკური ან/და სენსორული შეზღუდვის მქონე პირებს. აღნიშნული ასპექტი ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი ელემენტია მიმდინარე რეფორმების ფარგლებში მართლმსაჯულების მისაწვდომობის გასაუმჯობესებლად.

ისტორიული კონტექსტი ასევე მნიშვნელოვანია რეფორმების თანმხლები გამოწვევების გამოსავლენად, რომლებიც მიემართება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წვდომის გაუმჯობესებას სასამართლო ობიექტებსა და მომსახურებებზე და, ამ მიზნით, შესასვლელი პუნქტების მოწყობას. საქართველომ დამოუკიდებლობა 1991 წელს აღადგინა. საბჭოთა კავშირის სისტემის პირობებში, რეგიონის სხვა ქვეყნების მსგავსად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უმეტესწილად დაწესებულებებში ათავსებდნენ და ბავშვობიდან სრულად იზოლირებულნი

იყვნენ საზოგადოებისგან. მიიჩნეოდა, რომ მათ არ შეეძლოთ სრულფასოვანი მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, განსაკუთრებით, წვდომის მოპოვება მართლმსაჯულების სისტემასა ან სასამართლოზე და ამ მომსახურებით სარგებლობა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციები (DPO) და ცენტრალური თუ ადგილობრივი ხელისუფლება დღესაც საბჭოთა მემკვიდრეობის ზეგავლენის ქვეშ არის, შესაბამისად, შეზღუდული შესაძლებლობები კონცეპტუალიზებულია საბჭოთა სამედიცინო - „დეფექტოლოგიის“ მოდელით. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ქართულმა საზოგადოებამ განაგრძო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სტიგმატიზაცია. ახლაც ფართოდ არის გავრცელებული მათი დისკრიმინაცია და იზოლაცია სახლებსა ან/და სპეციალიზებულ დიდი ზომის რეზიდენტულ დაწესებულებებში.

კანონმდებლობა, პოლიტიკა და ინსტიტუციური ჩარჩო უაღრესად მნიშვნელოვანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წვდომისათვის სასამართლოზე, ასევე, ამ მხრივ ხელსაყრელი გარემოს შესაქმნელად და, ზოგადად, მართლმსაჯულებაზე ეფექტური მისაწვდომობისათვის. მართლმსაჯულების მისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის (UNCRPD)[1] მხარე სახელმწიფოთა ძირითადი ვალდებულებაა. კონვენცია საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულია 2013 წლის 26 დეკემბერის N1888-RS განკარგულებით და ძალაში შევიდა 2014 წლის 12 აპრილს. საქართველოს მთავრობამ UNCRPD კომიტეტს საწყისი ანგარიში 2016 წელს წარუდგინა.

შესაბამისად, შეფასების ფარგლებში დეტალურად არის შესწავლილი კანონმდებლობა და პოლიტიკა; ჩატარდა ინსტიტუციური ანალიზი ანალიტიკური მიდგომის გამოყენებით. იგი მოიცავდა საერთაშორისო და შედარებით სამართლებრივ ანალიზს საქართველოს სამართლებრივი ჩარჩოს შესაფასებლად, ასევე, მისი ჰარმონიზებისათვის იმ ძირითად ელემენტებთან, რომლებსაც საჭიროებს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა. პროცესში ყურადღების გამახვილდა სასამართლოების მისაწვდომობაზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. 1 ცხრილში მოცემულია ჯგუფის მიერ გათვალისწინებული ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტები:

1 კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ, GA Res 61/106, UN Doc A/RES/61/106 (2006 წლის 13 დეკემბერი) [შემდგომში CRPD].

ცხრილი 1: ძირითადი სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები

გაეროს კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობების პირთა უფლებების შესახებ (2006).
ნორვეგიული სტანდარტი NS 11001 – 1.E:2009, მშენებლობის უნივერსალური სტანდარტი, 2009.
საქართველო, საქართველოს მთავრობის # 41 ბრძანებულება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სივრცის მოწყობის ტექნიკური რეგლამენტის დადგენისა და არქიტექტურული და დაგეგმვის ელემენტების შესახებ, 2014 წლის 2 ივნისი.
აშშ-ის მისაწვდომობის უზრუნველყოფის საბჭო, მრჩეველთა კომიტეტი სასამართლოთა მისაწვდომობის საკითხებზე, მისაწვდომი სასამართლოების შექმნა, მრჩეველთა კომიტეტის რეკომენდაციები, 2006 წელი.
მაინის სტატისტიკური ანალიზის ცენტრი, მასკის საჯარო სამსახურის სკოლა, სამხრეთ მაინის უნივერსიტეტი, სასამართლოს მისაწვდომობისა და სამართლიანობის კვლევის ანგარიში, 2017 წელი.
კომიტეტი ვაშინგტონის შტატში მართლმსაჯულების მისაწვდომობის ხელშემშლელ საკითხებზე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი მისაწვდომობა, სახელმძღვანელო ვაშინგტონის სასამართლოებისთვის.
სამხრეთ-აღმოსავლეთის ADA ცენტრი, სასამართლო დარბაზების მისაწვდომობის ცენტრი, 2013.
ჯორჯიის შტატის მოსამართლეთა საბჭო (აშშ), სასამართლოების ადმინისტრაციული ოფისი, სახელმძღვანელო ჯორჯიის შტატის სასამართლოების მოხელეებისთვის - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მისაწვდომობა სასამართლო დარბაზებზე, 2017 წელი.

მართლმსაჯულების მისაწვდომობის მოთხოვნა მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი (ICCPR) ადგენს, რომ „ყველა პირი თანასწორია სასამართლოებისა და ტრიბუნალების წინაშე“ და სისხლის სამართლის პროცესის კონტექსტში აღიარებს პირის უფლებას „ჰქონდეს წვდომა თარჯიმნის უფასო დახმარებაზე, თუ მას არ ესმის ან არ საუბრობს სასამართლოში გამოყენებულ ენაზე.“[2]

ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალში მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის უფლება გარანტირებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 („სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება“) და მე-13 („სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლება“) მუხლებით.[3] აღნიშნული უფლებები გათვალისწინებულია მართლმსაჯულების მისაწვდომობის უფრო ფართო კონცეფციით. ეს გულისხმობს სხვადასხვა ელემენტს, რომლებიც უზრუნველყოფს შესაბამისი დაცვის საშუალებებს უფლების დარღვევის შემთხვევაში (მაგ.: როგორიცაა ინფორმაციის მიწოდება უფლებებისა და პროცედურების შესახებ,

2 საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, G.A. res. 2200A (XXI), 21 U.N. GAOR Supp. (No. 16) at 52, U.N. Doc. A/6316 (1966 წლის 16 დეკემბერი), 999 U.N.T.S. 171, ძალაში შევიდა 1976 წლის 26 მარტს.

3 ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, 1950 წლის 4 ნოემბერი, Europ.T.S. No. 5; 213 U.N.T.S. 221.

იურიდიული დახმარება, იურიდიული წარმომადგენლობა, სამართლებრივი სტატუსი, ან ზოგადი წვდომა სასამართლოებზე). გარდა ამისა, ევროპის საბჭოს 2006-2015 წლების სამოქმედო გეგმა, რომელიც მიემართება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვანი მონაწილეობის ხელშეწყობას, ერთ-ერთ მიზნად ისახავს შშმ პირთა თანაბარ მისაწვდომობას მართლმსაჯულებაზე.[4]

CRPD კიდევ უფრო განავრცობს ICCPR-ისა და სხვა ინსტრუმენტების (მათ შორის, ევროპული რეგიონული დოკუმენტების) დებულებებს და ფართოდ იცავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებს ისეთ კონტექსტში, როგორიცაა მართლმსაჯულების მისაწვდომობა და სამართლებრივი დაცვის საშუალებებზე წვდომა მათი უფლებების დარღვევის შემთხვევაში. CRPD განსაზღვრავს მხარე სახელმწიფოთა ვალდებულებებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ყველა უფლებასთან მიმართებით, ხოლო მე-13 მუხლი კონკრეტულად ეხება მართლმსაჯულების მისაწვდომობას. იგი უზრუნველყოფს მართლმსაჯულების მისაწვდომობის გარანტიას ყველა დონეზე და ყველა სტატუსით (მაგ.: იურისტები, მოწმეები, მოსარჩელეები და მართლმსაჯულების სისტემის სხვა მონაწილეები). შესაბამისად, მართლმსაჯულების სექტორის შეფასების ფარგლებში გასათვალისწინებელია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მართლმსაჯულებაზე წვდომა ყველა იმ სტატუსით, რომლითაც ამ სისტემაში არიან წარმოდგენილნი.[5]

CRPD-ის მე-13 მუხლთან შესაბამისობაში, სასამართლოთა მისაწვდომობის შეფასების კარგი პრაქტიკა მოიცავს სამმხრივ ჩარჩოს:

1. <u>სასამართლოს ინფრასტრუქტურა:</u> ფიზიკურ ან ადმიანების მიერ შექმნილ გარემოში არსებული ბარიერების გამოვლენა და აღმოფხვრა (მაგ.: სასამართლოს შენობამდე მისასვლელი გზების (მათ შორი შესასვლელი პანდუსები), მისაწვდომი დერეფნების, ლიფტების, საპირფარეშოებისა და კაფეტერიების მოწყობა, სათანადო ნიშნების განთავსება).
2. <u>სასამართლოს პროგრამები და მომსახურება:</u> სასამართლოს პროგრამებსა

4 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (Rec (2006) 5), 2006-2015 წლების სამოქმედო გეგმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის ხელშეწყობაზე, https://rm.coe.int/16806994a0. გარდა ამისა, რაც არსებული შეფასების ფარგლებს მიღმაა, ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების სააგენტოს ანგარიშში იდენტიფიცირებულია მთელი რიგი ფაქტორები, რომელთა გამოც მსხვერპლნი თავს არიდებენ ან ვერ ახერხებენ თავიანთი უფლებებით სარგებლობას სასამართლოში საქმის აღძვრით. ეს განსაკუთრებულად მკაფიოდ იკვეთება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შემთხვევაში. მსგავს ფაქტორებს მიეკუთვნება: პროცესის გაჭიანურება; მაღალი ხარჯები, მათ შორის, ადვოკატთა ანაზღაურებასა და სასამართლოს მოსაკრებლებთან დაკავშირებით; და შემზღუდველი წესები, თუ ვის შეუძლია საქმისწარმოების წამოწყება სასამართლოში. ამ კონტექსტში გამოვლინდა, რომ იურიდიული სტატუსი ერთ-ერთი მთავარი შეზღუდვაა მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უფლებით სარგებლობისათვის.

5 ზოგადად, იხ: Janet E. Lord, et al., Human Rights Yes! Action and advocacy on the rights of persons with disabilities, University of Minnesota Human Rights Resource Center, 2012); Stephanie Ortoleva, 'Inaccessible Justice: Human Rights, Persons with Disabilities and the Legal System', (2011) 17(2) ILSA Journal of International & Comparative Law, 282–320; E. Flynn, Disabled Justice?: Access to Justice and the UN Convention on the Rights of Persons with Disabilities (Routledge 2016).

და მომსახურებებზე წვდომის ბარიერების გამოვლენა და აღმოფხვრა (მაგ.: სმენის არმქონე პირებისთვის თარჯიმნის მომსახურება; ინფორმაცია სასამართლოს მომსახურებით სარგებლობის შესახებ დახმარებაზე (როგორ უნდა მოითხოვოთ დახმარება ან შეიტანოთ სარჩელი); ასევე, ონლაინ ინფორმაცია და ფორმები).

3. სასამართლო პოლიტიკა: პოლიტიკისა და სახელმძღვანელო პრინციპების მიღება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წვდომისათვის სასამართლო დარბაზებსა და ინფრასტრუქტურაზე, მომსახურებებსა და პროგრამებზე (მაგ.: განთავსების მოთხოვნის პროცედურის შემუშავება; განთავსების მოთხოვნებთან დაკავშირებით, საკონტაქტო პირის დანიშვნა).

ცხრილი 1: ხელმისაწვდომი მართლმსაჯულების CRPD ჩარჩო



ანგარიში, რომელიც საქართველოს მთავრობამ 2018 წელს CRPD კომიტეტს წარუდგინა, შედარებით მოკლედ განიხილავს სასამართლოთა ინფრასტრუქტურის მისაწვდომობის საკითხებს.[6] მე-13 მუხლის მოთხოვნების შესრულებასთან დაკავშირებით (მართლმსაჯულების მისაწვდომობა), საქართველოს მთავრობამ ყურადღება გაამახვილა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 117-ე მუხლზე, რომელიც შეეხება ყრუ და მეტყველების გამოწვევის მქონე პირების გამოკითხვა/დაკითხვას და შესაბამისი გამოცდილებისა და ცოდნის მქონე თარჯიმანთა უზრუნველყოფის ვალდებულებას. მთავრობამ ასევე აღნიშნა, რომ ამ მუხლის შესაბამისად, როცა გამოსაკითხი/დასაკითხი პირი ყრუა, მისთვის შეკითხვების დასმა შეიძლება წერილობით. მეტყველების გამოწვევის მქონე პირსაც შეუძლია პასუხების წერილობით გაცემა, თუკი მისთვის ამ მხრივ მისაწვდომია დახმარება. დაბოლოს, ანგარიშში აღნიშნულია, რომ თბილისის მერია ახორციელებს პროექტს,

6 CRPD კომიტეტი, საქართველოს მთავრობის მიერ კონვენციის 35-ე მუხლის შესაბამისად წარდგენილი ანგარიში, 2016 წელი, CRPD/C/GEO/1 (29 ნოემბერი, 2018).

რომელიც ითვალისწინებს სმენისარმქონე პირებისთვის სასამართლო პროცესის განმავლობაში ჟესტების ენის მცოდნე თარჯიმნის მომსახურებას. ანგარიშში პრაქტიკულად არ ასახულა სასამართლო შენობებზე ფიზიკური წვდომის მხრივ არსებული ვითარება, გარდა ზოგადი მითითებისა, რომ მათი მიზანია არსებული და ახალი საზოგადოებრივი ობიექტების მისაწვდომობა CRPD-ის მე-9 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

CRPD-ში ასახული მართლმსაჯულების მისაწვდომობის ფართო კონცეპტუალიზაციის სათანადოდ გააზრება მოითხოვს ყურადღების გამახვილებას კონვენციაში არსებულ სხვადასხვა ელემენტზე. ეს ელემენტები უზრუნველყოფს მართლმსაჯულების მისაწვდომობას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ფართო სპექტრისთვის. CRPD-ის მიერ მოთხოვნილი მიდგომა მოიცავს შეზღუდული შესაძლებლობების გააზრებას იმ ბარიერების კუთხით, რომლებიც შშმ პირებს ექმნებათ საზოგადოებაში. ამ შემთხვევაში, იგულისხმება მართლმსაჯულების მისაწვდომობა. ეს, თავის მხრივ, ნიშნავს, რომ საჭიროა ფიზიკური, კომუნიკაციური, დამოკიდებულებითი, სამართლებრივი და სხვა ბარიერების გამოვლენა, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ხელს უშლის მართლმსაჯულების დაწესებულებებითა და მომსახურებებით, მათ შორის, სასამართლო სერვისებით სარგებლობაში. ანალოგიურად, კონვენცია მოითხოვს ზომების მიღებას დისკრიმინაციის დაუშვებლობისთვის - სასამართლოს შენობებზე ფიზიკური წვდომისა და მომსახურების მისაწვდომობის კუთხით. მართლმსაჯულების მისაწვდომობის საერთო მიდგომა უნდა შეესაბამებოდეს CRPD-ის პრინციპებს. გარდა ამისა, საჭიროა ეფექტიანი მონიტორინგი, რაც მოიცავს სათანადო დაგეგმვას და ბარიერების მოხსნის ეტაპების განსაზღვრას. ეს ურთიერთდაკავშირებული ზომები მოცემულია 1დიაგრამაზე.

მოკლედ რომ შევაჯამოთ, CRPD მოითხოვს რიგი ზომების გატარებას, რომელთა მიზანი უნდა იყოს:

- ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სხვების თანასწორი წვდომა იურიდიულ დახმარებაზე;
- შშმ პირთა სრული, შეუზღუდავი და ეფექტიანი წვდომა მართლმსაჯულებისადმი სამართალწარმოების ყველა ეტაპზე, მათ შორის, ისეთ საშუალებებზე, როგორიცაა: დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმები; აღდგენითი მართლმსაჯულება; ინფორმაცია, მოიცავს თუ არა ამგვარი ღონისძიებები ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებას მართლმსაჯულების მისაწვდომობის ხელშესაწყობად (იხ. სექცია 2, სამხრეთ აფრიკის კაზუსი):

სექცია 2: სამხრეთ აფრიკის კაზუსის მიმოხილვა

❖ სამხრეთ აფრიკის კაზუსის მიმოხილვა

სამხრეთ აფრიკა: პირველი საქმე, რომელიც სამხრეთ აფრიკის თანასწორობის სასამართლომ განიხილა, იყო სარჩელი შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციასთან დაკავშირებით. ქალბატონმა ესტე მიულერმა, სამხრეთ აფრიკელმა იურისტმა, რომელიც ეტლით სარგებლობდა, 2000 წელს საჩივარი შეიტანა საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის მშენებლობის დეპარტამენტის წინააღმდეგ, თანასწორობის ხელშეწყობისა და უსამართლო დისკრიმინაციის შესახებ კანონის საფუძველზე. იგი ჩიოდა იუსტიციის დეპარტამენტისა და სასამართლო შენობების ფიზიკური მიუწვდომლობის გამო, რითაც ხელი ეშლებოდა ამ შენობებზე წვდომასა და იურისტის ფუნქციების შესრულებაში. მისთვის ამ შენობების წვდომის ერთადერთი გზა იყო კიბეზე ეტლით აყვანა და ჩამოყვანა სხვების დახმარებით. სასამართლომ ერთხელ გადადო საქმის განხილვა, რადგან ქალბატონ მიულერს არ ჰქონდა წვდომა სასამართლო დარბაზზე. თანასწორობის სასამართლოს მიერ მიღწეული საბოლოო შეთანხმებით, ორივე სახელმწიფო დეპარტამენტმა აღიარა, რომ მათ ვერ უზრუნველყვეს შენობის სათანადო მისაწვდომობა ეტლით მოსარგებლე პირისთვის, რაც უსამართლო დისკრიმინაცია იყო ქალბატონი მიულერისა და მსგავსი საჭიროებების მქონე სხვა პირების მიმართ.

წყაროები: სამხრეთ აფრიკის მთავრობის ინფორმაცია, თანასწორობის სასამართლოს გამარჯვება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის სფეროში, http://www.info.gov.za/speitions/2004/04022415461001.htm (ბოლოს ნანახია 2011 წლის 23 თებერვალს); იხ. აგრეთვე: Dave Reynolds, Government Sets Date for All Courts to be Accessible, INCLUSION DAILY EXPRESS, Sept. 15, 2004. http://www.inclusiondaily.com/archives/04/09/15/091504sacourtaccess.htm (ბოლოს ნანახია 2019 წლის 25 სექტემბერს).

- ➢ პროცედურების, ასევე, ასაკის შესაბამისი დახმარებისა და საშუალებების მისაწვდომობა სამართალწარმოების მთელ პროცესში, რათა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა პირს შეეძლოს ეფექტიანი მონაწილეობა მართლმსაჯულების სისტემაში, დამოუკიდებლად იმისა, რა სტატუსით წარდგებიან (მაგ.: მოსარჩელეები, მოპასუხეები, იურისტები, მოსამართლეები, კანცელარიის მუშაკები, მოწმეები, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წევრები, სამართალწარმოების მხარეები და მოპასუხეები (შემთხვევის გასაცნობად იხ. სექცია 3)):

სექცია 3: აშშ-ის საქმის მიმოხილვა

❖ აშშ-ის საქმის მიმოხილვა

საზოგადოებისთვის ღია სასამართლოები უნდა უზრუნველყოფდნენ შესაბამის მომსახურებებს: ორი სმენის არმქონე ადამიანი ითხოვდა ჟესტების ენის თარჯიმანს სამოქალაქო სასამართლოში დაქორწინებისას, რაზედაც უარი ეთქვათ. სასამართლომ დაადგინა, რომ ქორწინება იყო «მომსახურება», რომელსაც უზრუნველყოფს სასამართლო. შესაბამისად, მოსარჩელეებს, როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, უფლება ჰქონდათ, მოეთხოვათ და ესარგებლათ ჟესტების ენის თარჯიმნის მომსახურებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შესახებ კანონის თანახმად.

წყარო: Soto v. City of Newark, 72 F. Supp. 2d 489 (D.N.J. 1999).

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ცნობიერების ამაღლება; ინფორმაციის მიწოდება მართლმსაჯულების წვდომის უფლებაზე, მათ შორის, იურიდიული დახმარების, სამართლებრივი დაცვის საშუალებებისა და სასამართლო სისტემაში სამართლიანი დაკმაყოფილების მხრივ; დავის მოგვარების ალტერნატიულ მექანიზმებსა და აღდგენით მართლმსაჯულებაზე ინფორმაციის მისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, განსაკუთრებით, ვინც ჯერ კიდევ დაწესებულებაში ან რაიმე ტიპის სახლში ცხოვრობს;
- პერსონალის ეფექტიანი მომზადება შშმ პირთა უფლებების სფეროში, მათ შორის: ტრენინგების ჩატარება ადვოკატების, მაგისტრატების, მოსამართლეების, ციხის პერსონალის, ჟესტების ენის თარჯიმნებისა და პოლიციის/სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომლებისთვის (იხ. სექცია 4 ირლანდიაში არსებული კარგი პრაქტიკის გასაცნობად):

❖ ირლანდიის კარგი პრაქტიკის მიმოხილვა

სასამართლოს მისაწვდომობის მიზანი: უმაღლესი კლასის საშუალებები სასამართლოთა ყველა მომხმარებლისთვის (მოსამართლეები, პერსონალი, იურისტები, დაზარალებულები, მოწმეები, ბრალდებული პირები, მედია და საზოგადოების წევრები).

ირლანდიის პროექტის მიდგომები სასამართლო მომსახურებით მოსარგებლეებისთვის მისაწვდომობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით:

- ❖ სასამართლო სხდომებზე დამსწრე ყველა პირის განსხვავებული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.
- ❖ მისაწვდომობა არ შემოიფარგლება შენობაზე და მის შიგნით ფიზიკური წვდომის შესაძლებლობით.
- ❖ ინფორმაციის მისაწვდომობა, მათ შორის, სასამართლო პროცესებსა და სამართალწარმოებაზე, თანასწორობის პრინციპის დაცვით.
- ❖ დროში გაწერილი ვალდებულების დაკისრება და სასამართლო შენობების მისაწვდომობის გაუმჯობესება სხვადასხვა ასპექტის თვალსაზრისით და დადგენილ ვადებში, მათ შორის, პუბლიკაციებისა და სასამართლო ვებსაიტებს უკეთესი მისაწვდომობა.

სასამართლოების მისაწვდომობასთნ დაკავშირებით გატარებული ზომები:

- ❖ საზოგადოების წევრებს და იმ პირებს, რომელთა საქმეებსაც განიხილავს სასამართლო, განახლებულ სასამართლო დარბაზებში შეუძლიათ თავიანთი მოსასმენი საშუალებების ადაპტირება ინდუქციური მარყუჟების გამოსაყენებლად.
- ❖ ყველა გარემონტებულ სასამართლოში განთავსებულია ნიშნები და მიმართულების მანიშნებლები შესასვლელებსა და გამოსასვლელებთან.
- ❖ ნიშნები და სასამართლო ოფისების საკონტაქტო ინფორმაცია მოწოდებულია ბრაილის შრიფტით.
- ❖ სასამართლოების უმეტესობა აღჭურვილია პანდუსებით - ეტლებით მოსარგებლე პირებისთვის.
- ❖ ეტლებით მოსარგებლეებს ბევრ სასამართლო დარბაზში შეუძლიათ ჩვენების მიცემა მოწმისთვის გამოყოფილი ტრიბუნის გვერდით. სასამართლოებში დანიშნულია ოფიცერი, რომელიც პასუხისმგებელია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა ადამიანისთვის დახმარების მისაწვდომობაზე და საკონტაქტო პირის ფუნქციებს ასრულებს. სასამართლო სხდომების ჩანაწერებზე წვდომა გულისხმობს პროცესს, როდესაც მოსამართლე გადაწყვეტილებას იღებს არა მხოლოდ ამ დოკუმენტაციისადმი დაშვებაზე, არამედ მისი მისაწვდომი ფორმატით უზრუნველყოფაზეც (მაგ.: დიდი ასოებით დაბეჭდვა, ან ბრაილით შესრულება).
- ❖ ვებგვერდზე წვდომა - ყურადღება გამახვილებულია შინაარსის შეძლებისდაგვარად გასაგები ენით მიწოდებაზე და უზრუნველყოფილია ვებგვერდის მონიტორინგი WC3/WAI web შინაარსზე წვდომის სახელმძღვანელო მითითებების 1.0-ის დაცვით, შესაბამისობის დონე A. წვდომის შესამოწმებლად ასევე გამოიყენება Bobby ინსტრუმენტი და Vischeck (ფერების კონტრასტისთვის).
- ❖ პუბლიკაციები გამოქვეყნებულია ნათელი და გასაგები ენით, სხვადასხვა ენაზე და ფორმატში.

წყარო: *J Beqiraj, L McNamara and V Wicks, Access to justice for persons with disabilities: From international principles to practice, International Bar Association, October 2017, 27.*

პროცესის ფარგლებში სულ 40 სასამართლო შენობა შეფასდა. გარდა ამისა, დამატებით 25 კითხვარი დაეგზავნათ სხვადასხვა სასამართლოს წარმომადგენლებს. ამ ნაწილში ასახულია ძირითადი მიგნებები და ყურადღება მახვილდება ვიზიტებზე იმ სასამართლოებში, სადაც მისაწვდომობის ყოვლისმომცველი აუდიტი ჩატარდა. აუდიტის გუნდმა ვითარების შესწავლა დაიწყო სასამართლომდე მისასვლელი პუნქტებიდან (მაგ.: პარკირების ადგილები, ავტობუსების გაჩერებები და მთავარ შესასვლელთან მისასვლელი ბილიკები), რათა დაედგინა, არსებობდა თუ არა მისაწვდომი მისასვლელები, რომლებსაც ასევე ადაპტირებულ შესასვლელამდე მივყავართ. შეფასდა პარკირების ადგილები და ამ ადგილებიდან შენობის შესასვლელამდე მარშრუტის მისაწვდომობა, ასევე, თვითონ შესასვლელები და განთავსებული ნიშნებიც, რათა განესაზღვრათ, რამდენად სწორად არის მითითებული მიმართულებები; გუნდმა შეისწავლა შენობის შიგნით არსებული ელემენტები და მათი მისაწვდომობაც.

> რა არის მისაწვდომობა?
>
> მისაწვდომობა გულისხმობს ფიზიკური გარემოს, ტრანსპორტის, ინფორმაციისა და კომუნიკაციის, მათ შორის, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და სისტემების, ასევე სხვა, საზოგადოებისთვის ღია ობიექტებისა და მომსახურების თანაბარ მისაწვდომობას ყველასთვის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩათვლით.
>
> **წყარო:** CRPD, მუხლი 9.

შეფასების ინსტრუმენტში მოცემულია სასამართლოთა მისაწვდომობის მთავარი პრიორიტეტები საქართველოში:

პრიორიტეტი 1 - სასამართლომდე მისასვლელის გზისა და შესასვლელების შესასვლელის მისაწვდომობა;

პრიორიტეტი 2 - სასამართლო შენობის შიგნით საქონლისა და მომსახურების მისაწვდომობა;

პრიორიტეტი 3 - სასამართლოს შენობის შიგნით საზოგადოებრივი საპირფარეშოების მისაწვდომობა;

პრიორიტეტი 4 - სასამართლოს შენობაში არსებული სპეციფიკური მახასიათებლების მისაწვდომობა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შეეძლოთ სასამართლოს ინფრასტრუქტურით სარგებლობა არა მხოლოდ მოხმარებლის, არამედ მოსამართლეებისა და ადვოკატების სტატუსითაც.

მიუხედავად იმისა, რომ საერთო დასკვნის თანახმად, საქართველოს მასშტაბით სასამართლო შენობები უაღრესად მიუწვდომელია ფიზიკური და სენსორული შეზღუდვის მქონე პირთათვის, ყველა იმ სასამართლოს პერსონალს, სადაც ვიზიტები განხორციელდა, კარგად ესმოდა მისაწვდომობის შეფასების მნიშვნელობა შშმ პირებისთვის. მათ გამოთქვეს მზადყოფნა, რომ ხელი შეუწყონ მისაწვდომობის

სტანდარტების განხორციელებას. მეტიც, მართალია, მრავალი ბარიერი გამოვლინდა ყველა მონახულებული სასამართლოს შენობაში, თუმცა მათი უმეტესობის აღმოფხვრა მარტივად შეიძლება შედარებით დაბალხარჯიანი მოდიფიკაციების განხორციელებით, რათა სასამართლო სერვისები მისაწვდომი იყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. სხვა ბარიერების აღმოფხვრას შეიძლება მეტი დრო დასჭირდეს, მაგრამ ისინი შეიძლება გაერთიანდეს გზამკვლევში, რეალისტური ვადებისა და ეტაპების **გათვალისწინებით.**

სექცია 5: სასამართლოთა მისაწვდომობის კარგი პრაქტიკის მიმოხილვა

❖ კარგი პრაქტიკის მიმოხილვა: სასამართლოს შენობებისა და სხვა ინფრასტრუქტურის მისაწვდომობის შეფასება

მაშინაც კი, როდესაც სასამართლოს შენობები, პროცედურები და იურიდიული დახმარება მისაწვდომია ფართო მოსახლეობისთვის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ხშირად გარკვეულ ბარიერებს აწყდებიან ამ თვალსაზრისით.

ძირითადი კითხვები სასამართლოსა და სერვისების მისაწვდომობის შეფასებისას:

- ➢ რა ფაქტორები ზღუდავს შენობებისა და მომსახურებების მისაწვდომობას?
- ➢ რა ბარიერები ან პოტენციური ბარიერები არსებობს მისაწვდომობის თვალსაზრისით?
- ➢ სად შეიძლება მოიძიოთ დამატებითი ინფორმაცია მისაწვდომობაზე, რომ უკეთესად განახორციელოთ პროგრამირება?
- ➢ რა კონკრეტული გადაწყვეტილებებია საჭირო როგორც ინფრასტრუქტურის, ისე ზოგადი წვდომისათვის? რა რესურსებს მოითხოვს ეს გადაწყვეტილებები?
- ➢ რა სახის ტრენინგებია საჭირო მოსამართლეების, სასამართლო პერსონალის, იურისტებისა და მართლმსაჯულების სისტემის სხვა წარმომადგენელთათვის, რომ მათ სათანადო ყურადღება დაუთმონ ამ საკითხებს (მაგ.: ტრენინგი მისაწვდომობისა და შშმ პირთა უფლებების საკითხებზე)?

წყაროები: ჯორჯიის შტატის მოსამართლეთა საბჭო (აშშ), სასამართლოების ადმინისტრაციული სამსახური, სახელმძღვანელო სასამართლოების მისაწვდომობაზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, 2017 წ.

სასამართლომდე მისასვლელი გზისა და შესასვლელების მისაწვდომობა

სასამართლოს ყველა მომხმარებელმა უნდა შეძლოს სასამართლომდე დამოუკიდებლად მისვლა და შენობაში დაუბრკოლებლად შესვლა. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, სულ მცირე, ერთი მისასვლელი მაინც უნდა იყოს უსაფრთხო და მისაწვდომი ყველასთვის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩათვლით. თუნდაც სასამართლოს არ ჰქონდეს პარკირების შესაძლებლობა, მისაწვდომი პარკინგი უნდა უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. გარდა ამისა, შშმ მომხმარებლებისთვის, რომლებიც მანქანით

მიდიან, პარკირების ადგილი მაქსიმალურად ახლოს უნდა მდებარეობდეს მისაწვდომ შესასვლელთან. პარკირების ადგილზე გათვალისწინებული უნდა იყოს სივრცე მანქანის კარის ბოლომდე გასაღებად, რათა პირმა, რომელიც დახმარებას უწევს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვიზიტორს, შეძლოს კართან დადგომა და ფეხით მოსიარულე ან ეტლით მოსარგებლე შშმ პირის გადმოყვანა. პარკირების ადგილზე მოწყობილი ასეთი კუნძული პირდაპირ უნდა უკავშირდებოდეს გზას, რომელიც შენობის მისაწვდომ შესასვლელთან მიდის. ეს გზები შეძლებისდაგვარად თანაბარი დონის უნდა იყოს, ხრეშის ან ტალახის გარეშე; მის საფარს არ უნდა ჰქონდეს დიდი ბზარები, ტროტუარს კი - დაზიანებები.

მისასვლელი გზებისა და შესასვლელების მისაწვდომობის შეფასების პირველი ასპექტი მოიცავდა ფიზიკურ მისაწვდომობას სასამართლოს შენობის გარეთ, მათ შორის, სატრანზიტო პუნქტებს (ავტობუსის გაჩერებები), პარკირების ადგილებს და შენობასთან მისასვლელ ბილიკებს. ანუ ყველა ეს ელემენტი დაკავშირებულია ფიზიკური სასენსორული შეზღუდვის მქონე პირთა მისაწვდომობასთან. მთელი ქვეყნის მასშტაბით, სასამართლოებთან მისასვლელი გზები უაღრესად პრობლემური იყო და მრავალი ბარიერით ხასიათდებოდა. მათი მხოლოდ 14% აკმაყოფილებდა წვდომის მინიმალურ დონეს, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

დიაგრამა 1: ზოგადი მიგნებები სასამართლოების მისაწვდომობასთან დაკავშირებით (შეფასებული მახასიათებელი N=1197)



დიახ = მახასიათებელი არსებობდა, შეფასდა და ჩაითვალა, რომ მოთხოვნებს ნაწილობრივ აკმაყოფილებს.

არა = მახასიათებელი შეფასდა და სრულიად არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

არ მიესადაგება (N/A) = მოცემული მახასიათებელი არ შეფასებულა, რადგან ეს ელემენტი არ მიესადაგება (მაგ.: არ არსებობს ავტოსადგომი).

სასამართლოს მისაწვდომობაში კრიტიკული მნიშვნელობა ენიჭება შესასვლელი პანდუსების არსებობას, როდესაც შესასვლელი ნიადაგის ზედაპირის დონეზე არ არის. კიბე ასეთ დროს მთავარი წინაღობაა სასამართლოს შენობაზე წვდომისთვის, განსაკუთრებით, ძველი შენობების შემთხვევაში. შეფასებულ სასამართლოებში

პანდუსების რაოდენობა შეზღუდული იყო. მისაწვდომობის აუდიტის პროცესში ჩართული 65 შენობიდან მხოლოდ 7 (4%) აკმაყოფილებდა მინიმალურ სტანდარტს. საერთო პრობლემებს შორის იყო ისეთი საშუალებების არარსებობა, როგორიცაა პლატფორმა პანდუსების ქვედა და ზედა დონეზე, მოაჯირები და პლატფორმები გრძელი (8 მეტრზე მეტი) პანდუსების შემთხვევაში. ხშირად, პრობლემა იყო მიმართულების ნიშნების არარსებობაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მომხმარებლის სასურველ ადგილზე მისაღწევად. გამონაკლისი ნაჩვენებია 1 ფოტოზე, სადაც დიდი ზომის ნიშანია გამოკრული თვალსაჩინო ადგილას და ეტლით მოსარგებლეებს მიუთითებს გზას შესასვლელისკენ.

სურათი 1: მისაწვდომ შესასვლელზე მიმანიშნებელი ნიშანი

დიაგრამა 2: პანდუსების მისაწვდომობა (შეფასებული მახასიათებელი N=566)



გარდა პანდუსებისა, შეფასდა სასამართლოების ძირითადი შესასვლელებიც, რათა დაედგინათ მათი მისაწვდომობა კარის სიგანის, მანევრირების საშუალების, უსაფრთხოებისა და მასთან დაკავშირებული მახასიათებლების მიხედვით. არცერთი შესასვლელი არ აკმაყოფილებდა მისაწვდომობის მაღალ სტანდარტს, მათ შორის, კარის ავტომატური გაღების თვალსაზრისით. შეფასებული სასამართლოებიდან 47-ს ჰქონდა ერთი მეტ-ნაკლებად მისაწვდომი შესასვლელი, მაგრამ სრულად მაინც არ შეესაბამებოდა სტანდარტებს (მაგ.: პანდუსის ძალიან ციცაბო დაქანების, ან კარის ზღურბლის სხვადასხვა დონის გამო); 16 სასამართლო შენობას საერთოდ

არ გააჩნია მისაწვდომი შესასვლელები/კარი, თუმცა თითქმის ყველა მათგანის ცენტრალურ კართან იდგა პერსონალი, რომელსაც დახმარების გაწევა შეუძლიათ. ამ თვალსაზრისით - მიუხედავად იმისა, რომ შესასვლელები წვდომის სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს - გარკვეული ზომები მაინც მიღებულია ბარიერების შესამცირებლად.



დიაგრამა 3: შიდა სივრცეებზე წვდომა: ცენტრალური შესასვლელის მისაწვდომობა

მისაწვდომობის აუდიტის ფარგლებში შესწავლილია სასამართლო შენობების ინტერიერის მისაწვდომობა და გამოყენებადობაც, რათა დადგენილიყო, თუ რამდენად შეეძლოთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს სასამართლოს მომსახურებებით სარგებლობა შენობაში შესვლის შემდეგ. შეფასებისას გაითვალისწინეს სხვადასხვა მახასიათებელი, მათ შორის, სასამართლო დარბაზების განლაგება, მომხმარებელთა უსაფრთხო წვდომა მათზე და მისაღები და საინფორმაციო სივრცეების მისაწვდომობა. შეფასდა ისეთი ასპექტებიც, როგორიცაა: მანევრირებისთვის საკმარისი სივრცე მისასვლელ დერეფნებსა და შესასვლელებში - ეტლით მოსარგებლეების ან იმ პირებისთვის, რომლებიც სხვების დახმარებით გადაადგილდებიან; შენობის შიგნით მომხმარებელთა მარშრუტზე განთავსებული გამოშვერილი საგნები (კედელზე ან ზემოთ დამონტაჟებული), რამაც შეიძლება ბარიერი ან საფრთხე შეუქმნას უსინათლო და მცირემხედველ პირებს.

ქვეყნის მასშტაბით სასამართლოს შენობებში თანაბარი დონის შესასვლელების სტანდარტი არ იყო დაცული. საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისი ერთადერთი გამონაკლისია ცაგერის სასამართლო.

როგორც მე-2 სურათზე ჩანს, განიერი და გლუვი საფარის მქონე ბილიკი მიდის იმავე დონეზე მოწყობილ შესასვლელთან, კარის სიგანეც სტანდარტის შესაბამისია.

სურათი 2: ცაგერის რაიონული სასამართლო

მე-3 სურათზე ნაჩვენებია თბილისის საქალაქო სასამართლოს რამდენიმე დადებითი მახასიათებელი (მაგ.: მოაჯირები პანდუსის ორივე მხარეს). თუმცა, პანდუსს არ აქვს უსაფრთხოების კიდეები, გრძელი პანდუსის შემდეგ არსებულ პლატფორმას კი - საკმარისი სიგრძე ეტლის გასაჩერებლად, როცა ის ძალიან სწრაფად მოძრაობს ქვემო მიმართულებით. მართალია ელექტრონული ეტლით მოძრაობისას, სავარაუდოდ შესაძლებელია პანდუსზე წარმატებული მოძრაობა, თუმცა სერიოზული პრობლემები შეექმნება ისეთი ეტლით მოსარგებლეს, რომელსაც ხელით უწევს მისი გადაადგილება. აღნიშნული განსაკუთრებით თვალშისაცემი იქნება მაშინ, როდესაც ეტლით მოსარგებლეს დამოუკიდებლად უხდება გადაადგილება.

სურათი 3: პანდუსი თბილისის საქალაქო სასამართლოში



სხვა შემთხვევებში, შესასვლელის მისაწვდომობის მცდელობებმა სერიოზული საფრთხე შექმნა. მე-4 სურათზე ნაჩვენებია ციცაბო პანდუსი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს დაქანების სტანდარტებს. პანდუსის ბოლოს არ არის მოპირკეთებული ჩამოსასვლელი ადგილის ზედაპირი, მას არც მოაჯირები აქვს. ასეთი პანდუსები, ჩვეულებრივ, გამოიყენება გორგოლაჭიანი მძიმე ტვირთის გადაადგილების მიზნით და მიუღებელია ეტლით მოსარგებლეებისთვის. მათ დამოუკიდებლად ვერ გამოიყენებენ მექანიკური ეტლებით მოსარგებლე პირები. ნებისმიერ შემთხვევაში, ასეთ ციცაბო პანდუსზე ასვლა შეუძლებელი იქნება ელექტროეტლითაც.

სურათი 4: ციცაბო პანდუსი ამბროლაურის სასამართლოში

მისაწვდომობის აუდიტის შედეგად ასევე გამოვლინდა, რომ ხშირ შემთხვევაში, ბარიერების აღმოფხვრა შედარებით მარტივად შეიძლება დაბალი დანახარჯებით. ზოგ შემთხვევაში, საჭიროა მცირე პანდუსის მოწყობა მხოლოდ ორი საფეხურის გადასალახავად, როგორც ახალციხის სასამართლოში (იხ. სურათი 5).

სურათი 5: ახალციხის სასამართლოს მისაწვდომი შესასვლელი

მისაღები და საინფორმაციო განყოფილება

სასამართლოს მისაღები და საინფორმაციო განყოფილებები მისი მომსახურებებით მოსარგებლეებისთვის პირველი საკონტაქტო პუნქტია და, შესაბამისად, მნიშვნელოვანი რგოლიც მომსახურების მიღებაში. ამიტომ ვიზიტები მოიცავდა საინფორმაციო ადგილების აუდიტს და ადგენდა მათი მისაწვდომობის ხარისხს ფიზიკური ან სენსორული შეზღუდვის მქონე მომხმარებლებისთვის. შედეგად, გამოვლინდა ბარიერები საინფორმაციო განყოფილების მაგიდების სიმაღლესა და რიგის მართვის აპარატებზე (რომლებიც ანაწილებს რიგის ნომრებს) წვდომასთან მიმართებით. ასევე პრობლემა იყო დოკუმენტების შესავსებად გათვალისწინებული მაგიდებისა და საინფორმაციო დაფების სიმაღლეც. მთლიანობაში, აუდიტმა გამოავლინა, რომ სასამართლო შენობების უმეტესობაში არ არის საინფორმაციო დაფები და მიმართულების მიმანიშნებლები; ასევე, მწირია ინფორმაცია, რომელიც დაეხმარებოდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს, განსაკუთრებით, ვისაც აქვს კომუნიკაციის სირთულეები და სპეციფიკური საჭიროებები ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით (მაგ.: ტაქტილური ნიშნები, დიდი ასოებით ნაბეჭდი ინფორმაცია და სხვა). მე-6 სურათზე ნაჩვენებია საინფორმაციო მაგიდა, რომელიც ეტლით მოსარგებლე პირს სირთულეებს უქმნის სიმაღლის გამო.

სურათი 6: მისაღები სივრცე თბილისის საქალაქო სასამართლოში

დიაგრამა 4: მისაღები და საინფორმაციო სივრცეები



სასამართლოს შიდა ინფრასტრუქტურის მისაწვდომობა

სასამართლო შენობის შიგნით ყველა დონის მისაწვდომობა უფრო მეტს გულისხმობს, ვიდრე მხოლოდ ლიფტების ან პანდუსების არსებობა, რადგან ეს მოიცავს სხვა მახასიათებლებსაც, როგორიცაა ბრაილის შრიფტით შესრულებული წარწერები ლიფტის ღილაკებზე, ან ხმოვანი სიგნალები, რომლებიც ატყობინებს, თუ რომელ სართულს მიაღწია ლიფტმა. ლიფტის კარის სიგანე და მის შიგნით საკმარისი სივრცე ასევე მნიშვნელოვანი ელემენტებია ეტლით მოსარგებლის წვდომისთვის. ეს ის ასპექტებია, რომლებიც ქვეყნის მასშტაბით არსებულ ყველა სასამართლოში, პრაქტიკულად, მიუწვდომელი იყო. მხოლოდ ერთ სასამართლოს ჰქონდა ლიფტი, რომელიც უფრო მაღალ დონეებზე წვდომას უზრუნველყოფდა. შეფასების შედეგად გამოვლინდა, რომ მხოლოდ ეს ლიფტი აკმაყოფილებდა წვდომის ყველა სტანდარტს (იხ. დიაგრამა 5).

დიაგრამა 5: შიდა სივრცის მისაწვდომობა ყველა დონეზე (N=314)



საგანგებო ვითარებისთვის მზადყოფნა და მისაწვდომობა

საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტების შესაბამისად, კატასტროფის რისკის შემცირება და საგანგებო ვითარებისთვის მზადყოფნა უნდა მოიცავდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭიროებებსაც.[7] მაგალითად, კატასტროფის რისკების შემცირების სენდაის ჩარჩო 2015-2030 წლებისთვის ადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების ჩართვას კატასტროფის რისკების შესამცირებელ ყველა პოლიტიკასა და პრაქტიკაში. 2016 წელს სტამბოლში ჩატარებულ მსოფლიო ჰუმანიტარულ სამიტზე ნაკისრი ვალდებულებები ასევე მოიცავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების დაკმაყოფილებას კრიზისებზე რეაგირების ოპერაციებისა და მომსახურების მიწოდების დროს. გაეროს 140-ზე მეტმა წევრმა ქვეყანამ და სააგენტომ, ჰუმანიტარულმა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა, მიიღეს ქარტია ჰუმანიტარულ ქმედებებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გათვალისწინების შესახებ.[8]

მტკიცებულებათა მზარდი მოცულობის საფუძველზე, რომლებშიც დეტალურადაა აღწერილი შშმ პირთა განსაკუთრებული რისკები საგანგებო სიტუაციების დროს, შემუშავდა სპეციალური სახელმძღვანელო მითითებები მათი პირადი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. CRPD კომიტეტმა სახელმწიფოთა ანგარიშგების სისტემის საფუძველზე მომზადებულ რიგ დასკვნებში არაერთგზის გაუსვა ხაზი ინფორმაციის მიუწვდომლობითა და არასათანადო კომუნიკაციით გამოწვეულ რისკებს ევაკუაციის დროს.[9] გარდა ამისა, G3ict-თან ერთად აღნიშნა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების მნიშვნელობა საგანგებო სიტუაციებისას, რომლებიც მისაწვდომი უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.[10] მათი უსაფრთხოების რისკების შესამცირებლად, აუცილებელია ინფორმაციის მიწოდება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: უსაფრთხო და მისაწვდომი ევაკუაციის გზები და საშუალებები, მისაწვდომი თავშესაფარი, დახმარება ევაკუაციისა და სხვა საგანგებო პროცედურების დროს.

ნებისმიერი საზოგადოებრივი სივრცის მისაწვდომობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია, არსებობდეს გადაადგილების შეზღუდვის მქონე პირთა, მათ შორის,

7 იხ. CRPD-ის მე-11 მუხლი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების გათვალისწინება საგანგებო ვითარებაში.

8 იხ. ქარტია ჰუმანიტარულ ქმედებებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გათვალისწინების შესახებ, 2016 წ., Http://humanitariandisabilitycharter.org/the-charter/. OHCHR-მა მსგავსი საკითხები განიხილა თავის თემატურ კვლევაში მე-11 მუხლთან დაკავშირებით (აღნიშნა რა, რომ „მაღალი დონის მხარდაჭერა და საერთაშორისო დონეზე შეთანხმებული სტანდარტები და სახელმძღვანელო მიათითებები უაღრესად მნიშვნელოვანია ჰუმანიტარულ ქმედებებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გასათვალისწინებლად, ამ კონტექსტში მათი უფლებების სათანადოდ დაცვისათვის“. OHCHR, თემატური კვლევა მე-11 მუხლით გათვალისწინებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენციის მე-11 მუხლი, სარისკო და საგანგებო ჰუმანიტარული სიტუაციები, 2015 წლის 20 ნოემბერი.

9 ასევე იხილეთ CRPD კომიტეტის C დანართი მე-11 მუხლთან დაკავშირებული რეკომენდაციებისა და დასკვნების შესახებ.

10 ასევე იხილეთ CRPD კომიტეტის რეკომენდაციები და დასკვნები კორეის რესპუბლიკის მიერ წარდგენილი საწყისი ანგარიშის თაობაზე, 2014 წლის 29 ოქტომბერი, CRPD/C/KOR/CO/1; G3ict, მისაწვდომობის ელექტრონული ინსტრუმენტი ICT-ს შესახებ, http://www.e-accessibilitytoolkit.org/ ასევე იხ. მაიკლ ეშლი სტეინი და ჯონათან ლაზარი, eds., ადამიანის უფლებები, შეზღუდული შესაძლებლობები და საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (2017).

ეტლით მოსარგებლეთა ევაკუაციის პროცედურები. ანალოგიურად, შეფასების დაგეგმვისას გასათვალისწინებელია ყრუ და უსინათლო პირების საჭიროებები, რათა მათი უსაფრთხოება დაცული იყოს საგანგებო ვითარებებში. შესაბამისად, შეფასების ჯგუფმა თავის სამუშაოებში ჩართო საგანგებო ვითარებისა და ევაკუაციის შემთხვევებში არსებული მდგომარეობის შეფასება სასამართლოში. არცერთ სასამართლოს არ ჰქონდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ევაკუაციის პროცედურები საგანგებო ვითარების შემთხვევაში. გარდა ამისა, საავარიო გასასვლელები და სიგნალები არ იყო მოწყობილი ამ პირთა წვდომის გათვალისწინებით. მართალია, სასამართლოების უმეტესობას ჰქონდა საგანგებო ვითარებისთვის საჭირო აღჭურვილობა (63-დან 52-ს), მაგრამ პერსონალი არ იყო შესაბამისად მომზადებული ასეთ ვითარებებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებზე.

დიაგრამა 6: საგანგებო ვითარებასთან დაკავშირებული ასპექტები (N=315)



სასამართლოს შენობაში საპირფარეშოების მისაწვდომობა

საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული პრინციპები შეზღუდული შესაძლებლობების შესახებ აღიარებს შშმ პირის ღირსების, დამოუკიდებლობის, დისკრიმინაციის დაუშვებლობის, სრულფასოვანი და ეფექტიანი მონაწილეობის, მისაწვდომობისა და თანაბარი შესაძლებლობების პატივისცემის ვალდებულებას. გარდა ამისა, CRPD-ში გათვალისწინებული სპეციფიკური ვალდებულებები ადგენს მათ უფლებას, ჰქონდეთ წვდომა წყალსა და სანიტარულ ობიექტებზე.[11]

11 CRPD დებულებები უაღრესად რელევანტურია სასამართლოებსა და სხვა საჯარო დაწესებულებებში საპირფარეშოების მისაწვდომობის საკითხთან მიმართებით. კერძოდ, ეს დებულებები მოიცავს შემდეგ ასპექტებს: 28-ე მუხლი („ცხოვრების ადეკვატური სტანდარტი და სოციალური დაცვა“) მხარე სახელმწიფოებისგან მოითხოვს, უზრუნველყონ წვდომა სუფთა წყალსა და სხვა შესაბამის მომსახურებებზე. მე-19 მუხლი („დამოუკიდებლად ცხოვრება და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა“) მოითხოვს საზოგადოებრივი მომსახურებებისა და ობიექტების თანაბარ მისაწვდომობას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების გათვალისწინებით; ხოლო მე-9 მუხლი („მისაწვდომობა“) მოითხოვს ფიზიკურ გარემოზე, საზოგადოებრივ სივრცეებსა და მომსახურებებზე წვდომას სოფლად და ქალაქებში. გარდა CRPD-ის ამ დებულებებისა, გაეროს წევრმა სახელმწიფოებმა თითოეული ადამიანის უფლება წყლისა და სანიტარული სერვისების მისაწვდომობაზე დაადასტურეს მთელი რიგი სხვა შეთანხმებებით, რეზოლუციებითა და დეკლარაციებითაც.

ცუდი ხარისხის წყალი, სანიტარული და ჰიგიენის საშუალებები, რაც არ არის მეორეხარისხოვანი პრობლემა, სერიოზულ ბარიერებს უქმნის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს საჯარო დაწესებულებებში, მათ შორის, სასამართლოებში. ნაწილობრივ მისაწვდომობას შეიძლება მოჰყვეს ისეთი სერიოზული და, ზოგჯერ, ფატალური შედგები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, როგორიცაა დეჰიდრატაცია, წნევის მომატება, საშარდე გზების ინფექციები, ყაბზობა, კუჭ-ნაწლავის, შარდის ბუშტის და ჯანმრთელობის სხვა პრობლემები.[12]

დაბოლოს, მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯგუფი არ განიცდის ფუნქციურ სირთულეებს, რომლებიც აფერხებს ან ზღუდავს წყლის რესურსების მისაწვდომობას ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.[13] საზოგადოების წევრებს შეუძლიათ, სარგებელი მიიღონ იმ ინფრასტრუქტურისა და მომსახურებებისგან, რომლებსაც არ ახლავს ბარიერები. მისაწვდომი და უნივერსალური დიზაინი განსაკუთრებით ხელსაყრელია ხანდაზმული პირების, ორსული ქალების, ბავშვებისა და დროებითი ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირებისთვის. კარგი პრაქტიკა მოიცავს ისეთ მახასიათებლებს, როგორიცაა: მოაჯირები საპირფარეშოებში, იატაკები სრიალა ზედაპირის გარეშე, ეტლები ან სხვა დამხმარე საშუალებები, მისაწვდომი ნიჟარები და ა.შ.

შეფასებამ გამოავლინა, რომ სასამართლოთა მხოლოდ მცირე რაოდენობა აკმაყოფილებდა საპირფარეშოს მისაწვდომობის სტანდარტებს. ამ საკითხის აუდიტის ფარგლებში შეფასება 13 მახასიათებლით განხორციელდა. მხოლოდ 7 შენობაში იყო საპირფარეშოები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის (6 საზოგადოებისთვის იყო განკუთვნილი), მაგრამ აქედან მარტო 1 იყო რეალურად მისაწვდომი (თბილისის სააპელაციო სასამართლო). დანარჩენი საპირფარეშოები მიუწვდომელ შენობებში მდებარეობდა (იხ. დიაგრამა 2 კარგი პრაქტიკის დიზაინის შესახებ).

12 მსოფლიო ბანკი 2017, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართვა წყლის სექტორის ოპერაციებში: სახელმძღვანელო მითითებები.“ ვაშინგტონი, DC, გვ. 4.

13 რ სინგპი, ჰ. ჰონდა, ბ. ფროსტი და კ. ურიჩი, 2014 წ., „ქსელის გაფართოება: შშმ პირების ინკლუზიაზე მიმართული WASH“, World Vision International, ბოლოს ნანახია 2017 წლის 1 ივნისს, http://www.wvi.org/clean-water-sanitation -and-hygiene-wash/publication/disability -inclusive -wash-report.

ნახაზი 1: მისაწვდომი საპირფარეშოები



- ✓ უსაფრთხო მოაჯირები და საპირფარეშოს გარშემო საკმარისი სივრცე ეტლით შესასვლელად;
- ✓ ეტლით მანევრირების საშუალება საპირფარეშოში კარის გახსნა-დახურვის დროს;
- ✓ მისაწვდომი ხელსაბანი, რომელიც ეტლით მოსარგებლეებს ახლოს მისვლის საშუალებას აძლევს. ნიჟარა მუხლის სიმაღლეზე უნდა დამონტაჟდეს.

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოთა ძალიან მცირე რაოდენობას ჰქონდა მისაწვდომი საპირფარეშოები, თბილისის საქალაქო სასამართლოში იყო საპირფარეშო რამდენიმე საჭირო მახასიათებლით. როგორც ნაჩვენებია მე-7 სურათზე, ტუალეტს მოაჯირები აქვს ორივე მხარეს, რომელიც მართალია დახმარებას უწევს ეტლით მოსარგებლეს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საუკეთესო პრაქტიკა კედელზე დამონტაჟებულ მოაჯირს ითვალისწინებს, რაც ეტლით მარტივ გადაადგილებას უზრუნველყოფს.

სურათი 7: თბილისის საქალაქო სასამართლო (ახალი ფლიგელი)

მისაწვდომობის ხელშეწყობა სხვადასხვა ფუნქციის შესრულებისას

შეფასების ჯგუფმა, CRPD-ის მე-13 მუხლის შესაბამისად, თავისი შეფასების ინსტრუმენტის დიზაინში გაითვალისწინა სხვადასხვა ფუნქცია, რომელთა შესრულებაც უნდა შეეძლოთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, არა მხოლოდ სასამართლოს მომსახურებით მოსარგებლე ვიზიტორების, არამედ იურისტების, მოსამართლეებისა და პერსონალის სტატუსით. შესაბამისად, გუნდმა ამ ფუნქციების თვალსაზრისით შეაფასა სხვადასხვა დამატებითი მახასიათებელი,

პირველ რიგში, სასამართლოს შენობის შიდა ინფრასტრუქტურის მისაწვდომობა; მეორე: მან გაითვალისწინა ბარიერები, რომლებიც შეიძლება შეექმნას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს, თუკი ის საქმის განმხილველი მოსამართლეა; მესამე: გუნდმა შეაფასა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მისაწვდომობა, როდესაც იგი საქმეზე ბრალდებულია.

სასამართლოს საერთო მისაწვდომობა შეფასდა შემდეგი მახასიათებლების მიხედვით:

- შესასვლელი;
- დაჯდომის შესაძლებლობა;
- ავეჯის მისაწვდომობა (მაგ.: მაგიდები);
- მოსამართლის სკამის მისაწვდომობა;
- ბრალდებულთა სივრცის მისაწვდომობა;
- ადვოკატთა, მოპასუხეთა, მოსარჩელეთა სივრცის მისაწვდომობა;
- მსაჯულთათვის გამოყოფილი სივრცის მისაწვდომობა;
- მისაწვდომობა მედიის წარმომადგენლებისთვის;
- მისაწვდომობა მხედველობადაქვეითებული პირებისთვის.

ადგილზე ვიზიტისას ყველა სასამართლო დარბაზში შეფასებული 630 ელემენტიდან დადგინდა, რომ 34% შეესაბამება მისაწვდომობის მინიმალურ სტანდარტს, 58% - არ შეესაბამება, ხოლო 8% არ მიესადაგებოდა (მაგ.: შესაფასებელი მახასიათებლის არარსებობის გამო).

დიაგრამა 7: სასამართლოების საერთო მისაწვდომობა (N=630)



სურათი 8: თბილისის საქალაქო სასამართლოს ნაფიც მსაჯულთა დარბაზი

შეფასების შედეგად დადგინდა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსამართლეებისთვის, ნაფიცი მსაჯულებისთვის სასამართლო დარბაზების მისაწვდომობა უაღრესად შეზღუდული/გამოუყენებელიც კი იყო. ამაღლებული პლატფორმები, პანდუსების გარეშე, ადვოკატებისა და მოწმეთა ტრიბუნების მიუწვდომლობა და დაფიქსირებული დასაჯდომი ადგილები ფიზიკურ ბარიერებს ქმნის (იხ. სურათი 8). ახალ შენობაშიც კი დიზაინი ხასიათდება დაფიქსირებული დასაჯდომი ადგილებით, ამაღლებული პლატფორმით და სხვა ბარიერებით, რაც მიუთითებს, რომ უნივერსალური დიზაინის პრინციპები არ არის გამოყენებული (იხ. სურათი 9).

სურათი 9: ახალი სასამართლოს დიზაინი, რომელიც არ არის მისაწვდომი

შეფასებული 65 სასამართლოდან მხოლოდ 3 იყო მისაწვდომი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსამართლეებისთვის.

მოპასუხეები

ასევე შესწავლილია სასამართლო დარბაზების მისაწვდომობა მოპასუხეებისთვის. შეფასებული დარბაზებიდან 55 არ შეესაბამება სტანდარტებს, ხოლო 8 მისაწვდომი იყო (იხ. დიაგრამა 9).

სხვა შეფასებული ელემენტებიდან ნათელი გახდა წვდომის თვალსაზრისით არსებული დამატებითი გამოწვევები. მაგალითად, როგორც მე-10 სურათიდან ჩანს, ბრალდებულებისთვის განკუთვნილი საპირფარეშოები, რომლებსაც ხშირად პროცესისთვის ლოდინი 3-6 საათი უწევთ, სრულად მიუწვდომელია. სამწუხაროდ, აღნიშნულის მსგავსად, სასამართლოებში არსებული საზოგადოებრივი საპირფარეშოების უმეტესობაც იმდაგვარდაა დამონტაჟებული, რომ ისინი სრულად მიუწვდომელია. ეს ეწინააღმდეგება წვდომის სტანდარტებს, მსგავს საკითხებს კი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განიხილავს (მაგ.: საქმეში Price v. U.K, იმის გამო, რომ გაერთიანებულმა სამეფომ ვერ უზრუნველყო საპირფარეშოების მისაწვდომობა პატიმრებისთვის, სასამართლომ მიიჩნია, რომ დაირღვა მუხლი არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვის შესახებ.[14]

სურათი 10: დაკავებული ბრალდებულთათვის განკუთვნილი საპირფარეშო სასამართლოში

დიაგრამა 8: სასამართლოს მისაწვდომობა ბრალდებულებისთვის (N=63)



მისაწვდომობის შემოწმებისას აღმოჩენილ მიუწვდომელ ელემენტებს შორის იყო

14 *Price v. UK,* ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, განაცხადი No 33394/96 (2001) 34 EHRR 1285

სასამართლოების დარბაზებში არსებული ბრადებულის საკნები. მე-11 სურათზე ნაჩვენებია ასეთი საკანი, ვიწრო კარით და ხის სკამით, რომელიც მყარად არის დამაგრებული იატას, ძალიან ახლოს დგას კართან და საკნის უმეტეს ნაწილს იკავებს. ეს მნიშვნელოვან პრობლემებს შეუქმნის არა მხოლოდ ეტლით მოსარგებლეს, რომელიც ვერ შეძლებდა ამ სივრცეში შესვლას, არამედ გადაადგილების სხვაგვარი პრობლემების მქონე ნებისმიერ პირს.

სურათი 11: ბრალდებულთათვის მიუწვდომელი საკნები სასამართლო დარბაზებში

სურათი12: მოწმე ექსპერტი თბილისის სააპელაციო სასამართლოში

სხვა მონაწილე მხარეები

შეფასების ფარგლებში ასევე შესწავლილ იქნა სხდომის დარბაზის სხვა სპეციფიკური მახასიათებლები, რომლებიც აუცილებელია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, როდესაც ისინი სხვადასხვა სტატუსით არიან წარმოდგენილნი სასამართლო დარბაზში. ეს მოიცავდა სასამართლო დარბაზში მედიის წარმომადგენლების, და მოწმეების, მათ შორის, ექსპერტი მოწმეების განთავსების მახასიათებლებს. სასამართლო პროცესის მონაწილეთა ამ კატეგორიებთან დაკავშირებული სპეციფიკური მახასიათებლების შესწავლისას, ბარიერები გამოვლინდა. ეს მიუთითებს, რომ სათანადო ყურადღება

უნდა დაეთმოს სასამართლო დარბაზის დიზაინს, რომელმაც შეიძლება დაბრკოლებები შეუქმნას სასამართლოში სხვადასხვა სტატუსით წარმოდგენილ პირთა ფართო სპექტრს (სასამართლო დარბაზში ექსპერტი მოწმეებისთვის არსებული ბარიერების მაგალითისთვის იხ. სურათი 12).

საკვები და სასმელი სასამართლოების შენობებში

საზოგადოებრივი ობიექტების მისაწვდომობა გულისხმობს ყველა იმ სივრცეზე წვდომას, რომლებიც საჭიროა საქონლისა და მომსახურების, მათ შორის, საკვებისა და სასმელის მისაღებად. შესაბამისად, კაფეტერიის მისაწვდომობა შეფასების ერთ-ერთი კომპონენტი იყო ადგილზე ვიზიტებისას. შეფასებული სასამართლოების (65) უმეტესობას არ ჰქონდათ კაფეტერია. ასეთი სივრცე არსებობდა ერთადერთ სასამართლოში (თბილისი საქალაქო სასამართლო), თუმცა იგი მიუწვდომელი იყო კიბისა და ადგილმდებარეობის გამო, რადგან ამ დონეზე ლიფტი არ ჩადიოდა. სხვა შემთხვევებში გამოყოფილი იყო ოთახები ყავისა და საჭმლისთვის, თუმცა ამ სივრცეებს ჰქონდა უამრავი ფიზიკური ბარიერი (მაგ.: მისვლა შესაძლებელი იყო მხოლოდ კიბით).

რეკომენდაციები

ზემოხსენებულ მიგნებებს მივყავართ დასკვნამდე, რომ, სასამართლო დარბაზების მისაწვდომობის თვალსაზრისით, საქართველოში პრობლემური მდგომარეობაა, განსაკუთრებით, ფიზიკური და სენსორული შეზღუდვის მქონე პირებისთვის. შეფასების ფარგლებში შესწავლილ ყველა მახასიათებელთან მიმართებით გამოვლინდა მნიშვნელოვანი ბარიერები და ხარვეზები. მიუხედავად იმისა, რომ აღინიშნა კარგი პრაქტიკის რამდენიმე მაგალითიც, მდგომარეობა არასახარბიელოა ფიზიკური შეზღუდვის მქონე, უსინათლო, მცირემხედველი, ყრუ და სმენისარმქონე პირების ზოგადი მისაწვდომობის მხრივ.

მიუხედავად ზემოხსენებულისა, ყველაზე გამამხნევებელი ნიშანი ის არის, რომ სასამართლოების წარმომადგენლები საუბრობდნენ გახსნილად და მზად იყვნენ, განეხილათ ის პრობლემები და ბარიერები, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ექმნებათ სასამართლოს ინფრასტრუქტურისა და დარბაზების მისაწვდომობის მხრივ. შეფასება ვერ ჩატარდებოდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხარდაჭერის გარეშე და გუნდს სურს, ხაზი გაუსვას ამ საკითხს. ქვემოთ მოცემული რეკომენდაციები შემუშავებულია თანამშრომლობის სულისკვეთებით, რაც ასევე გამოიკვეთა შეფასების დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპზე ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობისას. რეკომენდაციები ემყარება საველე სამუშაოების შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს და შეჯერებულია მისაწვდომობის საერთაშორისო სტანდარტებთან, რომელთა შესრულების ვალდებულებაც საქართველომ იკისრა რეგიონული და საერთაშორისო ხელშეკრულებების თანახმად.

პრიორიტეტული ქმედებები ფიზიკური და სენსორული შეზღუდვის მქონე პირთა მისაწვდომობის გასაუმჯობესებლად სასამართლოს ინფრასტრუქტურაზე

საკანონმდებლო ჩარჩოს გადასინჯვა, რათა მართლმსაჯულების სექტორში დისკრიმინაციის გარეშე უზრუნველყონ წვდომა ინფრასტრუქტურაზე: CRPD-ის მე-13 მუხლისა და შესაბამისი დებულებების თანახმად, და შეივსოს გამოვლენილი ხარვეზები. ამ პროცესში გასათვალისწინებელია შესაბამისი სანქციების დაწესება მისაწვდომობის ნორმებისა და სტანდარტების დარღვევისას; მონიტორინგის მექანიზმის შექმნა სახელმწიფო დონეზე ანგარიშგების გზით, რათა ეფექტიანად დაინერგოს ასეთი ნორმები და სტანდარტები.

გონივრულ ფარგლებში ადეკვატური გარემოსა და დამხმარე საშუალებების გათვალისწინება - როგორც კანონით, ისე პრაქტიკაში: შესაბამისი პროცედურის უზრუნველყოფა სასამართლოებზე, ინფრასტრუქტურასა და მომსახურებაზე წვდომის ხელშესაწყობად.

სასამართლოების მისაწვდომობის დროში გაწერილი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება; მათი განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესში კონსულტაციების გამართვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან,

წარმომადგენლობითი ორგანიზაციების მეშვეობით და CRPD კომიტეტის N2 (2014) ზოგადი კომენტარის (მისაწვდომობის შესახებ) შესაბამისად.[15] გზამკვლევში სასამართლოებზე (და მართლმსაჯულების სექტორის სხვა დაწესებულებებზე) უსაფრთხო და შეუფერხებელი წვდომის ბარიერთა მოხსნაზე მიმართული გეგმის გათვალისწინება; ყურადღების გამახვილება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა სასამართლოსთან მისასვლელი გზა, შესასვლელი, შიდა სივრცე და ინფორმაციული თუ საკომუნიკაციო სერვისები.

რეგულარული ტრენინგები მართლმსაჯულების სექტორში მომუშავე საჯარო მოსამსახურეებისთვის, მათ შორის, სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენლების, მოსამართლეების, იურისტებისა და სხვა პერსონალისთვის, რათა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ეფექტიანად გაეწიოთ დახმარება მართლმსაჯულების მისაწვდომობის მხრივ.

მართლმსაჯულების სექტორის მომსახურებასთან მიმართებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის დაინერგოს ინფორმაციისა და კომუნიკაციის შესაბამისი ტექნოლოგიები, მათ შორის, web-ზე წვდომა, ბრაილის შრიფტი და მარტივად წასაკითხი ტექსტები თუ ფორმატები.

დაინერგოს ჟესტების ენის გამოყენება ოფიციალური კომუნიკაციის პროცესში, მათ შორის, სასამართლო პროცესებზე; ინვესტირება ამ ენის თარჯიმანთა სისტემატურ ტრენინგებში; სასამართლო პროცესებსა და სხვა სამსახურებში ჟესტების ენაზე თარგმანის უზრუნველყოფა.

მონაწილეობითი ტრენინგების ორგანიზება მართლმსაჯულების მისაწვდომობასთან დაკავშირებით: დაინერგოს მონაწილეობითი, აქტიურ სწავლებაზე მიმართული ტრენინგები, რომელთა მიზანი იქნება ძირითადი თანამდებობის პირებისა და საკვანძო პერსონალის (მოსამართლეები და სასამართლოების პერსონალი, მათ შორის, ინფორმაციის საჯაროობაზე პასუხისმგებელი თანამშრომელი) ცოდნისა და შესაძლებლობების გაზრდა საერთაშორისო სტანდარტების, მოწინავე პრაქტიკისა და სტრატეგიის შესაბამისად. ეს პროცესი უნდა ითვალისწინებდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და მათი ორგანიზაციების (DPO) გამოცდილებას ტრენინგპროგრამების სფეროში და მოიცავდეს შემდეგ ასპექტებს: (1) საერთაშორისო სტანდარტები მართლმსაჯულების მისაწვდომობის სფეროში, მათ შორის CRPD-ით დაკისრებული ვალდებულებები; (2) სტრატეგიები სასამართლოებზე (შიგნით და გარეთ), პროგრამებსა და მომსახურებებზე წვდომის გასაუმჯობესებლად; (3) საუკეთესო პრაქტიკა საჯარო ინფორმაციაზე წვდომის მხრივ (მაგ.: საინფორმაციო სამსახურები და მაგიდები, კომენტარების ყუთები); (4) სასამართლოს მომხმარებელთა ინფორმირების პროცედურები დახმარებისა და შესაბამისი საშუალებების მოთხოვნასთან დაკავშირებით; (5) მასალების უზრუნველყოფა

15 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კომიტეტი, ზოგადი კომენტარი N 2 (2014) მისაწვდომობის შესახებ.

მისაწვდომ ფორმატში, მათ შორის, web-ზე წვდომა უსინათლო პირებისთვის; (6) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ევაკუაციის გეგმის შემუშავება საგანგებო ვითარებებში; (7) წვდომის პერიოდული თვითშეფასების პროცესის კოორდინაცია; (8) ინტერპერსონალური კომუნიკაცია და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან ეფექტიანი კომუნიკაციის სტრატეგიათა შემუშავება.

ინოვაციური და მომხმარებელზე ორიენტირებული რესურსების შექმნა, რათა ამაღლდეს ცოდნა და ინფორმირებულობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შესახებ: შეიქმნას რესურსები სასამართლო სერვისებზე, პროცედურებსა და ინფრასტრუქტურაზე ცოდნის ასამაღლებლად (მაგ.: სასამართლოს მისაწვდომობის სახელმძღვანელო და თანმხლები პირის საინფორმაციო ბარათები, სადაც ასახულია სასამართლოში არსებული სამსახურები და სივრცეები, მათ შორის, ინფორმაცია, რა დამხარების მიღება შუძლიათ სხვადასხვა სტატუსით მოქმედ (მოწმე, ნაფიცი მსაჯული, ადვოკატი და ა.შ.) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს; სასამართლო სისტემის მისაწვდომობის მოდული მოსამართლეებისა და ადვოკატების უწყვეტი განათლების პროგრამაში ჩასართავად; და ინფორმაციის საჯაროობა.

ცალკეული სასამართლოების სიტუაციური ანალიზი

ტერმინთა განმარტებები

1. **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი (შშმპ)** - გაეროს შშმ პირთა კონვენციის და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ტერმინი, რომელიც მოიცავს, როგორც ფიზიკური, ისე ფსიქიკური და სენსორული (უსინათლო/მცირემხედველი, ყრუ) შეზღუდვის მქონე პირს.

2. **„უნივერსალური დიზაინი"** – გულისხმობს პროდუქტის, გარემოს, პროგრამებისა და მომსახურების ისეთ დიზაინს, რომელიც ყველა ადამიანის აძლევს მისი მაქსიმალური გამოყენების საშუალებას, ადაპტაციისა და სპეციალური დიზაინის გამოყენების აუცილებლობის გარეშე. „უნივერსალური დიზაინი" არ გამორიცხავს საჭიროების შემთხვევაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე კონკრეტული ჯგუფის მიერ დამხმარე საშუალებების გამოყენებას.

3. **„ გონივრული მისადაგება**" – გულისხმობს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმ აუცილებელი და შესაბამისი მოდიფიკაციებისა და კორექტივების განხორციელებას, რაც არ იწვევს დაუძლეველ და გაუმართლებელ სირთულეებს და უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი უფლებებისა და თავისუფლების ფუნდამენტურ ღირებულებათა რეალიზებას.

4. **„ენა"** მოიცავს სალაპარაკო და ჟესტების ენას, ასევე სხვა, არასასაუბრო ენების გამოყენებას.

5. **„კომუნიკაცია"** – მოიცავს ენებს, ტექსტის გაფორმებას, ბრაილს, ტაქტილურ კომუნიკაციას, მსხვილი შრიფტით ბეჭდვას, მისაწვდომ მულტიმედიურ საშუალებებს, ისევე როგორც ბეჭდვით მასალებს, აუდიო საშუალებებს, ჩვეულებრივ მეტყველებას, მკითხველებს, გამაძლიერებელ და ალტერნატიულ მეთოდებს, ხერხებსა და ფორმატებს, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ჩათვლით.

6. **მომხმარებელი** - შშმ პირი, რომელიც სასამართლოში იმყოფება, როგორც პროცესის მონაწილე, დამსწრე, მედიის წარმომადგენელი ან მოსამართლე.

7. **შეუღწეველი** - კვლევის მიზნებისთვის, სასამართლოს შენობას შეუღწეველის სტატუსი ენიჭება, როცა ვერცერთი შშმ პირი ვერ ახერხებს შენობაში დამოუკიდებლად შესვლას.

8. **ნაწილობრივ შეღწევადი** - კვლევის მიზნებისთვის, სასამართლოს შენობას ნაწილობრივ შეღწევადი სტატუსი ენიჭება, როცა ზოგიერთი შეზღუდული

შესაძლებლობის მქონე პირისთვის შენობაში დამოუკიდებლად შესვლა შესაძლებელია (მაგ. ფიზიკური შეზღუდვის მქონე პირი ვერ შედის მაგრამ უსინათლო პირი შედის).

9. **შეღწევადი** - კვლევის მიზნებისთვის, სასამართლოს შენობას შეღწევადის სტატუსი ენიჭება, როცა ყველა შშმ პირი დამოუკიდებლად და უპრობლემოდ ახერხებს შენობაში შესვლას.

10. **მიუწვდომელი** - კვლევის მიზნებისთვის, სასამართლოს შენობას მიუწვდომელის სტატუსი ენიჭება, როცა ყველა შშმ პირი დამოუკიდებლად შედის შენობაში, მაგრამ ვერ გამოიყენებს დამოუკიდებლად შენობის შიდა ინფრასტრუქტურას (კანცელარია, სასამართლო დარბაზი, საპირფარეშო).

11. **ნაწილობრივ მისაწვდომი** - კვლევის მიზნებისთვის, სასამართლოს შენობას ნაწილობრივ მისაწვდომი სტატუსი ენიჭება, როცა ყველა შშმ პირი დამოუკიდებლად შედის შენობაში, მაგრამ მხოლოდ სასამართლო სხდომის დარბაზს გამოიყენებს დამოუკიდებლად.

12. **მისაწვდომი** - კვლევის მიზნებისთვის, სასამართლოს შენობას მისაწვდომი სტატუსი ენიჭება, როცა ყველა შშმ პირი დამოუკიდებლად შედის შენობაში და სრულიად და დამოუკიდებლად გამოიყენებს შენობის შიდა ინფრასტრუქტურას (კანცელარია, სასამართლო დარბაზი, საპირფარეშო).

ბათუმის საქალაქო სასამართლო

შესავალი

2019 წლის 22 მაისს, სასამართლოს შენობის მისაწვდომობის მონიტორინგი განხორციელდა ბათუმის საქალაქო სასამართლოში, რომელიც მდებარეობს ქ. ბათუმში, ფ. ხალვაშის გამზირი # 358.

შენობის ადგილმდებარეობა და მუნიციპალური ტრანსპორტი

სასამართლოს მიმდებარე ტერიტორიაზე არ არსებობს მუნიციპალური ტრანსპორტისთვის განკუთვნილი გაჩერება, რომელიც შშმ პირებისათვის მისაწვდომობის სტანდარტს დააკმაყოფილებს. ქალაქს ემსახურება ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტი თუმცა მისი მარშრუტი და გაჩერება სასამართლოს სიახლოვეს არ არის. სასამართლომდე გზა ეტლის მომხმარებელი და უსინათლო პირისთვის მიუწვდომელია ქვაფენილის გამოც. ბილიკები არაა ადაპტირებული და უსინათლო მოქალაქისთვის დამოუკიდებლად გადაადგილება საფრთხის შემცველია. მოქალაქეს უწევს გადაჭრას ქუჩა ყოველგვარი მონიშვნის ან/და შუქნიშნის გარეშე. შესაბამისად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოქალაქე მხოლოდ საკუთარი

ტრანსპორტით ან ტაქსით შეიძლება მივიდეს სასამართლო შენობასთან.

რეკომენდაცია

- რეკომენდებულია მოეწყოს სასამართლოსთან მდებარედ საზოგადოებრივი ტრანსპორტის მისაწვდომი გაჩერებები მოსაცდელით. ხოლო საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებიდან სასამართლომდე მიმავალი გზა და ბილიკები ადაპტირდეს შშმ პირისთვის;
- რეკომენდებულია ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტის მარშუტის და გაჩერების სასამართლოს მიმდებარედ ორგანიზება.

სასამართლოს პარკინგი და ეზო

სასამართლოს არ აქვს საერთო სარგებლობის ეზო. მოქალაქეთა ავტომობილების გაჩერებისთვის გზის განაპირას მოწყობილია არაორგანიზებული პარკინგი შშმ პირისთვის სპეციალური მონიშვნის გარეშე. ამავდროულად, საფრთხის შემცველია გზის გადაჭრა შშმ პირისთვის. სასამართლოს თანამშრომლებისთვის მოწყობილია პარკინგი სასამართლოს მიმდებარედ, სადაც ასევე არ არსებობს სპეციალური მონიშვნა შშმ პირისთვის.

რეკომენდაცია

- რეკომენდებულია, მოქალაქეებისთვის სასამართლოს მიმდებარედ მოეწყოს ორგანიზებული პარკინგი შშმ პირისთვის სპეციალურად გამოყოფილი ადგილის ჩათვლით.
- რეკომენდირებულია სასამართლოს წინ ორგანიზდეს საერთო სარგებლობის ეზო ან სასამართლომდე მიმავალი ბილიკები.
- რეკომენდირებულია სასამართლოს თანამშრომლებისთვის განკუთვნილ პარკინგზე დაიხაზოს შშმ პირთა ადგილი, რომელიც სპეციალური ბილიკით დაუკავშირდება სასამართლოს შენობას.

შენობაში შესასვლელი/შიდა სივრცე

სასამართლო განთავსებულია 3 სართულიან შენობაში. შენობაში შესვლა შესაძლებელია ცენტრალური კარით სადაც არის მაღალი ზღურბლი და შენობის გვერდით არსებული დამატებითი შესასვლელი კარით, სადაც ასევე არის 3 საფეხურიანი კიბე. შესაბამისად როგორც ცენტრალური კარი, ისე გვერდითი კარი მიუწვდომელია შშმ პირებისთვის დამოუკიდებელი გამოყენებისთვის.

ცენტრალურ კართან ორგანიზებულია სახიფათო და არასტანდარტული რელსის ტიპის პანდუსი, რომლის გამოყენება სახიფათოა ყველა შშმ პირისთვის. შესასვლელი კარი არასტანდარტულია ავტომატური გაღების ფუნქციის არქონის და ვიწრო ღიობის გამო (ცალი ფრთა არის მხოლოდ გაღებული).

შენობის შიდა სივრცე საკმარისია ეტლით მანევრირებისთვის, იატაკი არასტანდარტულია, მოცურების რისკით, ირეკლავს შუქს, არ არის ტაქტილური მონიშვნები, რაც საფრთხეს ქმნის უსინათლო/მცირემხედველი მოქალაქისთვის.

საინფორმაციო დაფები გამოუყენებელია უსინათლო/მცირემხედველი მომხმარებლისთვის. ფუნქციური დანიშნულების ობიექტებთან საინფორმაციო აბრები განთავსებულია არასტანდარტულ სიმაღლეზე და მიუწვდომელია. საკომუნიკაციო საშუალება (ტელეფონი) და კანცელარიის დახლი, მიუწვდომელია შშმ პირისთვის. სასამართლოში განთავსებული ავეჯი არასტანდარტულია. სასამართლოში არ არის ადაპტირებული საპირფარეშო.

რეკომენდაცია

- რეკომენდებულია სასამართლოს გააჩნდეს მინიმუმ ერთი მისაწვდომი შესასვლელი შესაბამისად სტანდარტებთან შესაბამისობაში მოვიდეს კიბე, კარი, პანდუსი;
- რეკომენდებულია სასამართლოს შენობის შიდა სივრცის ადაპტირება უსინათლო/მცირემხედველი მომხმარებლისთვის;
- რეკომენდებულია სასამართლოს შენობაში საინფორმაციო დაფების/ აბრების/საკომუნიკაციო საშუალებების, დახლის მისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- რეკომენდებულია სასამართლოში ადაპტირებული საპირფარეშოს მოწყობა.

მართლმსაჯულების პროცესი[16]

სასამართლო სხდომის დარბაზები განთავსებულია პირველ და მეორე სართულზე. პირველ სართულზე არის 4 სხდომის დარბაზი. მათგან სამი მისაწვდომია შშმ პირისთვის (ეტლით მოსარგებლე).

სართულები ერთმანეთთან დაკავშირებულია არასტანდარტული კიბით. შენობაში არ არის ლიფტი. მაშასადამე, სართულებზე გადაადგილება შეუძლებელია მობილობის შეზღუდვის მქონე პირისთვის.

მეორე სართულზე სხდომის დარბაზები შეღწევადია შშმ მხარისთვის (ადვოკატის ჩათვლით) საქმის წარმოების დროს არ აწყდება არსებით ბარიერს. თუმცა სივრცის გაზრდის მიზნით აუცილებელია ავეჯის მცირედი გადაადგილება. ავეჯი სხდომის დარბაზებში არასტანდარტულია, მაგრამ გამოყენებადი.

16 წინამდებარე ანგარიშის მიზნებისთვის, მართლმსაჯულების პროცესი გულისხმობს: სასამართლოში სხდომის დარბაზების განლაგების, სხომის დარბაზების შესასვლელების, დარბაზში არსებული ბარიერების, ავეჯის, ბრალდებულთა მოთავსების კაბინებისა და საკნების შეფასებას. ასევე საკნებიდან სხდომის დარბაზამდე მისასვლელი გზისა და ბრალდებულთა საპირფარეშოს შემოწმებას. პროკურორთან და ადვოკატთა შეხვედრის ოთახების და ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით არსებული სხდომის დარბაზების, სათათბირო ოთახებისა და საპირფარეშოს შემოწმებას.

სხდომის დარბაზი მიუწვდომელია შშმ მოსამართლისთვის ძირითად ბარიერს ქმნის კიბე, რომელიც მოსამართლის კაბინეტს აკავშირებს სხდომის დარბაზთან და მაღალი ზღურბლი უშუალოდ სხდომის დარბაზების შესასვლელებთან.

შშმ მოწმე/ექსპერტისთვის განკუთვნილი ტრიბუნა ნორმაზე მაღალია ყველა დარბაზში, რაც ქმნის ხილვადობის ბარიერს ეტლის მომხმარებელი პირისთვის და მოსამართლისთვის.

ბრალდებულის მოსაცდელი საკნები განთავსებულია პირველ სართულზე. საკნების შესასვლელთან არის კიბე. ბრალდებულების საკნები, სხდომის დარბაზში განთავსებული ბრალდებული კაბინები და ბრალდებულებისთვის განკუთვნილი საპირფარეშო მიუწვდომელია.

პირველ სართულზე განთავსებულია პროკურორთან და ადვოკატთან შეხვედრის ორი ოთახი, რომლებიც მიუწვდომელია ეტლის მომხმარებლისთვის.

სასამართლოში განიხილება საქმეები ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით. ნაფიც მსაჯულთა სხდომის დარბაზი განთავსებულია მეორე სართულზე, სადაც შეღწევა შესაძლებელია მხოლოდ კიბის საშუალებით. ასევე მიუწვდომელია მოსამართლისა და ნაფიცი მსაჯულების სათათბირო ოთახები, საპირფარეშო და სამზარეულო.

რეკომენდაცია

- რეკომენდებულია, შშმ მოსამართლის არჩევა/დანიშვნის შემთხვევაში, მოდიფიცირდეს სამუშაო ადგილი (საპირფარეშო, კიბე, შესასვლელი ზღურბლი);
- რეკომენდებულია პირველ სართულზე არსებული 3 სხდომის დარბაზი გახდეს სრულად მისაწვდომი (ავეჯის გადაადგილება, ბრალდებულის კაბინის გაფართოება, მოწმის ტრიბუნის სიმაღლის ცვლილება);
- რეკომენდებული ბრალდებულისთვის განკუთვნილი საკნების შესასვლელის, თავად საკნების და საპირფარეშოს ადაპტირება;
- რეკომენდებულია პროკურორთან და ადვოკატთან შეხვედრის ოთახების მისაწვდომობის უზრუნველყოფა ღიობის გაფართოებით.

სტატუსი - შენობა შეუღწეველი და ნაწილობრივ მისაწვდომია.

ზესტაფონის რაიონული სასამართლო

შესავალი

2019 წლის 25 მაისს, სასამართლოს შენობის მისაწვდომობის მონიტორინგი განხორციელდა ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში, რომელიც მდებარეობს ზესტაფონში, წერეთლის ქ. 7 ნომერში.

შენობის ადგილმდებარეობა და მუნიციპალური ტრანსპორტი

სასამართლოს მიმდებარე ტერიტორიაზე არ არის მუნიციპალური ტრანსპორტისთვის განკუთვნილი ადაპტირებული გაჩერება მოსაცდელით. ზოგადად, ქალაქს არ ემსახურება ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტი. სასამართლომდე გზა არ არის მისაწვდომი უსინათლო მოქალაქისთვის. ბილიკები არაადაპტირებულია ეტლებისთვისაც. შესაბამისად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოქალაქე მხოლოდ საკუთარი ტრანსპორტით ან ტაქსით შეძლებს მივიდეს სასამართლო შენობასთან.

რეკომენდაცია

- რეკომენდებულია ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტით ქალაქის უზრუნველყოფა;
- რეკომენდებული სასამართლოსთან მაქსიმალურად ახლოს მუნიციპალური ტრანსპორტის ადაპტირებული გაჩერების მოწყობა;
- რეკომენდებულია ბილიკების და გზების ადაპტირება საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებიდან სასამართლოს შენობამდე.

სასამართლოს პარკინგი და ეზო

სასამართლოს არ აქვს ეზო. ავტომობილების გაჩერებისთვის განკუთვნილია საერთო სარგებლობის პარკინგი. სასამართლოს არ გააჩნია მისაწვდომი სპეციალური ავტოსადგომი შშმ პირთათვის.

რეკომენდაცია

- რეკომენდირებულია სასამართლოსთან ორგანიზდეს ეზო და მისაწვდომი ბილიკები.
- რეკომენდებულია სასამართლოსთან მოეწყოს მოქალაქეთა ორგანიზებული პარკინგი მათ შორის შშმ მოქალაქისთვის.
- რეკომენდებულია სასამართლოსთან მოეწყოს თანამშრომელთა ორგანიზებული პარკინგი მათ შორის შშმ თანამშრომლისთვის.

შენობაში შესასვლელი/შიდა სივრცე

სასამართლო სამსართულიანია. შენობაში შესვლა შესაძლებელია კიბით. შენობის კიბე არ აკმაყოფილებს მისაწვდომობის სტანდარტს უსინათლო/მცირემხედველი მომხმარებლისთვის. შენობას აქვს პანდუსი, რომელიც სტანდარტებს არ აკმაყოფილებს. შენობაში დამოუკიდებლად შესვლა შეუძლებელია მხოლოდ მექანიკური ეტლის მომხმარებელი მოქალაქისთვის. სასამართლოს ძირითადი შესასვლელი კარი დამოუკიდებლად გამოყენების სტანდარტს არ აკმაყოფილებს, კართან არსებული მაღალი ზღურბლის და ავტომატური/ორმხრივი გაღების ფუნქციის არ არსებობის გამო. კარი შემინული და არამარკირებულია, რაც საფრთხეს ქმნის მცირემხედველი მოქალაქისთვის. შენობის შიდა სივრცე მანევრირებისთვის საკმარისია, იატაკი არასტანდარტული. არსებობს მოცურების რისკი, ირეკლავს შუქს, არ არის ტაქტილური მონიშვნები. საინფორმაციო დაფები გამოუსადეგარია უსინათლო/მცირემხედველი მომხმარებლისთვის. ფუნქციური დანიშნულების ობიექტებთან საინფორმაციო აბრები განთავსებულია არასტანდარტულ სიმაღლეზე და მიუწვდომელია. საკომუნიკაციო საშუალება (ტელეფონი) არაადაპტირებულია. კანცელარიის დახლი მიუწვდომელია ეტლის მომხმარებლისთვის. სასამართლოში გამოყენებული ავეჯი არასტანდარტულია, თუმცა ძირითადად გამოყენებადი. სასამართლოს აქვს მოქალაქეებისთვის განკუთვნილი კომპიუტერი, რომელიც განთავსებულია საქმის გასაცნობ ოთახში. ასევე სასამართლოს ჰოლში არსებული სკამები აკმაყოფილებს სტანდარტებს. სასამართლოში არ არის ადაპტირებული საპირფარეშო. საქმის გაცნობის ოთახის კარის ღიობი არასტანდარტულია.

რეკომენდაცია

- რეკომენდებულია სასამართლოს შესასვლელის (კიბე, კარი, პანდუსი) ადაპტირება;
- რეკომენდებულია საპირფარეშოს ადაპტირება;
- რეკომენდებულია საინფორმაციო დაფების/აბრების/საკომუნიკაციო საშუალებების, კანცელარიის დახლის, საქმის გაცნობის ოთახის მისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- რეკომენდებულია არსებული კომპიუტერის წამკითხველი პროგრამითა და პრინტერით უზრუნველყოფა.

მართლმსაჯულების პროცესი

სასამართლოს სხდომის დარბაზი, რომელიც განთავსებულია პირველ სართულზე ვერ აკმაყოფილებს სივრცით სტანდარტებს. ოთახში შეღწევა შესაძლებელია, მაგრამ შშმ პირი რომელიც ეტლით გადაადგილდება ვერ ფუნქციონირებს ვერანაირ როლში. სივრცის არ არსებობის გამო, ერთადერთი საშუალება დარბაზის ადაპტირების არის ბრალდებულისთვის განკუთვნილი (გისოსების გარეშე) კაბინის გაუქმება

და ავეჯის გადაადგილება. მეორე და მესამე სართული დაკავშირებული კიბით ლიფტის გარეშე. სხდომის დარბაზი გამოუყენებელია შშმ პირისთვის მოსამართლის როლშიც. ძირითად ბარიერს ქმნის მაღალი ზღურბლი სასამართლოს სხდომის დარბაზში შესასვლელად და მოსამართლის გზა კაბინეტიდან სხდომის დარბაზამდე რაც დაკავშირებულია არასტანდარტული კიბით. არ არსებობს მისაწვდომი საპირფარეშო მოსამართლისთვის. მოწმე/ექსპერტისთვის განკუთვნილი ტრიბუნა მაღალია, რაც ქმნის ხილვადობის ბარიერს ეტლის მომხმარებელი პირისთვის და მოსამართლისთვის. ტრიბუნამდე მისასვლელი გზა ვიწრო, შეუღწევადი ეტლისთვის. ბრალდებულისთვის განკუთვნილ საკნებამდე მისასვლელი გზა და საპირფარეშო მიუწვდომელია.

რეკომენდაცია

- რეკომენდებულია, შშმ მოსამართლის არსებობის შემთხვევაში, მოდიფიცირდეს სამუშაო გარემო ლიფტის დამონტაჟებით ან მოსამართლის სამუშაო ოთახის პირველ სართულზე გადმოტანით. ასევე მოიხსნას სხდომის დარბაზთან არსებული მაღალი ზღურბლი;
- რეკომენდებულია შეიცვალოს დარბაზის შიდა განლაგება სივრცის გასაზრდელად, ამისთვის აუცილებელია გაუქმდეს ბრალდებული კაბინა და დადაბლდეს მოწმე/ექსპერტი ტრიბუნა;
- რეკომენდებულია ბრალდებულისთვის განკუთვნილ საკნებამდე გზის, საკნების და ბრალდებულის საპირფარეშოს ადაპტირება.

პოზიტიური პრაქტიკა

სასამართლოს აქვს მოქალაქეებისთვის განკუთვნილი კომპიუტერი, რომელიც განთავსებულია საქმის გასაცნობ ოთახში. ასევე სასამართლოს ჰოლში არსებული სკამები აკმაყოფილებს სტანდარტებს.

სტატუსი - შენობა შეუღწეველი და მიუწვდომელია.

ზუგდიდის და გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლო

შესავალი

2019 წლის 30 მაისს, სასამართლოს შენობის მისაწვდომობის მონიტორინგი განხორციელდა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში, რომელიც მდებარეობს ზუგდიდში რ. ლაღიძის 12 ნომერში. იგივე შენობაშია განთავსებული გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლო. შენობაში

მიმდინარეობს კაპიტალური რემონტი.

შენობის ადგილმდებარეობა და მუნიციპალური ტრანსპორტი

სასამართლოს მიმდებარე ტერიტორიაზე არ არის მუნიციპალური ტრანსპორტისთვის განკუთვნილი ადაპტირებული გაჩერება მოსაცდელით. როგორც ზუგდიდის მუნიციპალიტეტიდან გვეცნობა, 2019 წლიდან ქალაქს ემსახურება 15 ეტლის მომხმარებელი მგზავრისთვის ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტი და ქალაქში მოწყობილია 24 მისაწვდომი გაჩერება, თუმცა არცერთია სასამართლოს მიმდებარე ტერიტორიაზე. ამასთანავე ტრანსპორტი და გაჩერებები არ არის მისაწვდომი უსინათლო/მცირემხედველი და ყრუ მომხმარებლისთვის. სასამართლომდე მისასვლელი გზის ზედაპირი არსებით ბარიერს არ შეიცვას. გზა არ არის მისაწვდომი უსინათლო მოქალაქისთვის. არ არის ადაპტირებული ბილიკები. შესაბამისად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოქალაქე მხოლოდ საკუთარი ტრანსპორტით ან ტაქსით შეიძლება მივიდეს სასამართლო შენობასთან. შენობა განთავსებულია სავალის გზის პირას.

რეკომენდაცია

- რეკომენდებულია უკვე არსებული ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტი და გაჩერებები მისაწვდომი გახდეს უსინათლო/მცირემხედველი მომხმარებლისთვის;
- რეკომენდებულია სასამართლოსთან მაქსიმალურად ახლოს მუნიციპალური ტრანსპორტის მისაწვდომი გაჩერების მოწყობა.

სასამართლოს პარკინგი და ეზო

სასამართლოს აქვს კეთილმოწყობილი ეზო და საერთო სარგებლობის არაორგანიზებული პარკინგი, რომელიც ეზოს გარეთ ქუჩის განაპირას მდებარეობს. სასამართლოსთან არ არის შშმ პირისთვის განკუთვნილი ადაპტირებული პარკინგის ადგილი. ეზო შემოსაზღვრულია დიდი რკინის ჭიშკარით, სადაც არსებითი ბარიერის გარეშე არის შესვლა შესაძლებელი. ეზოში და მთელ შენობაში არ არის ტაქტილური და სხვა სახის მონიშვნები უსინათლო/მცირემხედველი მოქალაქისთვის.

რეკომენდაცია

- რეკომენდებულია სასამართლოსთან დაიხაზოს პარკირების ადგილები მათ შორის შშმ პირისთვის;
- რეკომენდებულია სასამართლოს ეზო ადაპტირდეს უსინათლო და მცირემხედველი მოქალაქისთვის.

შენობაში შესასვლელი/შიდა სივრცე

სასამართლო სამსართულიანია. სართულები ერთმანეთთან დაკავშირებულია არასტანდარტული კიბით. შენობაში შესვლა შესაძლებელია კიბით, რომელიც არ აკმაყოფილებს მისაწვდომობის სტანდარტს უსინათლო/მცირემხედველი მომხმარებლისთვის. შესასვლელში მოწყობილია გამოყენებადი პანდუსი, თუმცა პანდუსის ბოლოს ბაქანი ვიწროა და ქმნის ეტლისთვის შეუღწეველ ღიობს. შესაბამისად ეტლის მომხმარებელი მოქალაქისთვის შენობაში შესვლა შეუძლებელია. სასამართლოს ძირითადი შესასვლელი კარი დამოუკიდებლად გამოყენების სტანდარტს არ აკმაყოფილებს ავტომატური/ორმხრივი გაღების ფუნქციის არ არსებობის გამო. კარი შემინული და არამარკირებულია, რაც საფრთხეს ქმნის მცირემხედველი მოქალაქისთვის. შენობის შიდა სივრცის იატაკის და ავეჯის შეფასება შეუძლებელია, რადგან მიმდინარეობდა კაპიტალური რემონტი. საინფორმაციო დაფები გამოუსადეგარია უსინათლო/მცირემხედველი მომხმარებლისთვის. ფუნქციური დანიშნულების ობიექტებთან საინფორმაციო აბრები განთავსებულია არასტანდარტულ სიმაღლეზე და მიუწვდომელია. საკომუნიკაციო საშუალება (ტელეფონი) არაადაპტირებულია, კანცელარიის დახლი მაღალი და მიუწვდომელია ეტლის მომხმარებლისთვის. სასამართლოში არ არის ადაპტირებული საპირფარეშო, თუმცა მიმდინარეობს მისი მშენებლობა. სასამართლოს აქვს მოქალაქეთათვის კომპიუტერი და პრინტერი, თუმცა უსინათლო მოქალაქისთვის არ არის მისაწვდომი.

რეკომენდაცია

- რეკომენდებულია სასამართლოს შესასვლელის (კიბე, კარი) ადაპტირება და პანდუსის დაბოლოების ღიობის გაფართოება;
- რეკომენდებულია საპირფარეშოს ადაპტირება;
- რეკომენდებულია საინფორმაციო დაფების/აბრების/საკომუნიკაციო საშუალებების, კანცელარიის დახლის, საჩივრის ყუთის, მისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- რეკომენდებულია მოქალაქეთათვის განკუთვნილ კომპიუტერში სპეციალური წამკითხველი პროგრამის ჩატვირთვა უსინათლო მოქალაქეებისთვის;
- რეკომენდებულია სასამართლომ შეიძინოს სტანდარტული ავეჯი; გამოიყენოს სტანდარტით გათვალისწინებული იატაკის ზედაპირი.

მართლმსაჯულების პროცესი

სასამართლოს დარბაზები პირველ და მეორე სართულზეა განლაგებული. პირველ სართულზე არის 2 სხდომის დარბაზი, რომელთაგან ორივეს გამოყენება შეიძლება შშმ პირისთვის. მესამე სართულზე განლაგებულია მოსამართლეების და

თანამშრომლების სამუშაო ოთახები. თუმცა იგეგმება სრულიად ახალი ფლიგელის მშენებლობა მოსამართლეებისთვის. სართულები ერთმანეთთან დაკავშირებულის კიბით. პირველ სართულზე არსებული დარბაზების შესასვლელები თავისუფალია ბარიერებისგან. ოთახში არის ეტლის გადაადგილებისთვის საკმარისი სივრცე. შშმ პირი, როგორც მხარე (ადვოკატის ჩათვლით) ფუნქციონირებს დაუბრკოლებლად. სხდომის დარბაზი გამოუყენებელია შშმ პირისთვის მოსამართლის როლში. ბარიერს ქმნის მაღალი ზღურბლი (20სმ) სასამართლოს სხდომის დარბაზში შესასვლელად და კიბე, რომლითაც მოსამართლის კაბინეტი უკავშირდება სხდომის დარბაზებს. არ არსებობს მისაწვდომი საპირფარეშო მოსამართლისთვის. მოწმე/ექსპერტისთვის განკუთვნილი ტრიბუნა მაღალია, რაც ქმნის ხილვადობის ბარიერს ეტლის მომხმარებელი პირისთვის და მოსამართლისთვის. ბრალდებული შშმ პირისთვის გარემო არაადაპტირებულია. საკნებამდე მისასვლელი გზა კიბით არის დაკავშირებული. საპირფარეშო მიუწვდომელია.

ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში ტარდება პროცესები ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით. თუმცა სხდომის დარბაზი განთავსებულია მეორე სართულზე. დარბაზში არის საკმარისი სივრცე. თუმცა ნაფიცი მსაჯულების შემოსასვლელი და ადგილი სადაც ისინი არიან განლაგებულები ვიწროა და დაკავშირებულია მაღალი ზღურბლით. ნაფიც მსაჯულთათვის არ არის მისაწვდომი საპირფარეშო და სათათბირო ოთახი.

რეკომენდაცია

- რეკომენდებულია, შშმ მოსამართლის არსებობის შემთხვევაში, სამუშაო გარემო (კიბე, საპირფარეშო, ზღურბლი) მოდიფიცირება. რეკომენდებულია ახლად მშენებარე დამატებით ფლიგელში მოსამართლეთა სამუშაო კაბინეტები განთავსდეს პირველ სართულზე ან შენობა სრულად ადაპტირდეს ლიფტის გამოყენებით;
- რეკომენდებულია დადაბლდეს მოწმე/ექსპერტი ტრიბუნა;
- რეკომენდებულია მოხდეს ბრალდებულისთვის განკუთვნილი საკნებამდე მისასვლელი გზის, საკნების და ბრალდებულის საპირფარეშოს ადაპტირება;
- რეკომენდებულია ნაფიცი მსაჯულების დარბაზის მისაწვდომობის უზრუნველყოფა ფიზიკური შეზღუდვის მქონე მოქალაქისთვის ლიფტის ან დარბაზის პირველ სართულზე გადმოტანის გზით და მოიხსნას ყველა შიდა გადაადგილების ბარიერი ნაფიცი მსაჯულისთვის საპირფარეშოს და სათათბირო ოთახის აგრეთვე სამზარეულოს ჩათვლით.

პოზიტიური პრაქტიკა

კაპიტალური მშენებლობის პირობებში შენდება ადაპტირებული საპირფარეშო მოქალაქეებისთვის. სასამართლოს აქვს მოქალაქეთათვის განკუთვნილი

კომპიუტერი და პრინტერი. სასამართლოს აქვს შესაძლებლობა სრულიად გათვალისწინებული ჰქონდეს ყველა სტანდარტი მიმდინარე რემონტის გამო.

სტატუსი **-** შენობა შეუღწეველი და ნაწილობრივ მისაწვდომია.

თბილისის საქალაქო და სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლო

შესავალი

2019 წლის 8 ივნისს, სასამართლოს შენობის მისაწვდომობის მონიტორინგი განხორციელდა თბილისის საქალაქო სასამართლოში, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. #6.

შენობის ადგილმდებარეობა და მუნიციპალური ტრანსპორტი

სასამართლოს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებობს მუნიციპალური ტრანსპორტისთვის განკუთვნილი არაადაპტირებული გაჩერება. ქალაქს ემსახურება ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტი. გაჩერებიდან სასამართლომდე გზა მიუწვდომელია სხვადასხვა სახის დაბრკოლებების არსებობის გამო. გზა არ არის მისაწვდომი უსინათლო მოქალაქისთვის, დამოუკიდებლად გადაადგილება საფრთხის შემცველია. შესაბამისად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოქალაქე მხოლოდ საკუთარი ტრანსპორტით ან ტაქსით შეიძლება მივიდეს სასამართლო შენობასთან.

რეკომენდაცია

- რეკომენდებულია გაჩერებების და ბილიკების ადაპტირება შშმ პირისთვის.

სასამართლოს პარკინგი და ეზო

სასამართლოს აქვს კეთილმოწყობილი ეზო, არსებითი ბარიერების გარეშე, თუმცა დიდი სივრცის პირობებში არანაირი მანევრირების საშუალება არ აქვს უსინათლო და მცირემხედველ მოქალაქეს, რაც საფრთხის შემცველია. ეზოში მოქალაქეთა ავტომობილების გაჩერებისთვის განკუთვნილია პარკირების ადგილები (80-მდე), მათ შორის 7 ადგილი შშმ პირისთვის არის განკუთვნილი, რომელთაგან მხოლოდ 2 აკმაყოფილებს სტანდარტს. ამასთანავე შშმ პირის პარკირების ადგილზე განთავსებულია ბარიერი. თანამშრომლებს აქვთ განცალკევებით პარკინგი (200-მდე), მათ შორის 10 ადგილი შშმ პირისთვისაა განკუთვნილი, რომლიდანაც მხოლოდ 1 აკმაყოფილებს სტანდარტს.

რეკომენდაცია:

- რეკომენდებულია მოქალაქეებისთვის და თანამშრომლებისთვის განკუთვნილი პარკირების ადგილები დაიხაზოს სტანდარტის შესაბამისად და გათავისუფლდეს ყველა სახის ბარიერისგან;
- რეკომენდებულია სასამართლოს ეზოს ადაპტირება უსინათლო და მცირემხედველი მოქალაქისთვის.

შენობაში შესასვლელი/შიდა სივრცე

სასამართლოს გააჩნია 2 ფუნქციური შენობა, რომელიც განთავსებულია ეზოში. ერთი შენობა განკუთვნილია კანცელარიისთვის და მეორე არის სასამართლოს ძირითადი შენობა. კანცელარიის შენობაში შესვლა შესაძლებელია კიბით და პანდუსით. შენობის კიბე არ აკმაყოფილებს სტანდარტს უსინათლო/მცირემხედველი მომხმარებლისთვის. ეტლის მომხმარებელი მოქალაქისთვის შენობაში შესვლა შეუსაძლებელია არასტანდარტული პანდუსის საშუალებით. სასამართლოს ძირითადი შესასვლელი (2 კარი) არასტანდარტულია, თუმცა დამოუკიდებლად გამოყენებადია შშმ პირისთვის რადგან მუდმივად ღიაა. კარი შემინული და არამარკირებულია. შენობის შიდა სივრცე საკმარისი, იატაკი სტანდარტულია მოცურების რისკის გარეშე, არ ირეკლავს შუქს, თუმცა არ არის ტაქტილური მონიშვნები, რაც საფრთხეს ქმნის უსინათლო მოქალაქისთვის განსაკუთრებით ჰოლში არსებულია მრავალი ბარიერის გამო. საინფორმაციო დაფები გამოუყენებელია უსინათლო/მცირემხედველი მომხმარებლისთვის. ფუნქციური დანიშნულების ობიექტებთან საინფორმაციო აბრები განთავსებულია არასტანდარტულ სიმაღლეზე და მიუწვდომელია. საკომუნიკაციო საშუალება (ტელეფონი), კანცელარიის დახლი მიუწვდომელია ყველა შშმ პირისთვის. სასამართლოში გამოყენებული ავეჯი არასტანდარტულია. კანცელარიაში არ არის ადაპტირებული საპირფარეშო. კანცელარიაში არსებული რიგის ნომრის გამცემი აპარატის გამოყენება შეუძლებელია ეტლის მომხმარებლის და უსინათლო მოქალაქისთვის.

სასამართლოს ძირითად შენობას გააჩნია 2 კიბე (1 ცენტრალური, 1 მოსამართლეებისთვის) და 3 პანდუსი (ორი მოქალაქეებისათვის, 1 თანამშრომლებისთვის). შენობის კიბე არ აკმაყოფილებს სტანდარტს უსინათლო/ მცირემხედველი მომხმარებლისთვის. სამივე პანდუსი არასტანდარტულია, ეტლის მომხმარებელი მოქალაქისთვის/თანამშრომლისთვის შენობაში შესვლა შეუსაძლებელია. სასამართლოს ძირითადი შესასვლელი კარი არასტანდარტულია და დამოუკიდებლად გამოყენება შეუძლებელია. შენობის შიდა სივრცე საკმარისი, თუმცა იატაკი არასტანდარტულია. ქმნის მოცურების რისკს, ირეკლავს შუქს, არ არის ტაქტილური მონიშვნები, რაც საფრთხეს ქმნის უსინათლო მოქალაქისთვის განსაკუთრებით ჰოლში არსებულია ბარიერების გათვალისწინებით. საინფორმაციო დაფები გამოუყენებელია უსინათლო/მცირემხედველი მომხმარებლისთვის. ფუნქციური დანიშნულების ობიექტებთან საინფორმაციო აბრები განთავსებულია

არასტანდარტულ სიმაღლეზე და მიუწვდომელია. საკომუნიკაციო საშუალება (ტელეფონი), კანცელარიის დახლი, საჩივრის ყუთი მიუწვდომელია ყველა შშმ პირისთვის. სასამართლოში გამოყენებული ავეჯი არასტანდარტულია. დადებითია ის, რომ სასამართლოში არსებობს 4 ადაპტირებული საპირფარეშო, აქედან 2 საერთო სარგებლობის, თუმცა ამის შესახებ მინიშნებები არ კეთდება ძირითად შესასვლელში.

სასამართლოს შენობა 6 სართულიანია. შენობა ორი ფლიგელისაგან შედგება - ძველი და ახალი. ძველ ფლიგელში სხდომის დარბაზები განლაგებულია პირველ, მეორე და მე-6 სართულებზე. მოქალაქეთათვის განკუთვნილი ლიფტი შეუღწეველია ეტლისთვის და არაადაპტირებულია უსინათლო მომხმარებლისთვის. ლიფტი უკავშირდება მხოლოდ მე-6 სართულს, სადაც კიბის (არასტანდარტული) საშუალებით შესაძლებელია დარბაზებამდე მისვლა. შესაბამისად შშმ პირისთვის მე-6 სართული შეუღწეველია. მე-6 სართულზე არის პროკურორთან და ადვოკატთან შეხვედრის 2 ოთახი, რაც ასევე გამოუყენებელია შშმ მოქალაქისთვის/პროკურორი/ ადვოკატისთვის. შენობის მეორე სართულზე ლიფტი არ ჩერდება, შესაბამისად იქ განთავსებული სხდომის დარბაზები გამოუყენებელია ეტლით მოსარგებლე შშმ პირისთვის. სასამართლოს ახალი ფლიგელში არსებული ლიფტი დამოუკიდებლად გამოყენებადია ეტლის მომხმარებელი მოქალაქისთვის, მაგრამ არა უსინათლოსთვის (არ ხმოვანდება). ლიფტი სხდომის დარბაზებს და მოსამართლეთა სამუშაო ოთახებს აკავშირებს ერთმანეთთან.

რეკომენდაცია

- რეკომენდებულია სასამართლოს და კანცელარიის შენობის შესასვლელის (კიბე, კარი, პანდუსი) ადაპტირება;
- რეკომენდებულია სასამართლოს და კანცელარიის შენობის შიდა სივრცეში მანევრირებისთვის საინფორმაციო დაფის (გახმოვანებით) დამონტაჟება და სივრცის ადაპტირება უსინათლო მომხმარებლისთვის;
- რეკომენდებულია კანცელარიაში და სასამართლოს შენობაში საინფორმაციო დაფების/აბრების/საკომუნიკაციო საშუალებების, დახლების მისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- რეკომენდებულია კანცელარიის რიგის ნომრის გამცემი აპარატის მისაწვდომობა უსინათლო და ეტლის მომხმარებელი მოქალაქისთვის;
- რეკომენდებულია სასამართლოში არსებული ადაპტირებული საპირფარეშოებზე მინიშნება ძირითად ჰოლში;
- რეკომენდებულია, ძველი შენობის ლიფტის ადაპტირება, რომელიც დაუკავშირდება მეორე სართულს;
- რეკომენდებულია ახალ ფლიგელში ლიფტის სრულად ადაპტირება უსინათლო მომხმარებლისთვის.

მართლმსაჯულების პროცესი

სასამართლოს აქვს 44 სხდომის დარბაზი. ძირითადი შენობის პირველ სართულზე -17; მეორე სართულზე - 15, ხოლო მე-6 სართულზე 8 დარბაზი. სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის ახალ ფლიგელში კი არის 24 სხდომის დარბაზი. ბულაჩაურის ქუჩაზე მდებარე შენობაში არის 3 დამატებითი სხდომის დარბაზი. ახალ ფლიგელში, 24-მდე სხდომის დარბაზის შესასვლელი, სრულად მისაწვდომია, შიდა სივრცე საკმარისი. შშმ პირი, როგორც მხარე (ადვოკატის ჩათვლით) საქმის წარმოების დროს არ აწყდება არსებით ბარიერს. სხდომის დარბაზი გამოუყენებელია შშმ პირისთვის მოსამართლის როლში. ძირითად ბარიერს ქმნის მაღალი ზღურბლი სასამართლოს სხდომის დარბაზებში შესასვლელად. თუმცა სრულად მისაწვდომია მოსამართლის კაბინეტიდან სხდომის დარბაზამდე მანძილი. ახალ ფლიგელში არსებობს 2 მისაწვდომი საპირფარეშო მოსამართლეებისთვის. მოწმე/ექსპერტისთვის განკუთვნილი ტრიბუნები მაღალია, რაც ქმნის ხილვადობის ბარიერს ეტლის მომხმარებელი პირისთვის და მოსამართლისთვის. ბრალდებულისთვის განკუთვნილი საკნები განთავსებულია მინუს 1 სართულზე და დაკავშირებულია არასტანდარტული კიბით, ბრალდებულის განთავსების ადგილზე საპირფარეშო მიუწვდომელია ყველა შშმ პირისთვის.

თბილისის საქალაქო სასამართლოს აქვს საერთო სარგებლობის კაფეტერია, რომელიც განთავსებულია ძველ ფლიგელში მინუს ერთ სართულზე სადაც შეღწევა შესაძლებელია მხოლოდ კიბით. ამავდროულად კაფეტერია არ არის ადაპტირებულია უსინათლო მომხმარებლისთვის, რის გამოც სრულიად გამოუყენებელია შშმ პირებისთვის.

სასამართლოში განიხილება საქმეები ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით. სხდომის დარბაზი განთავსებულია ძველ ფლიგელში მინუს ერთ სართულზე, სადაც შეღწევა შესაძლებელია მხოლოდ კიბის საშუალებით. სხდომის დარბაზში არსებული სივრცე დამაკმაყოფილებელია, თუმცა მიუწვდომელია ნაფიცი მსაჯულების შემოსასვლელი და მათი განთავსების ადგილი, ისევე როგორც მოსამართლისა და საფიცი მსაჯულების სათათბირო ოთახი, საპირფარეშო და სამზარეულო.

რეკომენდაცია

- რეკომენდებულია, შშმ მოსამართლის არსებობის შემთხვევაში, მისაწვდომი გახდეს სასამართლოს შენობის მინიმუმ 1 შესასვლელი და მოდიფიცირდეს სამუშაო გარემო (ზღურბლი სხდომის დარბაზებთან, კიბე ძველ ფლიგელში);
- რეკომენდებულია დადაბლდეს მოწმე/ექსპერტი ტრიბუნები;
- რეკომენდებულია ბრალდებულისთვის განკუთვნილი საკნებამდე გზის, საკნების და საპირფარეშოს ადაპტირება;
- რეკომენდებულია სასამართლოს კაფეტერიის ადაპტირება შშმ პირებისთვის;

- რეკომენდებულია მოდიფიცირდეს ნაფიცი მსაჯულების სხდომის დარბაზი სრულად, კერძოდ შესასვლელი, მსაჯულთა განთავსების ადგილი, სათათბირო ოთახამდე, სამზარეულომდე მისასვლელი გზა და მოეწყოს ადაპტირებული საპირფარეშო.

პოზიტიური პრაქტიკა

თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობას გააჩნია სპეციალური პარკირების ადგილები მოქალაქეებისთვის და თანამშრომლებისთვის, სასამართლო უზრუნველყოფილია სპეციალური დამხმარე საშუალებით (ეტლი), რომლის გამოყენებაც შეუძლია მოქალაქეს საჭიროების შემთხვევაში, არსებობს 4 ადაპტირებული საპირფარეშო; მისაწვდომია 20-ზე მეტი სხდომის დარბაზი.

სტატუსი - შენობა შეუღწეველი და ნაწილობრივ მისაწვდომია.

თეთრიწყაროს რაიონული სასამართლო

შესავალი

2019 წლის 6 ივნისს, სასამართლოს შენობის მისაწვდომობის მონიტორინგი განხორციელდა თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში, რომელიც მდებარეობს თეთრიწყაროში კოსტავას ქ. 11 ნომერში.

შენობის ადგილმდებარეობა და მუნიციპალური ტრანსპორტი

სასამართლოს მიმდებარე ტერიტორიაზე არ არის მუნიციპალური ტრანსპორტისთვის განკუთვნილი ადაპტირებული გაჩერება მოსაცდელით. ასევე ქალაქს არ ემსახურება ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტი. სასამართლომდე მისასვლელი გზის ზედაპირი არსებით ბარიერს არ შეიცვას თუმცა სასამართლო აღმართზე მდებარეობს. გზა არ არის მისაწვდომი უსინათლო მოქალაქისთვის. შესაბამისად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოქალაქე მხოლოდ საკუთარი ტრანსპორტით ან ტაქსით შეიძლება მივიდეს სასამართლო შენობასთან. შენობა განთავსებულია სავალის გზის პირას.

რეკომენდაცია

- რეკომენდებულია ქალაქის ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტის უზრუნველყოფა;
- რეკომენდებულია სასამართლოსთან მაქსიმალურად ახლოს მუნიციპალური ტრანსპორტის მისაწვდომი გაჩერების ორგანიზება.

სასამართლოს პარკინგი და ეზო

სასამართლოს არ აქვს ეზო. ავტომობილების გაჩერებისთვის განკუთვნილია საერთო სარგებლობის პარკინგი თანამშრომლების და მოქალაქეებისთვის. სასამართლოს არ გააჩნია მისაწვდომი სპეციალური ავტოსადგომი შშმ პირთათვის.

რეკომენდაცია

- რეკომენდებულია სასამართლოსთან დაიხაზოს პარკირების ადგილები მათ შორის შშმ პირისთვის.

შენობაში შესასვლელი/შიდა სივრცე

სასამართლო ორსართულიანია. შენობაში შესვლა შესაძლებელია კიბით. შენობის კიბე არ აკმაყოფილებს მისაწვდომობის სტანდარტს უსინათლო/მცირემხედველი მომხმარებლისთვის. ეტლის მომხმარებელი მოქალაქისთვის შენობაში შესვლა შეუძლებელია. სასამართლოს ძირითადი შესასვლელი კარი დამოუკიდებლად გამოყენების სტანდარტს არ აკმაყოფილებს, კართან არსებული მაღალი ზღურბლის და ავტომატური/ორმხრივი გაღების ფუნქციის არ არსებობის გამო. კარი შემინული და არამარკირებულია, რაც საფრთხეს ქმნის მცირემხედველი მოქალაქისთვის. შენობის შიდა სივრცე მანევრირებისთვის საკმარისია, იატაკი არასტანდარტული. არსებობს მოცურების რისკი, ირეკლავს შუქს, არ არის ტაქტილური მონიშვნები. საინფორმაციო დაფები გამოუსადეგარია უსინათლო/მცირემხედველი მომხმარებლისთვის. ფუნქციური დანიშნულების ობიექტებთან საინფორმაციო აბრები განთავსებულია არასტანდარტულ სიმაღლეზე და მიუწვდომელია. საკომუნიკაციო საშუალება (ტელეფონი) არაადაპტირებულია, კანცელარიის დახლი მიუწვდომელია ეტლის მომხმარებლისთვის. სასამართლოში გამოყენებული ავეჯი არასტანდარტულია, თუმცა გამოყენებადი. სასამართლოში არ არის ადაპტირებული საპირფარეშო.

რეკომენდაცია

- რეკომენდებულია სასამართლოს შესასვლელის (კიბე, კარი, მეორე სართული) ადაპტირება;
- რეკომენდებულია საპირფარეშოს ადაპტირება;
- რეკომენდებულია საინფორმაციო დაფების/აბრების/საკომუნიკაციო საშუალებების, კანცელარიის დახლის, მისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მართლმსაჯულების პროცესი

სასამართლოს აქვს 2 სხდომის დარბაზი, რომლებიც განთავსებულია პირველ სართულზე. მეორე სართულზე განლაგებულია მოსამართლეების და თანამშრომლების სამუშაო ოთახები. მეორე სართული დაკავშირებული კიბით. დარბაზების შესასვლელები შეღწევადია. ოთახებში არის საკმარისი სივრცე, თუმცა

შიდა ინფრასტრუქტურის არსებითი ცვლილების გარეშე შშმ პირი, როგორც მხარე (ადვოკატის ჩათვლით), საქმის წარმოების დროს აწყდება არსებით ბარიერს. სხდომის დარბაზი გამოუყენებელია შშმ პირისთვის მოსამართლის როლში. ძირითად ბარიერს ქმნის მაღალი ზღურბლი (20სმ) სასამართლოს სხდომის დარბაზში შესასვლელად და შესასვლელი კარის ვიწრო ღიობები. მოსამართლის კაბინეტი განთავსებულია მე-2 სართულზე დაკავშირებულია კიბით. არ არსებობს მისაწვდომი საპირფარეშო მოსამართლისთვის. მოწმე/ექსპერტისთვის განკუთვნილი ტრიბუნა მაღალია, რაც ქმნის ხილვადობის ბარიერს ეტლის მომხმარებელი პირისთვის და მოსამართლისთვის. ტრიბუნამდე მისასვლელი გზა ვიწრო შეუღწევადი ეტლისთვის. ბრალდებულისთვის განკუთვნილი საკნებამდე მისასვლელი გზა და საპირფარეშო მიუწვდომელია.

რეკომენდაცია

- რეკომენდებულია, შშმ მოსამართლის არსებობის შემთხვევაში, მოდიფიცირდეს სამუშაო გარემო ლიფტის დამონტაჟებით;
- რეკომენდებულია შეიცვალოს დარბაზების შიდა ავეჯის განლაგება სივრცის გასაზრდელად და დადაბლდეს მოწმე/ექსპერტი ტრიბუნა;
- მოხდეს ბრალდებულისთვის განკუთვნილ საკნებამდე მისასვლელი გზის, საკნების და ბრალდებულის საპირფარეშოს ადაპტირება.

სტატუსი - შენობა შეუღწეველი და ნაწილობრივ მისაწვდომია.

თელავის რაიონული სასამართლო

შესავალი

2019 წლის 25 ივნისს, სასამართლოს შენობის მისაწვდომობის მონიტორინგი განხორციელდა თელავის რაიონულ სასამართლოში, რომელიც მდებარეობს თელავში აღმაშენებლის 41 ნომერში.

შენობის ადგილმდებარეობა და მუნიციპალური ტრანსპორტი

სასამართლოს მიმდებარე ტერიტორიაზე არ არის მუნიციპალური ტრანსპორტისთვის განკუთვნილი ადაპტირებული გაჩერება მოსაცდელით. ქალაქს არ ემსახურება ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტი. სასამართლომდე მისასვლელი გზის ზედაპირი არსებით ბარიერს არ შეიცვას. გზა არ არის მისაწვდომი უსინათლო მოქალაქისთვის. არ არის ადაპტირებული ბილიკები. შესაბამისად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოქალაქე მხოლოდ საკუთარი ტრანსპორტით ან ტაქსით შეიძლება მივიდეს სასამართლო შენობასთან. შენობა განთავსებულია სავალის გზის პირას.

რეკომენდაცია

- რეკომენდებულია ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტით ქალაქის უზრუნველყოფა;
- რეკომენდებულია, სასამართლოსთან მაქსიმალურად ახლოს, მუნიციპალური ტრანსპორტის მისაწვდომი გაჩერების ორგანიზება.

სასამართლოს პარკინგი და ეზო

სასამართლოს აქვს კეთილმოწყობილი ეზო. მოქალაქეთა ავტომობილების გაჩერებისთვის განკუთვნილია, ეზოს გარეთ გზის განაპირას, არაორგანიზებული პარკინგი, სადაც არ არის შშმ პირისთვის სპეციალური მონიშვნა. პარკინგიდან სასამართლო შენობამდე მისასვლელ გზაზე უსაფრთხოება არ არის დაცული, რადგან მოქალაქეს გზის სავალ ნაწილზე უწევს გავლა. თანამშრომლების ავტოსადგომები განკუთვნილია ეზოში. სასამართლოს არ გააჩნია სპეციალური ავტოსადგომი თანამშრომელი შშმ პირთათვის.

რეკომენდაცია

- რეკომენდებულია სასამართლოსთან დაიხაზოს პარკირების ადგილები მათ შორის შშმ პირისთვის, უსაფრთხოების სტანდარტების გათვალისწინებით;
- რეკომენდებულია სასამართლოს ეზოში შშმ თანამშრომლებისთვის ან/და მოქალაქისთვის დაიხაზოს სპეციალური სადგომი.

შენობაში შესასვლელი/შიდა სივრცე

სასამართლო ოთხსართულიანია. სართულები ერთმანეთთან დაკავშირებულია არასტანდარტული კიბით. შენობაში შესვლა შესაძლებელია კიბით, რომელიც არ აკმაყოფილებს მისაწვდომობის სტანდარტს უსინათლო/მცირემხედველი მომხმარებლისთვის. შესასვლელში მოწყობილია არასტანდარტული პანდუსი, რომლის გამოყენებაც საფრთხის შემცველია. ეტლის მომხმარებელი მოქალაქისთვის შენობაში დამოუკიდებლად შესვლა შეუძლებელია. სასამართლოს ძირითადი შესასვლელი კარი დამოუკიდებლად გამოყენების სტანდარტს არ აკმაყოფილებს ავტომატური/ორმხრივი გაღების ფუნქციის არ არსებობის გამო. კარი შემინული და არამარკირებულია, რაც საფრთხეს ქმნის მცირემხედველი მოქალაქისთვის. შენობის შიდა სივრცე მანევრირებისთვის საკმარისია, იატაკი არასტანდარტული. არსებობს მოცურების რისკი, ირეკლავს შუქს, არ არის ტაქტილური მონიშვნები. ჰოლში განთავსებული სკამები აკმაყოფილებს სტანდარტებს. საინფორმაციო დაფები გამოუსადეგარია უსინათლო/მცირემხედველი მომხმარებლისთვის. ფუნქციური დანიშნულების ობიექტებთან საინფორმაციო აბრები განთავსებულია არასტანდარტულ სიმაღლეზე და მიუწვდომელია. საკომუნიკაციო საშუალება (ტელეფონი) არაადაპტირებულია, კანცელარიის დახლი მიუწვდომელია ეტლის

მომხმარებლისთვის. სასამართლოში გამოყენებული ავეჯი არასტანდარტულია, თუმცა ძირითადად გამოყენებადი. სასამართლოში არ არის ადაპტირებული საპირფარეშო.

რეკომენდაცია

- რეკომენდებულია სასამართლოს შესასვლელის (კიბე, კარი, პანდუსი) სტანდარტებთან მისადაგება;
- რეკომენდებულია საპირფარეშოს ადაპტირება;
- რეკომენდებულია საინფორმაციო დაფების/აბრების/საკომუნიკაციო საშუალებების, კანცელარიის დახლის, მისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მართლმსაჯულების პროცესი

სასამართლოს დარბაზები პირველ და მეორე სართულზეა განლაგებული. პირველ სართულზე არის 2 სხდომის დარბაზი, რომელთაგან ერთი (#2 დარბაზი) შეიძლება იყოს გამოყენებული ეტლით მოსარგებლე მოქალაქისთვის. მესამე და მეოთხე სართულზე განლაგებულია მოსამართლეების და თანამშრომლების სამუშაო ოთახები. სართულები ერთმანეთთან დაკავშირებულის კიბით. პირველ სართულზე არსებული დარბაზის შესასვლელი თავისუფალია ბარიერებისგან. ოთახში არ არის ეტლის გადაადგილებისთვის საკმარისი სივრცე, თუმცა შიდა ინფრასტრუქტურის არსებითი ცვლილების პირობებში შესაძლებელია შშმ პირმა, როგორც მხარემ (ადვოკატის ჩათვლით) შეძლოს ფუნქციონირება. სხდომის დარბაზი გამოუყენებელია შშმ პირისთვის მოსამართლის როლში. ბარიერს ქმნის მაღალი ზღურბლი (30სმ) სასამართლოს სხდომის დარბაზში შესასვლელად. მოსამართლის კაბინეტი განთავსებულია მე-3 და მე-4 სართულზე და დაკავშირებულია კიბით. არ არსებობს მისაწვდომი საპირფარეშო მოსამართლისთვის. მოწმე/ექსპერტისთვის განკუთვნილი ტრიბუნა მაღალია, რაც ქმნის ხილვადობის ბარიერს ეტლის მომხმარებელი პირისთვის და მოსამართლისთვის. სხდომის დარბაზში არსებული ბრალდებულის კაბინა მიუწვდომელია. საკნებამდე მისასვლელი გზა და საპირფარეშო მიუწვდომელია.

თელავის რაიონულ სასამართლოში ტარდება პროცესები ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით. თუმცა სხდომის დარბაზი განთავსებულია მეორე სართულზე. დარბაზში არის სტანდარტული იატაკი. ადგილი სადაც ნაფიცი მსაჯულები არიან განლაგებულები ვიწროა და ზღურბლიანი თუმცა ადვილად ადაპტირებადი. ნაფიც მსაჯულთათვის განკუთვნილია ხარვეზიანი, მაგრამ მისაწვდომი საპირფარეშო და სათათბირო ოთახი. თუმცა ოთახის განლაგების გათვალისწინებით ფიზიკური შეზღუდვის მქონე შშმ პირისთვის სხდომის დარბაზი მიუწვდომელია.

რეკომენდაცია

- რეკომენდებულია, შშმ მოსამართლის არსებობის შემთხვევაში, სამუშაო გარემო (კიბე, საპირფარეშო, პანდუსი, ზღურბლი) მოდიფიცირება;
- რეკომენდებულია შეიცვალოს დარბაზში ავეჯის განლაგება მინიმალური მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად და დადაბლდეს მოწმე/ექსპერტი ტრიბუნა; ასევე მისაწვდომი გახდეს ბრალდებულის კაბინა;
- რეკომენდებულია ბრალდებულისთვის განკუთვნილი საკნებამდე მისასვლელი გზის, საკნების და ბრალდებულის საპირფარეშოს ადაპტირება;
- რეკომენდებულია ნაფიცი მსაჯულების დარბაზის მისაწვდომობის უზრუნველყოფა ფიზიკური შეზღუდვის მქონე მოქალაქისთვის ლიფტის ან დარბაზის პირველ სართულზე გადმოტანის საშუალებით, ასევე დარბაზის შიდა სივრცის მისადაგება სტანდარტებთან.

პოზიტიური პრაქტიკა

თელავის სასამართლოს ჰოლში განთავსებული სკამები სრულად აკმაყოფილებს სტანდარტს. დადებითია, რომ ნაფიცი მსაჯულებისთვის არსებობს ადაპტირებული საპირფარეშო, თუმცა განლაგების გამო ეტლის მომხმარებლის მიერ გამოუყენებელია.

სტატუსი - შენობა შეუღწეველი და ნაწილობრივ მისაწვდომია.

ოზურგეთის რაიონული სასამართლო

შესავალი

2019 წლის 23 მაისს, სასამართლოს შენობის მისაწვდომობის მონიტორინგი განხორციელდა ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, რომელიც მდებარეობს ოზურგეთში, სიორიძის ქ. 14 ნომერში.

შენობის ადგილმდებარეობა და მუნიციპალური ტრანსპორტი

სასამართლოს მიმდებარე ტერიტორიაზე არ არის მუნიციპალური ტრანსპორტისთვის განკუთვნილი ადაპტირებული გაჩერება მოსაცდელით. ქალაქს არ ემსახურება ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტი. სასამართლომდე მისასვლელი გზის ზედაპირი ბარიერების გარეშეა. თუმცა გზა არ არის მისაწვდომი უსინათლო მოქალაქისთვის. შესაბამისად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოქალაქე მხოლოდ საკუთარი ტრანსპორტით ან ტაქსით შეიძლება მივიდეს სასამართლო შენობასთან. შენობა განთავსებულია სავალის გზის პირას.

რეკომენდაცია

- რეკომენდებულია ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტით ქალაქის უზრუნველყოფა;
- რეკომენდებულია სასამართლოსთან მაქსიმალურად ახლოს მუნიციპალური ტრანსპორტის მისაწვდომი გაჩერების ორგანიზება;
- რეკომენდებულია ადაპტირდეს სასამართლომდე მიმავალი გზა/ბილიკები.

სასამართლოს პარკინგი და ეზო

სასამართლოს არ აქვს ეზო. ავტომობილების გაჩერებისთვის განკუთვნილია გზის განაპირას არაორგანიზებული საერთო პარკინგი, სადაც არ არის შშმ პირისთვის სპეციალური მონიშვნა. არაორგანიზებული პარკირების გამო პანდუსის შესასვლელი ჩახერგილია ავტომობილებით.

რეკომენდაცია

- რეკომენდებულია სასამართლოსთან დაიხაზოს პარკირების ადგილები მათ შორის შშმ პირისთვის პანდუსთან ყველაზე ახლოს და იმგვარად, რომ არ გამოიწვიოს პანდუსთან მისასვლელის ბლოკირება.

შენობაში შესასვლელი/შიდა სივრცე

სასამართლო სამსართულიანია. სართულები ერთმანეთთან დაკავშირებულია არასტანდარტული კიბით. შენობაში შესვლა შესაძლებელია კიბით, რომელიც არ აკმაყოფილებს მისაწვდომობის სტანდარტს უსინათლო/მცირემხედველი მომხმარებლისთვის. შესასვლელში მოწყობილია არასტანდარტული პანდუსი, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია მხოლოდ მნიშვნელოვანი ძალის გამოყენების შემთხვევაში ან ელექტრო ეტლით. პანდუსის დასაწყისი ბაქანი ვიწროა და მისასვლელი ჩახერგილი მანქანებით. სასამართლოს ძირითადი შესასვლელი კარი დამოუკიდებლად გამოყენებისსტანდარტსარაკმაყოფილებსავტომატური/ორმხრივი გაღების ფუნქციის არ არსებობის და მაღალი ზღურბლის გამო. კარი შემინული და არამარკირებულია, რაც საფრთხეს ქმნის მცირემხედველი მოქალაქისთვის. შენობის შიდა სივრცე მანევრირებისთვის საკმარისია, იატაკი არასტანდარტული. არსებობს მოცურების რისკი, ირეკლავს შუქს, არ არის ტაქტილური მონიშვნები. ჰოლში განთავსებული ავეჯი არასტანდარტული, მაგრამ გამოყენებადია. საინფორმაციო დაფები გამოუსადეგარია უსინათლო/მცირემხედველი მომხმარებლისთვის. ფუნქციური დანიშნულების ობიექტებთან საინფორმაციო აბრები განთავსებულია არასტანდარტულ სიმაღლეზე და მიუწვდომელია. საკომუნიკაციო საშუალება (ტელეფონი) არაადაპტირებულია, კანცელარიის დახლი მიუწვდომელია ეტლის მომხმარებლისთვის. სასამართლოში არ არის ადაპტირებული საპირფარეშო.

რეკომენდაცია

- რეკომენდებულია სასამართლოს შესასვლელის (კიბე, კარი, პანდუსი) მისადაგება სტანდარტებთან;
- რეკომენდებულია საპირფარეშოს ადაპტირება;
- რეკომენდებულია საინფორმაციო დაფების/აბრების/საკომუნიკაციო საშუალებების, კანცელარიის დახლის, მისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მართლმსაჯულების პროცესი

სასამართლოს დარბაზები პირველ და მეორე სართულზეა განლაგებული. პირველ სართულზე არის 2 სხდომის დარბაზი, რომელთაგან მხოლოდ ერთი (#1 დარბაზი, სისხლის სამართლის პროცესებისთვის) შეიძლება იყოს გამოყენებული შშმ მოქალაქისთვის. მეორე და მესამე სართულზე განლაგებულია მოსამართლეების და თანამშრომლების სამუშაო ოთახები. სართულები ერთმანეთთან დაკავშირებულის კიბით. პირველ სართულზე არსებული დარბაზის შესასვლელი თავისუფალია ბარიერებისგან. ოთახში არის ეტლის გადაადგილებისთვის საკმარისი სივრცე. შიდა ინფრასტრუქტურის მცირედი ცვლილების პირობებში შესაძლებელია შშმ პირმა, როგორც მხარემ (ადვოკატის ჩათვლით) შეძლოს საქმის წარმოება არსებითი ბარიერის გარეშე. სხდომის დარბაზი გამოუყენებელია შშმ პირისთვის მოსამართლის როლში. ბარიერს ქმნის მაღალი ზღურბლი (25სმ) სასამართლოს სხდომის დარბაზში შესასვლელად. მოსამართლის კაბინეტი განთავსებულია ზედა სართულებზე და დაკავშირებულია კიბით. არ არსებობს მისაწვდომი საპირფარეშო მოსამართლისთვის. მოწმე/ექსპერტისთვის განკუთვნილი ტრიბუნა მაღალია, რაც ქმნის ხილვადობის ბარიერს ეტლის მომხმარებელი პირისთვის და მოსამართლისთვის. სხდომის დარბაზში არსებული ბრალდებულის კაბინა მიუწვდომელია. საკნებამდე მისასვლელი გზა, საკნების შესასვლელი და საპირფარეშო მიუწვდომელია. სასამართლოში არსებული საქმის გაცნობის/ ადვოკატთა ოთახის კარის ღიობი არასტანდარტულია, თუმცა შეღწევადი პატარა ეტლისთვის.

რეკომენდაცია

- რეკომენდებულია, შშმ მოსამართლის არსებობის შემთხვევაში, სამუშაო გარემო (კიბე, საპირფარეშო, ზღურბლი, პანდუსი) მოდიფიცირება;
- რეკომენდებულია შეიცვალოს დარბაზში ავეჯის განლაგება მინიმალური მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. დადაბლდეს მოწმე/ექსპერტი ტრიბუნა; მისაწვდომი გახდეს ბრალდებულის კაბინა;
- რეკომენდებულია ბრალდებულისთვის განკუთვნილ საკნებამდე გზის, საკნების და საპირფარეშოს ადაპტირება;

- რეკომენდებულია სტანდარტებს მიესადაგოს საქმის გაცნობის და ადვოკატთა შეხვედრის ოთახის კარის ღიობი.

სტატუსი - შენობა ნაწილობრივ შეღწევადი და ნაწილობრივ მისაწვდომია.

სამტრედიის რაიონული სასამართლო

შესავალი

2019 წლის 24 მაისს, სასამართლოს შენობის მისაწვდომობის მონიტორინგი განხორციელდა სამტრედიის რაიონულ სასამართლოში, რომელიც მდებარეობს სამტრედიაში, ძმ. ნინუების ქ. #1.

შენობის ადგილმდებარეობა და მუნიციპალური ტრანსპორტი

სასამართლოს მიმდებარე ტერიტორიაზე არ არის მუნიციპალური ტრანსპორტისთვის განკუთვნილი ადაპტირებული გაჩერება მოსაცდელით. ქალაქს არ ემსახურება ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტი. სასამართლომდე მისასვლელი გზის ზედაპირი ბარიერების გარეშეა. თუმცა გზა არ არის მისაწვდომი უსინათლო მოქალაქისთვის. შესაბამისად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოქალაქე მხოლოდ საკუთარი ტრანსპორტით ან ტაქსით შეიძლება მივიდეს სასამართლო შენობასთან. შენობა განთავსებულია სავალის გზის პირას.

რეკომენდაცია

- რეკომენდებულია ქალაქის ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტით უზრუნველყოფა;
- რეკომენდებულია სასამართლოსთან მაქსიმალურად ახლოს მუნიციპალური ტრანსპორტის გაჩერების ორგანიზება;
- რეკომენდებულია ადაპტირდეს სასამართლომდე მიმავალი გზა/ გადასასვლელი.

სასამართლოს პარკინგი და ეზო

სასამართლოს არ აქვს საერთო სარგებლობის ეზო. მოქალაქეების ავტომობილების გაჩერებისთვის განკუთვნილია გზის განაპირას არაორგანიზებული პარკინგი, სადაც არ არის შშმ პირისთვის სპეციალური მონიშვნა. არაორგანიზებული პარკირების გამო პანდუსის შესასვლელი ჩახერგილია ავტომობილებით.

რეკომენდაცია

- რეკომენდებულია სასამართლოსთან პარკირების ადგილების ორგანიზება, მათ შორის შშმ პირისთვის, პანდუსთან ყველაზე ახლოს და იმგვარად, რომ

არ გამოიწვიოს პანდუსთან მისასვლელის ბლოკირება.

შენობაში შესასვლელი/შიდა სივრცე

სასამართლო ორსართულიანია. სართულები ერთმანეთთან დაკავშირებულია არასტანდარტული კიბით. შენობაში შესვლა შესაძლებელია კიბით, რომელიც არ აკმაყოფილებს მისაწვდომობის სტანდარტს უსინათლო/მცირემხედველი მომხმარებლისთვის. შესასვლელში მოწყობილია ბილიკი/პანდუსი, რომელიც, მინიმალური ხარვეზების მიუხედავად, სრულიად გამოყენებადია ყველა შშმ პირისთვის. სასამართლოს ძირითადი შესასვლელი კარი დამოუკიდებლად გამოყენების სტანდარტს არ აკმაყოფილებს ავტომატური/ორმხრივი გაღების ფუნქციის არ არსებობის გამო. კარი შემინული და არამარკირებულია, რაც საფრთხეს ქმნის მცირემხედველი მოქალაქისთვის. შენობის შიდა სივრცე მანევრირებისთვის საკმარისია, იატაკი არასტანდარტული. არსებობს მოცურების რისკი, ირეკლავს შუქს, არ არის ტაქტილური მონიშვნები. ჰოლში განთავსებული ავეჯი არასტანდარტული, მაგრამ გამოყენებადია. საინფორმაციო დაფები გამოუსადეგარია უსინათლო/მცირემხედველი მომხმარებლისთვის. ფუნქციური დანიშნულების ობიექტებთან საინფორმაციო აბრები განთავსებულია არასტანდარტულ სიმაღლეზე და მიუწვდომელია. საკომუნიკაციო საშუალება (ტელეფონი) არაადაპტირებულია, კანცელარიის დახლი მიუწვდომელია ეტლის მომხმარებლისთვის. სასამართლოში არ არის ადაპტირებული საპირფარეშო, თუმცა მინიმალური ჩარევით შესაძლებელია ადაპტირდეს. ჰოლში ფერები კონტრასტულია, რაც ადვილად აღქმადს ხდის სხვადასხვა სივრცეებს.

რეკომენდაცია

- რეკომენდებულია სასამართლოს შესასვლელის (კიბე, კარი, პანდუსი) სრულად მისადაგება სტანდარტებთან;
- რეკომენდებულია საერთო სარგებლობის საპირფარეშოს ადაპტირება;
- რეკომენდებულია საინფორმაციო დაფების/აბრების/საკომუნიკაციო საშუალებების, კანცელარიის დახლის, მისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მართლმსაჯულების პროცესი

სასამართლოში სხდომის სამი დარბაზია და ყველა მათგანი განლაგებულია პირველ სართულზე. შენობის მეორე სართული ეთმობა მოსამართლეების და თანამშრომლების სამუშაო ოთახებს. სართულები ერთმანეთთან დაკავშირებულის კიბით. პირველ სართულზე არსებული დარბაზების შესასვლელი თავისუფალია ყოველგვარი ბარიერისგან. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს #3 დარბაზი, სადაც თითქმის არანაირი ხელშემშლელი ბარიერი არ არსებობს შშმ პირისთვის. ოთახში არის ეტლის გადაადგილებისთვის საკმარისი სივრცე. შშმ პირი, როგორც მხარე

(ადვოკატის ჩათვლით) დარბაზში ფუნქციონირებს უპრობლემოდ. თუმცა სხდომის დარბაზი გამოუყენებელია შშმ პირისთვის მოსამართლის როლში. ბარიერს ქმნის მაღალი ზღურბლი სასამართლოს სხდომის დარბაზში შესასვლელად. მოსამართლის კაბინეტი განთავსებულია მეორე სართულზე და დაკავშირებულია კიბით. სასამართლოში ცალკე შესასვლელია მოსამართლეებისთვის, სადაც არის მარტივად ადაპტირებადი კიბე. არ არსებობს მისაწვდომი საპირფარეშო მოსამართლისთვის. მოწმე/ექსპერტისთვის განკუთვნილი ტრიბუნა მაღალია, რაც ქმნის ხილვადობის ბარიერს ეტლის მომხმარებელი პირისთვის და მოსამართლისთვის. სხდომის დარბაზში არსებული ბრალდებულის კაბინა მიუწვდომელია. საკნებამდე მისასვლელი გზა, საკნების შესასვლელი და საპირფარეშო მიუწვდომელია. თუმცა სხვა სასამართლოებისგან განსხვავებით ადვილად ადაპტირებადია.

რეკომენდაცია

- რეკომენდებულია, შშმ მოსამართლის არსებობის შემთხვევაში, სამუშაო გარემოს მოდიფიცირება;
- რეკომენდებულია სხდომის დარბაზში მოწმე/ექსპერტი ტრიბუნის დადაბლება; ბრალდებულის კაბინის ადაპტირება;
- რეკომენდებულია ბრალდებულისთვის განკუთვნილ საკნებამდე მისასვლელი გზის, საკნების და საპირფარეშოს ადაპტირება.

პოზიტიური პრაქტიკა

სამტრედიის რაიონული სასამართლო შეფასდა, როგორც ყველაზე ადვილად ადაპტირებადი სასამართლო, გონივრული დანახარჯებით. სასამართლოს ასევე აქვს თითქმის სრულად სტანდარტული ბილიკის ტიპის პანდუსი, რომელიც მისაწვდომია ყველასთვის. სასამართლო ჰოლში სივრცეები გამოყოფილია მკვეთრი კონტრასტული ფერებით, რაც ადვილად აღქმადს ქმნის სივრცეს მცირემხედველთათვის. სასამართლოს ორი სხვადასხვა შესასვლელის კიბეები (2 საფეხური) ადვილად ადაპტირებადია. შშმ მოსამართლის არსებობის შემთხვევაში სასამართლოს პირველ სართულზე არის საკმარისი თავისუფალი სივრცე სამუშაო ოთახის მოწყობისთვის. აღნიშნული სასამართლო ერთ-ერთი ყველაზე პოზიტიური მაგალითია, სადაც მინიმალური დანახარჯებით შესაძლებელია ბრალდებულის მოთავსების ადგილის ადაპტირებაც.

სტატუსი - შენობა ნაწილობრივ შეღწევადი და ნაწილობრივ მისაწვდომია.

სენაკის რაიონული სასამართლო

შესავალი

2019 წლის 30 მაისს, სასამართლოს შენობის მისაწვდომობის მონიტორინგი განხორციელდა სენაკის რაიონულ სასამართლოში, რომელიც მდებარეობს სენაკში, შ. რუსთაველის 247 ნომერში.

შენობის ადგილმდებარეობა და მუნიციპალური ტრანსპორტი

სასამართლოს მიმდებარე ტერიტორიაზე არ არის მუნიციპალური ტრანსპორტისთვის განკუთვნილი მისაწვდომი გაჩერება მოსაცდელით. ასევე ქალაქს არ ემსახურება ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტი. სასამართლომდე მისასვლელი გზის ზედაპირი არსებით ბარიერს არ შეიცვას. გზა არ არის მისაწვდომი უსინათლო მოქალაქისთვის. შესაბამისად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოქალაქე მხოლოდ საკუთარი ტრანსპორტით ან ტაქსით შეიძლება მივიდეს სასამართლო შენობასთან. შენობა განთავსებულია სავალის გზის პირას.

რეკომენდაცია

- რეკომენდებულია ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტით ქალაქის უზრუნველყოფა;
- რეკომენდებულია, სასამართლოსთან მაქსიმალურად ახლოს, მუნიციპალური ტრანსპორტის მისაწვდომი გაჩერების ორგანიზება;
- რეკომენდებულია გზების და ბილიკების ადაპტირება.

სასამართლოს პარკინგი და ეზო

სასამართლოს არ აქვს ეზო. ავტომობილების გაჩერებისთვის განკუთვნილია საერთო სარგებლობის პარკინგი გზის პირას. სასამართლოს არ გააჩნია მისაწვდომი სპეციალური ავტოსადგომი შშმ პირთათვის, ხოლო გზის პირას არსებული ადგილი შშმ პირების პარკირებისთვის სახიფათოა სატრანსპორტო მოძრაობის გამო.

რეკომენდაცია

- რეკომენდებულია სასამართლო შენობის გვერდით (და არა გზის პირას) დაიხაზოს პარკირების ადგილები შშმ პირისთვის.

შენობაში შესასვლელი/შიდა სივრცე

სასამართლო ორსართულიანია. შენობაში შესვლა შესაძლებელია კიბით (ტერასული ტიპის). შენობის კიბე არ აკმაყოფილებს მისაწვდომობის სტანდარტს უსინათლო/მცირემხედველი მომხმარებლისთვის. ეტლის მომხმარებელი მოქალაქისთვის შენობაში შესვლა შეუძლებელია პანდუსით, რომელსაც უკავშირდება მისაწვდომი

ბილიკი. სასამართლოს ძირითადი შესასვლელი კარი დამოუკიდებლად გამოყენების სტანდარტს არ აკმაყოფილებს ავტომატური/ორმხრივი გაღების ფუნქციის არ არსებობის გამო. კარი შემინული და არამარკირებულია, რაც საფრთხეს ქმნის მცირემხედველი მოქალაქისთვის. შენობის ჰოლში მოსახვედრად მოქალაქემ უნდა გაიაროს მაღალი კიბე, რომელიც არასტანდარტულია და მიუწვდომელია ეტლის მომხმარებლისთვისაც. შენობის შიდა სივრცე მანევრირებისთვის საკმარისია, იატაკი არასტანდარტული. არსებობს მოცურების რისკი, ირეკლავს შუქს, არ არის ტაქტილური მონიშვნები. საინფორმაციო დაფები გამოუსადეგარია უსინათლო/მცირემხედველი მომხმარებლისთვის. ფუნქციური დანიშნულების ობიექტებთან საინფორმაციო აბრები განთავსებულია არასტანდარტულ სიმაღლეზე და მიუწვდომელია. საკომუნიკაციო საშუალება (ტელეფონი) არაადაპტირებულია, კანცელარიის დახლი მიუწვდომელია ეტლის მომხმარებლისთვის. სასამართლოში გამოყენებული ავეჯი არასტანდარტულია, თუმცა გამოყენებადი. სასამართლოში არის ადაპტირებული საპირფარეშო.

რეკომენდაცია

- რეკომენდებულია სასამართლოს შესასვლელის (კიბე, კარი, ჰოლში მისასვლელი კიბე) ადაპტირება;
- რეკომენდებულია საპირფარეშოს ადაპტირება უსინათლო და მცირე-მხედველი მომხმარებლისთვის;
- რეკომენდებულია საინფორმაციო დაფების/აბრების/საკომუნიკაციო საშუა-ლებების, კანცელარიის დახლის, მისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მართლმსაჯულების პროცესი

სასამართლოს აქვს 2 სხდომის დარბაზი, რომელიც განთავსებულია პირველ და მეორე სართულზე. მეორე სართულზეა ასევე მოსამართლეების და თანამშრომლების სამუშაო ოთახები. მეორე სართული დაკავშირებული კიბით. პირველ სართულზე არსებული დარბაზის შესასვლელი შეუღწევადია მაღალი ზღურბლის გამო. ოთახებში არის საკმარისი სივრცე, თუმცა შიდა ავეჯის განლაგების ცვლილებას საჭიროებს იმისათვის რომ შშმ პირმა, როგორც მხარემ (ადვოკატის ჩათვლით) იფუნქციონიროს არსებითი ბარიერების გარეშე. სხდომის დარბაზი გამოუყენებელია შშმ პირისთვის მოსამართლის როლში. ძირითად ბარიერს ქმნის მაღალი ზღურბლი სასამართლოს სხდომის დარბაზში შესასვლელად. მოსამართლის კაბინეტი მე-2 სართულზეა და დაკავშირებულია სხდომის დარბაზთან კიბით. მოწმე/ექსპერტისთვის განკუთვნილი ტრიბუნა მაღალია, რაც ქმნის ხილვადობის ბარიერს ეტლის მომხმარებელი პირისთვის და მოსამართლისთვის. ბრალდებულისთვის განკუთვნილი საკნებამდე მისასვლელი გზა და საპირფარეშო მიუწვდომელია. სისხლის სამართლის პროცესებისთვის განკუთვნილი სხდომის დარბაზი მეორე სართულზეა.

რეკომენდაცია

- რეკომენდებულია, შშმ მოსამართლის არსებობის შემთხვევაში, მოდიფიცირდეს სამუშაო გარემო;
- რეკომენდებულია შეიცვალოს დარბაზის შიდა ავეჯის განლაგება სივრცის გასაზრდელად და დადაბლდეს მოწმე/ექსპერტი ტრიბუნა;
- რეკომენდებულია ბრალდებულისთვის განკუთვნილ საკნებამდე მიმავალი გზის, საკნების და ბრალდებულის საპირფარეშოს ადაპტირება.

პოზიტიური პრაქტიკა

სასამართლოს გააჩნია ადაპტირებული საპირფარეშო.

სტატუსი - შენობა შეუღწეველი და მიუწვდომელია.

სიღნაღის რაიონული სასამართლო

შესავალი

2019 წლის 10 ივნისს, სასამართლოს შენობის მისაწვდომობის მონიტორინგი განხორციელდა სიღნაღის რაიონულ სასამართლოში, რომელიც მდებარეობს ქ. სიღნაღში, დადიანის 15 ნომერში.

შენობის ადგილმდებარეობა და მუნიციპალური ტრანსპორტი

სიღნაღის რაიონული სასამართლოს მიმდებარე ტერიტორიაზე არ არის მუნიციპალური ტრანსპორტისთვის განკუთვნილი მისაწვდომი გაჩერება. ქალაქს არ ემსახურება ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტი. სასამართლომდე მისასვლელი გზის ზედაპირი პრობლემურია რადგან არის ქვაფენილი, რაც დაბრკოლებას ქმნის ეტლისთვის. არ არის ადაპტირებული ბილიკი. სასამართლო მდებარეობს შემაღლებულ ადგილზე. გზა არ არის მისაწვდომი უსინათლო მოქალაქისთვის. შესაბამისად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოქალაქე მხოლოდ საკუთარი ტრანსპორტით ან ტაქსით შეიძლება მივიდეს სასამართლო შენობასთან. შენობა განთავსებულია სავალის გზის პირას.

რეკომენდაცია

- რეკომენდებულია ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტით უზრუნველყოფა;
- რეკომენდებულია მისაწვდომი გახდეს გაჩერებები და ბილიკები შშმ პირთათვის;

- რეკომენდებულია მოეწყოს სასამართლოსთან მაქსიმალურად ახლოს მუნიციპალური ტრანსპორტის გაჩერება შესაბამისი ადაპტირებული მოსაცდელით.

სასამართლოს პარკინგი და ეზო

სასამართლოს არ აქვს ეზო. ავტომობილების გაჩერებისთვის განკუთვნილია საერთო სარგებლობის არაორგანიზებული პარკინგი. სასამართლოს არ გააჩნია მისაწვდომი სპეციალური ავტოსადგომი შშმ პირთათვის.

რეკომენდაცია

- რეკომენდებულია სასამართლოსთან დაიხაზოს ორგანიზებული პარკირების ადგილები მათ შორის შშმ პირისთვის.

შენობაში შესასვლელი/შიდა სივრცე

სასამართლოში შესვლა შესაძლებელია კიბით და პანდუსით. შენობის კიბე არ აკმაყოფილებს მისაწვდომობის სტანდარტს უსინათლო/მცირემხედველი მომხმარებლისთვის. ეტლის მომხმარებელი მოქალაქისთვის შენობაში შესვლა შესაძლებელია პანდუსის საშუალებით, რომელიც სტანდარტს არ აკმაყოფილებს თუმცა დამოუკიდებლად გამოყენება მაინც შესაძლებელია ეტლის მომხმარებლისთვის. პრობლემას ქმნის პანდუსამდე მისასვლელი გზა, ბილიკზე განთავსებულია მცირედი პანდუსი რომლის დაძლევაც დამოუკიდებლად არ არის შესაძლებელი არასტანდარტული დაქანების გამო. სასამართლოს ძირითადი შესასვლელი კარი არ არის შეღწევადი ეტლით მომხმარებლისთვის, დამოუკიდებლად გამოყენების სტანდარტს არ აკმაყოფილებს, კართან არსებული მაღალი ზღურბლის და ავტომატური/ორმხრივი გაღების ფუნქციის არ არსებობის გამო. კარი შემინული და არამარკირებულია, რაც საფრთხეს ქმნის მცირემხედველი მოქალაქისთვის. შენობის შიდა სივრცე მანევრირებისთვის არასაკმარისია, იატაკი არასტანდარტული. არსებობს მოცურების რისკი, ირეკლავს შუქს, არ არის ტაქტილური მონიშვნები. საინფორმაციო დაფები გამოუყენებელია უსინათლო/მცირემხედველი მომხმარებლისთვის. ფუნქციური დანიშნულების ობიექტებთან საინფორმაციო აბრები განთავსებულია არასტანდარტულ სიმაღლეზე და მიუწვდომელია. საკომუნიკაციო საშუალება (ტელეფონი), საჩივრის ყუთი, კანცელარიის დახლი მიუწვდომელია, როგორც ეტლის მომხმარებლისთვის ისე უსინათლო და ყრუ ადამიანისთვის. სასამართლოში გამოყენებული ავეჯი არასტანდარტულია, თუმცა გამოყენებადი. სასამართლოში არ არის ადაპტირებული საპირფარეშო, თუმცა არსებულის ადაპტირება სრულიად შესაძლებელია. სასამართლოს სხდომის 1 დარბაზი და საპირფარეშო ჰოლისგან გამოყოფილია კარით, რომელიც შემინული და არამარკირებულია, დამოუკიდებლად გამოყენება შეუძლებელია.

რეკომენდაცია

- რეკომენდებულია სასამართლოს შესასვლელის (კიბე, კარი, პანდუსი, ბილიკი) ადაპტირება დამოუკიდებლად გამოსაყენებლად;
- რეკომენდებულია საპირფარეშოს ადაპტირება;
- რეკომენდებულია საინფორმაციო დაფების/აბრების/საკომუნიკაციო საშუალებების, კანცელარიის დახლის, საჩივრის ყუთის მისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მართლმსაჯულების პროცესი

სასამართლოს აქვს 4 სხდომის დარბაზი, 3 განთავსებულია პირველ სართულზე. ერთი დარბაზი მინუს 1 სართულზეა (სისხლის სამართლის საქმეებისთვის) და დაკავშირებულია კიბით. პირველ სართულზე არსებული 3 დარბაზის შესასვლელები შეუღწევადია. მე-2 და მე-3 სხდომის დარბაზის შიდა სივრცე საკმარისია. შშმ პირი, როგორც მხარე (ადვოკატის ჩათვლით) საქმის წარმოების დროს არ აწყდება არსებითად ბარიერს ავეჯის გადაადგილების პირობებში. სხდომის დარბაზი გამოუყენებელია შშმ პირისთვის მოსამართლის როლში. ძირითად ბარიერს ქმნის მაღალი ზღურბლი (30სმ) სასამართლოს სხდომის დარბაზში შესასვლელად. მოსამართლის კაბინეტი განთავსებულია მე-2 სართულზე დაკავშირებულია კიბით. არ არსებობს მისაწვდომი საპირფარეშო მოსამართლისთვის. მოწმე/ექსპერტისთვის განკუთვნილი ტრიბუნა მაღალია, რაც ქმნის ხილვადობის ბარიერს ეტლის მომხმარებელი პირისთვის და მოსამართლისთვის. ბრალდებულისთვის განკუთვნილ საკნებამდე მისასვლელი გზა და საპირფარეშო მიუწვდომელია.

რეკომენდაცია

- რეკომენდებულია, შშმ მოსამართლის არსებობის შემთხვევაში, მოდიფიცირდეს სამუშაო გარემო;
- რეკომენდებულია მე-2 და მე-3 სხდომის დარბაზის კარის გაფართოება;
- რეკომენდებულია მოწმე/ექსპერტი ტრიბუნის დადაბლება;
- რეკომენდებულია ბრალდებულისთვის განკუთვნილი საკნების, კაბინის და საპირფარეშოს ადაპტირება.

სტატუსი - შენობა შეუღწეველი და მიუწვდომელია.

ფოთის რაიონული სასამართლო

შესავალი

2019 წლის 25 მაისს, სასამართლოს შენობის მისაწვდომობის მონიტორინგი განხორციელდა ფოთის რაიონულ სასამართლოში, რომელიც მდებარეობს ფოთში აღმაშენებლის ქ. 3 ნომერში.

შენობის ადგილმდებარეობა და მუნიციპალური ტრანსპორტი

სასამართლოს მიმდებარე ტერიტორიაზე არ არის მუნიციპალური ტრანსპორტისთვის განკუთვნილი ადაპტირებული გაჩერება მოსაცდელით. ასევე ქალაქს არ ემსახურება ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტი. სასამართლომდე მისასვლელი გზის ზედაპირი ბარიერებს შეიცვას. გზა არ არის მისაწვდომი უსინათლო მოქალაქისთვის. შესაბამისად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოქალაქე მხოლოდ საკუთარი ტრანსპორტით ან ტაქსით შეიძლება მივიდეს სასამართლო შენობასთან. შენობა განთავსებულია სავალის გზის პირას.

რეკომენდაცია

- რეკომენდებულია ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტით ქალაქის უზრუნველყოფა;
- რეკომენდებულია სასამართლოსთან მაქსიმალურად ახლოს მუნიციპალური ტრანსპორტის მისაწვდომი გაჩერების ორგანიზება;
- რეკომენდებულია ადაპტირდეს სასამართლომდე მისასვლელი გზა და ბილიკი.

სასამართლოს პარკინგი და ეზო

სასამართლოს არ აქვს ეზო. ავტომობილების გაჩერებისთვის განკუთვნილია საერთო სარგებლობის პარკინგი შენობის გვერდით. სასამართლოს არ გააჩნია მისაწვდომი სპეციალური ავტოსადგომი შშმ პირთათვის. გაჩერებიდან სასამართლომდე გზის ზედაპირი დაზიანებულია.

რეკომენდაცია

- რეკომენდებულია სასამართლოსთან მოეწყოს ორგანიზებული პარკირების ადგილები მათ შორის შშმ პირისთვის და რეაბილიტირდეს გზის საფარი.

შენობაში შესასვლელი/შიდა სივრცე

სასამართლო სამსართულიანია. შენობაში შესვლა შესაძლებელია მხოლოდ საერთო სარგებლობის გრძელი პანდუსით. თუმცა პანდუსი არასტანდარტულია და ეტლის მომხმარებელი მოქალაქისთვის შენობაში შესვლა შეუძლებელია. შენობის

შიგნით სართულები ერთმანეთთან დაკავშირებულია არასტანდარტული კიბით. სასამართლოს ძირითადი შესასვლელი კარი დამოუკიდებლად გამოყენების სტანდარტს არ აკმაყოფილებს, ავტომატური/ორმხრივი გაღების ფუნქციის არ არსებობის გამო. კარი შემინული და არამარკირებულია, რაც საფრთხეს ქმნის მცირემხედველი მოქალაქისთვის. შენობის შიდა სივრცე მანევრირებისთვის საკმარისია, იატაკი არასტანდარტული. არსებობს მოცურების რისკი, ირეკლავს შუქს, არ არის ტაქტილური მონიშვნები. ასევე ჰოლში არსებობს ბარიერები რაც საფრთხეს ქმნის უსინათლო მომხმარებლისთვის. საინფორმაციო დაფები გამოუსადეგარია უსინათლო/მცირემხედველი მომხმარებლისთვის. ფუნქციური დანიშნულების ობიექტებთან საინფორმაციო აბრები განთავსებულია არასტანდარტულ სიმაღლეზე და მიუწვდომელია. საკომუნიკაციო საშუალება (ტელეფონი) არაადაპტირებულია, კანცელარიის დახლი მიუწვდომელია ეტლის მომხმარებლისთვის. სასამართლოში გამოყენებული ავეჯი არასტანდარტულია, ძირითადად გამოყენებადი. სასამართლოში არ არის ადაპტირებული საპირფარეშო.

რეკომენდაცია

- რეკომენდებულია სასამართლოს შესასვლელის (პანდუსი, კარი, სართულებს შორისი კიბე) სტანდარტებთან მისადაგება;
- რეკომენდებულია საპირფარეშოს ადაპტირება;
- რეკომენდებულია საინფორმაციო დაფების/აბრების/საკომუნიკაციო საშუალებების, კანცელარიის დახლის, მისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- რეკომენდებულია შიდა სივრცეში არსებული ბარიერების მოხსნა.

მართლმსაჯულების პროცესი

სასამართლოს პირველ სართულზე არის 1 სხდომის დარბაზი. მეორე და მესამე სართულზე განლაგებულია ასევე სხდომის დარბაზები და მოსამართლეების და თანამშრომლების სამუშაო ოთახები. პირველ სართულზე არსებული დარბაზის შესასვლელი შეღწევადია. ოთახში არის საკმარისი სივრცე, ავეჯი არასტანდარტული, მაგრამ გამოყენებადია. შშმ პირი, როგორც მხარე (ადვოკატის ჩათვლით) საქმის წარმოების დროს არ აწყდება არსებით ბარიერს. სხდომის დარბაზი გამოუყენებელია შშმ პირისთვის მოსამართლის როლში. ძირითად ბარიერს ქმნის მაღალი ზღურბლი (30სმ) სასამართლოს სხდომის დარბაზში შესასვლელად. მოსამართლის კაბინეტი განთავსებულია მე-2 სართულზე დაკავშირებულია კიბით. არ არსებობს მისაწვდომი საპირფარეშო მოსამართლისთვის. მოწმე/ექსპერტისთვის განკუთვნილი ტრიბუნა მაღალია, რაც ქმნის ხილვადობის ბარიერს ეტლის მომხმარებელი პირისთვის და მოსამართლისთვის. ბრალდებულისთვის განკუთვნილი კაბინა, საკნებამდე მისასვლელი გზა და საპირფარეშო მიუწვდომელია. სასამართლოში არსებული ადვოკატთან და პროკურორთან შეხვედრის ოთახები სრულად მიუწვდომელია მეორე სართულზე განთავსების გამო.

რეკომენდაცია

- რეკომენდებულია, შშმ მოსამართლის არსებობის შემთხვევაში, მოდიფიცირდეს სამუშაო გარემო ლიფტის დამონტაჟებით;
- რეკომენდებულია ბრალდებულის კაბინის და მოწმე/ექსპერტი ტრიბუნის ადაპტირება, სტანდარტული ავეჯის შეძენა;
- რეკომენდებულია ბრალდებულისთვის საკნებამდე მისასვლელი გზის, საკნების და ბრალდებულის საპირფარეშოს ადაპტირება;
- რეკომენდებულია მისაწვდომი გახდეს ადვოკატთან და პროკურორთან შეხვედრის ოთახები შშმ პირებისთვის.

სტატუსი - შენობა ნაწილობრივ შეღწევადი და ნაწილობრივ მისაწვდომია.

ქუთაისის საქალაქო სასამართლო

შესავალი

2019 წლის 1 ივნისს, სასამართლოს შენობის მისაწვდომობის მონიტორინგი განხორციელდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, რომელიც მდებარეობს ქ. ქუთაისში კუპრაძის ქ. #11 ნომერში.

შენობის ადგილმდებარეობა და მუნიციპალური ტრანსპორტი

სასამართლოს მიმდებარე ტერიტორიაზე არ არსებობს მუნიციპალური ტრანსპორტისთვის განკუთვნილი მისაწვდომი გაჩერება მოსაცდელით. ქალაქს არ ემსახურება ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტი. გაჩერებიდან სასამართლომდე გზა მიუწვდომელია სხვადასხვა სახის დაბრკოლებების არსებობის გამო. გზა არ არის მისაწვდომი უსინათლო მოქალაქისთვის, დამოუკიდებლად გადაადგილება საფრთხის შემცველია. მოქალაქეს უწევს ქუჩის გადაკვეთა ყოველგვარი მონიშვნის ან/და შუქნიშნის გარეშე. შესაბამისად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოქალაქე მხოლოდ საკუთარი ტრანსპორტით ან ტაქსით შეიძლება მივიდეს სასამართლო შენობასთან.

რეკომენდაცია

- რეკომენდებულია სასამართლოსთან ახლოს მოეწყოს მისაწვდომი გაჩერება, მოსაცდელით და გაჩერებიდან სასამართლომდე გზა და ბილიკები ადაპტირდეს ყველა შშმ პირისთვის;
- რეკომენდებულია ქალაქს ემსახურებოდეს ადაპტირებული საზოგადოებრივი ტრანსპორტი.

სასამართლოს პარკინგი და ეზო

სასამართლოს აქვს კეთილმოწყობილი ეზო, არსებითი ბარიერების გარეშე, თუმცა დიდი სივრცის პირობებში მანევრირების საშუალება არ აქვს უსინათლო და მცირემხედველ მოქალაქეს, რაც საფრთხის შემცველია. მოქალაქეთა ავტომობილების გაჩერებისთვის განკუთვნილია ეზოს გარეთ გზის განაპირას არაორგანიზებული პარკინგი შშმ პირისთვის სპეციალური მონიშვნის გარეშე. თანამშრომლებს აქვთ განცალკევებით პარკინგი სასამართლოს ეზოში, სადაც ასევე არ არსებობს სპეციალური მონიშვნა შშმ პირისთვის. შშმ პირისთვის არსებობს სპეციალური შესასვლელი შენობის მეორე მხარეს, სადაც მხოლოდ საკუთარი ავტომობილით შეიძლება მისვლა, ციცაბო აღმართის გამო.

რეკომენდაცია:

- რეკომენდებულია ქალაქის ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტის ერთ-ერთი გაჩერება მოეწყოს სასამართლოს ადაპტირებული შესასვლელთან უახლოს ადგილას; იმავე ადგილას მოეწყოს შშმ მოქალაქის და თანამშრომლისთვის განკუთვნილი სპეციალური პარკინგის ადგილები. შენობის მთავარ შესასვლელთან გაკეთდეს ადაპტირებული გზის შესახებ მიმნიშნებელი აღნიშვნა;
- რეკომენდებულია, სასამართლოს ეზოს ადაპტირება უსინათლო და მცირემხედველი მოქალაქისთვის.

შენობაში შესასვლელი/შიდა სივრცე

სასამართლო არის 6 სართულიანი. შენობაში შესვლა შესაძლებელია ცენტრალური კიბით და პატიმართა ბადრაგირებისთვის განკუთვნილი შესასვლელიდან (შენობის უკანა მხარეს) იქვე არსებული არასტანდარტული და დამოუკიდებლად გამოუყენებელი პანდუსით. პანდუსამდე მისასვლელი გზის საფარი დაზიანებულია. სასამართლოს ძირითადი შესასვლელი კიბე არის მრავალდონიანი და არასტანდარტული, რომელიც სახიფათოა უსინათლო მომხმარებლისთვის. ცენტრალური და დამატებითი შესასვლელი კარი არასტანდარტულია ავტომატური გაღების ფუნქციის არ ქონის გამო. ცენტრალური კარი შემინული და არამარკირებულია. შენობის შიდა სივრცე საკმარისია, იატაკი არასტანდარტულია მოცურების რისკით, არ ირეკლავს შუქს, არ არის ტაქტილური მონიშვნები, რაც საფრთხეს ქმნის უსინათლო მოქალაქისთვის განსაკუთრებით ჰოლში არსებულია მრავალი ბარიერის გამო. საინფორმაციო დაფები გამოუყენებელია უსინათლო/მცირემხედველი მომხმარებლისთვის. თუმცა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში დანერგილია პოზიტიური პრაქტიკა, მანდატური როგორც წესი აცხადებს ყველა პროცესს და მიუთითებს სხდომის დარბაზს, რაც ელექტრონული ტაბლოს ერთგვარ ნაწილობრივ მისაწვდომობად შეიძლება ჩაითვალოს უსინათლო და მცირემხედველი მომხმარებლისთვის. ფუნქციური დანიშნულების ობიექტებთან საინფორმაციო აბრები განთავსებულია

არასტანდარტულ სიმაღლეზე და მიუწვდომელია. საკომუნიკაციო საშუალება (ტელეფონი), კანცელარიის დახლი მიუწვდომელია ყველა შშმ პირისთვის. სასამართლოში გამოყენებული ავეჯი არასტანდარტულია. სასამართლოში არ არის ადაპტირებული საპირფარეშო.

რეკომენდაცია

- რეკომენდებულია სასამართლოს გააჩნდეს მისაწვდომი შესასვლელი. შესაბამისად საჭიროა კიბის, კარის ადაპტირება, პანდუსის სტანდარტებთან მისადაგება;
- რეკომენდებულია სასამართლოს შესასვლელთან, სადაც პანდუსია განთავსებული ეზოს გზის საფარის შეკეთება;
- რეკომენდებულია სასამართლოს შენობის შიდა სივრცის ადაპტირება უსინათლო მომხმარებლისთვის;
- რეკომენდებულია სასამართლოს შენობაში საინფორმაციო დაფების/ აბრების/საკომუნიკაციო საშუალებების, დახლების მისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- რეკომენდებულია სასამართლოში ადაპტირებული საპირფარეშოების მოწყობა.

მართლმსაჯულების პროცესი

სასამართლოში 7 სხდომის დარბაზია, განთავსებულია სხვადასხვა სართულებზე. თუმცა ამათგან მხოლოდ ერთის (#1, პირველ სართულზე) გამოყენება არის შესაძლებელი შშმ პირის (ეტლით მოსარგებლის) მონაწილეობით. ნულ სართულზე არსებული 2 დამატებითი დარბაზი არასტანდარტული კიბით არის დაკავშირებული პირველი სართულის ჰოლთან, შესაბამისად მისი გამოყენება შეუძლებელია. დანარჩენი 4 სხდომის დარბაზი განლაგებულია მეორე-მეხუთე სართულებზე. შენობაში არ არის ლიფტი. პირველ სართულზე არსებული სხდომის დარბაზი შეღწევადია და შშმ პირი, როგორც მხარე (ადვოკატის ჩათვლით) საქმის წარმოების დროს არ აწყდება არსებით ბარიერს. ავეჯი არასტანდარტული მაგრამ გამოყენებადია. სხდომის დარბაზი გამოუყენებელია შშმ პირისთვის მოსამართლის როლში. ძირითად ბარიერს ქმნის კიბე, რომელიც მოსამართლის კაბინეტს აკავშირებს სხდომის დარბაზთან. მოწმე/ექსპერტისთვის განკუთვნილი ტრიბუნა მაღალია, რაც ქმნის ხილვადობის ბარიერს ეტლის მომხმარებელი პირისთვის და მოსამართლისთვის. ბრალდებულისთვის განკუთვნილი საკნები განთავსებულია ნულ სართულზე და დაკავშირებულია არასტანდარტული კიბით. საპირფარეშო მიუწვდომელია ყველა შშმ პირისთვის.

სასამართლოში განიხილება საქმეები ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით. სხდომის

დარბაზი განთავსებულია პირველ სართულზე სადაც შეღწევა შესაძლებელია კიბის საშუალებით. სხდომის დარბაზში არსებული სივრცე დამაკმაყოფილებელია თუმცა მიუწვდომელია ნაფიცი მსაჯულების შემოსასვლელი და მათი განთავსების ადგილი, ისევე როგორც მოსამართლისა და საფიცი მსაჯულების სათათბირო ოთახი, საპირფარეშო და სამზარეულო.

რეკომენდაცია

- რეკომენდებულია, შშმ მოსამართლის არსებობის შემთხვევაში, მოდიფიცირდეს სამუშაო ადგილი;
- რეკომენდებულია ნულ სართულზე არსებული 2 სხდომის დარბაზი (ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით განკუთვნილი დარბაზის ჩათვლით) გახდეს მისაწვდომი (ადაპტირდეს ნული სართულის კიბე, დარბაზის კართან მისასვლელი კიბე, ნაფიცი მსაჯულებისთვის განკუთვნილი საპირფარეშო, სხდომის დარბაზების შიდა ინფრასტრუქტურა და სხვა);
- რეკომენდებულია მოხდეს ბრალდებულისთვის განკუთვნილი კაბინების, საკნების და საპირფარეშოს ადაპტირება.

პოზიტიური პრაქტიკა

ქუთაისის საქალაქო სასამართლოში დანერგილია პოზიტიური პრაქტიკა, მანდატური აცხადებს პროცესებს და მიუთითებს სხდომის დარბაზს, რაც ელექტრონული ტაბლოს ერთგვარ ნაწილობრივ მისაწვდომობად შეიძლება ჩაითვალოს უსინათლო და მცირემხედველი მომხმარებლისთვის.

სტატუსი - შენობა ნაწილობრივ შეღწევადი და ნაწილობრივ მისაწვდომი.

თბილისის სააპელაციო სასამართლო

შესავალი

2019 წლის 13 მაისს, სასამართლოს შენობის მისაწვდომობის მონიტორინგი განხორციელდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, გრიგოლ რობაქიძის გამზირზე, 7ა ნომერში.

შენობის ადგილმდებარეობა და მუნიციპალური ტრანსპორტი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს შენობა არის ოთხსართულიანი, მდებარეობს გზის პირას. სასამართლოს სიახლოვეს არ არის შშმ პირებისათვის მისაწვდომი გაჩერება. ქალაქს ემსახურება ნაწილობრივ მისაწვდომი საზოგადოებრივი ტრანსპორტი (ავტობუსები). თუმცა, მიუწვდომელი გაჩერებების პირობებში ის

გამოუყენებელია შშმ პირების მიერ სასამართლომდე მისასვლელად.

რეკომენდაცია

- მოხდეს ყველა შშმ პირისათვის ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტის უზრუნველყოფა;
- სასამართლოსთან მაქსიმალურად ახლოს მოეწყოს მუნიციპალური ტრანს-პორტის გაჩერება შესაბამისი ადაპტირებული მოსაცდელით;
- ადაპტირებული გაჩერებიდან სასამართლომდე მისასვლელი გზა მოეწყოს იმდაგვარად, რომ ის მისაწვდომი იყოს ყველა შშმ პირისთვის;

სასამართლოს პარკინგი და ეზო

სასამართლოს აქვს ეზო, რომელიც შემოსაზღვრულია ღობით. ეზოში არ არის არსებითი ბარიერები, თუმცა არ არის აღჭურვილი ტაქტილური ბილიკით. ეზოს სავალი ნაწილის სიგანე არის სტანდარტის შესაბამისი, ასევე სტანდარტს შეესაბამება ეზოში განლაგებული სკამები. სასამართლოს აქვს ორგანიზებული პარკინგი სტანდარტების დაცვით, გამოყოფილია ადგილები შშმ პირებისთვის და აღჭურვილია შესაბამისი საგზაო ნიშნით.

რეკომენდაცია

- სასამართლოს ეზოში მოეწყოს ტაქტილური ბილიკები როგორც ჭიშკრიდან ძირითად შესასვლელამდე, ისე პარკირების ადგილიდან შენობამდე.

შენობაში შესასვლელი/შიდა სივრცე

შენობაში შესასვლელად გამოყოფილია კიბე და პანდუსი. კიბესა და პანდუსზე არ გვხვდება ტაქტილური ბილიკები. კიბეს აქვს კანტი, მაგრამ არ არის კონტრასტული ფერის. კიბე არ არის სრულად სტანდარტების შესაბამისი, არ აქვს ორმხრივი მოაჯირი, კიბის საფეხურის სიღრმე არ შეესაბამება სტანდარტს. პანდუსი სტანდარტების შესაბამისად არის გაკეთებული. თუმცა, არ გვხვდება მასზე ტაქტილური ბილიკები. კარები არ აკმაყოფილებს სტანდარტს, არ აქვს ავტომატური გაღების ფუნქცია. არის მინის და არ არის მასზე მარკირებები. იატაკი შესასვლელსა და დერეფნებში არის პრიალა, სრიალა და მოცურების საფრთხის შემცველი. სასამართლოში არის ელექტრო დაფები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ხმოვანდება. მოქალაქეებისთვის განკუთვნილი სკამები არ არის სტანდარდის შესაბამისი, თუმცა სტანდარტის შესაბამისია განცხადების დასაწერად გამოყოფილი მაგიდები. სტანდარტისგან განსხვავებით ბევრად მაღალ სიმაღლეზეა საკანცელარიო დახლი, საინფორმაციო დაფა და დახლი, ტელეფონი, საჩივრების ყუთი. სასამართლოში მოწყობილია ქსეროქსების ოთახი, სადაც მოქალაქეს შეუძლია საქმის მასალების გადაღება. აღნიშნულ ოთახში შესასვლელი კარები და იატაკი არ შეესაბამება

სტანდარტს. სასამართლოში ასევე არის კომპიუტერი მოქალაქეთა გამოყენებისთვის, თუმცა არ ახლავს პრინტერი. ოთახებისა და დარბაზების აღმნიშვნელი აბრებზე არსებული წარწერები და განთავსების სიმაღლე არ შეესაბამება სტანდარტს. დერეფნების დასაკავშირებლად ერთ ადგილას გამოყენებულია პანდუსი, რომელიც არ შეესაბამება სტანდარტს. სასამართლოში არის ასევე საქმის გაცნობის ოთახი. კარები შეღწევადია, თუმცა, ოთახის იმ ნაწილთან მისასვლელად, სადაც განთავსებულია მაგიდები, ვიწრო დერეფანი გვხვდება. ოთახი ავეჯით არის გადატვირთული, რაც ართულებს ეტლის მანევრირებას. სართულებს შორის დასაკავშირებლად გამოყენებულია კიბე, რომელიც არ აკმაყოფილებს სტანდარტს.

სასამართლოში არის ერთი ადაპტირებული საერთო მოხმარების საპირფარეშო. საპირფარეშოს შესასვლელი და ძირითადი ინვენტარის აკმაყოფილებს სტანდარტებს. თუმცა პრობლემურია უნიტაზის სიღრმე, მისი დაშორების სიმაღლე იატაკის ზედაპირიდან და ცალმხრივი მოაჯირი. ასევე, საპირფარეშომდე არ არის ტაქტილური ბილიკები და კონტრასტული ფერები.

რეკომენდაცია

- ძირითად შესასვლელთან არსებულ კიბესა და პანდუსზე მოეწყოს ტაქტილური ბილიკები და კონტრასტული ფერებით გამოყოფა;
- შესასვლელი კიბის საფეხურის სიღრმე მოვიდეს სტანდარტის შესაბამისად და კიბეს დაუმონტაჟდეს ორმხირივი მოაჯირი;
- შესასვლელ კარებზე განთავსდეს მარკირებები;
- იატაკი მოვიდეს სტანდარტების შესაბამისობაში და გახდეს უსაფრთხო შშმ პირების გადაადგილებისთვის, ასევე ყველა საერთო მოხმარების სივრცეში იატაკზე მოხდეს ტაქტილური ბილიკების განთავსება;
- ელექტრო დაფებზე მუდმივად ხდებოდეს ინფორმაციის ხმოვან რეჟიმში წარმოდგენა;
- მოხდეს სასამართლოში არსებული ადაპტირებული საპირფარეშოს სრულად მისაწვდომობა;
- მოხდეს შიდა კიბის, კანცელარიის დახლის, სკამების, საინფორმაციო დაფის, აბრების, საჩივრების ყუთის და შეხვედრების ოთახის მისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- სტანდარტების შესაბამისად მოხდეს ქსეროქსების ოთახის ინვენტარის, იატაკისა და შესასვლელის მოწყობა;
- მოხდეს შიდა სივრცეების დამაკავშირებელი პანდუსის სტანდარტის შესაბამისად ადაპტირება.

მართლმსაჯულების პროცესი

სასამართლოში არის სულ 21 სხდომის დარბაზი, აქედან 10 განლაგებულია პირველ სართულზე. მონიტორინგის ფარგლებში შემოწმდა პირველ სართულზე არსებული ოთხი სხდომათა დარბაზი: ადმინისტრაციულ, სამოქალაქო და სისხლის სამართალწარმოების დარბაზები. ოთხივე დარბაზის შემთხვევაში კარები არის სტანდარტის შესაბამისი. დარბაზებში არის საკმარისი სივრცე მანევრირებისათვის და ავეჯის გადაადგილების შემთხვევაში ის მისაწვდომი იქნება ეტლით მოსარგებლე შშმ პირებისთვის. თუმცა, არცერთ დარბაზში არ არის გათვალისწინებული უსინათლო/მცირემხედველი პირების საჭიროებები. დაბრკოლებას ეტლით მოსარგებლე შშმ პირებისთვის სხდომათა დარბაზებში წარმოადგენს მხარეების მაგიდების სტატიკური მდგომარეობა, რადგან ისინი დამაგრებულია იატაკზე. თუმცა, მაგიდების გადაადგილების შემთხვევაში ის მისაწვდომი გახდება. სტანდარტს არ შეესაბამება მოწმის/ექსპერტის ტრიბუნა. მისაწვდომობის თვალსაზრისით პრობლემურია სისხლის სამართლის დარბაზში არსებული ბრალდებულის კაბინა, რომლის კარებიც არის ვიწრო და შიგნით არის დამონტაჟებული სკამი. თუმცა, აღნიშნეს, რომ შშმ ბრალდებულის შემთხვევაში ის შემოყავთ ძირითადი შესასვლელიდან და სვამენ მხარის მაგიდასთან. პრობლემურია შემოწმებული დარბაზებიდან ყველა (გარდა ერთი დარბაზისა), მოსამართლეთა შემოსასვლელი მაღალი ზღურბლიდან გამომდინარე. აღნიშნული თვალსაზრისით გამონაკლისია #18, #19 და #20 დარბაზები, სადაც არ არის ბარიერი მოსამართლეებისთვის და მხარეებთან ერთად შედის საერთო შესასვლელიდან.

რეკომენდაცია

- დადაბლდეს მოწმე/ექსპერტის ტრიბუნა;
- სხდომათა დარბაზი მისაწვდომი გახდეს უსინათლო/მცირედმხედველი პირებისათვის;
- სხდომათა დარბაზში ავეჯი ისე განლაგდეს, რომ მისაწვდომი გახდეს შშმ პირებისთვის;
- შშმ მოსამართლის ან/და თანაშემწის არსებობის შემთხვევაში, მოდიფიცირდეს სამუშაო გარემო მისი საჭიროებების მიხედვით;

პოზიტიური პრაქტიკა

სასამრთლოს გააჩნია მინიმუმ 3 სხდომის დარბაზი, სადაც ეტლით მოსარგებლე მოსამართლისთვის არ არსებობს ბარიერი დარბაზის შიგნით, რაც განპირობებულია ნულოვანი შესასვლელით მოსამართლისთვის განკუთვნილ მაგიდასთან. ამ თვალსაზრისით თბილისის სააპელაციო სასამართლო თითქმის გამონაკლისად ქმნის დადებით პრაქტიკას.

სტატუსი – შენობა ნაწილობრივ შეღწევადი და ნაწილობრივ მისაწვდომია.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლო

შესავალი

2019 წლის 25 მაისს, სასამართლოს შენობის მისაწვდომობის მონიტორინგი განხორციელდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში, რომელიც მდებარეობს ქ. ქუთაისში, ნიუპორტის 32 ნომერში.

შენობის ადგილმდებარეობა და მუნიციპალური ტრანსპორტი

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს შენობა არის სამსართულიანი. ქალაქში არ არის მუნიციპალური ადაპტირებული ტრანსპორტი. ასევე, სასამართლოს სიახლოვეს არ არის მოწყობილი გაჩერება, რომელიც მისაწვდომი იქნება შშმ პირებისთვის.

რეკომენდაცია

- მოხდეს ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტის უზრუნველყოფა;
- სასამართლოსთან მაქსიმალურად ახლოს მოეწყოს მუნიციპალური ტრანსპორტის გაჩერება შესაბამისი ადაპტირებული მოსაცდელით;
- ადაპტირებული გაჩერებიდან სასამართლომდე მისასვლელი გზა მოეწყოს იმდაგვარად, რომ ის მისაწვდომი იყოს ყველა შშმ პირისთვის;

სასამართლოს პარკინგი და ეზო

სასამართლოს აქვს კეთილმოწყობილი ეზო, რომელიც შემოსაზღვრულია ღობით. ეზოში განთავსებულია სკამები, რომლებიც არ შეესაბამება სტანდარტებს. ასევე, გვხვდება ფანტანი, რომლითაც ვერ ისარგებლებს ეტლით მოსარგებლე. ეზოში არ გვხვდება არსებითი ბარიერი, თუმცა არ არის ტაქტილური ბილიკები. ძირითად შემოსასვლელთან არის დიდი კიბე, შესაბამისად შშმ პირი შემოდის გვერდითა კარებიდან ეტლით ან მანქანით. პარკინგი არის შენობის გარეთ ცენტრალურ შესასვლელთან და ეზოშიც, თუმცა არაორგანიზებულია, არ არის გამოყოფილი ადგილი შშმ პირებისთვის.

რეკომენდაცია

- მოეწყოს ორგანიზებული შიდა და გარე პარკინგი მოქალაქეებისთვის და თანამშრომლებისთვის, მათ შორის გამოიყოს სტანდარტების შესაბამისი ადგილი შშმ პირებისთვის;
- ცენტრალურ შესასვლელთან განთავსდეს მიმანიშნებელი ინფორმაცია მისაწვდომ შესასვლელთან დაკავშირებით;
- გამოიყოს სასამართლოს შენობამდე და ორგანიზებულ პარკირებიდან შენობამდე მისასვლელი ბილიკები, რომლებიც მისაწვდომი იქნება ყველა

შშმ პირისთვის;

- ეზოში განთავსებული სკამები და ფანტანი მისაწვდომი გახდეს შშმ პირებისთვის;
- ეზო მისაწვდომი გახდეს უსინათლო/მცირემხედველი პირებისთვის ტაქტილური ბილიკების მოწყობის გზით.

შენობაში შესასვლელი/შიდა სივრცე

სასამართლოში შშმ პირის შესვლის მიზნით არის ორი პანდუსი. პირველი პანდუსი გვხვდება გვერდითა შესასვლელში, სადაც არის ერთი საფეხური. აღნიშნულ საფეხურთან დამონტაჟებული პანდუსი არ არის სტანდარტის შესაბამისი. კარები შეღწევადია, თუმცა, როგორც კი შევა კარებიდან, ვეღარ შეძლებს დამოუკიდებლად გადაადგილებას. შესაბამისად ეს პანდუსი გამოუყენებელია. მეორე პანდუსი მოწყობილია მეორე გვერდითა შესასვლელთან, რომელიც ასევე არ შეესაბამება სტანდარტს, არა აქვს მოაჯირი. თუმცა, სივრცე იძლევა საშუალებას, რომ მოხდეს მისი სტანდარტებთან მისადაგება. აღნიშნულ პანდუსთან გვხვდება ერთფრთიანი რკინის კარები, რომელიც არის ვიწრო და მხოლოდ ყველაზე პატარა ეტლი შეძლებს შესვლას. აღნიშნული შესასვლელიდან მარჯვენა მხარეს არის სხდომათა დარბაზი, რომელიც გამოიყენება შშმ პირის მონაწილეობისთვის

ცენტრალურ შემოსასვლელთან არის პატარა ზღურბლი, რომელიც საჭიროებს ადაპტირებას. კარები არის სტანდარტის შესაბამისი. კარებთან არსებული ავეჯის გადაადგილების შემთხვევაში, კარების ორივე მხარეს იქნება საკმარისი სივრცე მანევრირებისათვის. ჰოლში შშმ პირი ვერ მოხვდება რადგან ცენტრალური შესასვლელი არ არის მისაწვდომი, ხოლო გვერდითა შესასვლელი რომელიც პანდუსით არის აღჭურვილი, ჰოლს უკავშირდება კიბით. ჰოლში არის საკმარისი სივრცე მანევრირებისათვის და გვხვდება კონტრასტული ფერები, რაც მცირემხედველ პირს გაუადვილებს გადაადგილებას. ჰოლში გამოყენებულია უსაფრთხოების არკა, რომელიც ძალიან ვიწროა. ეს უნდა გაფართოვდეს ან სხვა შესასვლელი გაკეთდეს და ხელის დეტექტორით შემოწმდნენ შშმ პირები. ჰოლში არის ელექტრო დაფა, რომელიც მიუწვდომელია უსინათლო მომხმარებლისთვის . შენობაში უსინათლო/ მცირემხედველი პირების დამოუკიდებელი გადაადგილების მიზნით არ არის ტაქტილური ბილიკები მოწყობილი. სტანდარტების დარღვევით არის მოწყობილი საკანცელარიო დახლი, მოქალაქეებისთვის გამოყოფილი მაგიდა და ტელეფონი. ჰოლში განთავსებული სკამები გამოყენებადია შშმ პირების მიერ. მისაწვდომად არ არის განთავსებული დარბაზებისა და ოთახების აღმნიშვნელი აბრები. ჰოლიდან არის ასასვლელი მეორე და მესამე სართულზე დიდი კიბით. კიბე არის ორმხრივი მოაჯირით და გამოყენებადია, თუმცა არ არის სტანდარტების შესაბამისი სრულად, არ არის კონტრასტული ფერებით გამოყოფილი. სასამართლოში არის კაფეტერია რომელიც დამატებითი შენობის სახით განთავსებულია სასამართლოს ეზოში,

თუმცა მიუწვდომელია, რადგანა მეორე სართულზეა და დაკავშირებულია კიბით. სასამართლოს აქვს სპორტდარბაზი და კალათბურთის მოედანი ღია სივრცეში რაც პროფესიული გადაწვის პრევენციას მნიშვნელოვანი ემსახურება, თუმცა აუცილებელია მათი კეთილმოწყობა და მისაწვდომობის უზრუნველყოფა შშმ დასაქმებული პირისთვის. სასამართლოს შენობაში არის საქმის გაცნობის ოთახი, რომელიც არ არის მისაწვდომი შშმ პირებისთვის.

მოქალაქეებისთვის განკუთვნილი საპირფარეშო არის ეზოში, არ აკმაყოფილებს არცერთ სტანდარტს და სრულიად გამოუყენებელია შშმ პირის მიერ. უშუალოდ შენობის პირველ სართულზე არის თანამშრომლების საპირფარეშო, რომელიც არ არის ასევე მისაწვდომი, კარები არის ვიწრო, შიგნით გვხვდება ორი კაბინა, რომელიც შეიძლება გაერთიანდეს და მოეწყოს ერთი მისაწვდომი სველი წერტილი.

რეკომენდაცია

- მოხდეს სასამართლოს ძირითადი შესასვლელის ადაპტირება (ზღურბლი, ავეჯის გადაადგილების საშუალებით შიდა სივრცის გაფართოება ეტლის მანევრირებისათვის) მისი დამოუკიდებელი გამოყენების მიზნით;
- უსაფრთხოების შესამოწმებლად მოეწყოს ალტერნატიული შესასვლელი შშმ პირებისთვის;
- ელექტრო დაფაზე განთავსებული ინფორმაცია მისაწვდომი გახდეს ყრუ, უსინათლო/მცირემხედველი პირებისთვის;
- სასამართლოს შენობაში მოეწყოს ერთი მისაწვდომი საპირფარეშო;
- უზრუნველყოფილი იყოს კაფეტერიის სრულად მისაწვდომობა;
- მოხდეს კანცელარიის დახლის, მოქალაქეებისთვის გამოყოფილი მაგიდის, აბრების და შეხვედრების ოთახის მისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- მეორე და მესამე სართულები მისაწვდომი გახდეს შშმ პირებისათვის, რისთვისაც საჭიროება სართულების დამაკავშირებელი კიბის ადაპტირება.
- რეკომენდებულია მისაწვდომი გახდეს სპორტდარბაზი და კალათბურთის მოედანი შშმ თანამშრომლებისთვის.

მართლმსაჯულების პროცესი

სასამართლოში არის სულ 7 სხდომის დარბაზი. მონიტორინგის ფარგლებში დეტალურად შემოწმდა პირველ სართულზე მდებარე ერთი სხდომის დარბაზი (№2 სხდომათა დარბაზი), რადგან სხვა სართულებზე დღეისათვის სრულად შეუძლებელია შშმ პირების ასვლა. დარბაზი არის ძალიან დიდი, არ არის ბარიერები მხარეებისთვის, არც მედიისთვის, არც დამსწრისთვის. თუმცა, არ არის ტაქტილური ბილიკები. დარბაზში არსებული ბარიერებიდან უნდა გამოიყოს

ხის გადაბმული სკამები დამსწრეებისთვის და მოწმის ტრიბუნის სიმაღლე. მოსამართლეების შემთხვევაში უფრო მეტი დაბრკოლებებია. იქედან გამომდინარე, რომ მოსამართლის ოთახები მეორე ან/და მესამე სართულზეა განთავსებული, პირველ სართულზე ჩამოსვლას შშმ მოსამართლე ვერ შეძლებს დღეს არსებული ვითარებით. დაბრკოლებას წარმოადგენს ასევე დარბაზში შემოსასვლელი კარების ზღურბლი. ყველა შიდა კარები აღნიშნულ სასამართლოში სტანდარტულად არის 73-85 სანტიმეტრი, რომელიც მხოლოდ მცირე ეტლისთვის არის შეღწევადი. მეორე სართულზე მოწყობილი ახალ სხდომათა დარბაზები, რომლებიც სივრცისა და ავეჯის თვალსაზრისით სტანდარტებთან მაქსიმალურად მიახლოებულია რაც დადებით პრაქტიკად შეიძლება ჩაითვალოს. თუმცა შშმ პირისთვის სრულიად მიუწვდომელია. განსაკუთებით აღსანიშნავია, ექსკლუზიურად, სტანდარტების შესაბამისი მოწმის/ ექსპერტის ტრიბუნა მოწმის ტრიბუნა სრულიად მისაწვდომია შშმ პირისთვის და პოზიტიურ პრაქტიკად უნდა მივიჩნიოთ. თუმცა, მხარეებისა და დამსწრეების სივრცე ერთმანეთისგან გამოყოფილია შუშით, რომელზეც არ არის აღნიშნული მარკირებები და პრობლემური იქნება მცირემხედველი და უსინათლო პირების შემთხვევაში. აღნიშნულ დარბაზშიც მოსამართლეების შემთხვევაში პრობლემურია ვიწრო კარები და დარბაზში შესასვლელი კარების ზღურბლი.

ბრალდებულებისთვის გამოყოფილი საკნები არ შეესაბამება სრულად სტანდარტებს. შესასვლელი არ წარმოადგენს ბარიერს, შიდა სივრცე საკმარისია, კარები შეღწევადია, მაგრამ სრულად არ შეესაბამება სტანდარტს. საპირფარეშოს გამოყენებას ვერ შეძლებს შშმ პირი, არის ჩეჩმა და მისასვლელად უნდა გაიაროს კიბე. თუმცა, შიდა სივრცე იძლევა საშუალებას, მოხდეს მისაწვდომი საპირფარეშოს მოწყობა.

მოსამართლეების კაბინეტები მეორე და მესამე სართულებზეა. შშ მოსამართლის შემთხვევაში აუცილებელია მოდიფიცირდეს სამუშაო გარემო, კერძოდ პირველი და მეორე სართულის ერთმანეთთან დაკავშირება ადაპტირება და მისაწვდომი საპირფარეშოს მოწყობა მოსამართლეებისთვის. თუ კიბე ადაპტირდება, ცოტა იქნება გასაკეთებელი და მხოლოდ საპირფარეშოს მოდიფიკაცია იქნება საჭირო. სხვა შემთხვევაში პირველ სართულზე უნდა გადაიტანონ ოფისი და იქაც ადაპტირდეს საპირფარეშო.

რეკომენდაცია

- მეორე სართულზე განთავსებული დარბაზის გარდა დადაბლდეს მოწმე/ ექსპერტის ტრიბუნა;
- სხდომათა დარბაზი მისაწვდომი გახდეს უსინათლო/მცირედმხედველი პირებისათვის;
- სხდომათა დარბაზში ავეჯი ისე განლაგდეს, რომ მისაწვდომი გახდეს შშმ პირებისთვის;

- მეორე სართულზე არსებული ახალი დარბაზის შემთხვევაში მხარეებისა და დამსწრეების შუაში არსებული შუშა გამოიყოს შესაბამისი მარკირებით;
- დარბაზის შესასვლელში განთავსებული რუკები დამონტაჟდეს კარებზე სტანდარტის შესაბამისი სიმაღლით და გახდეს ტაქტილური;
- შშმ მოსამართლის ან/და თანაშემწის არსებობის შემთხვევაში, მოდიფიცირდეს სამუშაო გარემო მისი საჭიროებების მიხედვით;
- მოხდეს ბრალდებულის საპირფარეშოსა და საპირფარეშომდე არსებული კიბის ადაპტირება.

პოზიტიური პრაქტიკა

აღნიშნულ სასამართლოში დარბაზების შესასვლელთან გამოკრულია ოთახის რუკა. მართალია, არასტანდარტულ სიმაღლეზეა არის განთავსებული, მაგრამ თავისთავად მიდგომა არის საინტერესო შშმ პირების მიერ დარბაზის განლაგების შესწავლის მიზნით. თუ აღნიშნული რუკა სტანდარტის დაცვით გაიკვრება და იქნება ასევე ტაქტილური, ის დარბაზს უფრო მისაწვდომს გახდის უსინათლო და მცირემხედველი პირებისათვის. ასევე ქუთაისის სააპელაციო სასამართლო არის ერთადერთი სასამართლო, რომელიც მეორე სართულზე არსებულ სხდომის დარბაზში გამოიყენებს სრულიად მისაწვდომ და სტანდარტებთან მისადაგებული სიმაღლის ტრიბუნას, რაც დადებითი პრაქტიკაა და სასურველია სხვა სასამართლოებმაც გაიზიარონ.

სტატუსი - შენობა შეუღწეველი და ნაწილობრივ მისაწვდომია.

რუსთავის საქალაქო სასამართლო

შესავალი

2019 წლის 11 მაისს, სასამართლოს შენობის მისაწვდომობის მონიტორინგი განხორციელდა რუსთავის რაიონულ სასამართლოში, რომელიც მდებარეობს ქ. რუსთავში, ბოსტან ქალაქის ქუჩაზე 6 ნომერში.

შენობის ადგილმდებარეობა და მუნიციპალური ტრანსპორტი

რუსთავის საქალაქო სასამართლოს შენობა არის ორსართულიანი, მდებარეობს გზის პირას. სასამართლოს ახლოს არ არის მისაწვდომი გაჩერება. ქალაქს ემსახურება მუნიციპალური ტრანსპორტი, თუმცა ის არ არის მისაწვდომი შშმ პირებისთვის. თავად გზაზე არსებითი ბარიერები არ არის, დაგებულია ასფალტი.

რეკომენდაცია

- მოხდეს ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტის უზრუნველყოფა;
- მოეწყოს სასამართლოსთან მაქსიმალურად ახლოს მუნიციპალური ტრანსპორტის გაჩერება შესაბამისი ადაპტირებული მოსაცდელით.

სასამართლოს პარკინგი და ეზო

სასამარლოს არ აქვს ეზო და პირდაპირ გზიდან ხდება მოქალაქეების შესვლა. შესასვლელში არსებულ კიბესთან მისასვლელად მოქალაქეს უწევს ამაღლებული ტროტუარის გავლა, რომელიც არ არის მისაწვდომი შშმ პირებისთვის, მათ შორის არც უსინათლო/მცირემხედველი პირებისთვის, რადგან არ არის გამოყოფილი ტაქტილური ბილიკები. სასამართლოს წინ მოწყობილია არაორგანიზებული პარკინგი, არ არის დახაზული და არ არის გამოყოფილი შშმ პირებისათვის პარკირების მისაწვდომი ადგილი. თუმცა პანდუსამდე მისასვლელ გზაზე განთავსებულია სასამართლოს მიერ დამზადებული შშმ პირის ნიშანი. და იგივე ნიშანი დატანილია ასფალტზეც.

რეკომენდაცია

- მოეწყოს ორგანიზებული პარკინგი მოქალაქეებისთვის და თანამშრომლებისთვის, მათ შორის გამოიყოს სტანდარტების შესაბამისი ადგილი შშმ პირებისთვის და სტანდარტის შესაბამისად გაკეთდეს აღნიშვნები;
- სასამართლოს ძირითად შესასვლელამდე მისასვლელი ტროტუარი მისაწვდომი გახდეს შშმ პირებისთვის, გაკეთდეს ეტლის ასასვლელი და მოეწყოს ტაქტილური ბილიკები.

შენობაში შესასვლელი/შიდა სივრცე

სასამართლოს ძირითადი შესასვლელიდან შენობაში შესვლა შესაძლებელია კიბით და პანდუსით. პანდუსი დამონტაჟებულია კიბის გვერდით და არ შეესაბამება სტანდარტს, არ არის სტანდარტის შესაბამისი დახრილობით, მოაჯირი არის მხოლოდ ერთ მხარეს და სტანდარტის შეუსაბამო. პანდუსზე არ გვხვდება კონტრასტული ფერები. კიბე არ აკმაყოფილებს სტანდარტს, არ ახლავს მოაჯირი, სტანდარტებს არ შეესაბამება საფეხურები, არ არის ტაქტილური ბილიკები და კონტრასტული ფერები. კიბის დასაწყისში და ბოლოში ბაქანი სტანდარტს შეესაბამება. კარები არის შეღწევადი, მინის და არ არის გამოყოფილი მარკირებით. ჰოლში არის საკმარისი სივრცე მანევრირებისათვის. ძირითად შესასვლელში არსებული კანცელარიის დახლი, საჩივრების ყუთი, საინფორმაციო დაფა და მისი დახლი, ტელეფონის დახლი არ არის სტანდარტის შესაბამისად მოწყობილი. ოთახისა და დარბაზის აღმნიშვნელი აბრები არ არის განთავსებული სტანდარტის შესაბამისად. იატაკი არის

პრიალა, სრიალა და საფრთხის შემცველია. დერეფნებსა და ძირითად შესასვლელში დგას სკამები მოქალაქეებისთვის, რომლებიც არ შეესაბამება სტანდარტს, არის გადაბმული, უმეტეს მათგანს არა აქვს მოაჯირი და არ არის სტანდარტის შესაბამისი სიმაღლის. მეორე სართულზე ასასვლელად გამოყენებულია ორნაწილიანი კიბე როგორც მოქალაქეებისთვის, ისე თანამშრომლებისთვის, რომლებიც ასევე გამოუყენებელია შშმ პირების მიერ.

სასამართლოში არის კაფეტერია თანამშრომლებისთვის, მეორე სართულზე. კაფეტერიაში შიდა სივრცე არ არის საკმარისი მანევრირებისათვის, კარები არის ვიწრო, იატაკი არის პრიალა და სრიალა. კაფეტერიაში არსებულ მაგიდებს აქვთ შიდა ბარიერი, რის გამოც ეტლით მოსარგებლე შშმ პირი ვერ შეძლებს მაგიდასთან მისვლას.

სასამართლოს აქვს ორი საპირფარეშო ქალებისა და კაცებისათვის პირველ სართულზე, რომელიც არ შეესაბამება სტანდარტს. ასევე, სტანდარტების დარღვევით არის გაკეთებული მოსამართლეთა საპირფარეშოები. საერთო მოხმარების საპირფარეშოებიდან ერთი სრულად მიუწვდომელია. რაც შეეხება, მეორე საპირფარეშოს, მათი გაერთიანების შემთხვევაში შეიძლება ერთი მისაწვდომი სველი წერილის გაკეთება სასამართლოში. მსგავსი მიდგომა შეიძლება გამოყენებული იყოს მოსამართლეთა საპირფარეშოების შემთხვევაშიც, რომელიც არ არის ადაპტირებული. თუმცა, შენობაში არის ერთი მისაწვდომი საპირფარეშო მოსამართლეებისთვის, თუმცა ის სრულად შეუსაბამოა და გამოუყენებელია შშმ პირის მიერ.

რეკომენდაცია

- რეკომენდებულია სასამართლოს შესასვლელის (კიბე, პანდუსი) ადაპტირება დამოუკიდებლად გამოსაყენებლად;
- რეკომენდებულია ერთი მისაწვდომი საპირფარეშოს მოწყობა მოქალაქეებისთვის, ასევე საჭიროების შემთხვევაში შშმ მოსამართლისა და თანამშრომლებისთვის;
- რეკომენდებულია საინფორმაციო დაფების, აბრების, კანცელარიის დახლის, საჩივრის ყუთის, სკამების მისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- მნიშვნელოვანია სართულების დამაკავშირებელი საერთო კიბის ადაპტირება, ასევე თანამშრომლების კიბის მისაწვდომობის უზრუნველყოფა საჭიროების შემთხვევაში;
- საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს თანამშრომელთა კაფეტერიის მისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- მთელ სასამართლოში მოეწყოს ტაქტილური ბილიკები და გამოიყოს კონტრასტული ფერებით.

მართლმსაჯულების პროცესი

დარბაზებში შესასვლელი არის ნულოვანი და კარების სიგანე აკმაყოფილებს სტანდარტს, მაგრამ არასტანდარტულად არის განთავსებული სახელურები. დარბაზებში არსებული მოწმის/ექსპერტის ტრიბუნები არის მაღალი. პირველ სართულზე სხდომათა დარბაზებამდე მისასვლელი დერეფნები უმეტეს შემთხვევაში არის ვიწრო. დარბაზებში საკმარისი სივრცეა მანევრირებისათვის. ავეჯის გადაადგილების შემთხვევაში ის მისაწვდომი იქნება მხარეებისთვის. მისაწვდომობის თვალსაზრისით განსხვავდება სისხლის სამართლის დარბაზები, სადაც პრობლემურია ბრალდებულების განსათავსებელი საკნების მისაწვდომობა და ნაფიც მსაჯულთა სივრცე, რომელიც იმდენად ვიწრო შესასვლელით უკავშირდება ოთახს, რომ შეუძლებელია დღეს არსებული მდგომარეობით შშმ პირების მიერ მისი გამოყენება. არცერთ დარბაზში არ არის გათვალისწინებული უსინათლო/მცირემხედველი პირების საჭიროებები. მოსამართლეების მისაწვდომობის კუთხით მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენს დარბაზში შესასვლელი ზღურბლი და ვიწრო კარები. სასამართლოში არის ნაფიც მსაჯულთა ოთახი, რომელიც მიუწვდომელია შშმ პირებისთვის, მდებარეობს მეორე სართულზე, კარები არის ვიწრო, შიდა სივრცე არასაკმარისია მანევრირებისათვის.

რეკომენდაცია

- შშმ მოსამართლისა და თანამშრომლების არსებობის შემთხვევაში, მოდიფიცირდეს სამუშაო გარემო;
- დადაბლდეს მოწმე/ექსპერტი ტრიბუნა;
- მოხდეს ბრალდებულისთვის განკუთვნილი საკნების და კაბინის ადაპტირება;
- ნაფიც მსაჯულთა განთავსების სივრცე მისაწვდომი გახდეს შშმ პირებისთვის;
- ყველა დარბაზის შემთხვევაში მოხდეს მისი ადაპტირება უსინათლო/მცირემხედველი პირების მიერ მისი დამოუკიდებლად გამოყენების მიზნით;
- სამოქალაქო/ადმინისტრაციული პროცესებისთვის განკუთვნილ დარბაზებში მოხდეს ავეჯის გადაადგილება ისე, რომ ის მისაწვდომი იყოს შშმ პირებისთვის.

სტატუსი - შენობა შეუღწეველი და ნაწილობრივ მისაწვდომია.

მცხეთის რაიონული სასამართლო

შესავალი

2019 წლის 12 მაისს, სასამართლოს შენობის მისაწვდომობის მონიტორინგი განხორციელდა მცხეთის რაიონულ სასამართლოში, რომელიც მდებარეობს ქ. მცხეთაში, სამხედროს 17 ნომერში.

შენობის ადგილმდებარეობა და მუნიციპალური ტრანსპორტი

მცხეთის რაიონული სასამართლოს შენობა არის სამსართულიანი, მდებარეობს გზის პირას. გზის პირას არ არის მოწყობილი ტროტუარი და პირდაპირ გზიდან უნდა შემოვიდეს შშმ პირი. ქალაქს არ ემსახურება ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტი და სასამართლოს სიახლოვეს არ არის მოწყობილი მისაწვდომი გაჩერება.

რეკომენდაცია

- მოხდეს ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტის უზრუნველყოფა;
- მოეწყოს სასამართლოსთან მაქსიმალურად ახლოს მუნიციპალური ტრანს-პორტის გაჩერება შესაბამისი ადაპტირებული მოსაცდელით;
- ადაპტირებული გაჩერებიდან სასამართლომდე მისასვლელი გზა მოეწყოს იმდაგვარად, რომ ის მისაწვდომი იყოს ყველა შშმ პირისთვის.

სასამართლოს პარკინგი და ეზო

სასამართლოს აქვს ეზო, რომელიც შემოსაზღვრულია ღობით. ძირითადი შესასვლელიდან შემოდის მხოლოდ ბილიკი, ხოლო დიდი ჭიშკრის გაღების შემთხვევაში შესაძლებელია ავტომობილების ეზოში შესვლა, სადაც თანამშრომლები აჩერებენ მანქანებს, მაგრამ არ არის ორგანიზებული. მოქალაქეების შემთხვევაში არ არის ორგანიზებული პარკინგი. ჭიშკრიდან შესასვლელამდე მიმავალი გზა არის ქვაფენილიანი და არსებითი ბარიერების გარეშე, თუმცა არ არის მოწყობილი ტაქტილური ბილიკები. თანამშრომელთა გასაჩერებელი ადგილიდან შესასვლელამდე ასევე არის ბილიკი, რომელიც შეიძლება გამოყენებული იყოს როგორც შენობამდე მისასვლელი მისაწვდომი გზა მომავალში, თუ ამ ადგილზე მოეწყობა ორგანიზებული პარკინგი. ეზოში განთავსებულია სკამები, რომელიც მისაწვდომია შშმ პირებისთვის.

რეკომენდაცია

- მოეწყოს ორგანიზებული პარკინგი მოქალაქეებისთვის და თანამშრომ-ლებისთვის, მათ შორის გამოიყოს სტანდარტების შესაბამისი ადგილი შშმ პირებისთვის;

- სასამართლოს შენობამდე და ორგანიზებულ პარკირებიდან შენობამდე მისასვლელი ბილიკები, ასევე ძირითადი შესასვლელიდან შენობამდე მისასვლელი გზა გამოიყოს ტაქტილური ბილიკებით.

შენობაში შესასვლელი/შიდა სივრცე

შენობაში შესასვლელად გამოიყენება კიბე და პანდუსი. კიბე და პანდუსი არ არის სტანდარტების შესაბამისი. პანდუსის გამოყენება ფაქტობრივად შეუძლებელია დახრილობის გამო. კიბეებს მოაჯირი აქვს მხოლოდ ერთ მხარეს, პანდუსის გასწვრივ და არასტანდარტული. შესასვლელში არ არის გათვალისწინებული კონტრასტული ფერებით კიბეების გამოყოფა და ტაქტილური ბილიკები, რის გამოც მას დამოუკიდებლად ვერ გამოიყენებენ უსინათლო/მცირემხედველი პირები. კარების სიგანე არ არის სტანდარტული და ეტლით მოსარგებლეს გაუჭირდება მისი გამოყენება. კარები არის მინის და არ არის გამოყოფილი მარკირებით. კარების ორივე მხარეს დატოვებულია საკმარისი სივრცე ეტლის მანევრირებისათვის. მთავარ შესასვლელში განთავსებული ტელეფონის, კანცელარიის, საინფორმაციო დახლების სიმაღლე არ შეესაბამება სტანდარტს. დარბაზისა და ოთახის აღმნიშვნელი აბრები განთავსებულია ძალიან მაღლა კედელზე და ფაქტორივად შეუძლებელია წარწერების წაკითხვა. იატაკი არის პრიალა, სრიალა, მოცურების საფრთხის შემცველი. ორნაწილიანი და სტანდარტების დარღვევით დამონტაჟებული კიბის პირობებში, სრულად მიუწვდომელია მეორე სართული. სასამართლოში არის საქმის გაცნობის ოთახი, რომლის კარებიც არის ძალიან ვიწრო. კარების გაფართოებისა და მისაწვდომი ავეჯის განთავსების პირობებში შესაძლებელი იქნება მისი დამოუკიდებლად გამოყენება.

საერთო მოხმარების საპირფარეშო არ არის მისაწვდომი შშმ პირებისთვის, კარები არის ძალიან ვიწრო და იღება გარეთ, აქვს 30 სანტიმეტრიანი ზღურბლი, შიდა სივრცე არის ძალიან ვიწრო, დარღვეულია ყველა საპირფარეშოს ინვენტარის ზომები და განთავსების სიმაღლე, საპირფარეშოს არა აქვს მოაჯირი.

რეკომენდაცია

- რეკომენდებულია სასამართლოს შესასვლელის (კიბე, კარი, პანდუსი) ადაპტირება დამოუკიდებლად გამოყენების მიზნით;
- რეკომენდებულია საპირფარეშოს ადაპტირება;
- რეკომენდებულია საინფორმაციო დაფების, აბრების, საკომუნიკაციო საშუალებების, კანცელარიის დახლის, საჩივრის ყუთის მისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- მნიშვნელოვანია, იატაკის საფარი იყოს მისაწვდომი შშმ პირებისთვის და მოხდეს სასამართლოს ყველა ძირითად სივრცემდე მისასვლელი ტერიტორიის ტაქტილური ბილიკებით გამოყოფა;

- რეკომენდებულია, გაფართოვდეს საქმის გაცნობის ოთახის შესასვლელი და მოეწყოს მისაწვდომი ავეჯით.

მართლმსაჯულების პროცესი

მონიტორინგის ფარგლებში შემოწმდა ხუთი სხდომათა დარბაზი, რომელთაგან ერთი იყო არასტანდარტული. იატაკი დარბაზებში არის პრობლემური უსაფრთხოების თვალსაზრისით, არ არის გამოყოფილი ტაქტილური ბილიკებით. მოწმეების ტრიბუნა ყველა დარბაზში (არასტანდარტულის გარდა, სადაც არ არის საერთოდ) არის მაღალი. კარები ყველა შემთხვევაში შეღწევადია და დარბაზებში არის საკმარისი სივრცე მანევრირებისათვის ავეჯის გადაადგილების პირობებში. ავეჯის გადაადგილების პირობებში ეტლით მოსარგებლე შშმ პირი შეძლებს თავისუფლად გადაადგილებას დარბაზში. სისხლის სამართლის დარბაზის შემთხვევაში პრობლემურია ბრალდებულის განსათავსებელი სივრცე, რომელიც სრულად მიუწვდომელია ეტლით მოსარგებლე შშმ პირისთვის. ასევე, დაბრკოლებაა ბრალდებულების დარბაზში შემოსასვლელი კარები და დერეფნის სიგანე, რომელიც უერთდება ბრალდებულის განსათავსებელ საკნებს. მიუწვდომელია თავად საკნები ვიწრო კარების პირობებში და სათადარიგო შემოსასვლელი, რომელითაც შემოყავთ ბრალდებულები შენობაში. მოსამართლეების შემთხვევაში პრობლემურია დარბაზში მეორე სართულიდან ჩამოსასვლელი კიბეები, თავად დარბაზში შემოსასვლელი კარები და ზღურბლი. თანაშემწეების ოთახი განთავსებულია მეორე სართულზე, რომელიც სართულების დამაკავშირებელი კიბის პირობებში სრულად მიუწვდომელია. თავად ოთახში შესასვლელი კარები არის საკმარისი სიგანის და სივრცე ოთახებში იძლევა ეტლით მანევრირების შესაძლებლობას ავეჯის გადაადგილების შემთხვევაში.

რეკომენდაცია

- შშმ მოსამართლისა და თანამშრომლების არსებობის შემთხვევაში, მოდიფიცირდეს სამუშაო გარემო;
- დადაბლდეს მოწმე/ექსპერტი ტრიბუნა;
- მოხდეს ბრალდებულისთვის განკუთვნილი საკნების, კაბინისა და შემოსასვლელი სივრცის ადაპტირება;
- დარბაზების იატაკი გახდეს უსაფრთხო გადაადგილებისთვის და მოეწყოს ტაქტილური ბილიკები;
- ავეჯი ისე გადაადგილდეს დარბაზებში, რომ შესაძლებელი იყოს ეტლით მოსარგებლე პირების მიერ მისი გამოყენება.

სტატუსი - შენობა შეუღწეველი და ნაწილობრივ მისაწვდომია.

ამბროლაურის რაიონული სასამართლო

შესავალი

2019 წლის 31 მაისს, სასამართლოს შენობის მისაწვდომობის მონიტორინგი განხორციელდა ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში, რომელიც მდებარეობს ქ. ამბროლაურში, მერაბ კოსტავას 13 ნომერში.

შენობის ადგილმდებარეობა და მუნიციპალური ტრანსპორტი

ამბროლაურის რაიონული სასამართლოს შენობა არის ორსართულიანი და დგას გზის პირას. სასამართლოს სიახლოვეს არ არის მისაწვდომი გაჩერება, ქალაქში არ არის ადაპტირებული ტრანსპორტი.

რეკომენდაცია

- მოხდეს ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტის უზრუნველყოფა;
- სასამართლოსთან მაქსიმალურად ახლოს მოეწყოს მუნიციპალური ტრანსპორტის გაჩერება შესაბამისი ადაპტირებული მოსაცდელით;
- ადაპტირებული გაჩერებიდან სასამართლომდე მისასვლელი გზა მოეწყოს იმდაგვარად, რომ ის მისაწვდომი იყოს ყველა შშმ პირისთვის;

სასამართლოს პარკინგი და ეზო

სასამართლოს არა აქვს ეზო მოქალაქეებისთვის, თუმცა აქვს შენობის უკან თანამშრომლებისთვის, საიდანაც არის ასევე ბრალდებულების შესასვლელი. გზის განაპირას არის არაორგანიზებული პარკინგი მოქალაქეებისთვის. თუმცა, თუ მოხდება აღნიშნული ტერიტორიის დახაზვა, ახლოს იქნება სასამართლოსთან და იქვე არსებული ზებრა გადასასვლელით შესაძლებელი იქნება სასამართლოს შენობასთან მისვლა შშმ პირისთვის. თანამშრომლები მანქანებს აყენებენ უკანა ეზოში, რომელიც არ არის დახაზული და არ არის გამოყოფილი ადგილი შშმ პირებისთვის.

რეკომენდაცია

- მოეწყოს ორგანიზებული პარკინგი მოქალაქეებისთვის, მათ შორის გამოიყოს სტანდარტების შესაბამისი ადგილი შშმ პირებისთვის;
- თანამშრომელთა პარკინგისთვის გამოყოფილი ადგილი დაიხაზოს, გახდეს ორგანიზებული და გამოიყოს შშმ პირებისთვის სტანდარტების შესაბამისი ადგილი;
- გამოიყოს სასამართლოს შენობამდე და ორგანიზებულ პარკირებიდან შენობამდე მისასვლელი ბილიკები, რომლებიც მისაწვდომი იქნება ყველა შშმ პირისთვის.

შენობაში შესასვლელი/შიდა სივრცე

შენობის ძირითად შესასვლელში არის კიბე და პანდუსი. პანდუსის ფუნქციას ასრულებს ორი რელსი, რომლის გამოყენებაც შშმ პირებისთვის შეუძლებელია. თუმცა, გვერდით, მარცხენა მხარეს არის საკმარისი ადგილი იმისათვის, რომ მისაწვდომი პანდუსი გაკეთდეს. კიბე არ აკმაყოფილებს სტანდარტს, არა აქვს მოაჯირი, არა აქვს ტაქტილური ბილიკები, საფეხურების სიღრმე და სიმაღლე არასტანდარტულია. შესასვლელი კარები არის ორფრთიანი და შეღწევადია. თუმცა, არ არის გამოყოფილი კონტრასტული ფერებით, სახელურის სიმაღლე არ შეესაბამება სტანდარტს, რთულად იღება, ზღურბლი არის მაღალი.

შიგნით ჰოლი არის ვიწრო და პატარა, თუმცა მანევრირებადი. იატაკი არის პრიალა, სრიალა და მოცურების საფრთხის შემცველი. არ არის გამოყენებული ტაქტილური ბილიკები და კონტრასტული ფერები. ჰოლში მდებარე მაგიდა კეტავს სივრცეს და საჭიროებს შეცვლას უფრო პატარა მაგიდით. შესასვლელში განთავსებული კანცელარიის დახლი, საჩივრების ყუთი, დარბაზისა და ოთახების აღმნიშვნელი აბრები არ შეესაბამება სტანდარტს. სასამართლოს აქვს დამატებითი კიდევ ორი შემოსასვლელი: მოსამართლეებისთვის და ბრალდებულებისთვის. ორივე შემთხვევაში შემოსასვლელთან არის სტანდარტების შეუსაბამო კიბე. მეორე კიბე გამოყენებულია სართულების დასაკავშირებლად, რომელიც ასევე არ აკმაყოფილებს მისაწვდომობის სტანდარტებს.

სასამართლოში არის სულ 5 საპირფარეშო. ორი საერთო მოხმარების საპირფარეშო განთავსებულია პირველ სართულზე, 1 ბრალდებულების საკანთან და 2 მეორე სართულზე თანამშრომლებისათვის. საერთო მოხმარების 2 საპირფარეშოდან ერთი ქალებისთვის არის და მეორე კაცებისთვის. სრულად მიუწვდომელია. გაერთიანების შემთხვევაში, შესაძლებელია საერთო ფართში მოეწყოს ერთი მისაწვდომი სველი წერტილი.

რეკომენდაცია

- მოხდეს სასამართლოს ძირითადი შესასვლელის ადაპტირება (კიბე, პანდუსი, კარები, ზღურბლი) მისი დამოუკიდებელი გამოყენების მიზნით;
- სასამართლოს შენობაში მოხდეს ერთი მისაწვდომი საპირფარეშოს მოწყობა;
- სასამართლოს შიდა სივრცეში გაკეთდეს ტაქტილური ბილიკები და კონტრასტული ფერებით გამოიყოს ძირითადი პუნქტები;
- მოხდეს შიდა კიბის, კანცელარიის დახლის, საინფორმაციო დაფის, აბრებისა და იატაკის მისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მართლმსაჯულების პროცესი

სასამართლოს აქვს ორი სხდომის დარბაზი პირველ და მეორე სართულებზე.

სივრცით ორივე ერთმანეთის მსგავსია. ამ წუთას ორივე მიუწვდომელია, თუმცა ავეჯის გადაადგილების პირობებში ის მისაწვდომი იქნება ეტლით მოსარგებლე შშმ პირებისთვის. დარბაზებში, ისევე როგორც საერთო სივრცეში არ არის გათვალისწინებული უსინათლო/მცირემხედველი პირების საჭიროებები. მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია მხარეებისთვის გამოყოფილი სივრცის გაფართოება, რაც შეიძლება გაკეთდეს დამსწრეთა სკამებისთვის გამოყოფილი სივრცის ხარჯზე. მაღალია ასევე, მოწმის/ექსპერტის ტრიბუნა.

მოსამართლეებს პირველ სართულზე არსებულ სხდომათა დარბაზში ჩამოსვლა უწევთ კიბით. უშუალოდ მონიტორინგის განხორციელების დროს, მონიტორინგის ჯგუფის წევრები შეესწრნენ ფაქტს, როცა მანდატურს ჩამოყავდა მოსამართლე კიბეებზე. მართალია, ის არ იყო ეტლით მოსარგებლე, მაგრამ უჭირდა გადაადგილება. შესაბამისად, სასამართლოში რეალურად არის საჭიროება მოხდეს სართულების დამაკავშირებელი კიბისა და მოსამართლეების შემოსასვლელის ადაპტირება, ან მოსამართლის ოთახის პირველ სართულზე განთავსება. პრობლემურია ასევე მოსამართლეების დარბაზში შესასვლელი, რომელსაც აქვს მაღალი ზღურბლი. მიუწვდომელია ბრალდებულების საკნები. პირველ დაბრკოლებას წარმოადგენს შემოსასვლელი ვიწრო კარებით და კიბეებით, შემდეგ კი მიუწვდომელი საკნის შესასვლელი კარები და საპირფარეშო.

რეკომენდაცია

- დადაბლდეს მოწმე/ექსპერტის ტრიბუნა;
- სხდომათა დარბაზი მისაწვდომი გახდეს უსინათლო/მცირედმხედველი პირებისათვის;
- სხდომათა დარბაზში ავეჯი ისე განლაგდეს, რომ მისაწვდომი გახდეს შშმ პირებისთვის;
- შშმ მოსამართლის არსებობის შემთხვევაში, მოდიფიცირდეს სამუშაო გარემო მისი საჭიროებების მიხედვით;
- მოხდეს ბრალდებულის შემოსაყვანი სათადარიგო შესასვლელის, განსათავსებელი სივრცისა და საპირფარეშოს მისაწვდომობის უზრუნველყოფა.

სტატუსი - შენობა შეუღწეველი და მიუწვდომელია.

ახალქალაქის რაიონული სასამართლო

შესავალი

2019 წლის 4 ივნისს, სასამართლოს შენობის მისაწვდომობის მონიტორინგი განხორციელდა ახალქალაქის რაიონულ სასამართლოში, რომელიც მდებარეობს ქ. ახალქალაქში, მაშტოცის 110 ნომერში.

შენობის ადგილმდებარეობა და მუნიციპალური ტრანსპორტი

ახალქალაქის რაიონული სასამართლოს შენობა არის ორსართულიანი. სასამართლო განთავსებულია გზის პირას და შემოსაზღვრულია რკინის ღობით. ქალაქში არ არის ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტი და სასამართლოს სიახლოვეს არ არის მოწყობილი მისაწვდომი გაჩერება.

რეკომენდაცია

- მოხდეს ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტის უზრუნველყოფა;
- სასამართლოსთან მაქსიმალურად ახლოს მოეწყოს მუნიციპალური ტრანსპორტის გაჩერება შესაბამისი ადაპტირებული მოსაცდელით;
- ადაპტირებული გაჩერებიდან სასამართლომდე მისასვლელი გზა მოეწყოს იმდაგვარად, რომ ის მისაწვდომი იყოს ყველა შშმ პირისთვის.

სასამართლოს პარკინგი და ეზო

სასამართლოს აქვს ძალიან დიდი ეზო, რომელიც ძირითადად დაფარულია ბალახით და არ არის მისაწვდომი შშმ პირებისთვის. კეთილმოწყობისა და შშმ პირთა საჭიროებების გათვალისწინების შემთხვევაში, შესაძლებელია ძალიან კარგი ეზოს მოწყობა, მათ შორის ორგანიზებული პარკინგის გაკეთება, სივრცე იძლევა ამის საშუალებას. სასამართლოს დღეისათვის არა აქვს ორგანიზებული პარკინგი. ეზოში დგას მხოლოდ თანამშრომლების მანქანები, მოქალაქეების მანქანები კი გარეთა პერიმეტრზე ჩერდებიან არაორგანიზებულად. ეზოში არის ტროტუარი და ირგვლივ ბალახი. ტროტუარი არის ფილებით დაფარული და არ არის უსაფრთხო. ტროტუარის გვერდით, ბალახებში არის სანაგვე ურნა, რომელიც ასრულებს ასევე საფერფლის ფუნქციას და მიუწვდომელია შშმ პირებისთვის იქამდე მისასვლელი საფარის გამო.

რეკომენდაცია

- მოეწყოს ორგანიზებული პარკინგი მოქალაქეებისთვის და თანამშრომლებისთვის, მათ შორის გამოიყოს სტანდარტების შესაბამისი ადგილი შშმ პირებისთვის;
- გამოიყოს სასამართლოს შენობამდე და ორგანიზებულ პარკირებიდან

შენობამდე მისასვლელი ბილიკები, რომლებიც მისაწვდომი იქნება ყველა შშმ პირისთვის;

- ეზო მოეწყოს ისე, რომ მისი გამოყენება შესაძლებელი იყოს ყველა შშმ პირისთვის, კერძოდ მოეწყოს სასამართლოს შენობამდე მისასვლელი გზა ბარიერების გარეშე და ტაქტილური ბილიკები.

შენობაში შესასვლელი/შიდა სივრცე

სასამართლოს ძირითად შესასვლელში არის კიბე და პანდუსი. კიბეებამდე და პანდუსამდე შესასვლელის წინ არის საკმაოდ დიდი სივრცე, თუმცა არის უსწორმასწორო, შეუძლებელია უსაფრთხოდ გადაადგილება. კიბეები არის 3 საფეხურიანი და არ შეესაბამება სტანდარტებს. კერძოდ, სტანდარტების შეუსაბამოა კიბის სიღრმე და სიმაღლე, არ არის დაცურებისგან დამცავი ფაქტურით დაფარული, არ არის ტაქტილური ფერები და კონტრასტული ფერებით გამოყოფილი, არა აქვს მოაჯირი. პანდუსის ფუნქციას ასრულებს ორი რელსი, რომელიც სრულად გამოუყენებელია შშმ პირებისთვის. კარები არის ორფრთიანი და შეღწევადი, ზღურბლი არა აქვს. თუმცა, კარი არ არის სტანდარტის შესაბამისი. კერძოდ, არასტანდარტულია კარის სახელურის ფერი, კარები არის მინი და არა აქვს მარკირებები. არ აქვს ავტომატური გაღების ფუნქცია. ჰოლში არის ეტლის მანევრირებისათვის საკმარისი სივრცე. იატაკი აკმაყოფილებს სტანდარტს უსაფრთხოების თვალსაზრისით, არის ხაოიანი, არ ირეკლავს შუქს. თუმცა, არ არის გამოყენებული კონტრასტული ფერები და ტაქტილური ბილიკები. ძირითად შესასვლელში განთავსებული კანცელარიის დახლი, მოქალაქეებისთვის გამოყოფილი განცხადებების დასაწერი მაგიდა, საჩივრების ყუთი, საინფორმაციო დაფა, თანაშემწესთან კომუნიკაციის საშუალება (ტელეფონის დახლი), დარბაზებისა და ოთახების აღმნიშვნელი აბრები და სკამები არ არის სტანდარტის შესაბამისი. სასამართლოს შიგნით არის კიბე სართულების დასაკავშირებლად, რომელიც არ აკმაყოფილებს სტანდარტს.

სასამართლოში არის 6 სანიტარული კვანძი და აქედან მხოლოდ ერთი არის საერთო სარგებლობის პირველ სართულზე. საპირფარეშო შეიძლება გახდეს მისაწვდომი მომავალში, მაგრამ მთავარი დაბრკოლებას წარმოადგეს საპირფარეშომდე მისასვლელი დერეფანი, რომელიც საკმაოდ ვიწროა. არსებული ფართისა და დერეფნის გაფართოების პირობებში სანახევროდ შეიძლება მოხდეს მისი ადაპტირება, რადგან შიდა სივრცე არ იძლევა სრულად ადაპტირების შესაძლებლობას. თანამშრომლების საპირფარეშოები არის მეორე სართულზე, რომელთა შიდა სივრცე ნახევარი კედლით არის გამოყოფილი და მართი გაერთიანების პირობებში შესაძლებელია მისაწვდომი სველი წერტილების მოწყობა.

სასამართლოს აქვს სამზარეულო, რომლის შიდა სივრცე იძლევა მისაწვდომი ავეჯის განთავსებისა და უსინათლო/მცირემხედველი პირების საჭიროებების გათვალისწინების შემთხვევაში, მისაწვდომი იყოს შშმ პირებისთვის. თუმცა, აქაც

ისევე როგორც საპირფარეშოების შემთხვევაში, პრობლემურია სამზარეულომდე მისასვლელი დერეფნის სიგანე, ასევე ვიწრო კარები.

სასამართლოში არ არის ცალკე გამოყოფილი შეხვედრების ოთახი. მოქალაქეები საქმის გასაცნობად შეყავთ კანცელარიაში, რომელსაც აქვს ვიწრო დერეფანი და კარები. ასევე, ოთახში არის ბოძი, რომელიც დამატებით ბარიერს ქმნის.

ძირითადი შესასვლელის გარდა, სასამართლოს აქვს ორი დამატებითი შესასვლელი მოსამართლეებისა და ბრალდებულებისათვის. თანამშრომლების შესასვლელი არის ნულოვანი, თუმცა მასთან მისასვლელი ტერიტორია არის ძალიან დაზიანებული. აღნიშნული შემოსასვლელიდან შემოსვლის შემდეგ მაშინვე იწყება სტანდარტების შეუსაბამო კიბეები, რის გამოც ნულოვანი შესასვლელის პირობებშიც აღნიშნული შესასვლელი მიუწვდომელია. კიბეების გავლაა საჭირო ასევე ბრალდებულების შესასვლელის შემთხვევაში, რომელიც არ შეესაბამება სტანდარტს.

რეკომენდაცია

- მოხდეს ძირითადი შესასვლელის წინ არსებული საფარის რეკონსტრუქცია;
- მოხდეს სასამართლოს ძირითადი შესასვლელის ადაპტირება (კიბე, პანდუსი, კარები) მისი დამოუკიდებელი გამოყენების მიზნით;
- იატაკი გამოიყოს კონტრასტული ფერებითა და ტაქტილური ბილიკებით;
- სასამართლოს შენობაში მოხდეს ერთი მისაწვდომი საპირფარეშოს მოწყობა;
- მოხდეს კანცელარიის დახლის, მოქალაქეებისთვის გამოყოფილი განცხადებების დასაწერი მაგიდის, საჩივრების ყუთის, საინფორმაციო დაფის, თანაშემწესთან კომუნიკაციის საშუალების (ტელეფონის დახლი), დარბაზებისა და ოთახების აღმნიშვნელი აბრებისა და სკამების მისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- სართულების დამაკავშირებელი შიდა კიბე მოეწყოს სტანდარტის შესაბამისად;
- რეკომენდებულია საქმის გასაცნობი ოთახის ცალკე გამოყოფა, რომელის მისაწვდომი იქნება შშმ პირებისთვის;
- რეკომენდებულია, სამზარეულოსთან მისასვლელი დერეფნისა და კარების გაფართოება;
- რეკომენდებულია, დამატებითი ორი შესასვლელის მისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მართლმსაჯულების პროცესი

სასამართლოში არის ორი სხდომის დარბაზი: პირველ და მეორე სართულებზე. მეორე სართულზეა ასევე განლაგებული თანამშრომლების ოთახები. სხდომის

დარბაზში არის საკმარისი და ავეჯის მცირე გადაადგილების პირობებში მისაწვდომი გახდება ეტლით მოსარგებლე შშმ პირებისთვის. მოწმის ტრიბუნა მაღალია. დარბაზში არსებული იატაკი არის სრიალა, პრიალა და მოცურების საფრთხის შემცველი. დარბაზებში არაფერია გათვალისწინებული უსინათლო/მცირემხედველი პირების მისაწვდომობის კუთხით. მოსამართლეს აქვს სერიოზული ბარიერები, პირველ სართულზე ჩამოდის დიდი კიბით, შემოდის ვიწრო კარში და არის 30 სანტიმეტრიანი ზღურბლი.

ბრალდებულებისთვის გამოყოფილი საკნებში არის საკმარისი შიდა სივრცე. თუმცა, სკამი არის მაღალი, ღიობი არის ვიწრო, საპირფარეშო არ არის მისაწვდომი. საკნიდან დარბაზამდე ბრალდებულმა ორი კარები უნდა გაიაროს და ორივე ძალიან ვიწროა. უკვე დარბაზში არის კაბინა, რომელიც ასევე სრულად მიუწვდომელია.

მოსამართლეების ოთახებში არის საკმარისი სივრცე. თავმჯდომარეს აქვს საკუთარი საპირფარეშო, რომლის ადაპტირებაც შეიძლება მოსასვენებელი ოთახის ხარჯზე. თანაშემწეების ოთახები არის გადატვირთული ავეჯით, მაგრამ შეიძლება მისი გათავისუფლებაც.

რეკომენდაცია

- დადაბლდეს მოწმე/ექსპერტის ტრიბუნა;
- სხდომათა დარბაზი მისაწვდომი გახდეს უსინათლო/მცირედმხედველი პირებისათვის;
- სხდომათა დარბაზში ავეჯი ისე განლაგდეს, რომ მისაწვდომი გახდეს შშმ პირებისთვის;
- დარბაზებში უზრუნველყოფილი იყოს უსაფრთხო იატაკი და ტაქტილური ბილიკები;
- შშმ მოსამართლის ან/და თანაშემწის არსებობის შემთხვევაში, მოდიფიცირდეს სამუშაო გარემო მისი საჭიროებების მიხედვით;
- მოხდეს ბრალდებულის შემოსაყვანი სათადარიგო შესასვლელის, განსათავსებელი სივრცის, საპირფარეშოსა და საკნიდან დარბაზამდე მისასვლელი სივრცის მისაწვდომობის უზრუნველყოფა.

სტატუსი - შენობა შეუღწეველი და ნაწილობრივ მისაწვდომია.

ახალციხის რაიონული სასამართლო

შესავალი

2019 წლის 4 ივნისს, სასამართლოს შენობის მისაწვდომობის მონიტორინგი განხორციელდა ახალციხის რაიონულ სასამართლოში, რომელიც მდებარეობს ქ. ახალციხეში, მებაღიშვილის 63 ნომერში

შენობის ადგილმდებარეობა და მუნიციპალური ტრანსპორტი

ახალციხის რაიონული სასამართლო არის ორსართულიანი. შენობა დგას გზის პირას. მიმდებარე ტერიტორიაზე არ არის მისაწვდომი გაჩერება, ქალაქს არ ემსახურება ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტი.

რეკომენდაცია

- მოხდეს ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტის უზრუნველყოფა;
- სასამართლოსთან მაქსიმალურად ახლოს მოეწყოს მუნიციპალური ტრანსპორტის გაჩერება შესაბამისი ადაპტირებული მოსაცდელით;
- ადაპტირებული გაჩერებიდან სასამართლომდე მისასვლელი გზა მოეწყოს იმდაგვარად, რომ ის მისაწვდომი იყოს ყველა შშმ პირისთვის.

სასამართლოს პარკინგი და ეზო

სასამართლოს არა აქვს ეზო, პირდაპირ გზასთან არის მთავარი შესასვლელი, არ არის გამოყოფილი ბილიკი. სასამართლოს არა აქვს ორგანიზებული პარკინგი, შენობის წინ ტროტუარზე ქაოტურად არის გაჩერებული მანქანები.

რეკომენდაცია

- მოეწყოს ორგანიზებული პარკინგი მოქალაქეებისთვის და თანამშრომ-ლებისთვის, მათ შორის გამოიყოს სტანდარტების შესაბამისი ადგილი შშმ პირებისთვის;
- გამოიყოს სასამართლოს შენობამდე და ორგანიზებულ პარკირებიდან შენობამდე მისასვლელი ბილიკები, რომლებიც მისაწვდომი იქნება ყველა შშმ პირისთვის.

შენობაში შესასვლელი/შიდა სივრცე

შენობის ძირითად შესასვლელთან არის კიბე და პანდუსი. პანდუსი არ არის სრულად სტანდარტის შესაბამისი, მაგრამ დამოუკიდებლად გამოყენებადია. ასევე სხვა სასამართლოებისგან განსხვავებით, მინიმალური ჩარევით დააკმაყოფილებს სტანდარტებს. კიბე არ არის სტანდარტის შესაბამისი. კერძოდ, საფეხურის სიღრმე და სიმაღლე არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს, არ არის დაცურებისგან

დამცავი საფარით დაფარული, არ არის გამოყოფილი კონტრასტული ფერებით. სასამართლოს აქვს კიდევ ორი კიბე, ბრალდებულების შემოსაყვანი და სართულების დამაკავშირებელი. არცერთი მათგანი არ აკმაყოფილებს სტანდარტს.

კარები არის ვიწრო, აქვს ორი ფრთა, მაგრამ მეორეს არ იყენებენ, რადგან დაზიანებულია და დამაგრებულია მყარად. კარები არის მინის და არ არის მარკირებული. შესასვლელში არის საკმარისი სივრცე მანევრირებისათვის. იატაკი არის პრიალა და მოცურების საფრთხის შემცველი, არ არის მასზე ტაქტილური ბილიკები და კონტრასტული ფერები. შესასვლელში განთავსებული კანცელარიის დახლი, მოქალაქეებისთვის გამოყოფილი განცხადებების დასაწერი მაგიდა, საჩივრების ყუთი, დარბაზისა და ოთახების აღმნიშვნელი აბრები და სკამები არ არის სტანდარტის შესაბამისი. სასამართლოში არის მოქალაქეთა მისაღები ოთახი, რომელიც არ აკმაყოფილებს სტანდარტს, ზღურბლი არის მაღალი, კარები არის მინის მარკირების გარეშე.

სასამართლოს აქვს 6 საპირფარეშო, აქედან ორი განთავსებულია 0 სართულზე მოქალაქეთა გამოყენებისთვის. სველი წერტილები სრულად მიუწვდომელია ყველა შშმ პირისთვის. სერიოზული პრობლემები აქვს შენობას სანიტარული კვანძების მხრივ. ნებისმიერი კატეგორიის შშმ პირისთვის ან სრულად მიუწვდომელია ან სერიოზული ხარვეზების მქონე. გარდა უშუალოს საპირფარეშოების შიდა სივრცისა, ყველაზე დიდ დაბრკოლებას ქმნის 0 სართულზე ჩასასვლელი კიბე.

რეკომენდაცია

- მოხდეს სასამართლოს ძირითადი შესასვლელის ადაპტირება (კიბე, პანდუსი უსინათლო/მცირემხედველი პირებისთვის, კარები) მისი დამოუკიდებელი გამოყენების მიზნით;
- სასამართლოს შენობაში მოხდეს ერთი მისაწვდომი საპირფარეშოს მოწყობა;
- მოხდეს კანცელარიის დახლის, მოქალაქეებისთვის გამოყოფილი განცხადებების დასაწერი მაგიდის, საჩივრების ყუთის, დარბაზისა და ოთახების აღმნიშვნელი აბრებისა და სკამების მისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- იატაკი მისაწვდომი გახდეს შშმ პირებისთვის, კერძოდ ის გახდეს უსაფრთხო და მოეწყოს ტაქტილური ბილიკები;
- რეკომენდებულია, შიდა კიბე გახდეს მისაწვდომი.

მართლმსაჯულების პროცესი

სასამართლოში პირველ სართულზე არის სამი დარბაზი და ავეჯის მცირე გადაადგილების პირობებში ის მისაწვდომი გახდება ეტლით მოსარგებლე შშმ პირებისთვის. დარბაზებში არის მაღალი ტრიბუნა. პრობლემურია ის, რომ

მოსამართლეების ოთახები მეორე სართულზეა და იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლე ან თანამშრომელი იქნება შშმ პირი, მას გაუჭირდება პირველ სართულზე ჩამოსვლა. დარბაზებში არ არის გათვალისწინებული უსინათლო/მცირემხედველი პირების საჭიროებები. მოსამართლის დარბაზში შემოსასვლელი არის 30 სანტიმეტრიანი ზღურბლი.

საბადრაგო არის ნულოვან სართულზე. ბრალდებულების სხდომათა დარბაზში ამოსაყვანად და ასევე საკანში მოსაცდელად ჩასაყვანად გამოიყენება კიბე. მიუწვდომელია ბრალდებულის განთავსების ადგილი, მათ შორის საპირფარეშო.

რეკომენდაცია

- დადაბლდეს მოწმე/ექსპერტის ტრიბუნა;
- სხდომათა დარბაზი მისაწვდომი გახდეს უსინათლო/მცირედმხედველი პირებისათვის;
- სხდომათა დარბაზში ავეჯი ისე განლაგდეს, რომ მისაწვდომი გახდეს შშმ პირებისთვის;
- შშმ მოსამართლის ან/და თანაშემწის არსებობის შემთხვევაში, მოდიფიცირდეს სამუშაო გარემო მისი საჭიროებების მიხედვით;
- მოხდეს ბრალდებულის შემოსაყვანი სათადარიგო შესასვლელის, განსათავსებელი სივრცისა და საპირფარეშოს მისაწვდომობის უზრუნველყოფა.

სტატუსი - შენობა ნაწილობრივ შეღწევადი და ნაწილობრივ მისაწვდომია.

ბოლნისის რაიონული სასამართლო

შესავალი

2019 წლის 16 მაისს, სასამართლოს შენობის მისაწვდომობის მონიტორინგი განხორციელდა ბოლნისის რაიონულ სასამართლოში, რომელიც მდებარეობს ქ. ბოლნისში, სულხან-საბას 113 ნომერში.

შენობის ადგილმდებარეობა და მუნიციპალური ტრანსპორტი

ბოლნისის რაიონული სასამართლოს შენობა არის ოთხსართულიანი. ტრანსპორტის გაჩერება არის შენობიდან 150 მეტრში, თუმცა არ არის ის მისაწვდომი შშმ პირებისთვის. ქალაქში არ მოძრაობს მისაწვდომი მუნიციპალური ტრანსპორტი. შშმ პირი, რომელიც ჩამოვა აღნიშნულ გაჩერებაზე, უნდა იაროს გზის ნაწილზე, რადგან ტროტუარი არ არის მისაწვდომი და ვერ შეძლებს მასზე ასვლას. ამასთან, თავად

გზა, სადაც მას მოუწევს სიარული არის უსწორმასწორო, ორმოებით.

რეკომენდაცია

- მოხდეს ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტის უზრუნველყოფა;
- სასამართლოსთან მაქსიმალურად ახლოს მოეწყოს მუნიციპალური ტრანსპორტის გაჩერება შესაბამისი ადაპტირებული მოსაცდელით;
- ადაპტირებული გაჩერებიდან სასამართლომდე მისასვლელი გზა მოეწყოს იმდაგვარად, რომ ის მისაწვდომი იყოს ყველა შშმ პირისთვის.

სასამართლოს პარკინგი და ეზო

სასამართლოს წინ არის პატარა ეზო, რომელიც გამოიყენება პარკინგად, მანქანები ქაოტურად არის განლაგებული, არ არის ორგანიზებული, მათ შორის არ არის გამოყოფილი ადგილი შშმ პირებისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ადგილას მხოლოდ თანამშრომლები აჩერებენ მანქანას და მოქალაქეებისთვის არ არის განკუთვნილი. ამავე დროს შენობის შესასვლელ ბაქანს ფარავს აღნიშნული არაორგანიზებული პარკინგი, ანუ ფაქტობრივად უსინათლოსთვის სრულად მიუწვდომელია ეზო, ისინი უსაფრთხოდ ვერ შეძლებენ სასამართლომდე მისვლას. სასამარლომდე მისვლა ასევე ფაქტორივად შეუძლებელია ეტლით მოსარგებლე პირისთვის. შენობამდე მისასვლელად არ არის მოწყობილი ბილიკი. ეზოში არის სანაგვე ურნა და საფერფლე, თუმცა მას დამოუკიდებლად ვერ გამოიყენებენ შშმ პირები, ეზოში არსებული ბარიერების გამო.

რეკომენდაცია

- მოეწყოს ორგანიზებული პარკინგი მოქალაქეებისთვის და თანამშრომლებისთვის, მათ შორის გამოიყოს სტანდარტების შესაბამისი ადგილი შშმ პირებისთვის;
- გამოიყოს სასამართლოს შენობამდე და ორგანიზებულ პარკირებიდან შენობამდე მისასვლელი ბილიკები, რომლებიც მისაწვდომი იქნება ყველა შშმ პირისთვის;
- სასამართლოს შენობასთან აღარ მოხდეს მანქანების გაჩერება და გათავისუფლდეს ის მოქალაქეებისთვის;
- სასამართლომდე მისასვლელად გაკეთდეს გზა, რომელზეც მოეწყობა ტაქტილური ბილიკი.

შენობაში შესასვლელი/შიდა სივრცე

შენობაში შესასვლელად გამოყენებულია კიბე და პანდუსი. პანდუსი არ არის მისაწვდომი, კუსტარულად არის გაკეთებული, არის ზედმეტად დახრილი და ციცაბო,

არა აქვს დამცავი ქიმები, ზედაპირი არის მოცურებადი, არა აქვს მოაჯირი და სახელური. პანდუსის დასაწყისში არ არის ბაქანი მოწყობილი. კიბე არის ორსაფეხურიანი და არ შეესაბამება სტანდარტს, არა აქვს მოაჯირი, საფეხურები არ არის სტანდარტის შესაბამისი. კიბე და პანდუსი არ არის მისაწვდომი ასევე, უსინათლო/მცირემხედველი პირებისათვის. კარები არ არის სტანდარტების შესაბამისი, მაგრამ შეღწევადია. შიდა სივრცე საკმარისია ეტლის მანევრირებისათვის, მაგიდები სტანდარტულია. სტანდარტებს არ შეესაბამება შესასვლელში არსებული ტაბლო, არ ხმოვანდება უსინათლოებისთვის და არ არის გამოყენებული ჟესტური ენა. იატაკი არის პრიალა და სრიალა, ირეკავს შუქს, არ არის მასზე ტაქტილური ბილიკები. კანცელარიის დახლი, საჩივრების ყუთი, საინფორმაციო დაფა, მოსამართლის თანაშემწესთან საკომუნიკაციო საშუალება (ტელეფონი), დარბაზისა და ოთახების აღმნიშვნელი აბრები არ არის სტანდარტის შესაბამისი. სართულებს შორის დასაკავშირებლად გამოყენებულია შიდა კიბე, რომელიც არ არის სტანდარტის შესაბამისი.

საერთო მოხმარების ერთი საპირფარეშო განთავსებულია პირველ სართულზე, რომელიც სრულად მიუწვდომელია. შესასვლელში არის 20 სანტიმეტრიანი ზღურბლი, თურქული უნიტაზი, კარები არის ვიწრო, ინვენტარის განლაგების დროს დარღვეულია სტანდარტები. ასევე, არ არის გათვალისწინებული უსინათლო/მცირემხედველი პირების საჭიროებები.

რეკომენდაცია

- მოხდეს სასამართლოს ძირითადი შესასვლელის ადაპტირება (კიბე, პანდუსი, კარები, გარე სივრცის ბარიერებისაგან გათავისუფლება ეტლის მანევრირებისათვის) მისი დამოუკიდებელი გამოყენების მიზნით;
- შესასვლელი და შიდა სივრცე მოეწყოს უსინათლო/მცირემხედველი პირებისათვის;
- სასამართლოს შენობაში მოხდეს ერთი მისაწვდომი საპირფარეშოს მოწყობა;
- მოხდეს კანცელარიის დახლის, საინფორმაციო დაფის, აბრების, საჩივრების ყუთის, თანაშემწესთან საკომუნიკაციო საშუალებისა და იატაკისა მისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- რეკომენდებულია, სასამართლოს შიდა კიბის ადაპტირება.

მართლმსაჯულების პროცესი

სასამართლოში არის სულ 4 სხდომათა დარბაზი, პირველ და მეორე სართულებზე. მონიტორინგის ფარგლებში შეფასდა დეტალურად პირველ სართულზე განთავსებული დარბაზი. დარბაზის შიდა სივრცე არის დიდი, მაგრამ არასწორად არის გამოყენებული. დარბაზი გაყოფილია ორ ნაწილად სპეციალური მოაჯირით, რომელიც იმდენად ვიწრო შესასვლელს ტოვებს, რომ შეუძლებელია მისი გამოყენება

ეტლით მოსარგებლე პირის მიერ. შესაძლებელია მისი გადმოწევა დამსწრეებისკენ, რომ უფრო მეტი ადგილი დარჩეს მხარეებისთვის. ტრიბუნა არის მაღალი.

მოსამართლის სივრცე სრულად მიუწვდომელია, კარები არის ვიწრო და მაღალი ზღურბლი. ბრალდებულის შემთხვევაში სხვა სასამართლოების მსგავსად პრობლემურია საკანში შესასვლელი კარები და შიდა სივრცე. მეორე დარბაზი, რომელიც მეორე სართულზეა, ბევრად უფრო დიდი ფართით არის და უფრო მეტი მოდიფიცირების საშუალებას იძლევა, თუმცა ამ შემთხვევაში პრობლემურია კიბე.

ყველაზე მიუწვდომელი სივრცე არის ბრალდებულების მოსათავსებელი საკანი, რომელიც ქვემოთ ჩადის კიბეებით და სრულად მიუწვდომელია. გარდა აღნიშნული კიბისა, მიუწვდომელია თავად საკნების კარები და 12 საფეხურიანი კიბე საპირფარეშომდე მისასვლელად.

რეკომენდაცია

- დადაბლდეს მოწმე/ექსპერტის ტრიბუნა;
- სხდომათა დარბაზი მისაწვდომი გახდეს უსინათლო/მცირედმხედველი პირებისათვის;
- სხდომათა დარბაზში ავეჯი ისე განლაგდეს, რომ მისაწვდომი გახდეს შშმ პირებისთვის;
- შშმ მოსამართლის ან/და თანაშემწის არსებობის შემთხვევაში, მოდიფიცირდეს სამუშაო გარემო მისი საჭიროებების მიხედვით;
- მოხდეს ბრალდებულის შემოსაყვანი სათადარიგო შესასვლელის, განსათავსებელი სივრცისა და საპირფარეშოს მისაწვდომობის უზრუნველყოფა.

სტატუსი - შენობა შეუღწეველი და მიუწვდომელია.

გორის რაიონული სასამართლო

შესავალი

2019 წლის 6 ივნისს, სასამართლოს შენობის მისაწვდომობის მონიტორინგი განხორციელდა გორის რაიონულ სასამართლოში, რომელიც მდებარეობს ქ. გორში, სერგო ჯორბენაძის 30 ნომერში.

შენობის ადგილმდებარეობა და მუნიციპალური ტრანსპორტი

გორის რაიონული სასამართლოს შენობა არის სამსართულიანი. სასამართლო განთავსებულია გზის პირას, მის სიახლოვეს არ არის მისაწვდომი გაჩერება, ქალაქს არ ემსახურება ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტი.

რეკომენდაცია

- მოხდეს ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტის უზრუნველყოფა;
- სასამართლოსთან მაქსიმალურად ახლოს მოეწყოს მუნიციპალური ტრანსპორტის გაჩერება შესაბამისი ადაპტირებული მოსაცდელით;
- ადაპტირებული გაჩერებიდან სასამართლომდე მისასვლელი გზა მოეწყოს იმდაგვარად, რომ ის მისაწვდომი იყოს ყველა შშმ პირისთვის;

სასამართლოს პარკინგი და ეზო

სასამართლოს არა აქვს ეზო. არაორგანიზებული პარკინგი არის მიმდინარე ტერიტორიაზე, სადაც გამოყოფილი არ არის შშმ პირისთვის მისაწვდომი ადგილი. აღნიშნულ პარკინგზე მანქანას აჩერებენ როგორც მოქალაქეები, ისე თანამშრომლები.

რეკომენდაცია

- მოეწყოს ორგანიზებული პარკინგი მოქალაქეებისთვის და თანამშრომ-ლებისთვის, მათ შორის გამოიყოს სტანდარტების შესაბამისი ადგილი შშმ პირებისთვის.

შენობაში შესასვლელი/შიდა სივრცე

შენობის შესასვლელში გვხვდება პანდუსი და კიბე. პანდუსი არის კაპიტალური და შეღწევადია, მაგრამ სრულად მისაწვდომი არ არის. კერძოდ, არა აქვს ქიმები, მოაჯირი და არ არის ტაქტილური ბილიკები გამოყოფილი. პანდუსის მასალა არის კარგი, მყარი მასალისგან არის ნაშენი, რაც უზრუნველყოფს, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში იქნება გამოყენებადი. ცენტრალური შესასვლელის კიბე არ არის სტანდარტის შესაბამისი. კერძოდ, არა აქვს მოაჯირი, დარღვეულია საფეხურის სიღრმისა და სიმაღლის მოთხოვნები. კარები არის ორფრთიანი და შეღწევადი. კარები არის ზამბარაზე, რის გამოც შშმ პირი დამოუკიდებლად ვერ შეძლებს მის გამოყენებას. კარების ზღურბლი არის მაღალი.

შესასვლელში არის საკმარისი ფართი ეტლის მანევრირებისათვის. იატაკი არის ძველი დაგებული, საკმაოდ მოცვეთილი, არის პრიალა და სრიალა, არ არის ტაქტილური ბილიკებით გამოყოფილი. შესასვლელში არსებული კანცელარიის დახლი, მოქალაქეებისთვის განკუთვნილი განცხადების დასაწერი მაგიდა, საჩივრების ყუთი, მოსამართლის თანაშემწესთან საკომუნიკაციო დახლი (ტელეფონის დახლი), დარბაზისა და ოთახების აღმნიშვნელი აბრები და სკამები არ არის სტანდარტის შესაბამისად განთავსებული.

სასამართლოში არის სულ 6 საპირფარეშო, აქედან 2 არის საერთო მოხმარების და განთავსებულია პირველ სართულზე. დღეს არსებული მდგომარეობით სველი წერტილები მიუწვდომელია. მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენს შესასვლელის

სივიწროვე და საპირფარეშომდე მისასვლელი დერეფნის სივიწროვე. უშუალოდ საპირფარეშოს შიგნით არსებული სივრცე იძლევა შესაძლებლობას, ის გახდეს მისაწვდომი შშმ პირებისთვის.

სასამართლოში არ არის კაფეტერია, მაგრამ მესამე სართულზე არის ნაფიცი მსაჯულების სამზარეულო, რომელსაც იყენებენ თანამშრომლებიც. აღნიშნული ოთახი არის მიუწვდომელი, კარები არის ვიწრო, ავეჯი არ არის მისაწვდომი. მეორე სართულზეა საქმის გაცნობის ოთახის, რომელიც სართულების დამაკავშირებელი მიუწვდომელი კიბის პირობებში გამოუყენებელია შშმ პირების მიერ.

რეკომენდაცია

- მოხდეს სასამართლოს ძირითადი შესასვლელის ადაპტირება (კიბე, პანდუსი, კარები, ზღურბლი) მისი დამოუკიდებელი გამოყენების მიზნით;
- მოხდეს იატაკის ისე მოწყობა, რომ ის უსაფრთხო იყოს შშმ პირების გადა-ადგილებისთვის და მისაწვდომი უსინათლო/მცირემხედველი პირებისთვის;
- სასამართლოს შენობაში მოხდეს ერთი მისაწვდომი საპირფარეშოს მოწყობა;
- მოხდეს შიდა კიბის მისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- მოხდეს კანცელარიის დახლის, მოქალაქეებისთვის გამოყოფილი მაგიდის, სკამების, საინფორმაციო დაფის, აბრების, საკომუნიკაციო საშუალების დახლის, საჩივრის ყუთის, კაფეტერიისა და შეხვედრების ოთახის მისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მართლმსაჯულების პროცესი

სასამართლოში არის სულ 6 სხდომის დარბაზი: ორი პირველ სართულზე და 4 მეორე სართულზე. ფართი ყველა მათგანში არის საკმარისი ეტლით გადაადგილებისთვის ავეჯის მცირე გადაადგილების პირობებში, გარდა პირველი დარბაზისა, სადაც ამის საჭიროება არ არის. ტრიბუნა ყველა დარბაზში არის მაღალი. დარბაზებში არ არის გათვალისწინებული უსინათლო/მცირემხედველი პირების საჭიროებები. დარბაზები არ არის მისაწვდომი მოსამართლეებისთვის ვიწრო კარებისა და მაღალი ზღურბლის პირობებში. ამასთან, მოსამართლეებისა და თანაშემწეების ოთახები განთავსებულია მესამე სართულზე და მიუწვდომელი კიბეებისა და ლიფტის არარსებობის პირობებში, შეუძლებელი იქნება შშმ მოსამართლისა და თანამშრომლების დარბაზებამდე ჩამოსვლა.

ბრალდებულის განთავსების ადგილი არის მინუს ერთ სართულზეა, სხდომის სართულებს უკავშირდება კიბით, რაც მას შშმ პირებისთვის მიუწვდომელს ხდის. საკნები არის ვიწრო და საპირფარეშო მიუწვდომელი.

ნაფიცი მსაჯულების დარბაზი არის პირველ სართულზე, მაგრამ მიუწვდომელია. კერძოდ ნაფიცი მსაჯულებისთვის გამოყოფილ სივრცემდე მისასვლელად საჭიროა

16 სანტიმეტრიანი ზღურბლის ავლა. მთავარ პრობლემას წარმოადგენს კიბე, რომლითაც უნდა ავიდეს ნაფიცი მსაჯულების ოთახში და არაადაპტირებული კიბის პირობებში, ეს შეუძლებელია.

რეკომენდაცია

- დადაბლდეს მოწმე/ექსპერტის ტრიბუნა;
- სხდომათა დარბაზი მისაწვდომი გახდეს უსინათლო/მცირედმხედველი პირებისათვის;
- სხდომათა დარბაზში ავეჯი ისე განლაგდეს, რომ მისაწვდომი გახდეს შშმ პირებისთვის;
- სხდომათა დარბაზი მისაწვდომი გახდეს ნაფიცი მსაჯულებისთვის, კერძოდ მოხდეს ზღურბლის ადაპტირება;
- შშმ მოსამართლის ან/და თანაშემწის არსებობის შემთხვევაში, მოდიფიცირდეს სამუშაო გარემო მისი საჭიროებების მიხედვით;
- მოხდეს ბრალდებულის შემოსაყვანი სათადარიგო შესასვლელის, განსათავსებელი სივრცისა და საპირფარეშოს მისაწვდომობის უზრუნველყოფა.

სტატუსი - შენობა ნაწილობრივ შეღწევადი და ნაწილობრივ მისაწვდომია.

საჩხერის რაიონული სასამართლო

შესავალი

2019 წლის 29 მაისს, სასამართლოს შენობის მისაწვდომობის მონიტორინგი განხორციელდა საჩხერის რაიონულ სასამართლოში, რომელიც მდებარეობს ქ. საჩხერეში, დავით აღმაშენებლის 3 ნომერში.

შენობის ადგილმდებარეობა და მუნიციპალური ტრანსპორტი

საჩხერის რაიონული სასამართლოს შენობა არის ორსართულიანი. გაჩერება არის შენობიდან 30 მეტრში, არის გაჩერების ნიშანიც, მაგრამ ის არ არის მისაწვდომი შშმ პირებისთვის. ქალაქში მუნიციპალური ტრანსპორტის ფუნქციას ასრულებენ მარშუტკები, მაგრამ ის არ ადაპტირებული შშმ პირებისთვის.

რეკომენდაცია

- მოხდეს ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტის უზრუნველყოფა;
- სასამართლოსთან მდებარე გაჩერება მოეწყოს შესაბამისი ადაპტირებული მოსაცდელით;

- ადაპტირებული გაჩერებიდან სასამართლომდე მისასვლელი გზა მოეწყოს იმდაგვარად, რომ ის მისაწვდომი იყოს ყველა შშმ პირისთვის;

სასამართლოს პარკინგი და ეზო

სასამართლოს აქვს ეზო. ეზოში შედიხარ დიდი ჭიშკრით. ეზო კეთილმოწყობილია, არ არის ბარიერები, ცალკე გამოყოფილი ტროტუარი არ არის, ერთი მთლიანი გზაა. შენობამდე მისასვლელად არ არის ტაქტილური ბილიკები. სასამართლოს არა აქვს ორგანიზებული პარკინგი. თუმცა, დახაზულია შენობის პირდაპირ სამი ადგილი და შშმ პირის მოსვლის შემთხვევაში, ამ ადგილას აჩერებინებენ მანქანას. თავად, დახაზული ადგილები არ არის სტანდარტის შესაბამისი. სასამართლოს განაპირა მხარეს მონიშნულია შშმ პირის პარკირების ადგილი, მაგრამ ხაზები წაშლილია. აღნიშნული გაჩერება სასამართლოს ორგანიზებული არის და არის ქუჩის გადასწვრივ. თუ იქ გააჩერებს შშმ პირი მანქანას, გაუჭირდება გზის გადმოკვეთა, რადგან არ არის ზებრა.

რეკომენდაცია

- მოეწყოს ორგანიზებული პარკინგი მოქალაქეებისთვის და თანამშრომ-ლებისთვის, მათ შორის გამოიყოს სტანდარტების შესაბამისი ადგილი შშმ პირებისთვის;
- გამოიყოს სასამართლოს შენობამდე და ორგანიზებულ პარკირებიდან შენობამდე მისასვლელი ბილიკები, რომლებიც მისაწვდომი იქნება ყველა შშმ პირისთვის;
- საჭიროების შემთხვევაში გზის მოპირდაპირე მხარის მდებარე შშმ პირისთვის გამოყოფილი პარკინგიდან გადმოსვლის მიზნით, მოეწყოს ზებრას გადმოსასვლელი;
- სასამართლოს შენობამდე მისასვლელად გამოიყოს ბილიკი შესაბამისი ტაქტილური აღნიშვნები.

შენობაში შესასვლელი/შიდა სივრცე

შენობის შესასვლელში არის კიბე და პანდუსი. პანდუსი არის გრძელი, ორი ბაქნით, ბაქნების სტანდარტი დარღვეულია, დაქანება არის ისეთი, რომ დამოუკიდებლად ვერ გამოიყენებს შშმ პირი. პანდუსის დასაწყისი არის საშუალო დაქანებით, შშმ პირების ნაწილი შეძლებს აღნიშნული მონაკვეთის ავლას, შემდეგ არის ბაქანი, რის შემდეგაც იწყება პანდუსის შუა ნაწილი, რომელიც ყველაზე მიუწვდომელია დაქანების გამო. პანდუსს არ აქვს ორმხრივი მოაჯირი, რომელიც კიდევ უფრო გაართულებს აღნიშნული ნაწილის დამოუკიდებლად გავლას. პანდუსის ბოლო ნაწილი არის ყველაზე მისაწვდომი. შესაბამისად, პანდუსის დამოუკიდებლად გამოყენება შესაძლებელი იქნება მხოლოდ ელექტრო ეტლის საშუალებით.

ძირითად შესასვლელში არსებული კიბე არ არის სტანდარტის შესაბამისი. კერძოდ, კიბის სიღრმე და სიმაღლე არ შეესაბამება სტანდარტს, არის დაცურების საფრთხის შემცველი, არ არის გამოყოფილი კონტრასტული ფერებით, არა აქვს ორმხირივი მოაჯირი. შესასვლელი ბაქანი კართან არასაკმარისია ეტლისთვის. შესასვლელი კარი არის ორფრთიანია და შეღწევადია. თუმცა, არ სტანდარტს არ აკმაყოფილებს სახელურის ფერი. კარები არის მინის და არ არის ზედ მარკირება. მეორე სართულზე ასასვლელად გამოყენებულია კიბე, რომელიც არ არის სტანდარტის შესაბამისი.

სასამართლოს შიდა სივრცე საკმარისია ეტლის მანევრირებისთვის. იატაკი არის პრიალა, სრიალა, მოცურების საფრთხის მქონე და არ არის ტაქტილური ბილიკები გამოყოფილი. შესასვლელში არსებული კანცელარიის დახლი, მოქალაქეებისთვის გამოყოფილი განცხადების დასაწერი მაგიდა, საჩივრების ყუთი, მოსამართლის თანაშემწესთან დასაკავშირებელი დახლის სიმაღლე (ტელეფონის დახლი) სკამები და დარბაზისა და ოთახების აღმნიშვნელი აბრები არ შეესაბამება სტანდარტს.

სასამართლოში არის 6 საპირფარეშო: 4 საერთო მოხმარების (2-2 თითო სართულზე), 1 მოსამართლეებისთვის და 1 ბრალდებულისთვის. საერთო მოხმარების საპირფარეშოები არის სრულად მიუწვდომელი. მხოლოდ ქალისა და კაცის დამოუკიდებელი კაბინების გაერთიანების შემთხვევაში შეიძლება საკმარისი სივრცის პირობებში მისაწვდომი სველი წერტილის მოწყობა. დღეისათვის არცერთი საპირფარეშოს ინვენტარი არ არის სტანდარტის შესაბამისად მოწყობილი და განლაგებული.

პირველ სართულზეა საქმის გაცნობის ოთახი, რომელიც შეღწევადია, შიდა სივრცეც საკმარისია. აღნიშნული სივრცის სრულად მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, საჭიროა მისაწვდომი ავეჯის განთავსება ოთახში.

რეკომენდაცია

- მოხდეს სასამართლოს ძირითადი შესასვლელის ადაპტირება (კიბე, პანდუსი, კარები) მისი დამოუკიდებელი გამოყენების მიზნით;
- მოხდეს იატაკის მოწყობა ისე, რომ ის უსაფრთხო იყოს გადაადგილებისთვის შშმ პირებისთვის და უზრუნველყოფილი იყოს მასზე ტაქტილური ბილიკები;
- სასამართლოს შენობაში მოხდეს ერთი მისაწვდომი საპირფარეშოს მოწყობა;
- მოხდეს სართულებს შორის დამაკავშირებელი კიბის ადაპტირება;
- მოხდეს კანცელარიის დახლის, მოქალაქეებისთვის გამოყოფილი მაგიდის, საინფორმაციო დაფის, აბრების, თანაშემწესთან კომუნიკაციის დახლისა და შეხვედრების ოთახის (მისაწვდომი ავეჯით ჩანაცვლება) მისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მართლმსაჯულების პროცესი

სასამართლოში არის ორი დარბაზი: ერთი პირველ სართულზე და მეორე - მეორეზე. სხდომის დარბაზში ვიწროა. თუმცა, კარგი გარემოება ის არის, რომ არანაირი პლატფორმა არ არის და დონეები არ არის მოსამართლესა და მხარეებს შორის. მოსამართლე შემოვა და მისაწვდომია საშუალო ეტლისთვის, არანაირი საფეხური და ზღურბლი არ არის. მხარეებს რაც შეეხება, დღეს არსებული განლაგებით მხოლოდ მარცხენა მაგიდასთან მივა ეტლით მოსარგებლე. ტრიბუნა არის ძალიან მაღალი და წაწვეტებული კიდეებით. ამ მაგიდის შემდეგ არის დამსწრეთა მაგიდები. ჯერ დამსწრეები უნდა შევიდნენ და მერე ეტლით მოსარგებლე, სხვა შემთხვევაში მოუწევს გამოსვლა და გატარება დამსწრეების. მეორე სართულის დარბაზი არის ძალიან კარგი, უზარმაზარი სივრცე, მაგრამ არაადაპტირებული კიბის პირობებში ამ ეტაპზე ვერ მოხერხდება მისი გამოყენება შშმ პირების მიერ. არცერთ სხდომათა დარბაზში არ არის გათვალისწინებული შშმ პირების საჭიროებები.

მეორე სართულზეა განლაგებული მოსამართლისა და თანაშემწის ოთახები. ამ ეტაპზე არსებული მოცემულობით შშმ პირი მოსამართლე ან თანამშრომელი ვერ შეძლებს დამოუკიდებლად ოთახების გამოყენებას. სტანდარტს არ შეესაბამება ბრალდებულის განსათავსებელი სივრცე. ბრალდებული შენობაში შემოყავთ კიბეების საშუალებით, რომელიც არ არის სტანდარტის შესაბამისი, კარები არის ვიწრო, გადასაადგილებელი სივრცე არის ძალიან ვიწრო, საკნის შესასვლელი კარები არ არის შეღწევადი, საკანში განთავსებული სკამი არის ძალიან დაბალი, სანიტარული კვანძი სრულად მიუწვდომელია.

რეკომენდაცია

- დადაბლდეს მოწმე/ექსპერტის ტრიბუნა;
- სხდომათა დარბაზი მისაწვდომი გახდეს უსინათლო/მცირედმხედველი პირებისათვის;
- სხდომათა დარბაზში ავეჯი ისე განლაგდეს, რომ მისაწვდომი გახდეს შშმ პირებისთვის;
- შშმ მოსამართლის ან/და თანაშემწის არსებობის შემთხვევაში, მოდიფიცირდეს სამუშაო გარემო მისი საჭიროებების მიხედვით;
- მოხდეს ბრალდებულის შემოსაყვანი სათადარიგო შესასვლელის, განსათავსებელი სივრცისა და საპირფარეშოს მისაწვდომობის უზრუნველყოფა.

სტატუსი - შენობა შეუღწეველი და ნაწილობრივ მისაწვდომია.

ხაშურის რაიონული სასამართლო

შესავალი

2019 წლის 18 მაისს, სასამართლოს შენობის მისაწვდომობის მონიტორინგი განხორციელდა ხაშურის რაიონულ სასამართლოში, რომელიც მდებარეობს ქ. ხაშურში, კოსტავას 15 ნომერში.

შენობის ადგილმდებარეობა და მუნიციპალური ტრანსპორტი

ხაშურის რაიონული სასამართლოს შენობა არის ორსართულიანი, მდებარეობს გზის პირას. სასამართლოს სიახლოვეს არ არის მისაწვდომი გაჩერება, ქალაქს არ ემსახურება ასევე ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტი.

რეკომენდაცია

- მოხდეს ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტის უზრუნველყოფა;
- სასამართლოსთან მაქსიმალურად ახლოს მოეწყოს მუნიციპალური ტრანსპორტის გაჩერება შესაბამისი ადაპტირებული მოსაცდელით;
- ადაპტირებული გაჩერებიდან სასამართლომდე მისასვლელი გზა მოეწყოს იმდაგვარად, რომ ის მისაწვდომი იყოს ყველა შშმ პირისთვის.

სასამართლოს პარკინგი და ეზო

სასამართლოს აქვს ეზო წინა და უკანა მხარეს. უკანა მხარეს არსებული ეზო არ არის მოქალაქეების გამოყენებისთვის და გამოიყენება ბრალდებულების შესაყვანად. ეზო არ არის შემოსაზღვრული და გამოყოფილი გზიდან. სასამართლომდე მისასვლელი ტროტუარი არის წყვეტილი, არ არის სწორი, გვხვდება არსებითი ბარიერები და ორმოები, არ არის გამოყოფილი ტაქტილური ბილიკებით. სასამართლოს არა აქვს ორგანიზებული პარკინგი, მანქანები გაჩერებულია გზის პირას.

რეკომენდაცია

- მოეწყოს ორგანიზებული პარკინგი მოქალაქეებისთვის და თანამშრომ-ლებისათვის, მათ შორის გამოიყოს სტანდარტების შესაბამისი ადგილი შშმ პირებისთვის;
- გამოიყოს სასამართლოს შენობამდე და ორგანიზებულ პარკირებიდან შენობამდე მისასვლელი ბილიკები, რომლებიც მისაწვდომი იქნება ყველა შშმ პირისთვის;
- მისაწვდომი გახდეს სასამართლოს შენობასთან მისასვლელი ტროტუარი შშმ პირებისთვის, მათ შორის გამოიყოს ტაქტილური ბილიკები.

შენობაში შესასვლელი/შიდა სივრცე

ძირითად შესასვლელთან არის კიბე და პანდუსი. პანდუსი არ არის სტანდარტის შესაბამისი, არა აქვს მოაჯირი, შეიცავს მოცურების რისკს, ციცაბოა, არა აქვს ტაქტილური ბილიკი, ქიმები, არ არის დაცული ნალექებისგან. ასევე, არასტანდარტულია ცენტრალური შესასვლელის კიბეები. კერძოდ, არა აქვს მოაჯირი, საფეხურები არის ძალიან მაღალი, არ არის კონტრასტული ფერებით გამოყოფილი. კარები არის ორფრთიანი და შეღწევადია. სახელური არ არის კონტრასტული, არის მძიმე და რთულად იღება.

შესასვლელში არის საკმარისი სივრცე ეტლის მანევრირებისათვის. იატაკი არის სრიალა, პრიალა და მოცურების საფრთხის შემცველი, არ არის გამოყოფილი ტაქტილური ბილიკები. შესასვლელში არსებული კანცელარიის დახლი, საჩივრების ყუთი, ელექტრო დაფა, მოსამართლის თანაშემწესთან კომუნიკაციის საშუალების დახლი (ტელეფონის დახლი) და დარბაზებისა და ოთახების აღმნიშვნელი აბრები არ არის სტანდარტის შესაბამისად მოწყობილი. სართულების დასაკავშირებლად გამოყენებულია კიბე, რომელიც არ შეესაბამება სტანდარტს.

სასამართლოში არის ერთი საერთო მოხმარების საპირფარეშო პირველ სართულზე. საპირფარეშოში კარები არის ვიწრო, შიგნით კარგი ფართია და ადაპტირებადია. შეღწევადი არ არის ამ ეტაპზე. სტანდარტებს არ შეესაბამება საპირფარეშოს ინვენტარი. სასამართლოში მისაწვდომია მოქალაქეებთან შეხვედრის ოთახი.

რეკომენდაცია

- მოხდეს სასამართლოს ძირითადი შესასვლელის ადაპტირება (კიბე, პანდუსი, კარები) მისი დამოუკიდებელი გამოყენების მიზნით;
- მოხდეს იატაკის მოწყობა ისე, რომ ის უსაფრთხო იყოს გადაადგილებისთვის შშმ პირებისთვის და უზრუნველყოფილი იყოს მასზე ტაქტილური ბილიკები;
- სასამართლოს შენობაში მოხდეს ერთი მისაწვდომი საპირფარეშოს მოწყობა;
- მოხდეს სართულებს შორის დამაკავშირებელი კიბის ადაპტირება;
- მოხდეს კანცელარიის დახლის, მოქალაქეებისთვის გამოყოფილი მაგიდის, საინფორმაციო დაფის, აბრები, თანაშემწესთან კომუნიკაციის დახლისა და საინფორმაციო დაფის (უსინათლო/მცირემხედველი და ყრუ პირებისთვის) მისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მართლმსაჯულების პროცესი

სასამართლოში არის სამი დარბაზი. ყველა მათგანში არის საკმარისი სივრცე გადაადგილებისთვის. სივრცე იძლევა საშუალებას, რომ ავეჯის გადაადგილების შემთხვევაში სრულად მისაწვდომი გახდეს მხარეებისთვის თუ ასევე მოხდება უსინათლო/მცირემხედველი პირების საჭიროებების გათვალისწინება. მოწმის/

ექსპერტის ტრიბუნა არის მაღალი. არცერთი დარბაზი არ არის მისაწვდომი ბრალდებულებისათვის. მნიშვნელოვანია, გადაბმული სკამების ჩანაცვლება ინდივიდუალური სკამებით.

ბრალდებულს დარბაზში მოსახვედრად ესაჭიროება მაღალი კიბის გავლა, საკნები არ არის სტანდარტის შესაბამისი, საპირფარეშო არ არის მისაწვდომი.

რეკომენდაცია

- დადაბლდეს მოწმე/ექსპერტის ტრიბუნა;
- სხდომათა დარბაზი მისაწვდომი გახდეს უსინათლო/მცირედმხედველი პირებისათვის;
- სხდომათა დარბაზში ავეჯი ისე განლაგდეს, რომ მისაწვდომი გახდეს შშმ პირებისთვის;
- შშმ მოსამართლის ან/და თანაშემწის არსებობის შემთხვევაში, მოდიფიცირდეს სამუშაო გარემო მისი საჭიროებების მიხედვით;
- მოხდეს ბრალდებულის შემოსაყვანი სათადარიგო შესასვლელის, განსათავსებელი სივრცისა და საპირფარეშოს მისაწვდომობის უზრუნველყოფა.

სტატუსი - შენობა შეუღწეველი და მიუწვდომელია.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლო

შესავალი

2019 წლის 21 მაისს, სასამართლოს შენობის მისაწვდომობის მონიტორინგი განხორციელდა ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში, რომელიც მდებარეობს ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის გამზირზე 358 ნომერში.

შენობის ადგილმდებარეობა და მუნიციპალური ტრანსპორტი

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს შენობა არის სამსართულიანი და მდებარეობს გზის პირას. გაჩერება არის შენობიდან 20 მეტრში, თუმცა არ არის ის მისაწვდომი შშმ პირისთვის. გაჩერებასთან არ არის ტროტუარი, პირდაპირ გზის სავალ ნაწილზე უწევთ მოქალაქეებს ჩამოსვლა. თავად გზის სავალი ნაწილი არის მისაწვდომი, არ არის არსებითი ბარიერები. სასამართლოსთან არ მოძრაობს ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტი.

რეკომენდაცია

- მოხდეს ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტის უზრუნველყოფა;
- სასამართლოსთან მაქსიმალურად ახლოს მოეწყოს მუნიციპალური ტრანსპორტის გაჩერება შესაბამისი ადაპტირებული მოსაცდელით;
- ადაპტირებული გაჩერებიდან სასამართლომდე მისასვლელი გზა მოეწყოს იმდაგვარად, რომ ის მისაწვდომი იყოს ყველა შშმ პირისთვის;

სასამართლოს პარკინგი და ეზო

სასამართლოს არა აქვს გამოყოფილი ეზო. პარკინგი არის არაორგანიზებული სასამართლოს მარცხენა მხარეს, სადაც ხშირად ჩერდებიან მანქანები და არის საფრთხე, რომ ახლო გზიდან ვერ მოვიდეს შშმ პირი. უსაფრთხოების ზომები არ არის დაცული. სასამართლოსთან დახაზულია ერთი ადგილი მხოლოდ, რომელიც გამოყოფილი არის შშმ პირებისთვის, მაგრამ მისი მოწყობის დროს არ არის გათვალისწინებული სტანდარტები. თუმცა, სტანდარტის შესაბამისად მოწყობის შემთხვევაში, ის გამოყენებადი იქნება, რადგან მის სიახლოვეს არის ბილიკი, რომელიც მიდის პანდუსამდე.

შენობას აქვს თანამშრომლების პარკინგი სხვა შემოსასვლელის მხრიდან. თუმცა არ არის დახაზული და არსებული სივრცე იძლევა ამის საშუალებას. ის უკავშირდება თანამშრომლების შესასვლელს, რომელიც არ არის მისაწვდომი კიბისა და ვიწრო კარის პირობებში.

რეკომენდაცია

- მოეწყოს ორგანიზებული პარკინგი მოქალაქეებისთვის და თანამშრომ-ლებისათვის, მათ შორის გამოიყოს სტანდარტების შესაბამისი ადგილი შშმ პირებისთვის;
- გამოიყოს სასამართლოს შენობამდე და მოქალაქეების ორგანიზებულ პარკირებიდან შენობამდე მისასვლელი ბილიკები, რომლებიც მისაწვდომი იქნება ყველა შშმ პირისთვის;
- თანამშრომლების პარკინგიდან შენობამდე მისასვლელ ბილიკზე მოეწყოს ტაქტილური ბილიკი;
- მისაწვდომი გახდეს სასამართლოს შენობასთან მისასვლელი ტროტუარი შშმ პირებისთვის, მათ შორის გამოიყოს ტაქტილური ბილიკები.

შენობაში შესასვლელი/შიდა სივრცე

სასამართლოს ძირითად შესასვლელთან არის კიბე და პანდუსი. პანდუსი არის ციცაბო დაქანების, არა აქვს მოაჯირი, რის გამოც შეუძლებელია მისი დამოუკიდებლად გამოყენება. დაბრკოლებას წარმოადგენს ასევე პანდუსთან არსებული

ბრალდებულების შესასვლელი, რომლის კარების გაღების დროსაც, იკეტება სივრცე. პანდუსზე არ არის ტაქტილური ბილიკები მოწყობილი. კიბე არ არის სტანდარტის შესაბამისი. ზედაპირი არის სრიალა და პრიალა, არ არის გამოყოფილი მკვეთრი ფერებით, არ არის ორმხრივი მოაჯირი. კიბეებისა და პანდუსის დაბოლოებაზე არ არის საკმარისი სივრცე ეტლის მანევრირებისთვის, რაც გამოწვეულია იმით, რომ შესასვლელი კარები იღება გარეთ და ამცირებს სივრცეს. კარები არ არის სტანდარტის შესაბამისი. კერძოდ, არ არის საკმარისი სიგანის (72 სანტიმეტრი), ზღურბლი არის მაღალი, კარების სახელური არ არის კონტრასტული, კარებში ჩასმულია, რომელიც არ არის მარკირებული. მიუწვდომელია სასამართლოში არსებული სათადარიგო შესასვლელები (თანამშრომლებისა და ბრალდებულების) არასტანდარტული კიბეებისა და პანდუსის არარსებობის პირობებში, ასევე სტანდარტს არ შეესაბამება სართულების დამაკავშირებელი კიბე.

შესასვლელში არის საკმარისი სივრცე. იატაკი პირველ სართულზე არის მოცურებადი, სრიალა, არ არის კონტრასტული და არ არის ტაქტილური ბილიკები. შესასვლელში არსებული კანცელარიის დახლი, საჩივრების ყუთი, მოსამართლის თანაშემწესთან კომუნიკაციის საშუალების დახლი (ტელეფონის დახლი) და დარბაზებისა და ოთახების აღმნიშვნელი აბრები, მოქალაქეთა განცხადების დასაწერად გამოყოფილი მაგიდა, საინფორმაციო დაფაზე განთავსებული ინფორმაცია არ არის სტანდარტის შესაბამისად მოწყობილი. სკამების სიმაღლე სტანდარტის შესაბამისია, მაგრამ არა აქვს მოაჯირი, რის გამოც ვერ გამოიყენება შშმ პირების მიერ. შესასვლელში ასევე არის ელექტრო დაფა, რომელიც არ ხმოვანდება უსინათლო/მცირემხედველი და ყრუ პირებისათვის. პირველ სართულზეა საქმის გაცნობის ოთახი. კარები არ არის სტანდარტის შესაბამისი, მაგრამ შეღწევადია. საკმარისი სივრცეა ასევე უშუალოდ ოთახში ეტლის მანევრირებისათვის, თუმცა არ არის ტაქტილური ბილიკები.

სასამართლოს პირველ სართულზე არის ორი საპირფარეშო: ერთი მოქალაქეებისთვის და მეორე თანამშრომლებისთვის. არცერთი მათგანი არ არის მისაწვდომი. შესაძლებელია გაერთიანების შემთხვევაში მოეწყოს ერთი მისაწვდომი საპირფარეშო. თუმცა, გარდა გაერთიანებისა, უნდა გაფართოვდეს კარების ზომა და მოიშალოს შიდა ზღურბლებს.

რეკომენდაცია

- მოხდეს სასამართლოს ძირითადი შესასვლელის ადაპტირება (კიბე, პანდუსი, კარები, ზღურბლი) მისი დამოუკიდებელი გამოყენების მიზნით;
- მოხდეს პირველი სართულის იატაკის მოწყობა ისე, რომ ის უსაფრთხო იყოს გადაადგილებისთვის შშმ პირებისთვის და უზრუნველყოფილი იყოს მასზე ტაქტილური ბილიკები;
- სასამართლოს შენობაში მოხდეს ერთი მისაწვდომი საპირფარეშოს მოწყობა;
- მოხდეს სართულებს შორის დამაკავშირებელი კიბის ადაპტირება;

- მოხდეს კანცელარიის დახლის, მოქალაქეებისთვის გამოყოფილი მაგიდის, საინფორმაციო დაფის დახლის, აბრების, თანაშემწესთან კომუნიკაციის დახლის და ელექტრონული საინფორმაციო დაფის (უსინათლო/მცირემხედველი და ყრუ პირებისთვის) მისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მართლმსაჯულების პროცესი

პირველ სართულზე არის სხდომის ერთი დარბაზი, რომელიც მხარეებისთვის შეღწევადი და გამოყენებადია. ადგილი არის დარბაზში, მათ შორის თუ მედიის წარმომადგენელი ესწრება, შესაძლებელი იქნება ადგილის მოდიფიცირება. მოწმის/ექსპერტის ტრიბუნა არის მაღალი. დარბაზები არ არის მისაწვდომი მოსამართლეებისთვის. ძირითად დაბრკოლებას ქმნის დარბაზში შესასვლელი ზღურბლი და ვიწრო კარები.

ბრალდებულების საკნები 0 სართულზეა, რომელიც ზედა სართულს არასტანდარტული კიბით უკავშირდება, რაც უკვე გამორიცხავს შშმ ბრალდებულის მიერ მის დამოუკიდებლად გამოყენებას. პროცესებზე არ გამოიყენება დახურული კაბინა, მაგრამ სისხლის სამართლის დარბაზი არის მეორე სართულზე. თუმცა, სასამართლოს თანამშრომლების თქმით, თუ ბრალდებული შშმ პირია, სხდომა ტარდება პირველ სართულზე.

მეორე სართულზე არის განლაგებული თანამშრომლებისა და მოსამართლეების კაბინეტები. სართულების დამაკავშირებელ კიბეს თუ არ ჩავთვლით, თავად კაბინეტების სივრცე საკმარისია ეტლის მანევრირებისათვის. თუმცა, არ არის გათვალისწინებული უსინათლო/მცირემხედველი პირების საჭიროებები.

რეკომენდაცია

- დადაბლდეს მოწმე/ექსპერტის ტრიბუნა;
- სხდომათა დარბაზი მისაწვდომი გახდეს უსინათლო/მცირედმხედველი პირებისათვის;
- სხდომათა დარბაზში ავეჯი ისე განლაგდეს, რომ მისაწვდომი გახდეს შშმ პირებისთვის;
- შშმ მოსამართლის ან/და თანაშემწის არსებობის შემთხვევაში, მოდიფიცირდეს სამუშაო გარემო მისი საჭიროებების მიხედვით;
- მოხდეს ბრალდებულის შემოსაყვანი სათადარიგო შესასვლელის, განსათავსებელი სივრცისა და საპირფარეშოს მისაწვდომობის უზრუნველყოფა.

სტატუსი - შენობა შეუღწევადი და ნაწილობრივ მისაწვდომია.

ცაგერის რაიონული სასამართლო

შესავალი

2019 წლის 31 მაისს, სასამართლოს შენობის მისაწვდომობის მონიტორინგი განხორციელდა ცაგერის რაიონულ სასამართლოში, რომელიც მდებარეობს ქ. ცაგერში, ასათიანის 14 ნომერში.

შენობის ადგილმდებარეობა და მუნიციპალური ტრანსპორტი

ცაგერის რაიონული სასამართლოს შენობა არის ორსართულიანი. ერთ-ერთი ყველაზე მისაწვდომი სასამართლოა. ქალაქში არ არის ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტი და არ არის მოწყობილი მისაწვდომი გაჩერება სასამართლოს სიახლოვეს.

რეკომენდაცია

- მოხდეს ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტის უზრუნველყოფა;
- სასამართლოსთან მაქსიმალურად ახლოს მოეწყოს მუნიციპალური ტრანსპორტის გაჩერება შესაბამისი ადაპტირებული მოსაცდელით;
- ადაპტირებული გაჩერებიდან სასამართლომდე მისასვლელი გზა მოეწყოს იმდაგვარად, რომ ის მისაწვდომი იყოს ყველა შშმ პირისთვის.

სასამართლოს პარკინგი და ეზო

სასამართლოს აქვს დიდი ეზო. ეზოში არის ტროტუარი, რომელიც თითქმის სხდომის დარბაზამდე მიდის ბარიერების გარეშე. ტროტუარზე დაგებულია ფილები, რომელიც მცირე მონაკვეთებზე დაზიანებულია და საჭიროებს შეკეთებას. ასევე, ოდნავ მოსასწორებელია ჭიშკრიდან გამოსასვლელი. გამონაკლისი არის ტროტუარის შუა სივრცე, სადაც ოთხი სკამია და ამის გამო გაფართოებულია. მხოლოდ აღნიშნული მონაკვეთის ადაპტირება შეიძლება საკმარისი გახდეს, რომ ტროტუარი მისაწვდომი იყოს უსინათლო პირებისათვის. ეზოში არსებული ბილიკის დაძლევა ეტლის მომხმარებლისათის (შენობიდან გასხვლის დროს) სრულიად დამოუკიდებლად არ არის შესაძლებელი, ბილიკის შუა ნაწილზე სტანდარტულზე მეტად ამაღლების და დაზიანებული ზედაპირის გამო. ამიტომ სასურველია აღნიშნული ბილიკი მცირედად დადაბლდეს სტანდარტებთან სრულად მისადაგების მიზნით, სასამართლოს არა აქვს ორგანიზებული პარკინგი. თუმცა, გარშემო არის გზა ჭიშკრის სიახლოვეს, სადაც აყენებენ მანქანებს.

რეკომენდაცია

- მოეწყოს ორგანიზებული პარკინგი მოქალაქეებისთვის და თანამშრომ-ლებისათვის, მათ შორის გამოიყოს სტანდარტების შესაბამისი ადგილი შშმ პირებისთვის;

- გამოიყოს სასამართლოში არსებულ ტროტუარამდე და ორგანიზებულ პარკირებიდან შენობამდე მისასვლელი ბილიკები, რომლებიც მისაწვდომი იქნება ყველა შშმ პირისთვის;
- რეკომენდებულია ეზოში არსებული ბილიკის დადაბლება მაქსიმალურად დამოუკიდებლად გამოსაყენებლად;
- აღმოიფხვრას ჭიშკართან არსებული მცირე ბარიერი, ასევე ტროტუარის გაფართოებულ ნაწილში განთავსდეს ტაქტილური ბილიკები და გასწორდეს დაზიანებული ფილები.

შენობაში შესასვლელი/შიდა სივრცე

სასამართლოს შესასვლელი ნულოვანია, ე.წ. უნივერსალური დიზაინით მოწყობილი შესაბამისად არ არის პანდუსი და კიბე. ფაქტობრივად დაბრკოლების გარეშე შევა შშმ პირი შენობაში. კარებთან არის სტანდარტისგან ოდნავ მაღალი ზღურბლი, რომელიც უნდა დადაბლდეს. სასამართლოს კიდევ აქვს ორი შესასვლელი: მოსამართლის და საბადრაგოს მხრიდან. ორივეგან ერთსაფეხუროვანი ბარიერია, რომლის ადაპტირებაც ძალიან მარტივად არის შესაძლებელი. სართულებს შორის დამაკავშირებელი კიბე არ შეესაბამება სტანდარტს. კარები შეღწევადია, სტანდარტის შესაბამისია მისი სიგანე, სახელურის დაშორება იატაკიდან. თუმცა, ის არის მინის და არა აქვს მარკირება. არ არის ავტომატური გაღების საშუალება შესაბამისად სტანდარტს არ აკმაყოფილებს.

შესასვლელში არის საკმარისი სივრცე მანევრირებისათვის. იატაკი არ არის სტანდარტის შესაბამისი და არ არის მასზე ტაქტილური მონიშვნები. კანცელარიის დახლი ფაქტორივად სტანდარტის შესაბამისია. საინფორმაციო დაფაზე განთავსებული ინფორმაცია, სკამები და დარბაზისა და ოთახების აღმნიშვნელი აბრები არ არის მისაწვდომი შშმ პირებისთვის. სასამართლოში ძირითადად არის ძველი ავეჯი, რომელიც შეესაბამება სტანდარტს და კარგი იქნება, თუ არ მოხდება მისი შეცვლა. თანაშემწესთან დასაკავშირებლად გამოიყენება კანცელარიაში არსებული ტელეფონი და კანცელარიაში დასაქმებული თანამშრომელი ეხმარება ყველა მოქალაქეს თანაშემწესთან კომუნიკაციის დამყარებაში. ეს შეიძლება ადაპტირებად ჩაითვალოს, გარდა ყრუ პირებისა.

სასამართლოში არის 8 საპირფარეშო, აქედან 4 საერთო მოხმარების (2-2 კაბინა) არის პირველ სართულზე. არ არის ადაპტირებადი და გამოყენებადი შშმ პირისთვის. პატარა ეტლით შეღწევადია, მაგრამ უშუალოდ კაბინა შეუღწევადია. რეკომენდებული იქნება ერთი საპირფარეშოს გაფართოება, რომელიც სრულად მისაწვდომი იქნება შშმ პირებისთვის. ადვილად ადაპტირებადია საპირფარეშოები, რადგან არის საკმარისი სივრცე.

რეკომენდაცია

- მოხდეს სასამართლოს ძირითად შესასვლელთან არსებული ზღურბლის დადაბლება;
- ადაპტირდეს შესასვლელ კარი, გაკეთდეს მარკირება;
- მოხდეს იატაკის მოწყობა ისე, რომ ის უსაფრთხო იყოს გადაადგილებისთვის შშმ პირებისთვის და უზრუნველყოფილი იყოს მასზე ტაქტილური ბილიკები;
- სასამართლოს შენობაში მოხდეს ერთი მისაწვდომი საპირფარეშოს მოწყობა;
- მოხდეს სართულებს შორის დამაკავშირებელი კიბის ადაპტირება;
- მოხდეს მოსამართლეებისა და ბრალდებულების შემოსასვლელი ერთსაფეხურიანი ბარიერის ადაპტირება;
- მოხდეს საინფორმაციო დაფის, აბრებისა და სკამების მისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მართლმსაჯულების პროცესი

სასამართლოში არის ორი სხდომის დარბაზი: ერთი პირველ სართულზე და მეორე მეორეზე. პირველ სართულზე არსებული დარბაზში უფრო მეტი სივრცეა. ავეჯის მცირე გადაადგილების პირობებში მხარეები შეძლებენ დამოუკიდებლად იფუნქციორონ მხარის როლში. მოწმის ტრიბუნა არის მაღალი, ბრალდებულის კაბინა გამოუყენებელია ეტლით მოსარგებლისთვის. მოსამართლის მხარე ტრადიციულად ერთი ნაბიჯი ზღურბლია და ძალიან ვიწრო კარი. ეს არის ძირითადი ბარიერი მოსამართლისთვის.

ბრალდებულის მოთავსების ადგილის შემთხვევაში კარებია მხოლოდ გასაფართოებელი, საპირფარეშოც იძლევა საშუალებას, რომ ადაპტირდეს სტანდარტულად. ბრალდებულებისათვის დაბრკოლებას წარმოადგენს სხდომის დარბაზამდე მისასვლელი კარები, რომელიც ძალიან ვიწროა და საჭიროებს გაფართოებას.

რეკომენდაცია

- დადაბლდეს მოწმე/ექსპერტის ტრიბუნა;
- სხდომათა დარბაზი მისაწვდომი გახდეს უსინათლო/მცირემხედველი პირებისათვის;
- სხდომათა დარბაზში ავეჯი ისე განლაგდეს, რომ ის სრულად მისაწვდომი გახდეს შშმ პირებისთვის;
- შშმ მოსამართლის ან/და თანაშემწის არსებობის შემთხვევაში, მოდიფიცირდეს სამუშაო გარემო მისი საჭიროებების მიხედვით;

- მოხდეს ბრალდებულის საკნის კარებისა, ასევე სხდომათა დარბაზში შესასვლელი კარების გაფართოება და საპირფარეშოს მისაწვდომობის უზრუნველყოფა.

პოზიტიური პრაქტიკა

ცაგერის რაიონული სასამართლო ერთ-ერთია იმ სასამართლოთაგან, სადაც შშ პირს ღირსეულად შეუძლია ფუნქციონირება მცირედი მოდიფიცირების პირობებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია, პრაქტიკულად ყოველგვარი ბარიერის გარეშე, ნულოვანი შესასვლელი შენობაში, მისაწვდომი კანცელარიის დახლი და ძველი ავეჯი, რომელიც აკმაყოფილებს სტანდარტებს. მოსამართლესთან კომუნიკაციაში უსინათლო ან მცირემხედველ მოქალაქეს ეხმარება სასამართლოს თანამშრომელი რაც დადებითი პრაქტიკაა, თუმცა სმენის არმქონე პირისთვის კომუნიკაცია მაინც შეუძლებელია.

სტატუსი - შენობა შეღწევადი და ნაწილობრივ მისაწვდომია.

გურჯაანის რაიონული სასამართლო

შესავალი

2019 წლის 28 მაისს, სასამართლოს შენობის მისაწვდომობის მონიტორინგი განხორციელდა გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, რომელიც მდებარეობს ქ. გურჯაანში სანაპიროს 24 ნომერში.

შენობის ადგილმდებარეობა და მუნიციპალური ტრანსპორტი

გურჯაანის რაიონული სასამართლო არის სამსართულიანი და მდებარეობს გზის პირას. სასამართლოს სიახლოვეს არ არის მისაწვდომი გაჩერება და ქალაქს არ ემსახურება ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტი. სასამართლოს შესასვლელის წინ არის ტროტუარი, მაგრამ გამოუყენებელია, რადგან ძირითადად მანქანებით არის დატვირთული.

რეკომენდაცია

- მოხდეს ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტის უზრუნველყოფა;
- სასამართლოსთან მაქსიმალურად ახლოს მოეწყოს მუნიციპალური ტრანსპორტის გაჩერება შესაბამისი ადაპტირებული მოსაცდელით;
- ადაპტირებული გაჩერებიდან სასამართლომდე მისასვლელი გზა მოეწყოს იმდაგვარად, რომ ის მისაწვდომი იყოს ყველა შშმ პირისთვის.

სასამართლოს პარკინგი და ეზო

სასამართლოს აქვს საკმაოდ დიდი ეზო, რომელიც შემოსაზღვრულია რკინის ღობით. ჭიშკრიდან შესასვლელამდე რაიმე არსებითი ბარიერი არ არის და ეტლით მოსარგებლე ადამიანი დაბრკოლების გარეშე მივა შენობამდე. თუმცა, არ არის ტაქტილური ბილიკები. ეზოში არის რამდენიმე სკამი, რომელსაც მოაჯირები არა აქვს. სასამართლოს აქვს გარე პარკინგი, რომელიც ორგანიზებულია, ასევე დაყენებულია თავად სასამართლოს მიერ დამზადებული შშმ პირის საგზაო ნიშანი, მაგრამ თავად სადგომი არ არის სტანდარტის შესაბამისი. თანამშრომლები მანქანას აჩერებენ შენობის უკან არაორგანიზებულ პარკინგზე, სადაც არ არის გამოყოფილი ადგილი შშმ პირისთვის.

რეკომენდაცია

- მოეწყოს ორგანიზებული პარკინგი მოქალაქეებისთვის, მათ შორის გამოიყოს სტანდარტების შესაბამისი ადგილი შშმ პირებისთვის;
- თანამშრომელთა პარკინგისთვის გამოყოფილი ადგილი დაიხაზოს, გახდეს ორგანიზებული და გამოიყოს შშმ პირებისთვის სტანდარტების შესაბამისი ადგილი;
- გამოიყოს სასამართლოს შენობამდე და ორგანიზებულ პარკირებიდან შენობამდე მისასვლელი ბილიკები, რომლებიც მისაწვდომი იქნება ყველა შშმ პირისთვის;
- ეზოში მოეწყოს ტაქტილური ბილიკები;
- ეზოში განთავსებულ სკამებს გაუკეთდეს მოაჯირები, რომ სრულად მისაწვდომი იყოს ყველა შშმ პირისთვის.

შენობაში შესასვლელი/შიდა სივრცე

შენობის ძირითად შესასვლელში არის კიბე და პანდუსი. კიბე ორ ნაწილად არის გაყოფილი შუაში მოწყობილი პანდუსით. პანდუსის გამოყენება დამოუკიდებლად შეუძლებელია შშმ პირის მიერ, არის ძალიან დაქანებული, მოაჯირების გარეშე. ასევე არ არის მასზე ტაქტილური ბილიკები. კიბე არ არის სტანდარტის შესაბამისი, არა აქვს მოაჯირი, არა აქვს ტაქტილური ბილიკები და კონტრასტული ფერები, კიბის სიღრმე და სიმაღლე არ სტანდარტის შეუსაბამოა. სასამართლოში არის კიდევ ორი კიბე, სართულების დამაკავშირებელი და ბრალდებულების შემოსაყვანი, რომლებიც ასევე არ არის სტანდარტის შესაბამისი. კარები არის ორფრთიანი და შეღწევადი. თუმცა, არის მინის მარკირების გარეშე. ავტომატური გაღების ფუნქციის გარეშე. კარების გაღებისას დაბრკოლებას წარმოადგენს შესასვლელში არსებული მანდატურის მაგიდა, რომელის გადაადგილება იქნება სასურველი, რომ ეტლის მომხმარებელს შეეძლოს თავისუფლად მანევრირება.

შესასვლელში საკმარისი სივრცეა მანევრირებისათვის. იატაკი არის პრიალა, სრიალა და მოცურების საფრთხის შემცველი, ასევე არ არის ტაქტილური ბილიკები გამოყოფილი. შესასვლელში არსებული კანცელარიის დახლი, მოქალაქეებისთვის გამოყოფილი განცხადებების დასაწერი მაგიდა, საჩივრების ყუთი, მოსამართლის თანაშემწესთან საკომუნიკაციო დახლი (ტელეფონი), დარბაზისა და ოთახების აღმნიშვნელი აბრები და სკამები არ არის სტანდარტის შესაბამისი.

სასამართლოში არის 10 სანიტარული კვანძი, რომელთაგან ერთი საერთო მოხმარების მდებარეობს პირველ სართულზე და სრულად მიუწვდომელია. საპირფარეშოს შესასვლელი და შიდა სივრცე ისეა განლაგებული, რომ მხოლოდ კარების გადმოტანისა და შიდა კედლის არსებითი გადაკეთების შემთხვევაში იქნება შესაძლებელი მისი ადაპტირება. პირველ სართულზევეა თანამშრომლებისთვის გამოყოფილი სველი წერტილი, რომელიც უფრო ადვილად შეიძლება გახდეს მისაწვდომი. თუმცა, იქ მოქალაქეთა დაშვება ამჟამად არ შეიძლება, კარებით არის გამოყოფილი შესასვლელიდან.

რეკომენდაცია

- მოხდეს სასამართლოს ძირითადი შესასვლელის ადაპტირება (კიბე, პანდუსი, კარები, შიდა სივრცის გაფართოება ეტლის მანევრირებისათვის ავეჯის გადაადგილების გზით) მისი დამოუკიდებელი გამოყენების მიზნით;
- სასამართლოს შენობაში მოხდეს ერთი მისაწვდომი საპირფარეშოს მოწყობა;
- იატაკი გახდეს უსაფრთხო და მოეწყოს ტაქტილური ბილიკები.
- მოხდეს სართულების დამაკავშირებელი კიბის ადაპტირება;
- მოხდეს კანცელარიის დახლის, საჩივრების ყუთის, მოსამართლის თანაშემწესთან საკომუნიკაციო საშუალების, მოქალაქეებისთვის გამოყოფილი მაგიდის, სკამების, საინფორმაციო დაფისა და აბრების მისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მართლმსაჯულების პროცესი

სასამართლოში სულ სამი დარბაზია: ერთი პირველ სართულზე და 2 მეორე სართულზე. პირველ სართულზე არსებული დარბაზი დღეს არსებული მდგომარეობით მიუწვდომელია. დარბაზში შესასვლელი არის 7 სანტიმეტრიანი ზღურბლით. ზღურბლი არ არის კონტრასტული ფერით გამოყოფილი და საფრთხეს უქმნის მცირემხედველი პირებს. დარბაზში არსებული სივრცე არის ძალიან პატარა. მხარეებისთვის განკუთვნილი სივრცე და ავეჯის განლაგება ისეთია, რომ მას ვერ გამოიყენებს ეტლით მოსარგებლე შშმ პირი. დარბაზში არსებული იატაკი არის პრიალა და სრიალა, არ არის ტაქტილური ბილიკები გამოყოფილი. მეორე სართულზე არის კიდევ ორი დარბაზი, რომელთაგან ერთ-ერთი ასევე სრულად მიუწვდომელია,

ხოლო მეორე შშმ პირების მიერ გამოყენებადია მცირე ცვლილებების პირობებში. თუმცა, მეორე სართულის დარბაზის შემთხვევაში დაბრკოლებას წარმოადგენს სართულებს შორის დამაკავშირებელი კიბე. დარბაზებში არსებული ტრიბუნები არის მაღალი. დარბაზში შემოსასვლელი მიუწვდომელია მოსამართლეების შემთხვევაში, კარები არის ვიწრო და ზღურბლი ძალიან მაღალი.

ბრალდებულის შემოსაყვანად არის ცალკე შემოსასვლელი, სადაც გვხვდება კიბე, რომელიც არ არის სტანდარტის შესაბამისი. საკნების კარები ვიწროა, მაგრამ პატარა ეტლისთვის შეღწევადი. საკნებიდან დარბაზამდე სივრცე არის ვიწრო. მიუწვდომელია ასევე საპირფარეშო.

რეკომენდაცია

- დადაბლდეს მოწმე/ექსპერტის ტრიბუნა;
- მოხდეს პირველ სართულზე არსებული კარების ზღურბლის დადაბლება;
- სხდომათა დარბაზი მისაწვდომი გახდეს უსინათლო/მცირემხედველი პირებისათვის;
- სხდომათა დარბაზში ავეჯი ისე განლაგდეს, რომ მისაწვდომი გახდეს შშმ პირებისთვის;
- შშმ მოსამართლის ან/და თანაშემწის არსებობის შემთხვევაში, მოდიფიცირდეს სამუშაო გარემო მისი საჭიროებების მიხედვით;
- მოხდეს ბრალდებულის შემოსაყვანი სათადარიგო შესასვლელის, განსათავსებელი სივრცისა და საპირფარეშოს მისაწვდომობის უზრუნველყოფა.

სტატუსი - შენობა შეუღწეველი და მიუწვდომელია.

ბორჯომის მაგისტრატი სასამართლო

შესავალი

2019 წლის 18 მაისს, სასამართლოს შენობის მისაწვდომობის მონიტორინგი განხორციელდა ბორჯომის მაგისტრატ სასამართლოში, რომელიც მდებარეობს ქ. ბორჯომში, ნ. დუმბაძის 7 ნომერში.

შენობის ადგილმდებარეობა და მუნიციპალური ტრანსპორტი

ბორჯომის მაგისტრატი სასამართლოს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებობს მუნიციპალური ტრანსპორტისთვის განკუთვნილი გაჩერება მოსაცდელის გარეშე. ქალაქს არ ემსახურება ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტი. გაჩერებიდან სასამართლომდე გზა მიუწვდომელია სხვადასხვა სახის დაბრკოლებების გამო.

გზა არ არის მისაწვდომი უსინათლო მოქალაქისთვის. მათთვის დამოუკიდებლად გადაადგილება საფრთხის შემცველია. შესაბამისად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოქალაქე მხოლოდ საკუთარი ტრანსპორტით ან ტაქსით შეიძლება მივიდეს სასამართლო შენობასთან. შენობა განთავსებულია სავალის გზის პირას, რის გამოც უსაფრთხოება არ არის დაცული შშმ პირთათვის.

რეკომენდაცია

- რეკომენდებულია ქალაქს ემსახურებოდეს ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტი;
- რეკომენდებულია მისაწვდომი გახდეს გაჩერებები, გადასასვლელები და ბილიკები შშმ პირთათვის;
- რეკომენდებულია სასამართლო შენობის მისადგომების უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

სასამართლოს პარკინგი და ეზო

სასამარლოს არ აქვს ეზო. ავტომობილების გაჩერებისთვის განკუთვნილია საერთო სარგებლობის პარკინგი. სასამართლოს გააჩნია მისაწვდომი სპეციალური ავტოსადგომი შშმ პირთათვის.

შენობაში შესასვლელი/შიდა სივრცე

სასამართლოში შესვლა შესაძლებელია კიბით და პანდუსით. შენობის კიბე არ აკმაყოფილებს მისაწვდომობის სტანდარტს უსინათლო/მცირემხედველი მომხმარებლისთვის. ეტლის მომხმარებელი მოქალაქისთვის შენობაში შესვლა შესაძლებელია პანდუსის საშუალებით, რომლის დამოუკიდებლად გამოყენება შესაძლებელია ყველა სახის ეტლის მომხმარებლისთვის. სასამართლოს ძირითადი შესასვლელი კარი შეღწევადია ეტლით მომხმარებლისთვის, თუმცა დამოუკიდებლად გამოყენების სტანდარტს არ აკმაყოფილებს, ავტომატური/ორმხრივი გაღების ფუნქციის არ არსებობის გამო. კარი შემინული და არამარკირებულია, რაც საფრთხეს ქმნის მცირემხედველი მოქალაქისთვის. შენობის შიდა სივრცე საკმარისი, თუმცა იატაკი არასტანდარტული. არსებობს მოცურების რისკი, ირეკლავს შუქს, არ არის ტაქტილური მონიშვნები. საინფორმაციო დაფები გამოუყენებელია უსინათლო/მცირემხედველი მომხმარებლისთვის. ფუნქციური დანიშნულების ობიექტებთან საინფორმაციო აბრები განთავსებულია არასტანდარტულ სიმაღლეზე და მიუწვდომელია. საკომუნიკაციო საშუალება (ტელეფონი) მიუწვდომელია უსინათლო და ყრუ მომხმარებლისთვის. სასამართლოში გამოყენებული ავეჯი არასტანდარტულია, თუმცა ძირითადად გამოყენებადი. სასამართლოს კანცელარიის დახლი აკმაყოფილებს სტანდარტს. სასამართლოში არ არის ადაპტირებული საპირფარეშო.

რეკომენდაცია

- რეკომენდებულია სასამართლოს შესასვლელის (კიბე, კარი) ადაპტირება დამოუკიდებლად გამოსაყენებლად;
- რეკომენდებულია საპირფარეშოს ადაპტირება;
- რეკომენდებულია საინფორმაციო დაფების/აბრების/საკომუნიკაციო საშუალებების მისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მართლმსაჯულების პროცესი

სასამართლოს აქვს 1 სხდომის დარბაზი, რომელიც განთავსებულია პირველ სართულზე. დარბაზის შესასვლელი სრულად მისაწვდომია, შიდა სივრცე საკმარისი. შშმ პირი, როგორც მხარე (ადვოკატის ჩათვლით) საქმის წარმოების დროს არ აწყდება არსებითად ბარიერს, ფუნქციონირებს შეუფერხებლად. სხდომის დარბაზი გამოუყენებელია შშმ პირისთვის მოსამართლის როლში. ძირითად ბარიერს ქმნის მაღალი ზღურბლი (41სმ) სასამართლოს სხდომის დარბაზში შესასვლელად. არ არსებობს მისაწვდომი საპირფარეშო მოსამართლისთვის. სასამართლოს აქვს საკონფერენციო დარბაზი, რაც შეუღწეველია ეტლით მოსარგებლე მოსამართლისთვის. მოწმე/ექსპერტისთვის განკუთვნილი ტრიბუნა მაღალია, რაც ქმნის ხილვადობის ბარიერს ეტლის მომხმარებელი პირისთვის და მოსამართლისთვის. სხდომის დარბაზი აღჭურვილია ბრალდებულისთვის განკუთვნილი კაბინით, რომელიც მიუწვდომელია. ბრალდებულისთვის განკუთვნილ საკნებთან მისასვლელი გზა, საკნები და საპირფარეშო მიუწვდომელია.

რეკომენდაცია

- რეკომენდებულია, შშმ მოსამართლის არსებობის შემთხვევაში, მოდიფიცირდეს სამუშაო გარემო;
- დადაბლდეს მოწმე/ექსპერტის ტრიბუნა;
- მოხდეს ბრალდებულისთვის განკუთვნილი საკნების შესასვლელის, საკნების, კაბინის და საპირფარეშოს ადაპტირება;
- რეკომენდებულია მისაწვდომი გახდეს მოსამართლეთა საკონფერენციო დარბაზი.

პოზიტიური პრაქტიკა

ბორჯომის მაგისტრატი სასამართლო შეფასდა, როგორც ყველაზე თანამედროვე და მისაწვდომ სასამართლოდ. შენობას გააჩნია სპეციალური პარკირების ადგილი, რომელიც უკავშირდება არსებითად მისაწვდომ პანდუსს, რითაც სასამართლოში დამოუკიდებლად შესვლა არის შესაძლებელი. სასამართლო უზრუნველყოფილია სპეციალური დამხმარე საშუალებით (ეტლი), რომლის გამოყენებაც შეუძლია

მოქალაქეს საჭიროების შემთხვევაში, რაც პოზიტიურ პრაქტიკას წარმოადგენს. სასამართლოს ჰოლში არსებული კანცელარიის დახლის სიმაღლე სრულად აკმაყოფილებს სტანდარტებს.

სტატუსი - შენობა ნაწილობრივ შეღწევადი და ნაწილობრივ მისაწვდომია.

დუშეთის მაგისტრატი სასამართლო

შესავალი

2019 წლის 6 ივნისს, სასამართლოს შენობის მისაწვდომობის მონიტორინგი განხორციელდა დუშეთის მაგისტრატ სასამართლოში, რომელიც მდებარეობს დუშეთში, კოსტავას 38 ნომერში.

შენობის ადგილმდებარეობა და მუნიციპალური ტრანსპორტი

დუშეთის მაგისტრატ სასამართლოს მიმდებარე ტერიტორიაზე არ არსებობს მუნიციპალური ტრანსპორტისთვის განკუთვნილი ადაპტირებული გაჩერება მოსაცდელით. ქალაქს არ ემსახურება ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტი. სასამართლომდე გზა მიუწვდომელია სხვადასხვა სახის დაბრკოლებების არსებობის გამო. ამავდროულად გზა არ არის მისაწვდომი უსინათლო მოქალაქისთვის და დამოუკიდებლად გადაადგილება საფრთხის შემცველია. შესაბამისად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოქალაქე მხოლოდ საკუთარი ტრანსპორტით ან ტაქსით შეიძლება მივიდეს სასამართლო შენობასთან. შენობა განთავსებულია სავალის გზის პირას.

რეკომენდაცია

- რეკომენდებულია ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტის უზრუნველყოფა;
- რეკომენდებულია მისაწვდომი გაჩერებების და ბილიკების უზრუნველყოფა;
- რეკომენდებულია სასამართლო შენობასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია ადაპტირების მიზნით.

სასამართლოს პარკინგი და ეზო

სასამართლოს არ აქვს ეზო. ცენტრალურ შესასვლელთან ავტომობილების გაჩერებისთვის განკუთვნილია არაორგანიზებული, გზის განაპირას საერთო სარგებლობის პარკინგი თანამშრომლების და მოქალაქეებისთვის. სასამართლოს არ გააჩნია მისაწვდომი სპეციალური ავტოსადგომი შშმ პირთათვის.

რეკომენდაცია

დუშეთის მუნიციპალიტეტს:

- რეკომენდებულია ორგანიზებული პარკინგის მოწყობა მათ შორის შშმ პირისთვის.

შენობაში შესასვლელი/შიდა სივრცე

სასამართლო არის 2 სართულიანი, სადაც შესვლა შესაძლებელია კიბით და პანდუსით. შენობის კიბე არ აკმაყოფილებს მისაწვდომობის სტანდარტს უსინათლო/მცირემხედველი მომხმარებლისთვის. ეტლის მომხმარებელი მოქალაქისთვის შენობაში შესვლა შეუძლებელია არსებული არასტანდარტული პანდუსის საშუალებით. სასამართლოს ძირითადი შესასვლელი კარი შეღწევადია ეტლით მომხმარებლისთვის, თუმცა დამოუკიდებლად გამოყენების სტანდარტს არ აკმაყოფილებს, ავტომატური/ორმხრივი გაღების ფუნქციის არ არსებობის გამო. შენობის შიდა სივრცე არასაკმარისი და ავეჯით გადატვირთულია. იატაკი არასტანდარტული. არსებობს მოცურების რისკი, ირეკლავს შუქს, არ არის ტაქტილური მონიშვნები. საინფორმაციო დაფები გამოუყენებელია უსინათლო/მცირემხედველი მომხმარებლისთვის. ფუნქციური დანიშნულების ობიექტებთან საინფორმაციო აბრები განთავსებულია არასტანდარტულ სიმაღლეზე და მიუწვდომელია. სასამართლოში გამოყენებული ავეჯი არასტანდარტულია, თუმცა ძირითადად გამოყენებადი. სასამართლოში არ არის ადაპტირებული საპირფარეშო. არსებულის გამოყენება შეუძლებელი და საფრთხის შემცველია უსინათლო მომხმარებლისთვის.

რეკომენდაცია

- რეკომენდებულია სასამართლოს შესასვლელის (კიბე, პანდუსი, კარი) ადაპტირება დამოუკიდებლად გამოსაყენებლად;
- რეკომენდებულია საპირფარეშოს ადაპტირება;
- რეკომენდებულია საინფორმაციო დაფების/აბრების/საკომუნიკაციო საშუალებების, კანცელარიის დახლის მისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მართლმსაჯულების პროცესი

სასამართლოს აქვს 1 სხდომის დარბაზი, განთავსებულია მინუს პირველ სართულზე. დარბაზი სრულიად მიუწვდომელია ფიზიკური გადაადგილების შეზღუდვის მქონე მოქალაქისთვის, რადგან პირველ სართულთან დაკავშირებულია კიბით. კიბე არასტანდარტულია. სხდომის დარბაზში შესვლა შეუძლებელია შესასვლელთან არსებული ორი საფეხურის გამო. დარბაზის შიდა სივრცე არასაკმარისია. შშმ პირი, როგორც მხარე (ადვოკატის ჩათვლით) საქმის წარმოების დროს აწყდება არსებით სივრცით ბარიერს. დარბაზის შიდა ინფრასტრუქტურის ცვლილება შეუძლებელია არსებული სივრცის გათვალისწინებით. სხდომის დარბაზი გამოუყენებელია შშმ

პირისთვის მოსამართლის როლშიც. ძირითად ბარიერს ქმნის მაღალი ზღურბლი სასამართლოს სხდომის დარბაზში შესასვლელად. არ არის შშმ მოსამართლისთვის სამოძრაო სივრცე. არ არსებობს მისაწვდომი საპირფარეშო მოსამართლისთვის. მოსამართლის სამუშაო ოთახი არის პირველ სართულზე დაკავშირებულია კიბით. მოწმე/ექსპერტისთვის განკუთვნილი ადგილი შეუღწეველია ეტლისთვის და ტრიბუნა მაღალია, რაც ქმნის ხილვადობის ბარიერს ეტლის მომხმარებელი პირისთვის და მოსამართლისთვის. სხდომის დარბაზი აღჭურვილია ბრალდებულისთვის განკუთვნილი კაბინით, რომელიც შეუღწევადია ეტლისთვის. ბრალდებულისთვის განკუთვნილი საკნები, საკნებიდან დარბაზამდე მისასვლელი გზა და საპირფარეშო მიუწვდომელია.

რეკომენდაცია

- აღნიშნული სასამართლოს მისაწვდომობა შეუძლებელია მისი არსებითი და სრული გადაკეთების გარეშე, ამიტომ რეკომენდებულია შენობის გამოცვლა.

სტატუსი - შენობა შეუღწეველი და მიუწვდომელია.

საგარეჯოს მაგისტრატი სასამართლო

შესავალი

2019 წლის 10 ივნისს, სასამართლოს შენობის მისაწვდომობის მონიტორინგი განხორციელდა საგარეჯოს მაგისტრატ სასამართლოში, რომელიც მდებარეობს საგარეჯოში, ჯაფარიძის 4 ნომერში.

შენობის ადგილმდებარეობა და მუნიციპალური ტრანსპორტი

საგარეჯოს მაგისტრატ სასამართლოს მიმდებარე ტერიტორიაზე არ არსებობს მუნიციპალური ტრანსპორტისთვის განკუთვნილი ადაპტირებული გაჩერება მოსაცდელით. ქალაქს არ ემსახურება ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტი. სასამართლომდე გზა მიუწვდომელია სხვადასხვა სახის დაბრკოლებების არსებობის გამო. ამავდროულად გზა არ არის მისაწვდომი უსინათლო მოქალაქისთვის, დამოუკიდებლად გადაადგილება საფრთხის შემცველია. შესაბამისად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოქალაქე მხოლოდ საკუთარი ტრანსპორტით ან ტაქსით შეიძლება მივიდეს სასამართლო შენობასთან. შენობა განთავსებულია სავალის გზის პირას.

რეკომენდაცია

- რეკომენდებულია ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტით ქალაქის

უზრუნველყოფა;

- რეკომენდებულია მისაწვდომი გაჩერებების და ბილიკები ორგანიზება;
- რეკომენდებულია სასამართლო შენობასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია.

სასამართლოს პარკინგი და ეზო

სასამართლოს აქვს ეზო, რომელიც შემოსაზღვრულია რკინის დიდი ჭიშკარით. ჭიშკარი არ არასტანდარტულია და ქმნის მნიშვნელოვან ბარიერს (მაღალი ზღურბლი). ჭიშკრიდან შენობის შესასვლელამდე მოწყობილია ბილიკი ქიმების გარეშე, რაც გადავარდნის არსებით საფრთხეს ქმნის შშმ პირისთვის. ავტომობილების გაჩერებისთვის განკუთვნილია არაორგანიზებული, გზის განაპირას საერთო სარგებლობის პარკინგი. სასამართლოს არ გააჩნია სპეციალური ავტოსადგომი შშმ პირთათვის.

რეკომენდაცია

- რეკომენდებულია ეზოს ადაპტირება და არსებული ბარიერების პრევენცია საფრთხის აღმოფხვრისთვის;
- რეკომენდებულია სასამართლოს ეზოში შემავალი კარის ადაპტირება დამოუკიდებლად გამოყენების მიზნით;
- რეკომენდებულია ორგანიზებული პარკინგის მოწყობა მათ შორის შშმ პირისთვის.

შენობაში შესასვლელი/შიდა სივრცე

სასამართლო არის 2 სართულიანი, სადაც შესვლა შესაძლებელია კიბით და პანდუსით. შენობის კიბე არ აკმაყოფილებს მისაწვდომობის სტანდარტს უსინათლო/მცირემხედველი მომხმარებლისთვის. ეტლის მომხმარებელი მოქალაქისთვის შენობაში შესვლა შეუძლებელია არსებული პანდუსის საშუალებით, რადგან მისი გამოყენება ქმნის ფიზიკური დაზიანების არსებით რისკს. სასამართლოს ძირითადი შესასვლელი კარი შეღწევადია ეტლის მომხმარებლისთვის, თუმცა დამოუკიდებლად გამოყენების სტანდარტს არ აკმაყოფილებს, ავტომატური/ორმხრივი გაღების ფუნქციის არ არსებობის გამო. შენობის შიდა სივრცე არასაკმარისი ავეჯის გადატვირთულობის გამო. იატაკი არასტანდარტულია. არსებობს მოცურების რისკი, ირეკლავს შუქს, არ არის ტაქტილური მონიშვნები. საინფორმაციო დაფები გამოუყენებელია უსინათლო/მცირემხედველი მომხმარებლისთვის. ფუნქციური დანიშნულების ობიექტებთან საინფორმაციო აბრები განთავსებულია არასტანდარტულ სიმაღლეზე და მიუწვდომელია. სასამართლოს არ გააჩნია საკომუნიკაციო საშუალება (ტელეფონი) და საჩივრის ყუთი. სასამართლოში გამოყენებული ავეჯი არასტანდარტულია, თუმცა ძირითადად გამოყენებადი. სასამართლოში არ არის ადაპტირებული საპირფარეშო. არსებულის გამოყენება

შეუძლებელი და საფრთხის შემცველია უსინათლო მომხმარებლისთვის.

რეკომენდაცია

- რეკომენდებულია სასამართლოს შესასვლელის (კიბე, პანდუსი, კარი) ადაპტირება დამოუკიდებლად გამოსაყენებლად;
- რეკომენდებულია საპირფარეშოს ადაპტირება;
- რეკომენდებულია საინფორმაციო დაფების/აბრების/საკომუნიკაციო საშუალებების მისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მართლმსაჯულების პროცესი

სასამართლოს აქვს 1 სხდომის დარბაზი, განთავსებულია მეორე სართულზე. დარბაზი სრულიად მიუწვდომელია ფიზიკური გადაადგილების შეზღუდვის მქონე მოქალაქისთვის, რადგან პირველ სართულთან დაკავშირებულია კიბით. კიბე არასტანდარტულია. დარბაზის კარის ღიობი არასტანდარტულია. სხდომის დარბაზში შიდა სივრცე არასაკმარისია. შშმ პირი, როგორც მხარე (ადვოკატის ჩათვლით) საქმის წარმოების დროს აწყდება არსებით სივრცით ბარიერს დარბაზის შიდა ინფრასტრუქტურის ცვლილების გარეშე. სხდომის დარბაზი გამოუყენებელია შშმ პირისთვის მოსამართლის როლში. ძირითად ბარიერს ქმნის მაღალი ზღურბლი (ორი საფეხური) სასამართლოს სხდომის დარბაზში შესასვლელად. არ არის შშმ მოსამართლისთვის სამოძრაო სივრცე. მოსამართლის კარის ღიობი შეუღწეველია. არ არსებობს მისაწვდომი საპირფარეშო მოსამართლისთვის. მოწმე/ექსპერტისთვის განკუთვნილი ადგილი შეუღწეველია ეტლისთვის და ტრიბუნა მაღალია, რაც ქმნის ხილვადობის ბარიერს ეტლის მომხმარებელი პირისთვის და მოსამართლისთვის. სხდომის დარბაზი აღჭურვილია ბრალდებულისთვის განკუთვნილი კაბინით, რომელიც შეუღწევადია ეტლისთვის. ბრალდებულისთვის განკუთვნილი საკნები და საპირფარეშო მიუწვდომელია.

რეკომენდაცია

- რეკომენდებულია, შშმ მოსამართლის არსებობის შემთხვევაში, მოდიფიცირდეს სამუშაო გარემო;
- რეკომენდებულია არსებითად შეიცვალოს დარბაზის სივრცითი მოწყობა; დადაბლდეს მოწმე/ექსპერტი ტრიბუნა;
- რეკომენდებულია ბრალდებულისთვის განკუთვნილი საკნების და კაბინის ადაპტირება;
- რეკომენდებულია შენობას გაუკეთდეს ლიფტი სხდომის დარბაზის მისაწვდომობის მიზნით.

სტატუსი - შენობა შეუღწეველი და მიუწვდომელია.

ქედის მაგისტრატი სასამართლო

შესავალი

2019 წლის 21 მაისს, სასამართლოს შენობის მისაწვდომობის მონიტორინგი განხორციელდა ქედის მაგისტრატ სასამართლოში, რომელიც მდებარეობს ქედაში, ტ. აბუსელიძის 17 ნომერში.

შენობის ადგილმდებარეობა და მუნიციპალური ტრანსპორტი

ქედის მაგისტრატ სასამართლოს მიმდებარე ტერიტორიაზე არ არსებობს ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტისთვის განკუთვნილი გაჩერება მოსაცდელით. ქალაქს არ ემსახურება ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტი. გაჩერებიდან სასამართლომდე გზა მიუწვდომელია სხვადასხვა სახის დაბრკოლებების არსებობის გამო. ამავდროულად გზა არ არის მისაწვდომი უსინათლო მოქალაქისთვის, დამოუკიდებლად გადაადგილება საფრთხის შემცველია. შესაბამისად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოქალაქე მხოლოდ საკუთარი ტრანსპორტით ან ტაქსით შეიძლება მივიდეს სასამართლო შენობასთან. შენობა განთავსებულია სავალის გზის პირას, რის გამოც უსაფრთხოება არ არის დაცული შშმ პირთათვის.

რეკომენდაცია

- რეკომენდებულია ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტით უზრუნველყოფა;
- რეკომენდებულია მისაწვდომი გახდეს ბილიკები და სასამართლოსთან ყველაზე ახლოს მოეწყოს გაჩერება;
- რეკომენდებულია სასამართლო შენობის მისადგომების უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

სასამართლოს პარკინგი და ეზო

სასამართლოს არ აქვს ეზო. ავტომობილების გაჩერებისთვის განკუთვნილია საერთო სარგებლობის არაორგანიზებული პარკინგი. სასამართლოს არ გააჩნია მისაწვდომი სპეციალური ავტოსადგომი შშმ პირთათვის.

რეკომენდაცია

- რეკომენდებულია პარკინგის ორგანიზება მათ შორის შშმ პირისთვის.

შენობაში შესასვლელი/შიდა სივრცე

სასამართლო შენობა 3 სართულისგან შედგება, რომელთაგან სასამართლოსთვის გამოყენებულია მხოლოდ ერთი სართული. სასამართლოში შესვლა შესაძლებელია

კიბით და პანდუსით. შენობის კიბე არ აკმაყოფილებს მისაწვდომობის სტანდარტს უსინათლო/მცირემხედველი მომხმარებლისთვის. ეტლის მომხმარებელი მოქალაქისთვის გათვალიწინებულია პანდუსი, რომლის გამოყენებაც შეუძლებელი და სახიფათოა. სასამართლოს ძირითადი შესასვლელი კარი შეღწევადია ეტლით მომხმარებლისთვის, თუმცა დამოუკიდებლად გამოყენების სტანდარტს არ აკმაყოფილებს, ავტომატური/ორმხრივი გაღების ფუნქციის არ არსებობის და მაღალი ზღურბლის გამო. კარი შემინული და არამარკირებულია, რაც საფრთხეს ქმნის მცირემხედველი მოქალაქისთვის. შენობის შიდა სივრცე საკმარისი, თუმცა იატაკი არასტანდარტული. არსებობს მოცურების რისკი, ირეკლავს შუქს, არ არის ტაქტილური მონიშვნები. საინფორმაციო დაფები გამოუყენებელია უსინათლო/მცირემხედველი მომხმარებლისთვის. ფუნქციური დანიშნულების ობიექტებთან საინფორმაციო აბრები განთავსებულია არასტანდარტულ სიმაღლეზე და მიუწვდომელია. საკომუნიკაციო საშუალება არ არსებობს. სასამართლოში გამოყენებული ავეჯი არასტანდარტულია, თუმცა ძირითადად გამოყენებადი. სასამართლოში არ არის ადაპტირებული საპირფარეშო.

რეკომენდაცია

- რეკომენდებულია სასამართლოს შესასვლელის (კიბე, კარი, პანდუსი) ადაპტირება დამოუკიდებლად გამოსაყენებლად;
- რეკომენდებულია საპირფარეშოს ადაპტირება;
- რეკომენდებულია საინფორმაციო დაფების/აბრების/საკომუნიკაციო საშუალებების კანცელარიის დახლის მისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მართლმსაჯულების პროცესი

სასამართლოს სხდომის დარბაზი, განთავსებულია პირველ სართულზე. დარბაზის შესასვლელი არ არის მისაწვდომი მაღალი ზღურბლის გამო. ოთახის შიდა სივრცე საკმარისი. შშმ პირი, როგორც მხარე (ადვოკატის ჩათვლით) საქმის წარმოების დროს არ აწყდება არსებითად ბარიერს, თუმცა ავეჯის გადაადგილებას საჭიროებს მისაწვდომობისათვის. სხდომის დარბაზი გამოუყენებელია შშმ პირისთვის მოსამართლის როლში. ძირითად ბარიერს ქმნის კიბის ორი საფეხური სასამართლოს სხდომის დარბაზში შესასვლელად. არ არსებობს მისაწვდომი საპირფარეშო მოსამართლისთვის. მოწმე/ექსპერტისთვის განკუთვნილი ტრიბუნა მაღალია, რაც ქმნის ხილვადობის ბარიერს ეტლის მომხმარებელი პირისთვის და მოსამართლისთვის. სხდომის დარბაზი აღჭურვილია ბრალდებულისთვის განკუთვნილი კაბინით, რომელიც მიუწვდომელია. ბრალდებულისთვის განკუთვნილი საკნები და საპირფარეშო მიუწვდომელია.

რეკომენდაცია

- რეკომენდებულია შშმ მოსამართლის არსებობის შემთხვევაში, მოდიფიცირდეს სამუშაო გარემო;
- რეკომენდებულია დადაბლდეს მოწმე/ექსპერტი ტრიბუნა და გაფართოვდეს სივრცე ავეჯის გადაადგილებით, მოიხსნას მაღალი ზღურბლი დარბაზის კართან;
- რეკომენდებულია მოხდეს ბრალდებულისთვის განკუთვნილი საკნების, კაბინის, საპირფარეშოს და შემოსასვლელების ადაპტირება.

სტატუსი - შენობა შეუღწეველი და მიუწვდომელია.

ქობულეთის მაგისტრატი სასამართლო

შესავალი

2019 წლის 22 მაისს, სასამართლოს შენობის მისაწვდომობის მონიტორინგი განხორციელდა ქობულეთის მაგისტრატ სასამართლოში, რომელიც მდებარეობს ქობულეთში, თავისუფლების 21 ნომერში.

შენობის ადგილმდებარეობა და მუნიციპალური ტრანსპორტი

ქობულეთის მაგისტრატ სასამართლოს მიმდებარე ტერიტორიაზე არ არსებობს მუნიციპალური ტრანსპორტისთვის განკუთვნილი ადაპტირებული გაჩერება მოსაცდელით. ქალაქს არ ემსახურება ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტი. გაჩერებიდან სასამართლომდე გზა არსებითად მიუწვდომელია სხვადასხვა სახის მნიშვნელოვანი დაბრკოლებების არსებობის გამო. ამავდროულად გზა არ არის მისაწვდომი უსინათლო მოქალაქისთვის, დამოუკიდებლად გადაადგილება საფრთხის შემცველია. შესაბამისად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოქალაქე მხოლოდ საკუთარი ტრანსპორტით ან ტაქსით შეიძლება მივიდეს სასამართლო შენობასთან.

რეკომენდაცია

- რეკომენდებულია ქალაქი ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტით უზრუნველყოფა;
- რეკომენდებულია მისაწვდომი გახდეს გაჩერებები, გზა და ბილიკები შშმ პირთათვის.

სასამართლოს პარკინგი და ეზო

სასამართლოს არ აქვს კეთილმოწყობილი ეზო, სადაც არსებითი ბარიერი არ

არსებობს. ეზო არაადაპტირებულია უსინათლო მომხმარებლისთვის. ეზოში გამოყენებულია სტანდარტული სკამები. ავტომობილების გაჩერებისთვის განკუთვნილია საერთო სარგებლობის არაორგანიზებული პარკინგი, რომელიც მდებარეობს ეზოს გარეთ. სასამართლოს არ გააჩნია მისაწვდომი ავტოსადგომი შშმ პირთათვის.

რეკომენდაცია

- რეკომენდებულია პარკირების ადგილების ორგანიზება მათ შორის შშმ პირთათვის;
- რეკომენდებულია სასამართლოს ეზოს მისაწვდომობის უზრუნველყოფა უსინათლო და მცირემხედველი მოქალაქეებისთვის.

შენობაში შესასვლელი/შიდა სივრცე

სასამართლოში შესვლა შესაძლებელია კიბით და პანდუსით. შენობის კიბე არ აკმაყოფილებს მისაწვდომობის სტანდარტს უსინათლო/მცირემხედველი მომხმარებლისთვის. ეტლის მომხმარებელი მოქალაქისთვის შენობაში შესვლა გათვალისწინებულია პანდუსის საშუალებით, რომლის დამოუკიდებლად გამოყენება შეუსაძლებელია სტანდარტების დარღვევის გამო. სასამართლოს ძირითადი შესასვლელი კარი შეღწევადია ეტლით მომხმარებლისთვის, თუმცა დამოუკიდებლად გამოყენების სტანდარტს არ აკმაყოფილებს, ავტომატური/ორმხრივი გაღების ფუნქციის არ არსებობის გამო. კარი შემინულია და არამარკირებულია, რაც საფრთხეს ქმნის მცირემხედველი მოქალაქისთვის. შენობის შიდა სივრცე საკმარისი, თუმცა იატაკი არასტანდარტული. არსებობს მოცურების რისკი, ირეკლავს შუქს, არ არის ტაქტილური მონიშვნები. საინფორმაციო დაფები გამოუყენებელია უსინათლო/მცირემხედველი მომხმარებლისთვის. ფუნქციური დანიშნულების ობიექტებთან საინფორმაციო აბრები განთავსებულია არასტანდარტულ სიმაღლეზე და მიუწვდომელია. საკომუნიკაციო საშუალება (ტელეფონი) მიუწვდომელია უსინათლო და ყრუ მომხმარებლისთვის. სასამართლოში გამოყენებული ავეჯი არასტანდარტულია, თუმცა ძირითადად გამოყენებადი. სასამართლოში არ არის ადაპტირებული საპირფარეშო.

რეკომენდაცია

- რეკომენდებულია სასამართლოს შესასვლელის (კიბე, კარი, პანდუსი) სტანდარტებთან მისადაგება დამოუკიდებლად გამოსაყენებლად;
- რეკომენდებულია საპირფარეშოს ადაპტირება;
- რეკომენდებულია საინფორმაციო დაფების/აბრების/საკომუნიკაციო საშუალებების მისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მართლმსაჯულების პროცესი

სასამართლოს აქვს 1 სხდომის დარბაზი, განთავსებულია პირველ სართულზე. დარბაზის შესასვლელი სრულად მისაწვდომია, შიდა სივრცე საკმარისი. შშმ პირი, როგორც მხარე (ადვოკატის ჩათვლით) საქმის წარმოების დროს არ აწყდება არსებითად ბარიერს, თუმცა აუცილებელია დარბაზის ავეჯის გადაადგილება მანევრირების სივრცის გაზრდის მიზნით. სხდომის დარბაზი გამოუყენებელია შშმ პირისთვის მოსამართლის როლში. ძირითად ბარიერს ქმნის მაღალი ორი საფეხური სასამართლოს სხდომის დარბაზში შესასვლელად. არ არსებობს მისაწვდომი საპირფარეშო მოსამართლისთვის. მოსამართლის სამუშაო ოთახი განთავსებულია მეორე სართულზე დაკავშირებული კიბით. მოწმე/ექსპერტისთვის განკუთვნილი ტრიბუნა მაღალია, რაც ქმნის ხილვადობის ბარიერს ეტლის მომხმარებელი პირისთვის და მოსამართლისთვის. სხდომის დარბაზი აღჭურვილია ბრალდებულისთვის განკუთვნილი კაბინით, რომელიც მიუწვდომელია. ბრალდებულისთვის განკუთვნილი საკნები, საკნებამდე მისასვლელი გზა და საპირფარეშო მიუწვდომელია.

რეკომენდაცია

- რეკომენდებულია, შშმ მოსამართლის არსებობის შემთხვევაში, მოდიფიცირდეს სამუშაო გარემო;
- რეკომენდებულია დადაბლდეს მოწმე/ექსპერტი ტრიბუნა, შეიცვალოს ავეჯის განლაგება;
- რეკომენდებულია მოხდეს ბრალდებულისთვის განკუთვნილი შესასვლელის, საპირფარეშოს, საკნების და კაბინის ადაპტირება.

პოზიტიური პრაქტიკა

ქობულეთის მაგისტრატი სასამართლოს აქვს კეთილმოწყობილი ეზო და სტანდარტული სკამები ეზოში.

სტატუსი - შენობა შეუღწეველი და ნაწილობრივ მისაწვდომია.

ჩოხატაურის მაგისტრატი სასამართლო

შესავალი

2019 წლის 23 მაისს, სასამართლოს შენობის მისაწვდომობის მონიტორინგი განხორციელდა ჩოხატაურის მაგისტრატ სასამართლოში, რომელიც მდებარეობს ჩოხატაურში, ჭავჭავაძის 4 ნომერში.

შენობის ადგილმდებარეობა და მუნიციპალური ტრანსპორტი

ჩოხატაურის მაგისტრატ სასამართლოს მიმდებარე ტერიტორიაზე არ არსებობს მუნიციპალური ტრანსპორტისთვის განკუთვნილი ადაპტირებული გაჩერება მოსაცდელით. ქალაქს არ ემსახურება ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტი. სასამართლომდე გზა მიუწვდომელია სხვადასხვა სახის დაბრკოლებების არსებობის გამო. ამავდროულად გზა არ არის მისაწვდომი უსინათლო მოქალაქისთვის, დამოუკიდებლად გადაადგილება საფრთხის შემცველია. სასამართლო განთავსებულია აღმართზე. შესაბამისად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოქალაქე მხოლოდ საკუთარი ტრანსპორტით ან ტაქსით შეიძლება მივიდეს სასამართლო შენობასთან. შენობა განთავსებულია სავალის გზის პირას.

რეკომენდაცია

- რეკომენდებულია ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტით ქალაქის უზრუნველყოფა;
- რეკომენდებულია მისაწვდომი გაჩერებების და ბილიკების ორგანიზება შშმ პირთათვის, სასამართლოს მისასვლელი გზის განაპირა მონაკვეთის რეაბილიტაცია.

სასამართლოს პარკინგი და ეზო

სასამართლოს აქვს ეზო. რომელიც შემოსაზღვრულია რკინის ჭიშკარით. ჭიშკარი არასტანდარტულია და ქმნის მნიშვნელოვან ბარიერს ვიწრო ღიობის სახით. ჭიშკრიდან შენობის შესასვლელამდე მოწყობილია ბილიკი. ავტომობილების გაჩერებისთვის განკუთვნილია არაორგანიზებული, გზის განაპირას პარკინგი მოქალაქეებისთვის. თანამშრომლების კუთვნილი ავტომობილების გაჩერება ხდება ეზოში. სასამართლოს არ გააჩნია მისაწვდომი სპეციალური ავტოსადგომი შშმ პირთათვის.

რეკომენდაცია

- რეკომენდებულია სასამართლოს ეზოში შემავალი კარის ადაპტირება დამოუკიდებლად გამოყენების მიზნით;
- რეკომენდებულია ორგანიზებული პარკინგის მოწყობა მათ შორის შშმ პირისთვის.

შენობაში შესასვლელი/შიდა სივრცე

სასამართლო არის 1 სართულიანი, სადაც შესვლა შესაძლებელია კიბით და პანდუსით. შენობის კიბე არ აკმაყოფილებს მისაწვდომობის სტანდარტს უსინათლო/მცირემხედველი მომხმარებლისთვის. ეტლის მომხმარებელი მოქალაქისთვის შენობაში შესვლა შეუძლებელია არსებული პანდუსის საშუალებით, რადგან მისი გამოყენება ქმნის დაზიანების არსებით რისკს. სასამართლოს ძირითადი შესასვლელი კარი შეღწევადია ეტლით მომხმარებლისთვის, თუმცა დამოუკიდებლად გამოყენების სტანდარტს არ აკმაყოფილებს, ავტომატური/ორმხრივი გაღების ფუნქციის არ არსებობის და მაღალი ზღურბლის გამო. შენობის შიდა სივრცე საკმარისია. იატაკი არასტანდარტული. არსებობს მოცურების რისკი, ირეკლავს შუქს, არ არის ტაქტილური მონიშვნები. საინფორმაციო დაფები გამოუყენებელია უსინათლო/მცირემხედველი მომხმარებლისთვის. ფუნქციური დანიშნულების ობიექტებთან საინფორმაციო აბრები განთავსებულია არასტანდარტულ სიმაღლეზე და მიუწვდომელია. სასამართლოში გამოყენებული ავეჯი არასტანდარტულია, თუმცა გამოყენებადი. სასამართლოში არ არის ადაპტირებული საპირფარეშო.

რეკომენდაცია

- რეკომენდებულია სასამართლოს შესასვლელის (კიბე, პანდუსი, კარი) ადაპტირება დამოუკიდებლად გამოსაყენებლად;
- რეკომენდებულია საპირფარეშოს ადაპტირება;
- რეკომენდებულია საინფორმაციო დაფების/აბრების/საკომუნიკაციო საშუალებების, კანცელარიის დახლის მისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მართლმსაჯულების პროცესი

სასამართლოს აქვს 1 სხდომის დარბაზი, განთავსებულია პირველ სართულზე. დარბაზი შესვლა შესაძლებელია ბარიერების გარეშე. სხდომის დარბაზში შიდა სივრცე საკმარისია დამოუკიდებლად ფუნქციონირებისთვის. შშმ პირი, როგორც მხარე (ადვოკატის ჩათვლით) საქმის წარმოების დროს არ აწყდება არსებით ბარიერს თუმცა ავეჯი საჭიროებს გადანაცვლებას სივრცის გაზრდის მიზნით. სხდომის დარბაზი გამოუყენებელია შშმ პირისთვის მოსამართლის როლში. ძირითად ბარიერს ქმნის მაღალი ზღურბლი სასამართლოს სხდომის დარბაზში შესასვლელად. არ არსებობს მისაწვდომი საპირფარეშო მოსამართლისთვის. მოწმე/ექსპერტისთვის განკუთვნილი ადგილი შეუღწეველია ეტლისთვის და ტრიბუნა მაღალია, რაც ქმნის ხილვადობის ბარიერს ეტლის მომხმარებელი პირისთვის და მოსამართლისთვის. სხდომის დარბაზი აღჭურვილია ბრალდებულისთვის განკუთვნილი კაბინით, რომელიც შეუღწევადია ეტლისთვის. ბრალდებულისთვის განკუთვნილი საკნები და საპირფარეშო მიუწვდომელია.

რეკომენდაცია

- რეკომენდებულია, შშმ მოსამართლის არსებობის შემთხვევაში, მოდიფიცირდეს სამუშაო გარემო;
- რეკომენდებულია შეიცვალოს დარბაზის სივრცითი მოწყობა; დადაბლდეს მოწმე/ექსპერტის ტრიბუნა;
- რეკომენდებულია ბრალდებულისთვის განკუთვნილი საკნების, კაბინის საპირფარეშოს ადაპტირება.

სტატუსი - შენობა შეუღწეველი და ნაწილობრივ მისაწვდომია.

ყვარელის მაგისტრატი სასამართლო

შესავალი

2019 წლის 7 ივნისს, სასამართლოს შენობის მისაწვდომობის მონიტორინგი განხორციელდა ყვარელის მაგისტრატ სასამართლოში, რომელიც მდებარეობს ქ. ყვარელში, ჭავჭავაძის 78 ნომერში.

შენობის ადგილმდებარეობა და მუნიციპალური ტრანსპორტი

ყვარლის მაგისტრატი სასამართლოს შენობა არის ორსართულიანი და არის ერთ-ერთი ყველაზე მეტად მიუწვდომელი სასამართლო. ქალაქში გადაადგილებისთვის მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილია მარშუტკები, თუმცა ისინი არ არის მისაწვდომი შშმ პირებისათვის. სასამართლოს მიმდებარე ტერიტორიაზე არ არის მუნიციპალური ტრანსპორტისთვის განკუთვნილი გაჩერება.

რეკომენდაცია

- მოხდეს ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტის უზრუნველყოფა;
- სასამართლოსთან მაქსიმალურად ახლოს მოეწყოს მუნიციპალური ტრანსპორტის გაჩერება შესაბამისი ადაპტირებული მოსაცდელით;
- ადაპტირებული გაჩერებიდან სასამართლომდე მისასვლელი გზა მოეწყოს იმდაგვარად, რომ ის მისაწვდომი იყოს ყველა შშმ პირისთვის.

სასამართლოს პარკინგი და ეზო

სასამართლოს არა აქვს ეზო. შენობამდე მისვლა შესაძლებელია სპეციალურად გამოყოფილი ბილიკით, რომელიც კარგად არის ორგანიზებული. მის გამოყენებას შეძლებენ ეტლით მოსარგებლე შშმ პირები, მაგრამ არ არის გათვალისწინებული უსინათლო/მცირედმხედველი პირების საჭიროებები. ერთადერთ დაბრკოლებას

წარმოადგენს ბილიკზე არსებული ხე. სასამართლოს არა აქვს ორგანიზებული პარკინგი. მანქანები გზის ორივე მხარეს დგებიან არაორგანიზებულად როგორც თანამშრომლების, ისე მოქალაქეების შემთხვევაში.

რეკომენდაცია

- გზის პირას მოეწყოს ორგანიზებული პარკინგი, მათ შორის გამოიყოს სტანდარტების შესაბამისი ადგილი შშმ პირებისთვის;
- მოხდეს სასამართლოს შენობამდე მისასვლელი ბილიკის მისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველა შშმ პირისთვის.

შენობაში შესასვლელი/შიდა სივრცე

შენობას აქვს ორი შესასვლელი: ძირითადი და სათადარიგო. ძირითადი შესასვლელით შენობაში შესვლის შემთხვევაში გვხვდება ორი საფეხური, სადაც დამონტაჟებულია ორი რელსი და ასრულებს პანდუსის ფუნქციას. თუმცა, მისი გამოყენება შეუძლებელია შშმ პირების მიერ. რელსებს არა აქვს მოაჯირი და არ აკმაყოფილებს სტანდარტს. შენობას აქვს სულ 3 კიბე: ძირითად შესასვლელთან, სათადარიგო შესასვლელთან და სართულების დასაკავშირებლად. ძირითად შესასვლელთან არსებული კიბე არ აკმაყოფილებს სტანდარტს. კიდევ უფრო მაღალი და სტანდარტების დარღვევით გაკეთებული კიბე გვხვდება სათადარიგო შესასვლელთან. ძირითად შესასვლელთან არსებული კარი არის ორფრთიანი და შეღწევადია შშმ პირებისთვის, თუმცა კარების გარეთ არ არის საკმარისი სივრცე ეტლის მანევრირებისათვის. ჰოლი უმეტეს შემთხვევაში არის ვიწრო, სადაც გვხვდება კანცელარიის დახლი, მოქალაქეებისთვის გამოყოფილი განცხადებების დასაწერი მაგიდა, საინფორმაციო დაფა, ორი საპირფარეშო და შეხვედრების ოთახი, რომლებიც არ არის მისაწვდომი შშმ პირებისთვის. ჰოლში განთავსებული 8 სკამის სიმაღლე და სიგანე აკმაყოფილებს სტანდარტს, თუმცა არ ააქვს მოაჯირი და არის გადაბმული, რაც ართულებს შშმ პირების მიერ მათ გამოყენებას. სასამართლოში დარბაზებისა და ოთახების აღმნიშვნელი აბრები არ არის მისაწვდომი, იატაკი არ აკმაყოფილებს სტანდარტს. სართულებს შორის დამაკავშირებელი კიბე არ აკმაყოფილებს სტანდარტს, საფეხურები არის ძალიან მაღალი, მოაჯირი არის ცალმხრივი და დაზიანებული. სართულებს შორის დამაკავშირებელი კიბის სტანდარტების შეუსაბამობა კიდევ უფრთო მნიშვნელოვანია, რადგან სასამართლოში არსებული ერთადერთი დარბაზი მდებარეობს მეორე სართულზე.

სასამართლოში არის 6 საპირფარეშო: 2 საერთო მოხმარების პირველ სართულზე და 4 თანამშრომლების გამოყენებისათვის. საერთო მოხმარების საპირფარეშოები სრულად მიუწვდომელია. საპირფარეშოებამდე მისასვლელი დერეფანი არის ძალიან ვიწრო, რის გამოც უკვე გამორიცხულია ეტლით მოსარგებლე შშმ პირის მიერ მისი გამოყენება. საპირფარეშოების შიდა სივრცე და ინვენტარი ასევე სრულად მიუწვდომელია.

რეკომენდაცია

- მოხდეს სასამართლოს ძირითადი შესასვლელის ადაპტირება (კიბე, პანდუსი, კარების გარეთ არსებული სივრცე) მისი დამოუკიდებელი გამოყენების მიზნით;
- სასამართლოს შენობაში მოხდეს ერთი მისაწვდომი საპირფარეშოს მოწყობა;
- მოხდეს შიდა კიბის, სანიტარულ კვანძთან დამაკავშირებელი დერეფნის, კანცელარიის დახლის, მოქალაქეებისთვის გამოყოფილი მაგიდის, სკამების, საინფორმაციო დაფის, აბრების, იატაკისა და შეხვედრების ოთახის მისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მართლმსაჯულების პროცესი

სასამართლოში არის ერთი სხდომის დარბაზი მეორე სართულზე, რომლის გამოყენებაც სტანდარტების დარღვევით გაკეთებული კიბის შემთხვევაში სრულად შეუძლებელია შშმ პირების მიერ. მოსამართლისა და თანაშემწის ოთახები ასევე არის მეორე სართულზე. თავად დარბაზი არის მისაწვდომი, არის საკმარისი სივრცე, შშმ პირი დამსწრე და მხარე შეძლებენ შეუფერხებლად იფუნქციონირონ მხარისა და დამსწრის როლში. თუმცა, აღნიშნულ შემთხვევაშიც არ არის გათვალისწინებული უსინათლო/მცირედმხედველი პირების საჭიროებები. განსხვავებით მხარეებისა და დამსწრეებისა, დარბაზი მიუწვდომელია მოსამართლეების შემთხვევაში, ასევე მოწმე/ექსპერტისთვის, რადგან მათთვის გამოყოფილი ტრიბუნა არ შეესაბამება სტანდარტებს. სასამართლოში კვლავ შემორჩენილია ბრალდებულების მოსათავსებელი სივრცე, რომელიც არ აკმაყოფილებს სტანდარტს. მიუწვდომელია ასევე მოსამართლისა და თანაშემწის სამუშაო სივრცე, ოთახში არსებული სივრცე დამაკმაყოფილებელია, თუმცა კარები არის ვიწრო და საპირფარეშოები არ არის მისაწვდომი.

რეკომენდაცია

- დადაბლდეს მოწმე/ექსპერტის ტრიბუნა;
- სხდომათა დარბაზი მისაწვდომი გახდეს უსინათლო/მცირედმხედველი პირებისათვის;
- შშმ მოსამართლის არსებობის შემთხვევაში, მოდიფიცირდეს სამუშაო გარემო მისი საჭიროებების მიხედვით.

სტატუსი - შენობა შეუღწეველი და მიუწვდომელია.

ლაგოდეხის მაგისტრატი სასამართლო

შესავალი

2019 წლის 26 მაისს, სასამართლოს შენობის მისაწვდომობის მონიტორინგი განხორციელდა ლაგოდეხის მაგისტრატი სასამართლოში, რომელიც მდებარეობს ქ. ლაგოდეხში, 26 მაისის 19 ნომერში.

შენობის ადგილმდებარეობა და მუნიციპალური ტრანსპორტი

ლაგოდეხის მაგისტრატი სასამართლოს შენობა არის ორსართულიანი, რომელიც მდებარეობს გზის პირას. სასამართლოს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ტროტუარები არაადაპტირებულია, გაჩერება სასამართლოს სიახლოვეს არ არის. ქალაქს არ ემსახურება მუნიციპალური ტრანსპორტი.

რეკომენდაცია

- მოხდეს ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტის უზრუნველყოფა;
- სასამართლოსთან მაქსიმალურად ახლოს მოეწყოს მუნიციპალური ტრანსპორტის გაჩერება შესაბამისი ადაპტირებული მოსაცდელით;
- ადაპტირებული გაჩერებიდან სასამართლომდე მისასვლელი გზა მოეწყოს იმდაგვარად, რომ ის მისაწვდომი იყოს ყველა შშმ პირისთვის.

სასამართლოს პარკინგი და ეზო

სასამართლოს არა აქვს ეზო. შენობამდე მისასვლელი ბილიკები დაზიანებულია და არაადაპტირებულია. სასამართლოს ასევე არა აქვს ორგანიზებული პარკინგი. როგორც თანამშრომლები, ისე მოქალაქეები მანქანებს აჩერებენ ქუჩის განაპირას.

რეკომენდაცია

- გზის პირას მოეწყოს ორგანიზებული პარკინგი, მათ შორის გამოიყოს სტანდარტების შესაბამისი ადგილი შშმ პირებისთვის;
- მოხდეს სასამართლოს შენობამდე მისასვლელი ბილიკის მისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველა შშმ პირისთვის.

შენობაში შესასვლელი/შიდა სივრცე

შენობას აქვს სამი შესასვლელი (ცენტრალური, თანამშრომლებისა და საბადრაგო) და ოთხი კიბე (ცენტრალურ შესასვლელთან, თანამშრომლების შესასვლელთან, საბადრაგო შესასვლელთან და სართულების დამაკავშირებელი). ცენტრალურ შესასვლელთან არის ერთი საფეხური, რომელიც არ აკმაყოფილებს სტანდარტს. აქვე არის ორი რელსი, რომელიც პანდუსის ფუნქციას ასრულებს, მაგრამ არ შეესაბამება სტანდარტებს. კარები შეღწევადია, მაგრამ გვხვდება მაღალი

ზღურბლი. შეღწევადობის მიუხედავად, დარღვეულია კარების სტანდარტები და საჭიროებს დამატებით ადაპტირებას. შშმ პირებისთვის სასამართლოში შესასვლელად რეალური ბარიერს წარმოადგენს კარებთან სიახლოვეს მდებარე კიბე, რომელიც არ აკმაყოფილებს სტანდარტებს. კარებამდე ბაქანი არის ძალიან ვიწრო, რის გამოც კარამდეც ვერ მივა ეტლით მოსარგებლე შშმ პირი. აღნიშნულ კიბეზე პანდუსის გაკეთების შემთხვევაშიც, კარებთან არსებული სივრცე არ მისცემს შშმ პირს შენობაში დამოუკიდებლად შესვლის შესაძლებლობას. შესაბამისად, შესასვლელი სრულად მიუწვდომელია. რაც შეეხება ორ სათადარიგო შესასვლელს, რომელიც გამოყოფილია საბადრაგოსთვის და თანამშრომლებისათვის, მაღალი კიბეებისა და შესასვლელამდე მისასვლელი დაზიანებული/ბარიერებიანი გზის პირობებში სრულად მიუწვდომელია ორივე. სასამართლოს იატაკი აკმაყოფილებს სტანდარტს. კანცელარიის დახლი სხვა სასამართლოებთან შედარებით დაბალია, მაგრამ სტანდარტებს მაინც არ აკმაყოფილებს. შესასვლელში არსებული მოქალაქეებისთვის გამოყოფილი მაგიდა, საინფორმაციო დაფა, საჩივრების ყუთი და დარბაზისა და ოთახების აღმნიშვნელი აბრები არ აკმაყოფილებს სტანდარტს. შესასვლელში არსებული სივრცე საკმარისია ეტლის მანევრირებისათვის, ასევე სტანდარტების შესაბამისია მოქალაქეების მოსაცდელად განთავსებული 9 სკამი. სასამართლოში არის საქმის გაცნობის ოთახი მოქალაქეებისთვის, რომელიც არ აკმაყოფილებს სტანდარტებს, კარები საჭიროებს გაფართოებას, ოთახი ავეჯით არის გადატვირთული, რის გამოც არ არის დარჩენილი მანევრირებისათვის საკმარისი სივრცე. სასამართლოს შესასვლელსა და შიდა სივრცეში არ არის გათვალისწინებული უსინათლო/მცირედმხედველი პირების საჭიროებები. სართულებს შორის დამაკავშირებელი კიბე არ არის სტანდარტების შესაბამისი. სასამართლოში არის სულ 5 საპირფარეშო: 4 საერთო მოხმარების და 1 თანამშრომლებისათვის. საერთო მოხმარების საპირფარეშოებიდან 2 მდებარეობს პირველ სართულზე და 2-მეორეზე. საპირფარეშოები არის ორკაბინიანი, მაგრამ ძალიან ვიწრო და შეუღწევადი. კაბინების გაერთიანების პირობებში საკმარისი სივრცე იქნება მისაწვდომი საპირფარეშოს მოსაწყობად.

რეკომენდაცია

- მოხდეს სასამართლოს ძირითადი შესასვლელის ადაპტირება (კიბეები, კარებთან არსებული ბაქანი, კარები, ზღურბლი) მისი დამოუკიდებელი გამოყენების მიზნით;
- სასამართლოს შენობაში მოხდეს ერთი მისაწვდომი საპირფარეშოს მოწყობა;
- მოხდეს შიდა კიბის, კანცელარიის დახლის, მოქალაქეებისთვის გამოყოფილი მაგიდის, საინფორმაციო დაფის, აბრების, საჩივრების ყუთის და შეხვედრების ოთახის მისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მართლმსაჯულების პროცესი

სასამართლოს აქვს ერთი სხდომათა დარბაზი პირველ სართულზე. სხდომის დარბაზის შესასვლელი მისაწვდომია, სივრცე საკმარისია, თუმცა სკამები ისეა განლაგებული, რომ დღეისათვის მიუწვდომელია. ექსპერტის ტრიბუნა არის მაღალი. დამსწრეთა სივრცე იძლევა საშუალებას, რომ გადაიწიოს დაახლოებით ერთ მეტრზე, გამოიყოს დამატებითი სივრცე და მხარეების მაგიდები გახდეს შეღწევადი. ლაგოდეხის მაგისტრატ სასამართლოში შშმ მოსამართლე ვერ შეძლებს თავისი ფუნქციის შესრულებას. დარბაზში შესასვლელთან არის მაღალი ორი საფეხური, შიდა სივრცე არ არის საკმარისი მანევრირებისათვის, მაგიდა და სკამები არ შეესაბამება სტანდარტებს. მიუწვდომელია მოწმე/ექსპერტის ტრიბუნა. აღნიშნულ სასამართლოში აღარ ტარდება სისხლის სამართლის პროცესები, თუმცა კვლავ დარჩენილია ბრალდებულის კაბინა, რომელიც არ შეესაბამება სტანდარტებს. ასევე არ შეესაბამება სტანდარტებს ბრალდებულის განსათავსებელი საკნები: კარები არის ვიწრო, სივრცე არასაკმარისი, საპირფარეშოს კარები ვიწრო და არასაკმარისი შიდა სივრცე. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ბრალდებულისა და მოსამართლეების შემოსასვლელების ადაპტირება, რადგან ეზოში არსებული სივრცე იძლევა სტანდარტების შესაბამისი პანდუსის მოწყობის შესაძლებლობას. სტანდარტებს არ შეესაბამება ასევე, მოსამართლისა და თანაშემწის ოთახები, რომლებიც მეორე სართულზე მდებარეობს: მიუწვდომელია გზა სამუშაო სივრციდან დარბაზამდე, კარები არის ვიწრო, საპირფარეშო არ არის მისაწვდომი. სხდომათა დარბაზში არაფერია გათვალისწინებული უსინათლო/მცირედმხედველი პირებისათვის.

რეკომენდაცია

- დადაბლდეს მოწმე/ექსპერტის ტრიბუნა;
- სხდომათა დარბაზი მისაწვდომი გახდეს უსინათლო/მცირედმხედველი პირებისათვის;
- შშმ მოსამართლის არსებობის შემთხვევაში, მოდიფიცირდეს სამუშაო გარემო მისი საჭიროებების მიხედვით;
- რეკომენდებულია, სხდომათა დარბაზში ავეჯის ისე გადაადგილება, რომ შესაძლებელი იყოს შშმ პირების მიერ მისი დამოუკიდებლად გამოყენება.

სტატუსი - შენობა შეუღწეველი და მიუწვდომელია.

მარნეულის მაგისტრატი სასამართლო

შესავალი

2019 წლის 16 მაისს, სასამართლოს შენობის მისაწვდომობის მონიტორინგი განხორციელდა მარნეულის მაგისტრატ სასამართლოში, რომელიც მდებარეობს ქ. მარნეულში, ნარიმანოვის 4 ნომერში.

შენობის ადგილმდებარეობა და მუნიციპალური ტრანსპორტი

მარნეულის მაგისტრატი სასამართლო არის ორსართულიანი, შემოსაზღვრულია რკინის ღობით. სასამართლოს წინ არსებული ტროტუარები დაზიანებულია, დაბლოკილია მანქანებით, ტროტუარებს არა აქვს პანდუსები, რომ შშმ პირმა დამოუკიდებლად შეძლოს ეზოში შესასვლელამდე მისვლა. სასამართლოს სიახლოვეს საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის გამოყოფილი მოსაცდელი სივრცე არ არის გამოყოფილი, თუმცა ერთ კონკრეტულ ადგილას ჩერდება ტრანსპორტი. ქალაქს არ ემსახურება ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტი.

რეკომენდაცია

- მოხდეს ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტის უზრუნველყოფა;
- სასამართლოსთან მაქსიმალურად ახლოს მოეწყოს მუნიციპალური ტრანსპორტის გაჩერება შესაბამისი ადაპტირებული მოსაცდელით;
- ადაპტირებული გაჩერებიდან სასამართლომდე მისასვლელი გზა მოეწყოს იმდაგვარად, რომ ის მისაწვდომი იყოს ყველა შშმ პირისთვის;
- უზრუნველყოფილი იყოს სასამართლოს შენობის წინ არსებული ტროტუარების მისაწვდომობის უზრუნველყოფა.

სასამართლოს პარკინგი და ეზო

სასამართლოს აქვს ქვაფენილიანი ეზო, რომელიც ფაქტობრივად თავისუფალია ბარიერებისაგან, თუმცა არ არის გამოყოფილი ბილიკი და არ არის უზრუნველყოფილი ეზოს მისაწვდომობა უსინათლო/მცირემხედველი პირებისათვის. ეზოში განთავსებულია სკამები, რომლებიც აკმაყოფილებს სტანდარტებს. სასამართლოს აქვს თანამშრომლებისათვის გამოყოფილი პარკინგი, რომელიც არაორგანიზებულია, არ არის დახაზული და არ არის გათვალისწინებული შშმ პირთა პარკირების სტანდარტები. თანამშრომლების პარკირებიდან სასამართლო შენობამდე არ არის გამოყოფილი მისაწვდომი ბილიკი. სასამართლოს არა აქვს მოქალაქეთა პარკირებისთვის გამოყოფილი ადგილი.

რეკომენდაცია

- მოეწყოს ორგანიზებული პარკინგი მოქალაქეებისთვის, მათ შორის გამოიყოს

სტანდარტების შესაბამისი ადგილი შშმ პირებისთვის;

- თანამშრომელთა პარკინგისთვის გამოყოფილი ადგილი დაიხაზოს, გახდეს ორგანიზებული და გამოიყოს შშმ პირებისთვის სტანდარტების შესაბამისი ადგილი;
- გამოიყოს სასამართლოს შენობამდე და ორგანიზებულ პარკირებიდან შენობამდე მისასვლელი ბილიკები, რომლებიც მისაწვდომი იქნება ყველა შშმ პირისთვის.

შენობაში შესასვლელი/შიდა სივრცე

სასამართლოს აქვს ერთი მთავარი შესასვლელი. შესასვლელში გვხვდება კიბე და პანდუსი. პანდუსის მოაჯირები სტანდარტულია, ზედაპირი ხაოიანი, თუმცა დაქანება არ შეესაბამება სტანდარტს და შეუძლებელია მისი დამოუკიდებლად გამოყენება. ასევე, პანდუსის შემთხვევაში არ არის გათვალისწინებული უსინათლო/მცირემხედველი პირებისათვის კონტრასტული ფერები. უნდა აღინიშნოს, რომ ეზოში არსებული სივრცე იძლევა სტანდარტული დაქანების პანდუსის მოწყობის შესაძლებლობას. კიბე არის სამსაფეხურიანი და არ შეესაბამება სტანდარტს, აქვს მხოლოდ ცალმხრივი მოაჯირი, არ არის გამოყოფილი კონტრასტული ფერები უსინათლო/მცირემხედველი პირებისთვის. სტანდარტებს არ შეესაბამება ასევე სართულების დამაკავშირებელი შიდა კიბე. კარები არის ერთფრთიანი, არ აკმაყოფილებს სტანდარტს, მაგრამ შეღწევადია. სტანდარტს არ აკმაყოფილებს ასევე შესასვლელში არსებული ზღურბლი. კარები არის მინის და არ არის მარკირებული, მაგრამ ჟალუზი ასრულებს აღნიშნულ ფუნქციას. კარებში შესვლის შემდეგ არ არის საკმარისი სივრცე ეტლის მანევრირებისათვის შესასვლელში განთავსებული მაგიდიდან გამომდინარე. სასამართლოს შიდა სივრცეში არსებული იატაკი არ შეესაბამება სტანდარტს, არის სრიალა, პრიალა და ბრჭყვიალა. შესასვლელში გვხვდება საინფორმაციო დაფა, კანცელარიის დახლი, მაგიდა, სკამები, რომლებიც ასევე არ შეესაბამება სტანდარტებს. სტანდარტებს არ შეესაბამება დარბაზისა და ოთახის აღმნიშვნელი აბრები და საქმის გაცნობის ოთახი. პირველ სართულზე არის საერთო მოხმარების 2 საპირფარეშო (ქალებისა და კაცების), თითოეული ორი კაბინით და არ შეესაბამება სტანდარტებს. იმ შემთხვევაში თუ გაერთიანდება ქალებისა და კაცების საპირფარეშოები, შესაძლებელი იქნება ერთი ადაპტირებული სველი წერტილის გაკეთება.

რეკომენდაცია

- მოხდეს სასამართლოს ძირითადი შესასვლელის ადაპტირება (კიბე, პანდუსი, კარები, ზღურბლი, შიდა სივრცის გაფართოება ეტლის მანევრირებისათვის) მისი დამოუკიდებელი გამოყენების მიზნით;
- სასამართლოს შენობაში მოხდეს ერთი მისაწვდომი საპირფარეშოს მოწყობა;

- მოხდეს შიდა კიბის, კანცელარიის დახლის, მოქალაქეებისთვის გამოყოფილი მაგიდის, სკამების, საინფორმაციო დაფის, აბრების, იატაკისა და შეხვედრების ოთახის მისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მართლმსაჯულების პროცესი

სასამართლოში არის ერთი სხდომათა დარბაზი, რომელიც მეორე სართულზეა განთავსებული და სართულების დამაკავშირებელი კიბის მიუწვდომლობის პირობებში, ის სრულად გამოუყენებელია შშმ პირებისთვის. თავად დარბაზში სივრცე საკმაოდ დიდია, კარები მისაწვდომია. მხარეების მაგიდები იატაკზე არის დამაგრებული და ავეჯით იმდენად გადატვირთულია დარბაზი, რომ ფაქტობრივად აღარ არის სივრცე გადაადგილებისთვის (50 სანტიმეტრამდე არის მხოლოდ სივრცე მაგიდებამდე მისასვლელად). თუმცა, დარბაზის ფართი იძლევა შესაძლებლობას, რომ სხვაგვარად გადანაწილდეს და მისაწვდომი გახდეს შშმ პირებისთვის. მოსამართლის შემთხვევაში მიუწვდომელია დარბაზში მისთვის გამოყოფილი სივრცე, მას მოუწევს მაღალი კიბის ავლა და კარები არის ძალიან ვიწრო. სტანდარტებს არ შეესაბამება მოწმის/ექსპერტის ტრიბუნის სიმაღლე. სასამართლოში არის ბრალდებულებისთვის გამოყოფილი საკნები, რომლებიც შემოყავთ სათადარიგო შემოსასვლელიდან. აღნიშნულ შემოსასვლელთან არის კიბე, რის გამოც ის მიუწვდომელია შშმ პირებისთვის. თავად საკნების შიდა სივრცე აკმაყოფილებს სტანდარტს, მაგრამ კარები არის ვიწრო და ასევე, მიუწვდომელია საპირფარეშო. თანაშემწის ოთახი არის ძალიან პატარა და სრულად გამოუყენებელი შშმ პირისთვის. მოსამართლის ოთახი სრულად მისაწვდომი, გარდა კარებისა, რომელიც ვიწროა.

რეკომენდაცია

- სასამართლოში გაკეთდეს ლიფტი, რომელიც მეორე სართულზე არსებულ სხდომის დარბაზს დააკავშირებს პირველ სართულთან;
- ასევე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოვიდეს სართულების დამაკავ-შირებელი კიბე;
- დარბაზში დადაბლდეს მოწმე/ექსპერტის ტრიბუნა;
- სხდომათა დარბაზი მისაწვდომი გახდეს უსინათლო/მცირემხედველი პირებისათვის;
- სხდომათა დარბაზში ავეჯი ისე განლაგდეს, რომ მისაწვდომი გახდეს შშმ პირებისთვის;
- შშმ მოსამართლის ან/და თანაშემწის არსებობის შემთხვევაში, მოდიფი-ცირდეს სამუშაო გარემო მისი საჭიროებების მიხედვით;
- მოხდეს ბრალდებულის შემოსაყვანი სათადარიგო შესასვლელის, განსათავ-სებელი სივრცისა და საპირფარეშოს მისაწვდომობის უზრუნველყოფა.

პოზიტიური პრაქტიკა

მარნეულის მაგისტრატ სასამართლოში დაფიქსირდა ორი პოზიტიური პრაქტიკა, რომელიც მომავალში შესაძლებელია გამოყენებული იყოს სხვა სასამართლოების შემთხვევაში. მანდატურის განსაკუთრებულად პოზიტიური დამოკიდებულება და მზაობა, მაქსიმალური მხარდაჭერა აღმოუჩინოს შშმ პირებს. შესაძლებელია მოხდეს აღნიშნული საკითხის ინსტიტუციონალიზება, მანდატურების აღჭურვა შესაბამისი ცოდნით და მათი ჩართვა შშმ პირების მომსახურების პროცესში; უსინათლო და მცირემხედველი პირების მიერ მოსამართლის თანაშემწესთან დაკავშირების მიზნით, თავად მოახდინეს ტელეფონის ადაპტირება. მცირემხედველი პირებისათვის დიდი შრიფტით არის დაწერილი თანაშემწის ტელეფონი, ხოლო უსინათლო პირებისათვის გააკეთეს ერთი ღილაკი, რომელზე დაწერის შემთხვევაშიც პირდაპირ მოსამართლის თანაშემწესთან ირეკება. აღნიშნული პრაქტიკა შესაძლებელია გამოყენებული იყოს იმ სასამართლოებში, სადაც მხოლოდ ერთი მოსამართლეა.

სტატუსი - შენობა შეუღწეველი და მიუწვდომელია.

კასპის რაიონული სასამართლო

შესავალი

2019 წლის 05 ივნისს, სასამართლოს შენობის მისაწვდომობის მონიტორინგი განხორციელდა კასპის მაგისტრატ სასამართლოში, რომელიც მდებარეობს ქ. კასპში, სააკაძის 124 ნომერში.

შენობის ადგილმდებარეობა და მუნიციპალური ტრანსპორტი

კასპის მაგისტრატი სასამართლოს შენობა არის ორსართულიანი, რომელიც მდებარეობს გზის პირას. გზის პირას არის ტროტუარი, არსებითი დაქანებით. აღნიშნული ტროტუარი წარმოადგენს პირველ დაბრკოლებას სასამართლოში შესასვლელად. მსგავსი დაბრკოლება არ არის სათადარიგო შესასვლელის შემთხვევაში. კასპის რაიონული სასამართლოს მიმდებარე ტერიტორიაზე არ არის მუნიციპალური ტრანსპორტისთვის განკუთვნილი გაჩერება. ასევე ქალაქს არ ემსახურება ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტი.

რეკომენდაცია

- მოხდეს ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტის უზრუნველყოფა;
- სასამართლოსთან მაქსიმალურად ახლოს მოეწყოს მუნიციპალური ტრანს-პორტის გაჩერება შესაბამისი ადაპტირებული მოსაცდელით;
- ადაპტირებული გაჩერებიდან სასამართლომდე მისასვლელი გზა მოეწყოს

იმდაგვარად, რომ ის მისაწვდომი გახდეს ყველა შეზღუდული შესაძ-ლებლობის მქონე პირისთვის;

- მოხდეს სასამართლოსთან მისასვლელი გზის პირას მდებარე ტროტუარის ადაპტირება.

სასამართლოს პარკინგი და ეზო

ეზოში არის დაზიანებული ბილიკები, მკვეთრი დაქანებებით და ის მიუწვდომელია ყველა შშმ პირისთვის. შესაბამისად, შეუძლებელია დაბრკოლებების გარეშე შენობამდე მისვლა მთავარი შესასვლელიდან. სასამართლოს აქვს სათადარიგო შესასვლელი, რომელიც თავისუფალია ბარიერებისაგან განსხვავებით მთავარი შესასვლელისგან. თუმცა, არც ის არის მისაწვდომი უსინათლო/მცირემხედველი პირებისათვის. თანამშრომლების პარკინგზე მხოლოდ ერთი ავტომობილის გაჩერება არის შესაძლებელი, რომელიც არ არის მისაწვდომი შშმ პირებისთვის. მოქალაქეების პარკინგი არის გზის პირას, არაორგანიზებული და არცერთი მათგანი არ არის ადაპტირებული შშმ პირებისათვის.

რეკომენდაცია

- გზის პირას მოეწყოს ორგანიზებული პარკინგი, მათ შორის გამოიყოს სტანდარტების შესაბამისი ადგილი შშმ პირებისათვის;
- მოხდეს ეზოს მისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველა შშმ პირისთვის.

შენობაში შესასვლელი/შიდა სივრცე

სასამართლოს ძირითადი შესასვლელი არის დაღმართზე და სრულად მიუწვდომელია შშმ პირებისათვის. შენობაში შესვლა შესაძლებელია კიბით, რომელიც არ აკმაყოფილებს სტანდარტებს. კიბეებზე განთავსებულია ორი რელსი, რომელიც პანდუსის ფუნქციას ასრულებს, მაგრამ შშმ პირების მიერ მისი გამოყენება ვერ მოხდება. შენობა არის ორსართულიანი, მაგრამ მხოლოდ მისი პირველი სართული არის ათვისებული. შენობას გვერდითა მხარეს აქვს სათადარიგო შესასვლელი, რომელთანაც დაბრკოლებების გარეშე შეძლებს შშმ პირი მისვლას. თუმცა, აღნიშნული მისასვლელი გზა არ არის მისაწვდომი უსინათლო/მცირედმხედველი პირებისათვის. სათადარიგო შესასვლელი ადრე გამოყენებული იყო პატიმრების შესაყვანად და დღეს მისი საშუალებით შენობაში შესასვლელად საჭიროა მხოლოდ ორი საფეხურის ავლა, რომლის ადაპტირებაც ცენტრალურ შესასვლელთან შედარებით უფრო ადვილად არის შესაძლებელი. იქედან გამომდინარე, რომ ცენტრალურ შესასვლელს აქვს მაღალი კიბეები, შესაძლებელია ამწის დამონტაჟება. თუმცა, მომავალში ცენტრალური შესასვლელის ადაპტირების მიუხედავად, სათადარიგო შესასვლელის ადაპტირება მაინც საჭირო იქნება მოსამართლეთა მიერ მისი გამოყენების მიზნით. სათადარიგო შესასვლელიდან შენობაში შესვლის

შემთხვევაში დაბრკოლება არის ასევე ვიწრო კარები, რომლის გაფართოებაც უნდა მოხდეს. დღეისათვის მხოლოდ საშუალო ეტლით იქნება მხოლოდ მისი გამოყენება შესაძლებელი. შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის სასამართლოს არა აქვს არცერთი მისაწვდომი შესასვლელი. ცენტრალურ შესასვლელს აქვს მაღალი ზღურბლი, რომელიც დადაბლებას საჭიროებს. კარები არ აკმაყოფილებს სტანდარტს. სასამართლოს აქვს ძალიან დიდი ჰოლი, რომელიც ძირითადად ცარიელია, დგას მხოლოდ ერთი მაგიდა. ჰოლში არ არის უსაფრთხოების დეტექტორი, ელექტრო დაფა. საინფორმაციო დაფა, აბრები, ჰოლში განთავსებული სკამები და კანცელარიის დახლი არ არის მისაწვდომი შშმ პირებისათვის. შენობაში არ არის საჩივრების ყუთი, მოსამართლის თანაშემწესთან დასაკავშირებლად ტელეფონი, კაფეტერია და საქმის გაცნობის ოთახი. იატაკი არ აკმაყოფილებს სტანდარტს, არის სრიალა, პრიალა და საფრთხის შემცველი შშმ პირების გადაადგილებისთვის. სასამართლოს აქვს ორი საპირფარეშო პირველ სართულზე: ერთი მოქალაქეებისთვის და მეორე თანამშრომლებისათვის. არცერთი მათგანი არ არის მისაწვდომი შშმ პირებისათვის. თუმცა, საპირფარეშოები არის ორკაბინიანი და მათი გაერთიანების შემთხვევაში, შესაძლებელია ერთი მისაწვდომი საპირფარეშოს გაკეთება.

რეკომენდაცია

- მოხდეს სასამართლოს ძირითადი შენობის შესასვლელის ადაპტირება (კიბე, პანდუსი, კარები, ზღურბლი) მისი დამოუკიდებლად გამოყენების მიზნით;
- მოხდეს სასამართლოს სათადარიგო შესასვლელის ადაპტირება (კიბე, კარები) მისი დამოუკიდებლად გამოყენების მიზნით;
- სასამართლო შენობაში მოხდეს ერთი მისაწვდომი საპირფარეშოს მოწყობა;
- მოხდეს კანცელარიის დახლის, აბრების, ჰოლში განთავსებული სკამებისა და საინფორმაციო დაფის მისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- მნიშვნელოვანია, იატაკის ზედაპირი შესაბამისობაში მოვიდეს სტანდარტებთან.

მართლმსაჯულების პროცესი

სასამართლოში არის ერთი სხდომათა დარბაზი დიდი სივრცით, რომელიც თავისუფალი გადაადგილების საშუალებას ქმნის შშმ პირებისთვის. დამსწრეებისა და მხარეების სივრცეებს შორის არის ვიწრო ღიობი. მოწმის ტრიბუნა არის მაღალი. დარბაზში არ არის გათვალისწინებული უსინათლო/მცირედმხედველი პირების საჭიროებები. მოსამართლეს სხდომის დარბაზში შემოსასვლელად ესაჭიროება ორსაფეხურიანი კიბის ავლა, რომელიც საჭიროებს ადაპტირებას. თავად მოსამართლის ოთახში არის საკმარისი ფართი, თუმცა დერეფანი, რომლის საშუალებითაც ის სხდომათა დარბაზში უნდა შევიდეს, არის ძალიან ვიწრო. კასპის მაგისტრატ სასამართლოში სისხლის სამართლის პროცესები არ იმართება, თუმცა

დარჩენილია ორი საკანი. ორივე შემთხვევაში კარები არის ვიწრო და ზღურბლი გასაფართოებელი. საკნებთან არის საპირფარეშო, რომელიც დღეისათვის გამოუყენებელია, მაგრამ არ არის მისაწვდომი. თუმცა, ფართიდან გამომდინარე აღნიშნული საპირფარეშო უფრო ადვილად ადაპტირდება, ვიდრე თანამშრომლების.

რეკომენდაცია

- შშმ მოსამართლის არსებობის შემთხვევაში, მოდიფიცირდეს სამუშაო გარემო მისი საჭიროებების მიხედვით;
- გაფართოვდეს სხდომათა დარბაზში მხარეებსა და დამსწრეთა სივრცეების დამაკავშირებელი ღიობი;
- დადაბლდეს მოწმე/ექსპერტის ტრიბუნა;
- სხდომათა დარბაზის მისაწვდომი გახდეს უსინათლო/მცირედმხედველი პირებისათვის.

სტატუსი - შენობა შეუღწეველი და მიუწვდომელია.

გარდაბანის მაგისტრატი სასამართლო

შესავალი

2019 წლის 14 მაისს, სასამართლოს შენობის მისაწვდომობის მონიტორინგი განხორციელდა გარდაბანის მაგისტრატ სასამართლოში, რომელიც მდებარეობს ქ. გარდაბანში, აღმაშენებლის 6 ნომერში.

შენობის ადგილმდებარეობა და მუნიციპალური ტრანსპორტი

გარდაბნის მაგისტრატი სასამართლოს მიმდებარე ტერიტორიაზე არ არის მუნიციპალური ტრანსპორტისთვის განკუთვნილი გაჩერება. ასევე ქალაქს არ ემსახურება ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტი. შესაბამისად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოქალაქე მხოლოდ საკუთარი ტრანსპორტით ან ტაქსით შეიძლება მივიდეს სასამართლო შენობასთან.

რეკომენდაცია

- მოხდეს ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტის უზრუნველყოფა;
- მოეწყოს სასამართლოსთან მაქსიმალურად ახლოს მუნიციპალური ტრანსპორტის გაჩერება შესაბამისი ადაპტირებული მოსაცდელით;
- ადაპტირებული გაჩერებიდან სასამართლომდე მისასვლელი გზა მოეწყოს იმდაგვარად, რომ ის მისაწვდომი იყოს ყველა შშმ პირისთვის.

სასამართლოს პარკინგი და ეზო

სასამართლოს არა აქვს ეზო, არ არის სპეციალურად გამოყოფილი სასამართლომდე მისასვლელი გზა და გზა, რომელიც უნდა გაიაროს შშმ პირმა შენობასთან მისასვლელად არის ბარიერებით. ავტომობილების გაჩერებისთვის განკუთვნილია საერთო სარგებლობის არაორგანიზებული პარკინგი თანამშრომლების და მოქალაქეებისთვის. სასამართლოს არ გააჩნია მისაწვდომი სპეციალური ავტოსადგომი შშმ პირთათვის.

რეკომენდაცია

- მოეწყოს ორგანიზებული პარკინგი მოქალაქეებისთვის და თანამშრომ-ლებისთვის, მათ შორის გამოიყოს სტანდარტების შესაბამისი ადგილი შშმ პირებისთვის;
- გამოიყოს სასამართლოს შენობამდე და ორგანიზებულ პარკირებიდან შენობამდე მისასვლელი ბილიკები, რომლებიც მისაწვდომი იქნება ყველა შშმ პირისთვის.

შენობაში შესასვლელი/შიდა სივრცე

სასამართლოში შესვლა შესაძლებელია კიბით და პანდუსით. შენობის კიბე არ აკმაყოფილებს მისაწვდომობის სტანდარტს უსინათლო/მცირემხედველი მომხმარებლისთვის. ეტლის მომხმარებელი მოქალაქისთვის შენობაში შესვლა შესაძლებელია პანდუსის საშუალებით, რომელიც სტანდარტს არ აკმაყოფილებს. შესასვლელი კარი არის ორფრთიანი და შეღწევადია ეტლით მოსარგებლე შშმ პირისთვის. თუმცა, არ არის გათვალისწინებული უსინათლო/მცირემხედველი პირების საჭიროებები, კარებთან არსებული ზღურბლი არ შეესაბამება სტანდარტს. კარს არ აქვს ავტომატური გაღების ფუნქცია. შესასვლელში არსებული იატაკი არის პრიალა, სრიალა და მოცურების რისკის მქონე, იატაკზე არ არის ტაქტილური ბილიკები. შესასვლელში არსებული სკამები, კანცელარიის დახლი, საჩივრების ყუთი და განცხადებების დასაწერი დახლები არ არის სტანდარტების შესაბამისი, ასევე არ არის მისაწვდომი ოთახებისა და დარბაზის აღმნიშვნელი დაფები. სასამართლოში არის ერთი საერთო მოხმარების საპირფარეშო, რომელიც გამოუსადეგარია შშმ პირებისთვის.

რეკომენდაცია

- რეკომენდებულია სასამართლოს შესასვლელის (კიბე, კარი, პანდუსი, ზღურბლი) ადაპტირება დამოუკიდებლად გამოსაყენებლად;
- რეკომენდებულია საპირფარეშოს ადაპტირება;
- რეკომენდებულია საინფორმაციო დაფების, აბრების, სკამების, კანცელარიის დახლის, საჩივრის ყუთის მისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მართლმსაჯულების პროცესი

სასამართლოს აქვს 2 სხდომის დარბაზი. სხდომის დარბაზების კარები შეღწევადია შშმ პირებისთვის. ერთ დარბაზში არის საკმარისი სივრცე მანევრირებისათვის, ხოლო მეორეში ფიქსირებული მაგიდების პირობებში შეუძლებელია ეტლით მოსარგებლე ადამიანმა შეძლოს მხარის როლში იფუნქციონიროს. მოწმის ტრიბუნა არის მაღალი. დარბაზებში არსებული იატაკი არ სრიალა, პრიალა და მოცურების საფრთხის შემცველი. სისხლის სამართლის დარბაზის შემთხვევაში ბრალდებულისთვის მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენს კაბინა, რომლის კარები არის იმდენად ვიწრო, რომ ვერ შევა ეტლით მოსარგებლე პირი. სტანდარტებს არ შეესაბამება ბრალდებულის განსათავსებელი საკანი, მისთვის გამოყოფილი საპირფარეშო და მისი შემოყვანისთვის გამოყოფილი სათადარიგო შემოსასვლელი. მოსამართლის დარბაზში შესასვლელი არ არის სტანდარტის შესაბამისი. მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენს მაღალი ზღურბლი. მოსამართლისა და თანაშემწის ოთახები განთავსებულია მეორე სართულზე და სართულებს შორის დამაკავშირებელი კიბე არ არის მისაწვდომი. თავად მოსამართლისა და თანაშემწის ოთახებში შესასვლელი კარები არის შეღწევადი, შიდა სივრცე საკმარისია მანევრირებისათვის.

რეკომენდაცია

- შშმ მოსამართლის არსებობის შემთხვევაში, მოდიფიცირდეს სამუშაო გარემო;
- სისხლის სამართლის საქმეების განსახილველ დარბაზში მოხდეს ავეჯის იმგვარად მოწყობა, რომ შესაძლებელი იყოს მისი გამოყენება შშმ პირების მიერ.
- დადაბლდეს მოწმე/ექსპერტი ტრიბუნა;
- სხდომათა დარბაზი მისაწვდომი გახდეს უსინათლო/მცირედმხედველი პირებისათვის;
- მოხდეს ბრალდებულისთვის განკუთვნილი საკნების და კაბინის ადაპტირება.

სტატუსი - შენობა შეუღწეველი და ნაწილობრივ მისაწვდომია

ქარელის მაგისტრატი სასამართლო

შესავალი

2019 წლის 1 ივნისს, სასამართლოს შენობის მისაწვდომობის მონიტორინგი განხორციელდა ქარელის მაგისტრატ სასამართლოში, რომელიც მდებარეობს ქ. ქარელში, ჭავჭავაძის 3 ნომერში.

შენობის ადგილმდებარეობა და მუნიციპალური ტრანსპორტი

ქარელის მაგისტრატი სასამართლოს შენობა არის ორსართულიანი, თუმცა გამოყენებულია მხოლოდ პირველი სართული და მდებარეობს გზის პირას, შენობის წინ არ არის ტროტუარები მოწყობილი. შენობა მდებარეობს დაქანებულ ადგილას. იმ შემთხვევაში თუ ეტლით მოსარგებლე პირი ჩამოვა მთავარ მაგისტრალზე, აღნიშნული დაქანების გამო, მას გაუჭირდება მთავარ მაგისტრალზე დაბრუნება. სასამართლოს სიახლოვეს არ არის მისაწვდომი გაჩერება, ქალაქში არ მოძრაობს მუნიციპალური ტრანსპორტი. შშმ პირისთვის სასამართლოში მოსვლის საშუალება არის ტაქსი ან საკუთარი მანქანა.

რეკომენდაცია

- მოხდეს ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტის უზრუნველყოფა;
- სასამართლოსთან მაქსიმალურად ახლოს მოეწყოს მუნიციპალური ტრანს-პორტის გაჩერება შესაბამისი ადაპტირებული მოსაცდელით;
- ადაპტირებული გაჩერებიდან სასამართლომდე მისასვლელი გზა მოეწყოს იმდაგვარად, რომ ის მისაწვდომი იყოს ყველა შშმ პირისთვის;
- რეკომენდებულია, რომ სასამართლოს შენობის წინ მოეწყოს მისაწვდომი ტროტუარები.

სასამართლოს პარკინგი და ეზო

სასამართლოს აქვს ეზო, რომელსაც აქვს ქვისა და რკინის გალავანი. ეზოს საფარი არის უსწორმასწორო, ნაწილობრივ ასფალტით. მცირე ადგილებში არის ხრეში, რაც საფრთხის შემცველია, შეიძლება ეტლი გაიჭედოს. მსგავსი საფარი ასევე პრობლემურია სხვა შშმ პირებისთვისაც. ეზოში არ არის ტაქტილური ბილიკები. აღნიშნული მცირე ბარიერების აღმოფხვრის პირობებში, ის ადვილად მისაწვდომი გახდება. სასამართლოში არ არის ორგანიზებული პარკინგი. ეზოში შესაძლებელია 2-3 მანქანის გაჩერება, მაგრამ ის არ არის განკუთვნილი მოქალაქეებისთვის.

რეკომენდაცია

- მოეწყოს ორგანიზებული პარკინგი მოქალაქეებისა და თანამშრომლებისთვის, მათ შორის გამოიყოს სტანდარტების შესაბამისი ადგილი შშმ პირებისთვის;

- შშმ პირების მიერ ეზოში უსაფრთხო და დამოუკიდებელი გადაადგილების მიზნით, აღმოიფხვრას არსებული ბარიერები.

შენობაში შესასვლელი/შიდა სივრცე

შენობას აქვს ორი შესასვლელი: ძირითადი და სათადარიგო. ძირითადი შესასვლელიდან შესაძლებელია შესვლა კიბით და პანდუსით. კიბის დასაწყისში და ბოლოში საკმარისი ფართია მანევრირებისთვის. თავად ცენტრალური შესასვლელის კიბე არ შეესაბამება სტანდარტს, არა აქვს მოაჯირი, საფეხურების სიმაღლე არ არის სტანდარტის შესაბამისი. სათადარიგო შესასვლელთან არსებული კიბე ძალიან დაზიანებულია და არ იყენებენ მას. პანდუსის ფუნქციას ასრულებს მკვეთრი დაქანების სატვირთო გზა, რომელიც არ შეესაბამება სტანდარტს. შესასვლელი კარი არის ორფრთიანი და მისაწვდომია ერთი ფრთის გაღების პირობებშიც. იატაკი არის პრიალა, სრიალა და საფრთხის შემცველი. დერეფნებში გადასაადგილებელი სივრცე არ არის საკმარისი. კანცელარიის დახლი, მოქალაქეებისთვის გამოყოფილი მაგიდა, საინფორმაციო დაფა, სკამები და დარბაზისა და ოთახების აღმნიშვნელი აბრების განთავსება არ შეესაბამება სტანდარტს. საპირფარეშოების გამოყენების კუთხით მთავარი დაბრკოლება არის ზღურბლის სიმაღლე. თავად შიდა სივრცე საკმარისია იმისთვის, რომ მოეწყოს ადაპტირებული სველი წერტილი. დღეისათვის საპირფარეშოს ინვენტარი არ არის სტანდარტების შესაბამისი. სასამართლოში კაფეტერია არ არის ოფიციალურად, მაგრამ სამზარეულოდ იყენებენ ოთახს, რომელიც შეღწევადია და შიგნითაც არის სივრცე მანევრირებისათვის. შეიძლება მისი ადაპტირება. სასამართლოში არ არის ოფიციალურად გამოყოფილი ადვოკატთან შეხვედრის ოთახი, თუმცა გვანახეს ოთახი, სადაც ხვდებიან მხარეები ადვოკატს. აღნიშნულ ოთახში არის საკმარისი სივრცე იმისთვის, რომ მოეწყოს მისაწვდომი შეხვედრების ოთახი.

რეკომენდაცია

- მოხდეს სასამართლოს ძირითადი შესასვლელის ადაპტირება (კიბე, პანდუსი, შიდა სივრცის გაფართოება ეტლის მანევრირებისათვის) მისი დამოუკიდებელი გამოყენების მიზნით;
- სასამართლოს შენობაში მოხდეს ერთი მისაწვდომი საპირფარეშოს მოწყობა;
- მოხდეს კანცელარიის დახლის, მოქალაქეებისთვის გამოყოფილი მაგიდის, სკამების, საინფორმაციო დაფის, აბრების, იატაკისა და შეხვედრების ოთახის მისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მართლმსაჯულების პროცესი

სასამართლოში არის ორი დარბაზი. ერთ დარბაზში არის საკმარისი სივრცე. აღნიშნულ დარბაზის შესასვლელში არის ორფრთიანი კარები, მაგრამ ერთი ფრთის გაღების პირობებში შესასვლელი არის ძალიან ვიწრო. მეორე ფრთა

ლურსმნით არის აჭედილი, ეს რომ მოიხსნება, ორ ფრთაში ადვილად შევა შშმ პირი. ბრალდებულისთვის გამოყოფილია ცალკე კაბინა, რომელიც არის ძალიან ვიწრო, ავიწროებს ასევე საერთო სივრცეს და პრობლემას ქმნის შშმ პირი მხარისთვის. მხოლოდ მარჯვენა მხარე არის შეღწევადი, სადაც მაგიდა მოძრავია. თუმცა, შეიძლება ავეჯის გადაადგილების შემთხვევაში, სივრცის ადაპტირება. მაღალია მოწმის ტრიბუნა. მოსამართლის სივრცე არის საკმაოდ დიდი არეალით. ასევე მოსამართლის პლატფორმაზე შესასვლელს აქვს მხოლოდ 18 სანტიმეტრიანი ზღურბლი, რომლის გასწორების შემთხვევაში, მოსამართლე თავისუფლად მოახერხებს დარბაზში შეღწევას იმ პირობებში, როცა მისი ოთახის პირველ სართულზეა.

დღეისათვის აღნიშნულ სასამართლოში არ ხდება სისხლის სამართლის საქმეების განხილვა, მაგრამ მაინც არის ბრალდებულის საკანი. ბრალდებული საკანში შემოყავთ ეზოდან, სპეციალური შემოსასვლელით, რომელსაც აქვს რკინის კიბე, მაგრამ არ გამოიყენება. თავად საკნის კარები არ არის შეღწევადი, საპირფარეშო ძალიან პატარაა ჩეჩმით, ამიტომ ვერ მოხდება მისი სათანადოდ ადაპტირება. დერეფანი არის ვიწრო, რთულად შეღწევადი. თუმცა, ბრალდებულის შემთხვევაში მთავარი დაბრკოლება არის სხდომის დარბაზში შესასვლელი, რადგან კაბინა ქმნის ღიობს.

შშმ მოსამართლის თვალსაზრისით, ერთ-ერთი გამონაკლისი იყო, რადგან ყველაზე უკეთ შეიძლება შენობა მისაწვდომი გახდეს. ერთადერთ დაბრკოლებას წარმოადგენს დარბაზში შესასვლელი ზღურბლი. კარები არის საკმაოდ განიერი, შეიძლება ცვლილებაც არ დაჭირდეს. მოსამართლის კაბინეტში არსებული საპირფარეშო, ამ წუთას არ არის მისაწვდომი. თუმცა მოსამართლეს აქვს დამატებითი სივრცე, რომლის ხარჯზეც შეიძლება მოხდეს საპირფარეშოს გაფართოება.

რეკომენდაცია

- დადაბლდეს მოწმე/ექსპერტის ტრიბუნა;
- სხდომათა დარბაზი მისაწვდომი გახდეს უსინათლო/მცირედმხედველი პირებისათვის;
- სხდომათა დარბაზში ავეჯი ისე განლაგდეს, რომ მისაწვდომი გახდეს შშმ პირებისთვის;
- შშმ მოსამართლის შემთხვევაში, მისაწვდომი გახდეს დარბაზში შესასვლელი ზღურბლის ადაპტირების პირობებში;
- საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს ბრალდებულის შემოსაყვანი სათადარიგო შესასვლელის, განსათავსებელი სივრცისა და საპირფარეშოს მისაწვდომობის უზრუნველყოფა.

სტატუსი - შენობა შეუღწეველი და ნაწილობრივ მისაწვდომია.

www.coe.int

www.coe.ge

ევროპის საბჭო არის ადამიანის უფლებათა მოწინავე ორგანიზაცია კონტინენტზე. იგი 47 წევრი სახელმწიფოსგან შედგება, რომელთაგან 28 ევროპის კავშირის წევრიცაა. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას - ხელშეკრულებას, რომელიც გამიზნულია ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დასაცავად. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ზედამხედველობს კონვენციის შესრულებას წევრ სახელმწიფოებში.

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE